„დასაბამ და დასასრულ

ყოვლისა საქმისა

და

სიტყვსა შენისა

ღმერთი იყავნ“

წმიდა ბერიბოლი ღმერთისმეტყველი

იგავნი
უფლისა ჩუენისა
იესო
ქრისტესნი

საღვთისმეტყველო განმარტება

7

წიგნად

„მიეახლენით ღმერთსა
და მოგეახლოს თქუენ“
წმიდა იაკობ მოციქული

©გამომცემლობა „ალილო“
©გამომცემლობა „დედაენა“
თბილისი 2009

წინამდებარე გამოცემა იგეჭდება ფოთისა და ხობის მიტროპოლიტის გრიგოლის ლოცვა-კურთხევითა და შეწევნით

რეცენზირებულია და ნებადართულია გამოსაცემად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის გამომცემლობის და რეცენზირების დეპარტამენტის მიერ.

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი

	სსამეზრდ	სრ№
	26. 03. 09	301

იგავნი
უფლისა ჩუენისა
იესო
ქრისტესნი

წმიდა მამათა და კომენტატორთა
საღვთისმეტყველო განმარტება

„ეტყოდა იესუ იგავით ერსა მას“

(მათე 13, 34)

„გამოგუთარგმანე ჩუენ იგავი იგი“

(მათე 13, 36)

4

„უნაყოფო ლელვის ხე“ * „ბოროტი მევენახეები“
„დიდებული სერობა“ * „მეფის ძის ქორწილი“

[ღვთის მოწოდება და გაფრთხილება] [მრავალმოთმინება უფლისა]
[მზადება ცხონებისათვის] [ქრისტესმიერი არჩევანი]

© გამომცემლობა „ალილო“
© გამომცემლობა „დედაენა“
თბილისი 2009

„უფალმა გაკურთხოთ და შეგიწიროთ თქვენი შრომა...
კარგია უფლის წინაშე ყოველი შრომის დაწყების წინ
გულით შევედრება, რათა ძალა მოგანიჭოს სრულყოფილად შესრულებისათვის,
რამეთუ მის გარეშე შეუძლებელია კეთილი“.

მღვდელ-მონაზონი იოსები (ბურჯანაძე)

დიდი მადლობა საქართველოს საპატრიარქოს რადიო „ივერიას“: გიორგი ანდრიაძეს, დარეჯან შენგელიას, ქეთევან ხითარიშვილს, ლიკა ქუცნიაშვილს, ნანა გულორდავას, ნინო აბრამიშვილს, იპოლიტე (ბაკო) ხვიჩიას, მღვდელ კონსტანტინე ლეკიშვილს — ყველას, რომელთა გულშემატკივრობითა და თანამონაწილეობით ხორცი შეესხა რადიოგადაცემას „უფლის იგავები“ (*„მივყო იგავსა ყური ჩემი“*).

ვმადლობ ჩემს სულიერ მამას და მოძღვარს — დეკანოზ ანტონ ხანთაძეს, ასევე სულიერ მოძღვრებს: ცურტავის ეპისკოპოსს, ყოვლადუსამღვდელოეს იოანეს (გამრეკელს), მღვდელ-მონაზონ იოსებს (ბურჯანაძეს), დეკანოზ ბესარიონ ბულაშვილს, დეკანოზ ამირან ამირანაშვილს, დეკანოზ მაქსიმე ჭანტურიას, დეკანოზ მიქაელ გალდავას, მღვდელ კონსტანტინე გიორგაძეს, რომელთა ლოცვა-კურთხევა და შეწევნა არ მოჰკლებია ამ კნინ ნამუშაკევს.

მადლობას ვუხდი გულითადი თანადგომისათვის **თამარ მაისაიას** და მის ტკბილ ოჯახს, ასევე **მირანდა მახარაძეს** მხარში ამოდგომისათვის.

უფალო იესო ქრისტე, მიმადლე მათ და მათს ოჯახებს შენი მფარველობა და შემწეობა!

უაკ (UDC) 23/28 I 331

© დოდო (მარიამ) ღლონტი

ღვთის წყალობით, გაწვდით უფლის იგავების მე-4 წიგნს, რომელშიც გაეცნობით საღვთისმეტყველო განმარტებას ოთხი სახარებისეული იგავისა. ესენია: „უნაყოფო ლეღვის ხე", „ბოროტი მევენახეები", „დიდებული სერობა". და „მეფის ძის ქორწილი".

ამ იგავთა უფლისმიერი სათქმელიდან გამომდინარე, გზადაგზა ვითარდება თემები: ღვთის მოწოდებისა და გაფრთხილებისა, უფლის მრავალმოთმინებისა და სულგრძელობისა, სინანულის მაცხოვნებელი ნაყოფის გამოღებისა და მოუნანიებლობისა, ღვთის სიტყვის (ქრისტეს სწავლების) მიღებისა და უგულებელყოფისა, საშინელი სამსჯავროსი, საღმრთო მუშაკობისა და ცხონებისათვის მზადებისა, ქრისტესმიერი არჩევანისა და თავისუფლებისა.

ცხადია, ამავე თემებს უფლის სხვა იგავთა სათქმელიც იტევს, მაგრამ ამ ოთხ იგავში საგანგებოდ გაცხადდება უფალი იესოს ნება, რათა ქრისტესმიერი არჩევანით დავადგეთ სანატრელი ცხონების გზას.

რამდენიმე აუცილებელი შენიშვნა წინამდებარე წიგნის შედგენილობასთან დაკავშირებით:

** სახარების ყოველი იგავის ტექსტი ძველ ქართულად მოგეწოდებათ, შესაბამისი თავისა და მუხლის მითითებით. თუმცა ამონარიდს ზოგჯერ ახალ ქართულად შემოგთავაზებთ, რათა ძველ ქართულ ენობრივ მასალაში ჩაუხედავი მკითხველი არ შეფერხდეს და არ დაბრკოლდეს განმარტებითი ნაწილის აღქმისას.

** წიგნი დაიყო ოთხ ნაკვეთად. თითოეულ ნაკვეთს დასაწყისშივე ერთვის მცირე საძიებელი, სადაც ყოველი შემადგენელი ნაწილის (ქვეთავის) გვერდია მითითებული.

** წიგნს ბოლოში დავურთეთ იმ ლიტერატურის ნუსხა, რომელზეც, ღვთის წყალობით, ხელი მიგვიწვდებოდა, და რომლის მეოხებითაც გახდა შესაძლებელი უფლის იგავთა განსამარტავი მასალის თავმოყრა.

** ლიტერატურის ნუსხას მოსდევს საკუთარ სახელთა ანბანური საძიებელი, შესაბამისი გვერდების მითითებით, სადაც წარმოდგენილია ტექსტში შავი შრიფტით მონიშნული საკუთარი სახელები: წმიდა მამათა, წმიდა წინასწარმეტყველთა, წმიდა მოციქულთა, წმინდანთა, კომენტატორთა და სხვათა.

გუაკურთხენ, უფალო!

მადლიერებით ვუძღვნი ჩემს მეგობრებს.

„მე ვარ შორის თქუენსა ვითარცა მსახურ“

ლუკა 22, 27

„უფრთხილი ამისა სიყუარული არა ეის აქუს,
რაითა სული თჳსი დადვას მეგობართა თჳსთათჳს“

იოანე 15, 13

„ხამს მოყვარე მოყვრისათჳის თაჳი ქირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათჳის, სიყვარული გზად და ხიდად“

ზოთა რუსთაველი

„უნაყოფო ლეღვის ხე“

„ცული ძირთა თანა ხეთასა ძეს“
მათე 3, 10

„ყავთ უკუე აწ ნაყოფი,
ღირსი სინანულისაჲ“
ლუკა 3, 8

„ნაყოფისაგან ხე იგი
საცნაურ არს“
მათე 12, 33

„6. ლეღჳ ვისმე ედგა ნერგი სავენაჯესა თჳსსა; მოვიდა და ეძიებდა ნაყოფსა მისგან და არა პოვა. 7. და ჰრქუა ვენაჯის-მოქმედსა მას: აჰა, ესერა, სამი წელი არს, ვინაჲთგან მოვალ და ვეძიებ ნაყოფსა ლეღუსა ამას შინა და არა ვჰპოებ. მოჰკუეთე ეგე, რაჲსათჳს ქუეყანაჲცა დაუპყრიეს უქმად? 8. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: უფალო, უტევე ეგე ამასცა წელსა, ვიდრემდე მოუთოჳნო მას გარემო და სკორე დაუდვა, 9. ყოს ხოლო თუ ნაყოფი; უკუეთუ არა, მერმე მოჰკუეთე იგი“.

ლუკა 13, 6-9

სხვისი ცოდვა და სხვისი სასჯელი — 8; ცოდვა და ტანჯვა — 13; ვენახში ჩარგული ლეღვის ხე — 16; უფალი ნაყოფს ეძიებს — 19; ვენახის პატრონი და ვენახისმოქმედი — 21; „ერთი წელი“ — სინანულის კარი ჯერ კიდევ ღიაა! — 22; სამი წელი — 24; ვენახისმოქმედი ეკლესიაა — 26; ლოცვითი შუამდგომლობა — 27; მოუნანიებლობა უნაყოფობაა — 32; უკანასკნელი ჟამი — 34; ნაყოფი ხისა და საქმე კაცისა — 35; დროულად გამოვიღოთ ნაყოფი სინანულისა — 38; უფლის სულგრძელობა და მზრუნველობა — 40.

სხვისი ცოდვა და სხვისი სასჯელი

„უნაყოფო ლეღვის ხის“ იგავში უფალი იესო ორ მნიშვნელოვან თემას აკითარებს: **სინანულის, ღვთის მოთმინებისა** და **სულგრძელობის** თემებს. ამ უკანასკნელს (ღვთის სულგრძელობის თემას) მიერთვის უფლისმიერი გაფრთხილება **სამართლიანი სამსჯავროს** გამო – ეს არის გაფრთხილება იმათთვის, ვინც ბოროტად გამოსცდის ღვთის მოთმინებას (ღვთის სამსჯავროს დაყოვნება რომ პეონია) და, ამით დაიმედებული, სახვალიოდ გადადებს სინანულის კეთილი (მაცხოვნებელი) ნაყოფის გამოღებას.

„უნაყოფო ლეღვის ხის“ იგავს, როგორც მრავალ სხვა იგავს წმიდა სახარებაში, აქვს წინამავალი ნაწილი, რომლის გათვალისწინება და სათანადო განმარტება აუცილებელია, თუკი გვსურს, სრულყოფილად ჩავწვდეთ ამ იგავის თხრობის მიზეზსა და მიზანს, მის აგებულებასა და სათქმელს.

წმიდა ლუკას სახარების მე-13 თავის პირველ მუხლში ვკითხულობთ:

„ამ დროს მივიდნენ მასთან (უფალ იესო ქრისტესთან) **და აუწყეს იმ გალილეველთა ამბავი, რომელთა სისხლი შერთო პილატემ მათსავე მსხვერპლთ“** (ლუკა 13, 1).

შემდგომში, ქრისტეს ჯვარცმისას, ***პილატე*** გაცილებით დიდ მსხვერპლშეწირვაში მონაწილეობს საბედისწეროდ.

გალილეა ისტორიული **პალესტინის** ერთ-ერთი მხარე (რეგიონი) იყო. ქრისტეს შობიდან I საუკუნის ისტორიკოსი ***იოსებ ფლავიუსი*** ამოწმებს, რომ იმ დროს გალილეაში ოთხას ოთხი ქალაქი ყოფილა გაშენებული. მათი უმეტესი ნაწილი გალილეის სამხრეთით მდებარეობდა. ჩრდილოეთ გალილეა მთაგორიანი რელიეფის გამო მეჩხერად იყო დასახლებული.

სამსხრეთით გალილეას ესაზღვრებოდა, **სამარიის** პროვინცია, აღმოსავლეთით – **მდინარე იორდანე** და **გენესარეთის ტბა**, დასავლეთით კი ფინიკიელები ცხოვრობდნენ.

ფლავიუსი გალილეველებზე შენიშნავს, რომ ისინი იყვნენ მახვილგონიერნი და მამაცნი, თუმცა იუდეველებს გალილეველები

ოდნავ მოძულებული ჰყავდათ, ვინაიდან მათი (გალილეველთა) ნაწილი წარმართებს აღრეოდა. ამიტომ მოიხსენიება ეს მხარე ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში **წარმართთა გალილეად**. გალილეველთა ეს ნაწილი არ იცავდა იუდაურ კანონსა და გარდამოცემას. ფლავიუსთან ისიც ფიქსირდება, რომ გალილეველთა დიალექტი უხეში იყო და თვალში საცემად განსხვავდებოდა იერუსალიმურისგან. წმიდა მათეს სახარებაში, როგორც ჩანს, სწორედ ეს გარემოება იგულისხმება, როცა დიდი პარასკევის ღამეს მღვდელმთავრის ეზოში მყოფ *წმიდა პეტრეს* ეუბნებიან. **„და შენცა იყავ იესუის თანა, გალილეველისა... ჭეშმარიტად შენცა მათგანი ხარ, და რამეთუ სიტყუაჲცა შენი გამოგაჩინებს შენ“** (მათე 27, 69.73) – შენი გალილეური კილო გამხილებსო.

უფალი იესო ქრისტე აღიზარდა **ნაზარეთში, გალილეაში**. თავისი ბავშვობა და ცხოვრების უდიდესი მონაკვეთი მან სწორედ გალილეის ქალაქ ნაზარეთში განვლო, აქვე აღასრულა თავისი სასწაულების დიდი ნაწილი. **კანა** და **კაპერნაუმი** ასევე გალილეის ქალაქებია.

მას შემდეგ, რაც უფალი იესო მაცდურისგან (ეშმაკისგან) გამოიცადა, განაგდო იგი და ქადაგებას შეუდგა, ნაზარეთიდან კაპერნაუმში გადავიდა. ისიც ცნობილია, რომ *წმიდა მათე, წმიდა მარკოზი* და *წმიდა ლუკა* მახარებლები უმთავრესად ქრისტეს სწორედ გალილეაში მოღვაწეობას აღგვიწერენ, *წმიდა იოანე* კი ჩვენი უფლის მიერ იუდეის პროვინციაში გაღებულ ღვაწლსე გვიამბობს.

მაშასადამე, იესოსთან მოსულებმა მას იმ მხარის ამბავი გაახსენეს, რომელსაც უფალი კარგად იცნობდა, და ეს ამბავიც, მოსულთა რწმენით, მისთვის ასევე კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი.

დეკანოზი ბუხარევი წინამავალ ნაწილთან დაკავშირებით შენიშნავს, რომ უფლის იგავს წმიდა სახარებაში ხან იგავის სათქმელიდან გამომდინარე აზრი, შეხედულება, შეგონება თუ დასკვნა მოსდევს, ხან კიდევ თავდაპირველად ეს აზრი ან შეგონება გამოითქმის და იგავი მას მოჰყვება დასტურად.

წმიდა ლუკას სახარების მე-13 თავში გადმოცემული „უნაყოფო ლეღვის ხის“ იგავის წინამაყალი ნაწილი მე-12 თავსაც კი სწვდება, სადაც უფალი იესო თავის გარშემო შემოკრებილ მოწაფეებსა და აურაცხელ ხალხს მომავალი საშინელი სამსჯავროს შესახებ ამცნობს და ამის გამო ვრცელ ქადაგებასაც დაურთავს (ლუკა 12, 49-59).

საშინელი სამსჯავროს თემა საკმაოდ მძიმეა მოსასმენედაც კი და, მით უფრო, მისაღებად. როგორც ჩანს, ამ ქადაგების მსმენელთაგან რამდენიმეზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა უფლის წინასწარმეტყველებამ საყოველთაო სამსჯავროზე. უფლის ქადაგებიდან მათ ეცნოთ და გაახსენდათ ის, რაც სამსჯავროს მოახლოების ნიშნებად მიიჩნიეს, და ერთგვარი აღტკინებითაც კი აუწყეს უფალს *პილატეს* ზემოთ ხსენებული ბოროტების შესახებ.

ისტორიიდან ცნობილია,რომ წმიდა ლუკას სახარებაში ორიოდე სიტყვით მონიშნული ეს საზარელი კაცთაკვლა და ულეტა, რომელიც *პილატეს* მიეწერება, მხოლოდ ერთი მცირე ეპიზოდი იყო იმ სისასტიკითა და საშინელებით აღსავსე, ცოდვებით ჩაბნელებული სამყაროს ცხოვრებიდან. სხვათა შორის, სწორედ იმ ხანებში შეიწირა უამრავი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე პილატეს და *ჰეროდეს* შორის ჩამოვარდნილმა განხეთქილებამ.

პილატეს ბოროტების ამბის მომტანებს უფალი იესო იმგვარ პასუხს გასცემს, რომლითაც მათაც და სხვა მსმენელებსაც სხვის **ტანჯვასა** და სხვის **ცოდვაზე** დააფიქრებს. მართლაც, ხანგრძლივი ფიქრის საგანი ხდება ხოლმე უდანაშაულო, ე.წ. ბრმა შემთხვევით მოკვდინებული ადამიანის ხვედრი, ამგვარი აღსასრულის მიზეზები და განგებულება: ალბათ, ეს ეწერა, საცოდავს... — ამასღა ვიტყვით და მეტს, როგორც წესი, ვეღარას გავიგნებთ!

გალილეის უბედურების მაცნეებმაც იმგვარი ქვეტექსტითა და მინიშნებით მიაწოდეს ეს ამბავი უფალს, რომ, თითქოს, მიხვდნენ, რა მიზეზითაც დაატყდათ თავს ეს უბედურება გალილეველებს: საკუთარ ცოდვათა გამო დაისაჯნენო.

მაცნეები ახსენებენ მსხვერპლს: **რომელთა სისხლი შერთო პილატემ მათსავე მსხვერპლს** – ამგვარ შეფასებას აძლევენ თვითონვე პილატეს ბოროტებას. ამით, ერთი მხრივ, ხაზი ესმება ამ საშინელი კაცთაკვლის განგებულებას: თავიანთ ცოდვათა გამო ერგოთ ეს მძიმე ხვედრი და საკუთარი სამსხვერპლო სისხლით ზღეს, განიწმინდნენ ცოდვებისგანო.

მეორე მხრივ, იგივე თქმა – **რომელთა სისხლი შერთო პილატემ მათსავე მსხვერპლთ** – გულისხმობს, რომ კაცთაკვლა პილატემ მორიგი მსხვერპლშეწირვის რიტუალის აღსრულების დროს განახორციელა. მსხვერპლშეწირვის რიტუალზე ადამიანი, ჩვეულებრივ, უხიფათოდ გრძნობს ხოლმე თავს. ნებისმიერი რიტუალის აღსრულებისას განსაკუთრებულად საგრძნობია კაცთა ერთობა და სიმშვიდე, რომლითაც მოცულია ყოველი მონაწილე რიტუალისა. მაშასადამე, მაცნეები ხაზგასმით მიუთითებენ: მოკლულ გალილეველთა ცოდვები იმდენად მძიმე იყო, რომ ღმერთმა მათ მიერ გალებული მსხვერპლიც კი არ შეიწყნარა და, შესაწირი მსხვერპლის წილ, მათივე სისხლი შეიწირა მსხვერპლად.

მოკლედ რომ ვთქვათ, მაცნეები განიკითხავენ არა მარტო *პილატეს*, არამედ იმ მოკლულ გალილეველებსაც. უფრო მეტიც: მათი რწმენით, როგორც იმ გალილეველებს დაედოთ ეს სასჯელო ცოდვათა გამო და არა მათ, ასევე იქნებაო საყოველთაო განკითხვაზე; საშინელი სამსჯავროც სხვებს ელით ცოდვათა გამო, და არა ჩვენ ან, იქნებ, სხვებს უფრო მეტი სიმკაცრით მოჰკითხავენო, ვიდრე ჩვენ.

რაღა თქმა უნდა, უფალი მიუხვდა მაცნეების ფარულ განზრახვას და მსგავსი მაცდუნებელი აზრით პყრობილთა გასაგონადაც თქვა:

„იქნებ, გგონიათ, რომ ეს გალილეველნი ყველა გალილეველზე უფრო ცოდვილნი იყვნენ, რაკილა ასე ევნენ და დაიღუპნენ? მე გეტყვით, რომ არა, არამედ: თუ არ მოინანიეთ, ყველანი მათ მსგავსად დაიღუპეთ და წარწყმდეთ“ (ლუკა 13, 2-3).

ამ სიტყვებით უფალმა უკუაგდო განმკითხველი მაცნეების მცდარი დასკვნები მოკლულ გალილეველთა მძიმე ცოდვიანობაზე და შეაგონა: იმ გალილეველებმა თავიანთი ცოდვების გამო ზღვეს და დაიმსახურეს ღვთის ეს განაჩენი, მაგრამ ნუ გგონიათ, რომ ისინი სხვებთან ან, თუნდაც, თქვენთან შედარებით უფრო მეტად ცოდვილნი არიან, და ნურც იმას იფიქრებთ, რომ თქვენი ცოდვები ნაკლებ სასჯელს მოგამკობინებთო.

უფალი მათაც და ყველა სხვა ცოდვილსაც განკითხვის ცოდვაზე დააფიქრებს. გავიხსენოთ, როგორი მონდომებით მივმართავთ ხოლმე სხვათა განკითხვას, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ვინმეს დასჯის, დაღუპვის ან შეცოდების ამბავს შევიტყობთ. სანამ სხვას განიკითხავ, ჯერ საკუთარი ცოდვები გაიხსენეო, – გვაფრთხილებს უფალი, – გაიხსენე და მოინანიე, ვინაიდან: **„თუ არ მოინანიებთ, ყველანი მათ მსგავსად დაიღუპებით“** (ლუკა 13, 3).

უფალი სულის ცხონების საშურ საქმესაც დაგვაფიქრებს. ამ საქმის აღმსრულებელი ვიწრო გზებით მიიწევს სასუფევლის ბჭისაკენ. ხშირად უნდა ვიკითხოთ: **უფალო, ნუთუ ცოტანი ცხონდებიან?** – და ხშირად უნდა გავიხსენოთ, რომ: **მცირედ არიან რჩეულნი...**

უფლისმიერი სწავლება – **თუ არ მოინანიებთ, ყველანი მათ მსგავსად დაიღუპებით** – დიდებული გაკვეთილია ყოველი ცოდვილისათვის და, ესე იგი, ყოველი ჩვენგანისთვისაც. კარგად უნდა დავაცქერდეთ ამ გაკვეთილის თვალსაჩინოებას – ეს არის **სხვისი ცოდვა, გასაჭირი და სასჯელი**, ანუ სხვისი უბედურება. ეს უფლისმიერი გაკვეთილი, თვალსაჩინოებითურთ, გვაფრთხილებს და გვასწავლის: მართალია, ამჯერად სხვას დაატყდა უბედურება, სხვა დასნეულდა, სხვა დასახიჩრდა, სხვა დაჩაგრეს და სხვა მოაკვდინეს, და მე ეს უბედურება ამჯერად ამცდა, უფრო სწორად, მოწყალე უფალმა ამაცდინა, კიდევ ერთხელ ამაშორა და არ დამსაჯა; მაგრამ ახლა მაინც უნდა მოვეგო გონს, სხვათა განკითხვა მოვიშალო სამუდამოდ და საქმეს მოვკიდო ხელი, იმ საქმეს, რომელსაც უფალი ჩემგან ელის.

ეს საქმე კი მაცხოვნებელი სინანულია. ამ დიდებულ, მაცხოვნებელ საქმეს უფალი იესო არაერთგზის შეგვახსენებს:

„შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათაჲ“ (მათე 4, 17);

„რომელი განურისხნეს ძმასა თჳსსა ცუდად, თანა-მდებ არს იგი სასჯელისა; და რომელმან ჰრქუას ძმასა თჳსსა „რაკა', თანა-მდებ არს იგი კრებულისაგან განსლვად; და რომელმან ჰრქუას ძმასა თჳსსა ცოფ, თანა-მდებ არს იგი გეჰენიასა მას ცეცხლისასა“ (მათე 5, 22);

„ნუ განიკითხავთ, რაჲთა არა განიკითხნეთ“ (მათე 7, 1);

„მკურნალო, განიკურნე თავი შენი“ (ლუკა 4, 23);

„ყოველმან რომელმან აღიმაღლოს თავი თჳსი, იგი დამდაბლდეს; და რომელმან დაიმდაბლოს თავი თჳსი, იგი ამაღლდეს“ (ლუკა 18, 14); და მრავალი სხვა.

ცოდვა და ტანჯვა

ამავე უფლისმიერი სწავლებიდან კიდევ ერთი უაღრესად საგულისხმო მინიშნება ამოიკითხება. იგავთმთხრობელი უფალი იესო მიგვითითებს იმ შინაგან კავშირზე, რომელიც უხილავად არსებობს ცოდვასა და ტანჯვას შორის. უფალი შეგვაგონებს, რომ არასოდეს არ უნდა დავაყენოთ თავი იმაზე მაღლა, ვინც საკუთარი ცოდვების გამო იტანჯება და მწარე სასჯელს იხდის, ვისი ცოდვებიც უკვე გაცხადებულია ამ ტანჯვითა და სასჯელით. არც ის უნდა ვიფიქროთ, რომ ის ტანჯული ჩვენზე უფრო დიდი ცოდვილია, ჩვენ კი უფრო მართალნი ვართ და, თითქოს, ამიტომ ვართ უფლის მიერ ტანჯვისგან დახსნილნი, უვნებლად დარჩენილნი. ამგვარი ფიქრი უაღრესად სახიფათოა. ნუ დავიჯერებთ, რომ ეს მართლაც ასეა, არამედ შევიგნოთ, რომ ყოველი უბედურება, რომელიც სხვას შეემთხვა, ჩვენც შეიძლება დაგვატყდეს თავს, და რომ ერთ მშვენიერ დღეს ეს უბედურება ჩვენ წინაც ჩაიმუხლებს აქლემივით.

მხოლოდ ამგვარი დამოკიდებულება და სიფრთხილე აგვაცილებს იმ ცდომილებას, რომელშიც ხსენებული მაცსეები ჩაცვივდ-

ნენ და თვითონვე გამოააშკარავეს საკუთარი ცოდვილიანობა – გამოააშკარავეს, მაგრამ არ მოინანიეს. **ცოდვასა და ტანჯვას** შორის არსებულ უხილავ, შინაგან კავშირს სწორედ ამგვარი დამოკიდებულება გაგვიცხადებს. ამ კავშირის აღიარებით ჩვენ მოყვასის ტანჯვის გაზიარებასაც ვსწავლობთ და ვრწმუნდებით, რომ მოყვასის თავს დატეხილ უბედურებაში თითოეულ ჩვენგანსაც უძევს წილი. მაშინ სხვისი ცოდვა, უმცირესიც კი – მთელი კაცობრიობის ცოდვად განიხილება, ერთი კაცის ცოდვად კი არა, არამედ – კაცთა მოდგმისა; და ტანჯვაც, აქედან გამომდინარე, უკვე იქნება არა ტანჯვა ერთი რომელიმე პირისა, არამედ – მთელი კაცობრიობისა!

გავიხსენოთ ***იოსების*** გამყიდველი ძმები, რომლებიც გვიან, მაგრამ მაინც სინანულში ჩაცვივდნენ და ერთმანეთს უთხრეს: *„მართლაც დამნაშავე ვართ ჩვენს ძმასთან, რადგან ვუყურებდით მის ტანჯვას და არ შევიბრალეთ, როცა გვევედრებოდა. ამიტომაც დაგვატყდა თავს ეს გასაჭირი“* (დაბადება 42, 21).

მსგავსი მაგალითის მოწმენი ვართ მსაჯულთა წიგნში. ***იუდამ*** და მისმა ძმამ, ***სიმონმა***, ღვთის შეწევნით, სელში ჩაიგდეს **ქანაანის** მიწა,ბეზეკში შეიპყრეს ***ადონი-ბეზეკი*** და ხელ-ფეხზე ცერა თითები დააჭრეს. სინანულში ჩავარდნილმა ადონი-ბეზეკმა თქვა: *„სამოცდაათი მეფე, ხელებზე და ფეხებზე ცერები რომ დავაჭერი, ჩემი სუფრის ქვეშ აგროვებდა ნამუსრევს; რასაც ჩავდიოდი, იგივე მომაგო ღმერთმა“* (მსაჯულთა 1, 7). შემდგომ ადონი-ბეზეკი **იერუსალიმში** წაიყვანეს, სადაც იგი მოკვდა.

ის, ვინც ვერ ჭვრეტს ხსენებულ კავშირს **ცოდვასა და ტანჯვას** შორის, ღვთისგან დაშორებულია და მოკლებულია უნარს, შეიძეცნოს კაცთაგან სიმკაცრედ მონათლული ღვთიური კანონი სამართლიანი სასჯელისა. მხოლოდ მაღალი ქრისტიანული შეგნება მიაღებინებს კაცს ამ კანონს. მან იცის, რომ ყოველივე, რაც ხდება – ღვთისგანაა (1 კორინთელთა მიმართ 11, 12) და ისიც სიკეთეა, რაც ამსოფლიური ანგარიშით შეირაცხება ხოლმე უბედურებად, ტანჯვად და გასაჭირად.

„უსაყოფო ლაღვის ხის“ იგავის წინამავალ ნაწილში თავად უფალიც იხსენებს უბედური შემთხვევის წყალობით დაღუპულთა ხვედრს: **„ან იქნებ გგონიათ, რომ ის თვრამეტი კაცი, რომლებსაც დაეცა სილოამის გოდოლი და გასრისა ისინი, უფრო მეტად ბრალეულნი იყვნენ, ვიდრე იერუსალიმის ყველა მკვიდრი? გეტყუ თქუენ: არა“** (ლუკა 13, 4.5). ამ ამბავსაც მოადევნებს უფალი მსგავს შეგონებას სინანულზე:

„უკუეთუ არა შეინანოთ, ყოველნივე ეგრეთ წარსწყმდეთ“ (ლუკა 13, 5).

უფალი ამ შეგონებით გვასწავლის, რომ ყოველივე, რაც კი რამ თავს ატყდება კაცს უბედურების სახით, კეთილგონიერმა ქრისტიანმა უნდა მიიჩნიოს მოწოდებად სინანულისკენ, ოღონდ გადაუდებელი, დაუყოვნებელი სინანულისკენ: კი არ დაახანოს, არამედ მყისვე შეუდგეს სინანულის ნაყოფის გამოღებას.

მართლაც, ვისაც ერთხელ მაინც განუცდია და გაუცნობიერებია კატასტროფით გამოწვეული შიში, განცდა უსუსურობისა და უძლურებისა, დაგვეთანხმება, რომ ამ შიშის მართებული ანალიზი და კეთილგონივრულად განცდა ცოდვის მძაფრ შეგრძნებას აღძრავს, საკუთარ ცოდვებს გვაცნობიერებინებს და გვარწმუნებს, რომ ყველა დამანგრეველი სტიქიური მოვლენა თუ კატასტროფა: ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, ქარიშხალი, ზვავი, მეწყერი, ნგრევა – სილოამის კოშკის მსგავსად – არსობრივად გამოწვეულია და შედეგია კაცთა მოდგმის საზარელი ცოდვათადაცემისა, რაშიც სხვებთან ერთად, რალა თქმა უნდა, მეც ვმონაწილეობ. ამას *წმიდა პავლე მოციქული* გვიმოწმებს და ამბობს:

„უწყით, რამეთუ ყოველი დაბადებული თანა-კუნესის და თანა-ელმის მოაქამდე“ (რომაელთა მიმართ 8, 22) – დიახ, დღემდე ვართ თანა-გმინვასა და თანა-წვალებაში ჩვენივე ცოდვებისა გამო!

შენიშნავენ, რომ ეს ორი უბედურება – გალილეველთა დახოცვა და სილოამის კოშკის დანგრევა – გაფრთხილებად უნდა მიეღოთ იუდეველებს: თუკი ისინი შეიგნებდნენ ამ გაფრთხილებას,

შეინანებდნენ და სინანულის კეთილ ნაყოფსაც გამოიღებდნენ, მაშინ იმ სასჯელსაც ასცდებოდნენ, რომელზეც მათ ორივე უბედურება მიანიშნებდა. ეს კი მათთვის უნდა ყოფილიყო ღვთის ნიშანი, მათ გადასარჩენად დაშვებული და მოვლინებული. იმ გალილეველთა და თვრამეტი კაცის დაღუპვას გონს უნდა მოეყვანა, გამოეფხიზლებინა იუდეველნი და ისიც დაენახვებინა, რომ უფალს არ ნებავს ყველას დაღუპვა, იგი სულგრძელობას იჩენს, კვლავაც ელოდება მათგან სინანულის კეთილ ნაყოფს და კიდევ ერთხელ აძლევს დროს აღსარებისა და სინანულისთვის.

წმიდა წერილი, ბიბლიის თითქმის ყველა წიგნი, გვიამბობს ღვთიური სამსჯავროს ვადის გადაწევაზე იმ მიზნით, რომ კაცთა მოდგმამ, ბოლოს და ბოლოს, გადადგას ნაბიჯი გამოსწორებისკენ. ასე მიეცა კაცს ას ოცი წელი წარღვნამდე; **აბრაამმა** დრო ითხოვა სოდომელთათვის მათ დაღუპვამდე; იერუსალიმის ნგრევა კი უფალი იესო ქრისტეს ამაღლებიდან ორმოცი წლის შემდეგ აღსრულდა. ქრისტეს მეორედ მოსვლის ვადა ხომ დღემდე სწორედ ღვთის უსაზღვრო მოთმინებისა და სულგრძელობის წყალობით გადაიწევს ხოლმე: *„არ აყოვნებს უფალი აღთქმის აღსრულებას“*, – გვეუბნება **წმიდა პეტრე მოციქული**, – *„როგორც ზოგიერთს ჰგონია, რომ აყოვნებსო; პირიქით, დიდსულოვანია თქვენ მიმართ, რადგან არავის წარწყმედა არ სურს, არამედ სურს ყველას მოსვლა სინანულად“* (2 პეტრე 3, 9).

ვენახში ჩარგული ლეღვის ხე

„უნაყოფო ლეღვის ხის“ იგავი რამდენიმე სახარებისეულ ალეგორიას შეიცავს, ესენია: თავად **ლეღვის ხე**, **ვენახი**, **ვენახის პატრონი**, **ნაყოფი**, რომელიც ვერ იპოვა ვენახის პატრონმა, **მევენახე (ვენაჯისმოქმედი)**, ასევე **სამი წელი**, ანუ ჩარგული ლეღვის ხის ასაკი და **ერთი წელი**, ანუ ვადა, რომელიც მევენახემ გამოითხოვა ვენახის პატრონისგან.

კომენტატორთა უმეტესი ნაწილის თქმით, **ვენახი** წუთისოფელია, კაცობრიობაა, **მევენახე** – მამაღმერთია, სამყაროს შემოქმე-

დი, ხოლო **ლელვის ხე** იუდეველი ერია. ***ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი*** უფრო კონკრეტულ მნიშვნელობას უძებნის **ვენახს** და ამბობს, რომ იგი იუდეველთა ტაძარია (საკრებულოა), **ლელვის** ხე კი კრებსითად გამოხატავს ამ ტაძარში მყოფ იუდეველებს, რომელთაც მხოლოდ მწარე ფოთლებიღა შერჩენიათ და ნაყოფის გამოღება უკვე აღარ ძალუძთ. თუმცა ნეტარი მამა მეორენაირ განმარტებასაც გვაწვდის და ლელვის ხეში ჭვრეტს კაცობრიობას, რომელიც მამაღმერთმა (ვენახის პატრონმა) შესაქმისეულ სამყაროში ჩანერგა.

უნდა ითქვას, რომ მეტად უჩვეულოა და უცნაურიც **ლელვის ხის ვენახში ჩარგვის** პრაქტიკა. ***ეპისკოპოსი მიხეილი*** შენიშნავს, რომ ებრაელი ერი, თავისი იმუამინდელი მდგომარეობითა და დანიშნულებით, ისევე უფუნქციოდ და არაადეკვატურად გამოიყურებოდა ამქვეყნად, როგორც ჩვენთვის ლელვის ხე – ვენახში. თუმცა, ცნობილია, რომ ლელვის ხე **პალესტინაში** ყველგან შეიძლება ნახოს კაცმა – ვენახშიც, მინდორშიც, ეზოშიც და სხვაგანაც, სადაც კი შესაძლებელია მისი ჩარგვა. იმხანად ვენახში, თურმე, ვაშლის ხესაც რგავდნენ, რაც ევროპელთათვის მეტად უჩვეულოა.

წმიდა სახარების გულისხმიერი მკითხველი შეამჩნევდა, რომ **ვენახის** ალეგორია სათნოა უფლისთვის და მას ხშირად მიმართავს თავისი სათქმელის იგავურად გამოხატვისას. უფლის იგავებში **ვენახი** ხან ცათა სასუფევლის მნიშვნელობით წარმოდგება (იგავი „ბოროტ მევენახეებზე“ – მათე 21, 33-41), ხან საღმრთო მუშაკობის ალაგს გამოხატავს (იგავი „ორ ძეზე“ – მათე 21, 28-30), ხან ღვთისგან ქმნილი ჩვენი სამყაროა, ხან კიდევ ეკლესიაა, უფლის სახლია (იგავი „ვენახის მუშაკებზე“ – მათე 20, 1-15). თავად უფალი ბრძანებს:

„მე ვარ ვენაჯი ჭეშმარიტი, და მამაჲ ჩემი მოქმედი არს“ (იოანე 15, 1).

ამქვეყნად ხორციელად მოსული იესო ქრისტე ვერ დაინახეს და ვერ იცნეს. უფალი ცდილობდა, თავისი მოწაფეებისთვის

დაენახვებინა და შეემეცნებინა, თუ ვინ იყო ის, რისთვის ჩამობრძანდა ზეციდან და რა უნდა მიეღოთ მისგან. ამ საქმეში შეწევნისათვის უფალი სანატრელ ღვთის სიტყვას პურივით გვაწვდის და ამბობს:

„მე ვარ პური ცხორებისაჲ; რომელი მოვიდეს ჩემდა, არა შიოდის, და რომელსა ჰრწმენეს ჩემი, არასადა სწყუროდის“ (იოანე 6, 35).

ღვთაებრივ ნათელს იგი სამოსელივით შემოგვახვევს და ამბობს:

„მე ვარ ნათელი სოფლისაჲ. რომელი შემომიდგეს მე, არა ვიდოდის ბნელსა, არამედ აქუნდეს ნათელი ცხორებისაჲ“ (იოანე 8, 12).

თავისი სიკვდილითა და აღდგომით ჭეშმარიტების გზაზე დაგვაყენებს და ამბობს:

„მე ვარ გზაჲ და მე ვარ ჭეშმარიტებაჲ და ცხორებაჲ; არავინ მოვიდეს მამისა, გარნა ჩემ მიერ“ (იოანე 14, 6).

მარადიული სიცოცხლის სამყოფელში შემავალ კარსაც უფალი გვიღებს და ამბობს: **„მე ვარ კარი: ჩემ მიერ თუ ვინმე შევიდეს, ცხონდეს; შევიდეს და გამოვიდეს და საძოვარი პოვოს“** (იოანე 10, 9).

უფალი იესო ქრისტე ჩვენი კეთილი მწყემსია და გვანუგეშებს:

„მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თჳსი დადვის ცხოვართათჳს... და სხუანიცა ცხოვარნი მიდგან, რომელნი არა არიან ამის ეზოჲსაგანნი, იგინიცა ჯერ-არიან მოყვანებად ჩემდა, და ჴმისა ჩემისაჲ ისმინონ და იყვნენ ერთ სამწყსო და ერთ მწყემს“ (იოანე 10, 11; 10, 16).

ყოველი უფძლისმიერი განაცხადი უდიდეს ნუგეშს ჰგვრის მართლმორწმუნე ქრისტიანს, რადგან ცხონებისკენ მიმავალ ვიწრო გზაზე ქრისტე ჰყავს შემწედ: იგი გვაწვდის სულიერ საზრდოს, იგი გვფენს ზეციურ ნათელსა და მადლს, იგი გვიმსუბუქებს მძიმე ტვირთს ცხონებისათვის, იგი განგვიღებს კარს სასუფევლისა, იგი გვიცავს და გვიხსნის მგლად მოვარდნილი ბოროტისაგან — მხოლოდ ქრისტეს წყალობით გვეძლევა ცხონება!

მე ვარ ვენაჯი ჭეშმარიტი – ეს უფლისმიერი განაცხადიც უდიდესი სასოების მოსმენიჭებელია, რადგან უფალი ამჯერადაც ცხონების საიდუმლოს გვიმჟღავნებს:

„ყოველმან რტომან რომელი ჩემ თანა არს და არა მოიღოს ნაყოფი, აღიღოს იგი (მოაშორიროს ვაზს); **და ყოველმან რომელ-მან მოიღოს ნაყოფი, განწმიდოს იგი, რაჲთა უფროჲსი ნაყოფი გამოიღოს. მე ვარ ვენაჯი და თქუენ რტონი. რომელი დაადგრეს ჩემ თანა, და მე მის თანა, ამან გამოიღოს ნაყოფი მრავალი, რამეთუ თჳნიერ ჩემსა არარაჲ ძალ-გიც ყოფად არცა ერთი“** (იოანე 15, 2; 15, 5).

უფალი ნაყოფს ეძიებს

მაშასადამე, მხოლოდ ქრისტეში ყოფნა, ანუ ქრისტეს მცნებების რწმენითა და სიყვარულით აღსრულება, განგვამართლებს და გვაცხოვნებს. ქრისტეს გარეშე ფუჭი იქნება ყოველი ჩვენი სიტყვაც, საქმეც, და მთელი სიცოცხლეც ამაოდ ჩაივლის: **„როგორც ლერწი ვერ გამოიღებს ნაყოფს თავისით, ვაზის გარეშე, ასევე – თქვენც“**, – გვაფრთხილებს უფალი, – **„ვინც ჩემთან არ იქნება, ნასხლავი ლერწივით გახმება, აიღებენ და ცეცხლში ჩაყრიან“** (იოანე 15, 4; 15, 6).

იმავე ნაყოფის გამოღების მოლოდინშია „უნაყოფო ლეღვის ხის“ იგავში **ვენახის პატრონი**, ანუ მამალმერთი. ამ იგავის სათქმელი ის არის, რომ ებრაელმა ერმა თავად უნდა გამოიღოს ეს ნაყოფი, ანუ თავად უნდა გააკეთოს არჩევანი და საკუთარი ნება გამოხატოს ამ ნაყოფის გამოსაღებად – ღვთის სადიდებლად!

მაგრამ რა ნაყოფია ეს გამოსაღები ნაყოფი, რომელსაც სამი წლის განმავლობაში ეძიებს და ელის ვენახის პატრონი?

ამ შეკითხვაზე პასუხის მისაღებად გვირჩევენ, **ვენაჯისმოქმედის, ანუ მევენახის** იგავურ-სახარებისეული მნიშვნელობა გავითვალისწინოთ. **მევენახე** აქ თავად უფალი იესო ქრისტეა, რომელიც უვლის და პატრონობს ამ **ლეღვის ხეს**, ებრაელ ერს, ზრუნავს მის გადასარჩენად და ყველანაირ კეთილ პირობას უქმნის, რათა იხაროს, ინაყოფიეროს და გადარჩეს (არ გახმეს, არ მოიკვეთოს).

აქედან გამომდინარე, ნაყოფის მოძიებით ღმერთი ებრაელი ერისგან ითხოვდა ჭეშმარიტ რწმენას, ქრისტესმიერ განმართლებას, ქრისტეს მცნებების აღსრულებას, ქრისტეთი შემოსვას. ამ მიზნით ეძიებს **სამი წლის** განმავლობაში ღმერთი ნაყოფს.

შენიშნავენ, რომ **სამი წელი** სავსებით საკმარისია საიმისოდ, რათა დარწმუნდე, ნაყოფის მომტანია ხეხილი თუ არა. ამიტომ **სამი წელი** ამ იგავში გამოხატავს ვადას, რომელიც მიეცა ებრაელ ერს, რათა სათანადოდ გამოეღო ღვთივმოსაწონი სათნო ნაყოფი. მას მართლაც საკმარისი დრო ჰქონდა მესიასთან – ქრისტესთან შეხვედრისათვის მოსამზადებლად, მაგრამ ებრაელებმა უქმად და ფუჭად დახარჯეს ეს დრო, უფრო მეტიც: ვერ იცნეს ქრისტე, უარყვეს, შეურაცხყვეს და მოკლეს კიდეც.

და აი, ვენახის პატრონი რწმუნდება, რომ **ხე უნაყოფოა**, ესე იგი – უფუნქციოა, ამაოდ იკავებს ადგილს მიწაზე, რომელიც ნაყოფიერი ხისთვის არის განკუთვნილი. ვენახის პატრონისთვის **უნაყოფობა** მიუღებელია, და იგი გადაწყვეტს, მოაშოროს, მოჭრას იგი – ამოკვეთოს უნაყოფობა:

ესერა სამი წელი არს, ვინაჲთგან მოვალ და ვეძიებ ნაყოფსა ლეღუსა ამას შინა და არა ვჰპოვებ. მოჰკუეთე ეგე, რაჲსათჳს ქუეყანაჲცა დაუპყრიეს უქმად?

საღვთისმეტყველო შინაარსით, იგავის ეს ნაკვეთი ამოწმებს ებრაელი ერის უღირსობას ღვთის წინაშე: ღვთისგან რჩეულმა ერმა არ (და ვერ) გამოიჩინა მზადყოფნა ჭეშმარიტი საღმრთო მუშაკობისთვის. ამაზე მეტყველებს ლეღვის ხის **უნაყოფობა**, ვინაიდან **საღმრთო მუშაკობის საზომია ნაყოფიერება**, ანუ ღვთისგან ბოძებულის გამრავლება. ნაყოფია მცნებათა დაცვა და რჯულის სიყვარულით აღსრულება, ნაყოფია სინანული საკუთარ ცოდვათა გამო, ნაყოფია კეთილქმნადობა და სათნოებანი – ღვთის სადიდებლად. ესე ყოველი აცხოვნებს კაცსაც და ერსაც. მაგრამ რჩეული ერი განუდგა, უქმად-ყო ღვთის აღთქმა, ვერც აღთქმული მესია იცნო (სწორედ უნაყოფობისა გამო) და ღვთივრჩეულობაც დაკარგა:

მოჰკვეთე ეგე – მოჭერიო, გაისმა ღვთის რისხვად მოვლენილი სასჯელი! საღმრთო სამართლის აღსასრულებლად ამას უბრძანებს ღმერთი – **ვენახის პატრონი** – თავის ძეს, უფალ იესო ქრისტეს – **მევენახეს.**

ვენახის პატრონი და ვენახისმოქმედი

„უნაყოფო ლეღვის ხის“ იგავთან დაკავშირებით კომენტატორები იხსენებენ წმიდა მარკოზის სახარებაში გადმოცემულ ამბავს: **იერუსალიმში** დიდებით შესვლიდან მეორე დღეს (დიდ ორშაბათს) **ბეთანიიდან** გამოსულ იესოს მოშივდა და ლეღვის ხეს მიუახლოვდა, მაგრამ ვერაფერი ნახა, ფოთლების გარდა, და თქვა: **„ნულარამცა ვინ ჭამს უკუნისამდე შენგან ნაყოფსა“** (მარკოზი 11, 14) – ამას უფალი ლეღვის ხის მისამართით ამბობს. ეს სიტყვები თავისი საღვთისმეტყველო მნიშვნელობითა და სათქმელით იგავში ნათქვამ **მოჰკუეთე ეგე**-ს ესადაგება.

ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებიც ხშირად საყვედურობდნენ ისრაელიანებს უნაყოფობის გამო, „უნაყოფო ლეღვის ხის“ იგავში კი საყვედური თავად მამაღმერთისგან გაისმის. ამ ერს უფალი იესო ქრისტე – **ვენახისმოქმედი** – უწევს შუამდგომლობას მამაღმერთის წინაშე, და ევედრება:

უფალო, უტევე ეგე ამასცა წელსა, ვიდრემდე მოუთოჴნო მას გარემო და სკორე დაუდვა, ყოს ხოლო თუ ნაყოფი; უკუეთუ არა, მერმე მოჰკუეთე იგი.

რაღა თქმა უნდა, ჩვენ არ უნდა ვიფიქროთ, რომ, თითქოს, მამა მრისხანებს და ძე კი სწყალობს ებრაელ ერს. უპირველესად, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ არც კაცს და არც ერს არ ძალუძს, საკუთარი ძალისხმევით წარდგეს ღვთის წინაშე – ადამიანს ეს არ ხელეწიფება.

გავიხსენოთ „ხორბლისა და ღვარძლის“ იგავი (მათე 13, 24-30), რომელშიც სახლის პატრონი არ აძლევს მონებს იმის ნებასა და უფლებას, რომ მათ თვითონ გამოარჩიონ ღვარძლი ხორბლისგან: „ვაითუ გამარგვლისას ღვარძლთან ერთად ხორბალ-

იც ამოგლიჯოთ. აცადეთ, ორივე ერთად გაიზარდოს მკამდე, და მკის დროს ვეტყვი მომკელებს: ჯერ ღვარძლი შეკარით ძნებად, რომ დაიწვას, ხოლო ხორბალი ჩემს ბეღელში შეკრიბეთ“ (მათე 13, 29-30).

ამ იგავში გადაწყვეტილებას ვადის გადაწევის შესახებ მამაღმერთი (სახლის პატრონი) იღებს, – განმარტავენ წმიდა მამები, და გვაფრთხილებენ, რომ არსებითი მნიშვნელობა არ უნდა მივანიჭოთ და არ უნდა ჩავუკირკიტდეთ იმას, თუ ვინ სწყალობს ერსა თუ კაცს – მამა თუ ძე (რაც, ყოვლადწმიდა სამება ღმერთის საიდუმლოდან გამომდინარე, ერთი და იგივეა), არამედ გულისხმავყოთ უფლისმიერი იგავური მინიშნება იმაზე, რომ ცოდვილი უძლურია, თვითონ წარდგეს ღვთის წინაშე განსამართლებლად! ყოვლადმოწყალე ღმერთმა ამისთვის მოგვივლინა თავისი მხოლოდშობილი ძე – უფალი იესო ქრისტე, რომელიც ყოველი მონანიე ცოდვილისთვის ერთადერთი შუამდგომელია მამაღმერთის წინაშე. უფალი ამას თავად გვიმოწმებს: „მე ვარ გზაჲ და მე ვარ ჭეშმარიტებაჲ და ცხორებაჲ (ხსნა, ცხონება); არავინ მოვიდეს მამისა, გარნა ჩემ მიერ“ (იოანე 14, 6).

ამგვარად მჟღავნდება იგავში ზეციერი მამის განსაცვიფრებელი ზრუნვა ცოდვილის გადარჩენისთვის. ქრისტეს შუამდგომლობის მიზანია ამ უნაყოფოთა ხსნა და გადარჩენა. იგი სამართლიანად გამოტანილი განაჩენის აღსრულების ვადის გადაწევას იმისთვის კი არ გამოითხოვს ზეციერი მამისგან, რომ კვლავაც ვცოდოთ, ცოდვები ვამრავლოთ, არამედ თავისი სულგრძელობით კიდევ ერთხელ გვაძლევს საშუალებას, მივეცეთ სინანულს: საკუთარი ცოდვები განვიცადოთ, ვაღიაროთ, უარი ვთქვათ მათზე და ღვთის წყალობას მივენდოთ.

„ᲔᲠᲗᲘ ᲬᲔᲚᲘ“ – ᲡᲘᲜᲐᲜᲣᲚᲘᲡ ᲙᲐᲠᲘ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲦᲘᲐᲡ!

ერთი წელი არის ღვთის წყალობით ბოძებული ჟამი სინანულისათვის, და არა მიტევებისათვის. ჩვენ უნდა გამოვიღოთ **ნაყოფი სინანულისა**, რადგან მოწყალე ღვთისაგან მიტევების ღირსნი მხოლოდ ამ ნაყოფის გამოღების შემდეგ გავხდებით.

უაღრესად საგულისხმოა **მევენახის** ბოლოთქმა: **ყოს ხოლო თუ ნაყოფი; უკუეთუ არა, მერმე მოჰკუეთე იგი** – იქნებ, გამოისხას ნაყოფი, თუ არა და, მოჭერი, მოკვეთეო. მაშასადამე, საბოლოო უნაყოფობის გამო ჩვენი შუამდგომელი უკვე ჩვენს მსაჯულად მოგვევლინება, და იგი უცილობლად აღასრულებს თავის ყოვლად სამართლიან მისიას!

მეორე მხრივ, უაღრესად სანუგეშოა **მევენახის შუამდგომლობა**. იგავში დაუნდობლად არ ითქმის, ეს ხე სამუდამოდ უნაყოფო დარჩება ან ახლავე მოჭერი, მაინც ვერ გამოიღებსო ნაყოფს. უფალი იესო ქრისტე გამაოგნებელი **სულგრძელობითა და მოთმინებით** ეკიდება ყოველ ცოდვილს (კაცსა თუ ერს), არ ჩქარობს დასჯას, პირიქით – თავის სამსახურსაც სთავაზობს: **მოვთოხნი, სასუქს დავუყრი და, იქნებ, გამოიღოს ნაყოფიო,** – ვედრებით შესთხოვს მამაღმერთს.

უფლის მიერ ბოძებული ეს შესაძლებლობა ყოველ ჩვენგანს ეკუთვნის, ყოველდღე თვალწინ გვიძევს იგი და ვერ ვხედავთ, რომ: **„აწვე ესერა ცული ძირთა თანა ხეთასა ძეს“** (მათე 3, 10). ჩვენი ტბილი უფალი იგავურად გვანუგეშებს, რომ შემსარავ განაჩენს – **მოჰკუეთე ეგე** – არასოდეს გაიგონებს ის, ვინც კეთილგონივრულად გამოიყენებს ამ ღვთაებრივ შესაძლებლობას: შეინანებს, ცოცხალი რწმენით შეიმოსება და თავმდაბლობით, მორჩილებით აღივსება, ამ უდიდეს უფლისმიერ წყალობას მადლიერებით მიიღებს. მაშინ აღარც ეს შემოესმება:

„ყოველმან ხემან რომელმან არა ყოს ნაყოფი კეთილი, მოეკუეთოს და ცეცხლსა დაედვას. ნაყოფთა სამე მათთაგან იცნნეთ იგინი“ (მათე 7, 19);

„უნაყოფო ლეღვის ხის“ იგავის გამო *ნეტარი ავგუსტინე* ბრძანებს: *„ცულის დარტყმა არიდებულია, მაგრამ ნუ გგონია, რომ უკვე უსაფრთხოდ ხარ; მან აგარიდა ცულის დარტყმა, მაგრამ არ მოგაშორა საფრთხე“.*

ნეტარი მამისთვის უსაფრთხოების წინაპირობაა საკუთარი ნებით გაკეთებული კეთილი არჩევანი. *ნეტარი ავგუსტინე* ცოდვილს

დიალოგში იწვევს: აგერ, სინანულის კარი ღიაა, იგი შენმა შუამდგომელმა უფალმა იესო ქრისტემ დაგიტოვა ღიად. ეს კარი ჯერ კიდევ ღიაა შენთვის – ნუ დააყოვნებ! შედი ამ კარში! გააკეთე ერთადერთი მართებული არჩევანი. შუამდგომელმა გითხრა, შეინანეო, შენ კი ქმენი და შეინანე! ესღაა შენი ერთადერთი საშველი და ხსნა! მაგრამ, თუკი ბოროტ ნებას გამოსატავ, გაჯიუტდები და კიდევ გადადებ სინანულის საქმეს, თვითონვე გამოიწვევ შენს მოკვეთას და წარწყმედას. ამ საშინელ, მაგრამ სამართლიან განაჩენს მაშინ უცილობლად აღასრულებს შენი შუამდგომელი და მხსნელი.

ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელის განმარტებით, ცოდვილი ხშირად ეკვედრება ხოლმე უფალ ღმერთს: უფალო, ოღონდ ახლა მაპატიე, ახლა მაცალე და მოვინანიებო. იგავში სწორედ ამას უნდა ნიშნავდეს, ნეტარი მამის თქმით, **მოთოხნა** და **ნაკელის მოყრა**.

როგორ შეიძლება სულის მოთოხნა? *ნეტარი თეოფილაქტეს* თქმით, სულს სარეველასავით შეესევა ხოლმე ცოდვები და დიდი ხნის დაუწმენდავი მტვერივით აწევს, აბინძურებს მას. **სულის მოთოხნაც** ეს არის: მტვერივით გადაწმინდე შენი გულისთქმანი და ძირიანად აღმოფხვერი. **ნაკელი** კი ის სანეტარო სითბოა, რომელიც თავმდაბლობას მოჰყვება და თანამდევია თვინიერი, მორჩილი ადამიანის ცხოვრების წესისა.

სამი წელი

საგანგებოდ განიმარტება **სამი წლის** ალეგორია. **„ხე – ხილით, ხილი ხისგან იცნობაო“** – ამბობს ქართული ანდაზა. უნაყოფო ხეხილის მოჭრას ბრძენი გლეხკაცი არ ჩქარობს, ჯერ რამდენჯერმე შემოუქნევს ცულს გასაფრთხილებლად, ერთ მოსხმასაც დააცლის და, თუ მაინც არ ივარგა, მაშინღა მოჭრის.

ეპისკოპოს მიხეილის თქმით, იგავში მნიშვნელოვანია ის, რომ ვენახის პატრონი **სამი წლის** განმავლობაში მოიძიებს ნაყოფს, მეოთხე წელს კი ამ ხის მოჭრის გამო გამოაქვს განაჩენი.

როგორც ჩანს, – ბრძანებს ეპისკოპოსი, – ეს იგავი უნდა ეხებოდეს ქრისტეს მსახურებას მისი ნათლისღებიდან სამი წლის განმავლობაში. უფალი ხომ ნათლისღების შემდეგ სწორედ სამ წელს ქადაგებდა, მეოთხე წელს კი ჯვარს აცვეს, რითაც აღსრულდა კიდეც ღვთის მიერ უარყოფა რჩეული ერისა, და წარმართთა დამკვიდრება ქრისტეს სასუფეველში, ანუ ქრისტეს ეკლესიაში.

წმიდა ამბროსი მედიოლანელი იმ მიზეზებს გვისახელებს, რომელთა გამოც ღვთივრჩეულობა დაკარგა ებრაელმა ერმა:

„იუდეველებს არ შეეძლოთ განწმენდა, რადგან არ აღასრულეს სულიერი წინადაცვეთა, და მხოლოდ ხორციელი წინადაცვეთის ამარა დარჩნენ; მათ ვერ მიიღეს კურთხევა ღვთისგან, რადგან იმის ხმა არ ესმოდათ, ვინც მათ ლოცვა-კურთხევას უგზავნიდა; მათ არც რჯულის ნამდვილი არსი ესმოდათ, რადგან რჯულს მხოლოდ სიტყვასიტყვით, მექანიკურად, უსიყვარულოდ აღასრულებდნენ; არც განმართლება შეეძლოთ, რადგან ცოდვებს გულწრფელად არ ინანიებდნენ. ამიტომ ვერ გახდნენ იუდეველნი მადლის ღირსნი, ვერც სინაგოგამ გამოიღო ღვთივსათნო კეთილი ნაყოფი და მოკვეთის ღირსი შეიქნა“.

ნეტარი მამა თეოფილაქტე ბულგარელი რამდენიმე განმარტებას უძებნის **სამი წლის** ალეგორიას. ნეტარი მამის თქმით, **სამი წელი** ჩვენთვის ბოძებული სამი სახის ცხოვრების წესს უნდა გამოხატავდეს: ბუნებითს, რჯულისმიერს და ზნეობრივს, ანუ ქრისტეს სწავლებით მიღებულ სულიერებას. როცა ბუნებითი კანონი დაირღვა, ღმერთმა რჯული მოგვცა ***მოსეს*** ხელით; როცა რჯულის კანონი დაირღვა – ქრისტეს სწავლება მოგვეცა. ვინც ამ სამი კანონით ვერ ივარგებს, იგი ვეღარასოდეს ივარგებსო, იმ უნაყოფო ლეღვის ხის მსგავსად, – სინანულით ბრძანებს ნეტარი მამა, – და რაც უნდა დღეგრძელი და კაცთმოყვარე იყოს, საბოლოოდ მაინც მოიკვეთება.

ნეტარი თეოფილაქტეს მეორე განმარტებით, **სამი წელი** სამ ასაკობრივ სიმწიფესაც უნდა გამოხატავდეს: სიყმაწვილე, ახალგაზრდობა და სიმწიფე (ხნიერობა). თუ არც სიყმაწვილეში ის-

წავლე, არც ახალგაზრდობაში მოპკიდე ხელი საქმეს, არც მოწიფულობა მოგიყვანს გონს და მოგარჯულებს, და სიბერეშიც (ეს მეოთხე წელია!) ვერა და ვერ ივარგებ – უეჭველად მოიკვეთები და ღვთის მკაცრი სამსჯავრო ვეღარ აგცდება.

მესამე განმარტებით, კაცობრიობამ სამგზის თქვა უარი კეთილი ნაყოფის გამოღებაზე: პირველად – სამოთხის დაკარგვით, მცნების დარღვევით, როცა აკრძალული ხილი (ნაყოფი) იგემეს ადამმა და ევამ; მეორედ – რჯულის რჯულის დარღვევით, როცა კერპებს სცეს თაყვანი; მესამედ კი – ქრისტეს ჯვარცმით და შეუნანებლობით!

ვენახისმოქმედი ეკლესიაა

მრავალი წმიდა მამა ვენაჭისმოქმედში (მევენახეში) ჭვრეტს ეკლესიას. იგავში **მევენახე ვენახის პატრონს** ეუბნება: **ბატონო, წლეულსაც აცალე, ძირს შემოვუბარავ და ნაკელს დავუყრი, იქნებ ივარგოსო.** ასევე უშუამდგომლებს ღვთის წინაშე ცოდვათაგან დაუძლურებულ მონანიე მრევლს ქრისტეს ეკლესია, თავისი რჩეული მსახურების მეოხებით, ურომლისოდაც არც ერთ ცოდვილს არ ძალუძს და არც ხელეწიფება თავის (სულის) გადარჩენა.

ნეტარი ავგუსტინე ამასთან დაკავშირებით ბრძანებს: *„მევენახე,რომელიც თავდებად უდგება ამ იგავში ლელვის ხეს,არის სახე ყოველი წმინდანისა, რომელიც ეკლესიის წიაღშია და იმათთვის ლოცულობს,რომელნიც ეკლესიის გარეთ არიან“.*

ამგვარი შუამდგომლობის მრავალი მაგალითი მოიპოვება წმიდა წერილში, ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში. გავიხსენოთ ყველასთვის კარგად ცნობილი ძველაღთქმისეული ამბავი *მოსეს* წინამძღოლობით ებრაელთა ეგვიპტიდან გამოხსნაზე. სინაის მთაზე უფალმა ღმერთმა მოსეს ღვთის თითით ნაწერი რჯულის ორი დაფა გადასცა. ორმოცი დღე და ორმოცი ღამე იყო იგი ამ მთაზე. სინაის უდაბნოში მყოფი ებრაელები მოუთმენლობამ შეიპყრო,ოქროს ხბო ჩამოასხეს,თაყვანი სცეს კერპს და მსხვე-

რპლიც შესწირეს. ასე განუდგა ებრაელი ერი ჭეშმარიტ ღმერთს და კერპთაყვანისმცემლობა ალიარა, თან დღეასწაულით აღნიშნა საკუთარი დაცემა, ცეკვა-თამაშიც გამართა.

განრისხებულმა უფალმა *მოსეს* უთხრა: *„ვხედავ ამ ხალხს, რომ ქედფიცხელი და თვითრჯულა ყოფილა. ახლა მიმიშვი, რათა აინთოს ჩემი რისხვა მათზე და გადავბუგო, შენ კი დიდ ხალხად გაქციო“* (გამოსლვათა 32, 9-10). ღვთის ეს გადაწყვეტილება მართლაც ჰგავს ვენახის პატრონის მიერ გამოტანილი განაჩენის მიზეზს: **„ნაყოფს ვეძებ ამ ლეღვის ხეზე, მაგრამ ვერ ვპოულობ. მაშ, მოჭერი, რადგან სულ ტყუილად იკავებს ადგილს“** (ლუკა 13, 7).

გადაბუგე! – უბრძანებს უფალი მოსეს;

მოჭერი, მოკვეთე! – უბრძანებს ვენახის პატრონი მევენახეს.

და როგორც მევენახემ სთხოვა ვენახის პატრონს: აცალე, იქნებ, ივარგოსო, *მოსეც* ასევე შეევედრა უფალს: *„რისთვის უნდა აინთო რისხვით, უფალო, ამ ხალხის მიმართ, რომელიც ეგვიპტიდან გამოგიყვანია შენი დიადი ძალითა და მტკიცე ხელით? რისთვის უნდა ათქმევინო ეგვიპტეს,დასალუპავად გაიყვანა ისინი, რათა მთებში ამოეხოცა და პირისაგან მიწისა აღეგავაო? დაიცხრე რისხვა და შეიკავე თავი ამ ხალხის დალუპვისგან. გაიხსენე აბრაამი, ისაკი და ისრაელი (იაკობი), შენი მორჩილნი, რომელთაც შენ თავი შეჰფიცე და უთხარი: ცის ვარსკვლავებივით გაგიმრავლებთ შთამომავლობას და მივცემ მთელს ამ აღთქმულ მიწას, რომ სამარადისოდ დაიმკვიდრონო. გადაიფიქრა უფალმა და აღარ დაატეხა უბედურება თავის ერს“* (გამოსლვათა 32, 11-14).

ლოცვითი შუამდგომლობა

სწორედ ასევე, მევენახის შუამდგომლობით ლეღვის ხეც გადაურჩა მოჭრას, მოკვეთას – მაგრამ მხოლოდ ერთი წლით. უფალი იესო ამ იგავით ებრაელ ერს *მოსეს* შუამდგომლობასაც შეახსენებს და თან აფრთხილებს, რომ სასჯელის გადავადება

მაშინაც განსაზღვრული ვადით იყო დადგენილი. ძე ღვთისას ამქვეყნად მოსვლის ჟამსაც ასე იქნება, თუკი ყურად არ იღებენ ქრისტეს შუამდგომლობას – ეს გადაწეული ვადაც ამოიწურება. მართლაც ასე მოხდა. ქრისტეს ამაღლებიდან მხოლოდ ორმოცი წლის შემდეგ დაატყდა უბედურება იერუსალიმს, იმ ქალაქს, სადაც ებრაელმა ერმა ძე ღვთისას ჯვარცმაში მიიღო მონაწილეობა. იერუსალიმი დაინგრა, გადაიწვა, ბევრი დაიხოცა, დანარჩენებს კი ტყვეობა ერგოთ.

ასევე ეწია სიკვდილი სინაის უდაბნოში სამი ათასამდე კაცს მას შემდეგ, რაც მთიდან ჩამოსულმა *მოსემ* კერპებისადმი თაყვანისცემით გახელებული თავისი ხალხი იხილა. მოსემ უფლის ერთგულ ლევიანებს (ლევის შთამომავლებს) უბრძანა, ამოეხოცათ ყველა, ვინც არ განუდგებოდა ოქროს ხბოს თაყვანისცემას და ჭეშმარიტ ღმერთს არ მიუბრუნდებოდა.

მოსე რჯულმდებელმა ამის შემდეგ კვლავ იშუამდგომლა უფლის წინაშე და კვლავ შეევედრა: *„დიდი ცოდვა ჩაიდინა ამ ხალხმა – ოქროს კერპები გაიკეთა. ახლა მიუტევე მათ ეს ცოდვა, თუ არა და, ამომშალე შენი დაწერილი წიგნიდან. უთხრა უფალმა მოსეს: ვინც მე შემცოდა, იმას ამოვშლი ჩემი წიგნიდან. ახლა წადი და წაიყვანე ხალხი, სადაც გითხარი. აჰა, ჩემი ანგელოზი წაგიძღვება წინ. განკითხვის დღეს მოვკითხავ მათ ცოდვებს. დასაჯა ხალხი უფალმა იმის გამო, რომ გააკეთეს ხბო, რომელიც აარონმა გააკეთა“* (გამოსლვათა 32, 31-35).

ზეციური სასჯელის შემდეგ გადარჩენილთა მსგავსად, უფლის რისხვას *მართალი იობის* სამი მეგობარიც გადაურჩა. მართალი იობისგან განსხვავებით, ამ სამმა მეგობარმა არც მორჩილება გამოიჩინა ღვთის წინაშე, არც ცოდვები მოინანია, კადნიერადაც კი მოიხსენია უფალი ღმერთი, რომელმაც ასე მიმართა ერთ-ერთ მათგანს: *„აინთო ჩემი რისხვა შენ მიმართ და შენი ორი მეგობრის მიმართ, რადგან ჩემი მორჩილი იობივით გულწრფელად არ ლაპარაკობ ჩემზე“* (იობი 42, 7). შემდეგ უფალმა მათ უბრძანა, თავიანთ საოხად შესაწირი მიეყვანათ იობთან,

რომელიც მათთვის ილოცებდა ღვთის წინაშე. მხოლოდ ამ შუამდგომლობით მიეტევებოდათ ცოდვები და აღარ დაატყდებოდათ თავს ღვთის რისხვა. ასეც მოხდა.

წმიდა მოციქული იაკობი თავის ეპისტოლეში, ლოცვის ძალაზე ქადაგებისას, ეკლესიის ხუცესთა (მღვდელმსახურთა) შუამდგომლობაზე ამახვილებს ყურადღებას. მისი თქმით, ლოცვათა შორის სწორედ ხუცესების და ყველა საეკლესიო იერარქის ლოცვაა სათნო და უპირატესი ღვთის წინაშე. აი რას გვასწავლის წმიდა მოციქული:

„უჭირს რომელმე თქვენგანს? ილოცოს. ხარობს ვინმე? ფსალმუნნი იგალობოს. ავადმყოფობს რომელიმე თქვენგანი? ეკლესიის ხუცესთ მოუხმოს, რათა ილოცონ მისთვის და ზეთი სცხონ უფლის სახელით“.

წმიდა მოციქული განაგრძობს:

„და ლოცვამან სარწმუნოებისამან აცხოვნოს (იხსნას, განკურნოს) *სნეული იგი, და აღადგინოს იგი უფალმან; დაღაცათუ ცოდვაჲ რაჲმე ექმნეს, მო-ვე-ეტეოს მას. აღუარებდით ურთიერთას ცოდვათა და ულოცევდით ერთი-ერთსა, რაჲთა განიკურნნეთ, რამეთუ ფრიად შემძლებელ არს ლოცვაჲ მართლისაჲ შეწევნად“* (იაკობი 5, 13-16).

წმიდა იაკობ მოციქული იხსენებს *წმიდა ელია წინასწარმეტყველს*, რომლის გულმხურვალე ლოცვით ჯერ წვიმა შეწყდა, სამი წლისა და ექვსი თვის მანძილზე მიწას წვეთიც არ დასცემია; შემდეგ წინასწარმეტყველმა კვლავ ილოცა და: *„ცამან მოსცა წჳმაჲ და ქუეყანამან აღმოაცენა ნაყოფი თჳსი“* (იაკობი 5, 17-18).

ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელის განმარტებით, *მევენახის* ალეგორიაში, ეკლესიასთან ერთად, ეკლესიის ცალკეული წევრიც უნდა ვიგულოთ. ნეტარი მამის თქმით, უფლის წინაშე მლოცველი, ვითარცა საკუთარი თავის მევენახე, თავადვე შეეკედრება ხოლმე უფალს და სთხოვს, შეიწყალოს იგი, სულგრძელობა გამოიჩინოს, შეუნდოს და აცადოს, რათა მოინანიოს.

წმიდა მამათა აღიარებით, ეკლესიაში აღვლენილი ლოცვა უფრო ესათნოება უფალს, მით უფრო, თუკი განსაცდელში მყოფი

მოყვასის კეთილდღეობას შესთხოვს ლოცვით. ამგვარი ლოცვით მლოცველი თავადაც განსაკუთრებულად იმოსება ღვთის მადლით – „უფროსად დაუმადლებს“, მეტ მადლს მიანიჭებს უფალი, რადგან მლოცველი საკუთარი თავის კი არა, სხვისი – მოყვასის გამო შუამდგომლობს ღვთის წინაშე, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ მლოცველის გული მოყვასისადმი დიდი სიყვარულით არის აღსავსე.

ამასთან დაკავშირებით, *წმიდა იოანე მოციქული* თავის პირველ ეპისტოლეში გვმოძღვრავს: *„იცოდეთ, რომ ძე ღვთისადმი რწმენით გაქვთ საუკუნო სიცოცხლე და ჩვენი კადნიერებაც ის არის მის (უფლის) მიმართ, რომ, თუკი მისი ნებისაებრ ვითხოვთ რასმე, შეისმენს ჩვენსას. და რაკი ვიცით, რომ შეისმენს ჩვენსას, რაც უნდა ვთხოვოთ, ისიც ვიცით, რომ მივიღებთ იმას, რაც ვითხოვეთ მისგან. თუ ვინმე ხედავს თავის ძმას, რომელიც სცოდავს არამომაკვდინებელი ცოდვით, ითხოვოს და მისცემს მას ხსნასა და სიცოცხლეს“* (1 იოანე 5, 13-16).

წმიდა გრიგოლი ღვთისმეტყველი „უნაყოფო ლეღვის ხის“ იგავიდან ქრისტიანულ-ზნეობრივ ჭეშმარიტებას ამოიკითხავს. მისი განმარტებით, **მევენახე** იგავში იმ შუამდგომელის სახეა, რომელიც თავისი ძმისა და მოყვასის სულის გადასარჩენად ზრუნავს: იგი თავისი ლოცვით (თხოვნით) შუამდგომლობს უფლის წინაშე და, სიტყვასთან ერთად, საქმითაც შეეწევა მოყვასს – **მოთოხნასა** და **ნაკელის მოყრას** ეშურება მისთვის, რათა გაძლიერდეს, თვალი აეხილოს, გონება გაუნათდეს და სინანულის გზას შეუდგეს. წმიდა მამა ამბობს:

„თუ შენი ცოდვილი ძმა პირველად შეგეწინააღმდეგა, სულგრძელად მოექეცი და ვენახის პატრონივით მოითმინე; თუ მეორედაც შეგცოდა ძმამ, ნურც მაშინ დაკარგავ იმედს – ჯერ კიდევ არის დრო მის განსაკურნავად და გადასარჩენად; თუ მესამედაც შეგცოდა – იყავი კაცთმოყვარე მიწათმოქმედი, კიდევ ერთხელ გამოსთხოვე უფალს, რომ არ მოკვეთოს იგი და არ განურისხდეს მისი უნაყოფობის, უსარგებლობის გამო. მაგრამ, ლოცვასა და თხოვნასთან ერთად, იზრუნე კიდეც მისთვის: „ნა-

კელი დაუყარე“ და აღსარების წამლით უმკურნალე, ურჩიე, აღსარების წამალი დროულად მიიღოს; ეცადე, ამის შეგნებამდე მიიყვანო: ამხილე, დაანახვე და განაცდევინე თავისი საშარცხვინო საქმეები, შეცდომები, განზრახვანი. იკოდე, ასე გადაარჩენ შენს ძმას სამუდამო დაღუპვისგან, და კი არ დაკარგავ მას, არამედ შეიძენ, და ერთად იქნებით სანეტარო სიხარულში“.

მაშასადამე, „უნაყოფო ლეღვის ხის“ იგავით **უფალი მოყვასისადმი სამსახურსა და სიყვარულსაც** შეგვაგონებს. მკვენახის შუამდგომლობის მაგალითით იგი **სულგრძელობას, მოთმინებასა** და **მიმტევებლობასაც** გვასწავლის.

წმიდა მამა გრიგოლი ღვთისმეტყველი გვაფრთხილებს, რომ **მევენახე** ამ იგავში უპირველესად უფალი ჩვენი იესო ქრისტეა, ასევე მისი ერთგული მიმდევრები, ეკლესიის მსახურნი, და უკვე ამის შემდეგ ყველა ის, ვისაც სწამს ქრისტე, უყვარს თავისი უფალი და იცავს (აღასრულებს) მის მცნებებს.

მევენახის ალეგორიით უფალი იმასაც მიგვანიშნებს, რომ თავის ერთგულ მიმდევრებს იგი უსანატრელესი ნუგეშინისმცემლის — სულიწმიდის მადლის მოვლინებისთვის უშუამდგომლებს მამაღმერთის წინაშე: **ყოს ხოლო თუ ნაყოფი** — იქნებ, გამოიღოსო ნაყოფი, — ეუბნება მევენახე ვენახის პატრონს. ეს არის დიდებული იგავური გაცხადება უფლისმიერი ნდობისა, რომელსაც ჩვენი მაცხოვარი ამყღავნებს ყოველი ქრისტიანისადმი, ქრისტეს ყოველი მოყვარულისა და ერთგულისადმი.

უფლიმიერ იმედს, ნდობასა და ზრუნვას განვიცდით, როცა იგავში ვკითხულობთ: **მოუთოჴნო მას გარემო და სკორე დაუდვა** — შემოვუთოხნავ და ნაკელს დავუყრიო. სხვა რა შეიძლება იყოს ეს, თუ არა ყოველჟამიერი შეწევნა და მომადლება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, ურომლისოდაც ჩვენ **„არარაი ძალგუც ყოფად არცა ერთი“** (იოანე 15, 5).

მეორე მხრივ, ყოველივე ეს იმასაც ნიშნავს, რომ მხოლოდ ქრისტეს ეკლესიის წმიდა წიაღშია საძიებელი გზა ამ სანატრელი ღირსყოფისათვის. საგულისხმო განმარტებას გვაწვდის **წმი-**

და მამა ამბროსი: „ეკლესიას ამ იგავში თვით ლელვის ხე გამოხატავს, რადგანაც ეკლესია მუდამ უბიწოებისა და სიყვარულის ნაყოფის მომტანი უნდა იყოს“.

ეკლესიაში, ცხადია, ქრისტიანთა კრებულს, მრევლს გულისხმობს **წმიდა მამა ამბროსი**, რომელიც შეგვახსენებს, რომ პირველ ქრისტრიანთაგან უფალმა ჯერ ქრისტეს მოციქულთათვის იშუამდგომლა მამაღმერთის წინაშე და მოავლინა **„სხუაჲ ნუგეშინისმცემელი იგი სული წმიდაჲ“** (იოანე 14, 16; 15, 26; 16, 7). ეს უფლისმიერი აღთქმა მართლაც აღსრულდა აღდგომიდან ორმოცდამეათე და ამაღლებიდან მეათე დღეს – სულთმოფენობისას (საქმე მოციქულთა 2, 1-13).

აქედან გამომდინარე, *ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელის* თქმით, მევენახის საშუამდგომლო სიტყვები იგავში ამგვარადაც შეიძლება განიმარტოს: *„უფალმა ლელვის ხისთვის, ანუ იუდეველთათვის, იშუამდგომლა და ეს უთხრა ვენახის პატრონს, მამაღმერთს: რაკი ისინი უკეთესნი, რჩეულნი არ აღმოჩნდნენ რჯულითა და წინასწარმეტყველებით, ახლა ჩემი ვნებით, ჯვარცმითა და სწავლებით (სიტყვით) მოვუბარავ და მოვუნაკელებ – იქნებ, ამის შემდეგ მაინც ინებონ და ნაყოფი გამოიღონ მორჩილებისა და სინანულისთვის“.* ამავე მიზეზით გარდამოუვლინა უფალმა მოციქულებს მის მიერვე ნაწინასწარმეტყველები სულიწმიდა, რათა ქრისტეს ეკლესიაში მოსულ მრევლს, უნაყოფო ლელვის ხისგან განსხვავებით, სამოციქულო ღვაწლითაც გამოეღო ღირსეული ნაყოფი.

მოუნანიებლობა უნაყოფობაა

„უნაყოფო ლელვის ხის“ იგავი არის უფლისმიერი გაფრთხილება **უნაყოფობის ბოროტებაზე**. უფალი იესო **უნაყოფობაში** უპირველესად გულისხმობს საკუთარ ცოდვათა განუცდელობასა და მოუნანიებლობას:

„მაშ, გაიხსენე, საიდან დაეცი, და შეინანე, და შენი თავდაპირველი საქმენი აკეთე; თუ არა და, მოვალ მალე და დავძრავ

შენს სასანთლეს მისი ადგილიდან, თუკი არ ‘შეინანებ“ (გამოცხადება 2, 5). შეიძლება ითქვას, რომ ეს გაფრთხილება თითქმის სრულად გამოხატავს „უნაყოფო ლელვის ხის“ იგავურ სათქმელს.

ვენახის პატრონი ამ იგავში შენიშნავს, რომ ‘უნაყოფო ლელვის ხე ფუჭად იკავებს ადგილს, მიწას აცდენს: **რაისათჳს ქუეყანაცა დაუპყრიეს უქმად?** *წმიდა გრიგოლი* შეკითხვას სვამს: *„რატომ ან რისთვის დგას ეს ხე, თუკი უნაყოფოა? არც თავისი თავისთვის მოაქვს სარგებელი და სხვებსაც ამძიმებს“*. იუდეველთა ეკლესიაც ასე იყო იმჟამად: თავიანთი ამპარტავნებითა და ფარისევლობით წარჩინებული იუდეველი თეოკრატები დიდ ვნებას აყენებდნენ ხალხს, აცდუნებდნენ, ხელს უშლიდნენ ჭეშმარიტების შეცნობაში; თავად რჯულ’ში განსწავლულნი, ‘მაგრამ სიყვარულისგან დაშრეტილნი, რჯულს ჩაკირკიტებით ასრულებდნენ, ღმერთს შეურაცხყოფდნენ, გმობდნენ კიდეც და სხვებსაც ამ უკეთურ გზაზე აყენებდნენ. ამიტომ მიმართავს *წმიდა მოციქული პავლე* იუდეველებს:

„აჰა, შენ იუდეველად იწოდები, და თავს იმშვიდებ რჯულით, და იქადი ღმერთს, და იცი მისი ნება, და გესმის უკეთესი; რჯულით განსწავლულს და თვითრჯულას, გგონია, რომ შენ ხარ ბრმათა მეგზური და ნათელი – ბნელში მყოფთათვის, ‘უგუნურთა მასწავლებელი და ყრმათა მოძღვარი, და ხარ მაგალითი რჯულის ცოდნისა და ჭეშმარიტების შემეცნების საქმეში – კი, ხარ, მაგრამ, სხვებს რომ ასწავლი, რად არ ასწავლი შენსავე თავს? შენ ქადაგებ: არა იპარო, და იპარავ?! ამბობ: არა იმრუშო, და მრუშობ?! კერპები გძაგს და მკრეხელობ?! რჯულს იქადი, და რჯულის დარღვევით ღმერთს შეურაცხყოფ?! ვინაიდან, როგორც დაიწერა: თქვენ გამო იგმობა ღმერთის სახელი წარმართთა შორის“ (რომაელთა მიმართ 29 17-24; ესაია 52, 5; ეზეკიელი 36, 22).

თუმცა, იგივე შეიძლება ითქვას ნებისმიერ სხვა ერზეც, და ჩვენზეც – ქართველებზეც, თუკი ჩვენს რჯულს დავარღვევთ და ამით ღმერთს შეურაცხვყოფთ. ეს უფლისმიერი სათქმელი, მიმართული იუდეველთა მიმართ, რაღა თქმა უნდა, უპირველესად

ქრისტიანმა ერებმა, თავად ქრისტიანებმა უნდა ვიღოთ ყურად. **ლეღვის ხეში** თითოეულმა ჩვენგანმა ჯერ საკუთარი თავი და საკუთარი ერი უნდა იგულოს. თუკი უნაყოფოდ ვიდგები ქრისტეს ეკლესიაში და ჩემი ერიც უნაყოფოდ დამკვიდრდება უფლის წმიდა სახლში – უფალი უთუოდ მომკითხავს მეც და მოჰკითხავს მთელს ერსაც. **მევენახე**, ანუ ეკლესია, მფარველი ანგელოზი და თავად უფალი ჩვენი, იესო ქრისტე მაცხოვარი, შეგვეწევა და თავდებად დაგვიდგება მამაღმერთის წინაშე, იმის იმედით, რომ, ბოლოს და ბოლოს, მოვინანიებთ (ჩვენი ნებით გამოვიღებთ კეთილ ნაყოფს), აღარ გამოვცდით ჩვენი მაცხოვრის მოთმინებას, არ გავაწბილებთ, აღარ შეურაცხყოფთ მის წმიდა სიყვარულს, ჩვენივე გადარჩენისათვის გაღებულ მის დიად მსხვერპლს, ხელს არ ვკრავთ და არ უგულებელვყოფთ ამ უკანასკნელ შესაძლებლობას.

უკანასკნელი ჭამე

მევენახის თხოვნას „უნაყოფო ლეღვის ხის“ იგავში კიდევ ერთი საღვთისმეტყველო მნიშვნელობა ენიჭება – ეს არის **უკანასკნელი ჭამი**, ანუ უკანასკნელი შესაძლებლობა, რომელიც ქრისტეს შუამდგომლობით მიეცა კაცობრიობას. ძე ღვთისას ხორციელად მოსვლა ყველაზე მადლმოსილი და ძლევამოსილი შესაძლებლობა იყო და არის ყველა ცოდვილისათვის ამქვეყნად. სახელმწიფოს, ერისა თუ ცალკეული ადამიანის ცხოვრებაში მუდამ დგება ხოლმე გადამწყვეტი მომენტი, რომელიც მთელს მის მომავალს განსაზღვრავს იმისდა მიხედვით, თუ როგორ გამოიყენებს და რა არჩევანს გააკეთებს ამ დროს.

კაცობრიობის ისტორიაში სწორედ ამგვარი, ყველაზე გადამწყვეტი და ყოველმხრივ განმსაზღვრელი ეტაპი იყო ქრისტეს შობა, ძე ღვთისას ხორციელად მოსვლა ამქვეყნად. ***ნეტარი ავგუსტინე*** ამ ზოგადსაკაცობრიო ეტაპს მადლისათვის განკუთვნილ ხანას უწოდებს, როცა ერსაც, სახელმწიფოსაც, ეკლესიასაც და ადამიანსაც კეთილი არჩევანი უნდა გაეკეთებინა, არ უნდა უგულებელეყო ეს უდიდესი წყალობა, მადლიერებით მიეღო

„უმუშაკოდ“, უშრომელად ბოძებული ღვთის მადლი და პირველ-ღირსება დაებრუნებინა. მაგრამ ამჯერადაც ვერ იხილეს, ვერ შეისმინეს, ვერ მიიღეს, უარესიც – უარი თქვეს, შეურაცხყვეს და დაგმეს.

ყოვლადმოწყალე უფალი დღემდე მოთმინებით ელის კაცობრიობისგან იმ ნაყოფს, რომელიც ლეღვის ხეს არ აღმოაჩნდა.

ისიც საგულისხმოა, რომ თავისი მეორედ მოსვლისა და საყოველთაო სამსჯავროს ჟამის მოახლოებას უფალი კვლავაც ლეღვის ხის ალეგორიით განმარტავს. იერუსალიმში დიდებით შესვლის შემდეგ უფალი მოწაფეებს შეახსენებს ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთაგან თქმულს იმ ნიშნებზე, რომლებიც წინ უსწრებენ ღრუბელთა ზედა მომავალი ძე კაცისას მეორედ მოსვლას. ამ წინასწარმეტყველების განსამარტავად მიმართავს იგი ხსენებულ ალეგორიას:

„ლეღუსაგან ისწავეთ იგავი (მაგალითი, მსგავსება) ესე: რაჟამს-იგი რტონი მისნი დაჩჩუან (დარბილდება), და გამოვალნ ფურცელი, უწყოდეთ, რამეთუ ახლოს არს ზაფხული. ეგრეცა თქუენ, რაჟამს იხილოთ ესე ყოველი ყოფილი, უწყოდეთ, რამეთუ ახლოს არს, კართა ზედა“ (მარკოზი 13, 28-29).

ნაყოფი ხისა და საქმე კაცისა

კონკრეტულ პასუხს ითხოვს შეკითხვა: **რა არის ის კეთილი ნაყოფი, რომელსაც ვენახის პატრონი ეძებს ლეღვის ხეზე? რას ელის ესოდენი უსაზღვრო სულგრძელობით ჩვენგან უფალი? ან რა არის ის უნაყოფობა, რომლის მიზეზითაც ვიმსახურებთ საშინელ ზეციურ განაჩენს – მოჰკვეთე ეგე?**

წმიდა წერილში ხის ნაყოფის ალეგორიით ხშირად გამოიხატება კაცის ხელით ქმნილი საქმე და საკუთარი საქმიანობით მოწეული შედეგი. სიტყვისა და საქმის ერთიანობა. მეორე მხრივ, ამ ერთიანობის დარღვევა მართლაც ძლიერ ჰგავს ხის უნაყოფობას. ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში ნაყოფის არაერთი მშვენიერი იგავური ალეგორია მოიპოვება.

წმიდა დავით მეფსალმუნე პირველსავე ფსალმუნში მიმართავს ამ მსგავსებას და მართალი, რჯულის აღმსრულებელი კაცის ცხოვრების წესს ნაყოფის დროულად გამომღებ ხეს ამსგავსებს:

„და იყოს იგი ვითარცა ხე, დანერგული თანაწარსადინელსა წყალთასა, რომელმან გამოსცის ნაყოფი მისი ჟამსა თჳსსა და ფურცელნი მისნი არა დასცჳვენ“ (ფსალმუნნი 1, 2).

მსგავსი ბიბლიური ალეგორია იშლება მკითხველის თვალწინ წმიდა იერემიას წინასწარმეტყველებაში: *„კურთხეულია კაცი, რომელიც ესავს უფალს და უფალია მისი საესავი. იქნება იგი წყლის პირას დარგული ხესავით, რომელსაც მდინარესთან აქვს ფესვები გადგმული; არ უყურებს, რომ დადგება ხვატი, მწვანე ფოთლები ექნება მუდამ, არ უფრთხის გვალვიან წელიწადს და არასოდეს ელევა ნაყოფი“* (იერემია 17, 7-8).

წმიდა იერემია წინასწარმეტყველი ამის საპირისპიროდ იქვე წარმოაჩენს ღვთისგან დაშორებული კაცის სახეს და ამბობს: *„დაწყევლილია კაცი, რომელსაც ადამიანის იმედი აქვს და ხორციელში ეძებს შემწეობას, გულით კი შორდება უფალს; იქნება იგი მარტოსული ბუჩქივით უდაბნოში, ვერსაიდან მოელოდება სიკეთეს, რადგან იცხოვრებს გადახრუკულ ტრამალზე“* (იერემია 17, 5-6).

უდაბნოში, გადახრუკულ ტრამალზე მარტოსული ბუჩქივით დარჩენილი, ღვთის სიკეთესა და მადლს მოკლებული კაცი, ***წმიდა პავლე მოციქულის*** რწმენით, სიკვდილის ნაყოფს გამოიღებს. სიკვდილის ნაყოფში წმიდა მოციქული სწორედ უნაყოფობას გულისხმობს, რასაც მხოლოდ ხორციელი ცხოვრებით, მკვდრეთით აღმდგარი ქრისტეს გარეშე ყოფნით მოვიმკით (რომაელთა მიმართ 7, 4-5).

განარჩევენ სამი სახის საქმეს. სამივე იგავურ-ალეგორიულად არის დამოწმებული წმიდა ბიბლიაში. ერთია **კეთილი საქმე**, კეთილი ნაყოფი, რომელზეც უფალი გვიქადაგებს:

„ყოველმან ხემან კეთილმან ნაყოფი კეთილი გამოიღოს“ (მათე 7, 17); **„ყავთ ხე იგი კეთილ და ნაყოფიცა მისი კეთილ“** (მათე 12, 33).

მეორეა **მკვდარი საქმე**. იგი გარეგნულად მიმ'ხიდველია, მაგრამ ეს ნაყოფი არც გულითადია და არც სულიერად განახლებული კაცის ხელიდან არის გამოღებული. თუმცა, ამგვარი ნაყოფი გამოღებული კი არა – გამობმულია, რადგან ყბადაღებული, გახმაურებული, სხვათა დასანახად გაკეთული მოწყალებაა, ხალხის საჩვენებლად აღვლენილი ლოცვაა, ან სხვა მისთანები. ეს **ფარისეველთა საქმეა**, ამპარტავნებით, თავმოწონებითა და ცოდვის მონობით მოწეული მწარე ნაყოფი, რომელიც ძლიერ შორსაა ჭეშმარიტი თავისუფლების სიტკბოებისგან.

მესამე **საქმე ბოროტია**, ავისქმნით გაფუჭებული ხის ნაყოფი – ბოროტი ცოდვის ბოროტი ნაყოფი. წმიდა მამები ერთხმად აღიარებენ, რომ იგავის ლეღვის ხეზეც და იმ ლეღვის ხეზეც, სადაც ჩვენი უფალი ამაოდ ეძიებდა ნაყოფს – სწორედ კეთილი ნაყოფი არ მოიპოვებოდა, სამაგიეროდ, მკვდარი და ბოროტი ნაყოფით იყო დახუნძლული. ამასაც უნდა გულისხმობდეს იგავში ლეღვის ხის განსაზღვრება – **უნაყოფო**, ანუ არაკეთილი ნაყოფის მქონე და, მაშასადამე, ხენეში ნაყოფის გამომღები. უნაყოფოთა გასაგონად გვიქადაგებს *წმიდა იოანე წინასწარმეტყველი, წინამორბედი და ნათლისმცემელი* უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი:

„ყოველმან ხემან, რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი, მოეკუეთოს და ცეცხლსა დაედვას“ (მათე 3, 10).

იგავში კი უკვე ბრძანება ისმის: **მოჰკუეთე ეგე**, რომელიც აუცილებლად აღსრულდება, თუკი დროულად არ გამოვიღეთ ჩვენი წილხვედრი კეთილი ნაყოფი.

რაღა თქმა უნდა, **კეთილი ნაყოფი** კონკრეტული შინაარსით იმოსება. ვრცელია მისი ნუსხა: საღმრთო მოშურნეობა და დაუცხრომელი მუშაკობა სულის გადარჩენისათვის, ქრისტესმიერი ცხოვნებისათვის; ღვთისმოშიშობა; ღვთისმოსაობა; მშვიდობის-

მყოფელობა; თანხმობა; მორჩილება; მოთმინება; მყუდროება; თავმდაბლობა; სიტკბოება; სულგრძელობა; სინანული; სიყვარული; სასოება; რწმენა; ქველმოქმედება; მოწყალება; მოყვასისადმი სიყვარული; ერთგულება; მშიერთა დაპურება; მწყურვალთა დარწყულება; შიშველთა შემოსვა; სნეულთა მიხედვა; პატიმართა მონახულება; ქვრივ-ობოლთა შეწევნა; მიცვალებულთა პატრონობა.

ყველა ეს ნაყოფი ქრისტესმიერი სიყვარულით უნდა გამოვიღოთ — ღვთის სადიდებლად! ეს არის **მზადება მარადიულობისთვის**, **რაშიც** უფალი შეგვეწევა თავისი სიყვარულით, მადლითა და წყალობით.

დროულად გამოვიღოთ ნაყოფი სინანულისა

„უნაყოფო ლეღვის ხის“ იგავიდან გამომდინარე, ასევე იგავის წინამავალ ნაწილში გამოთქმული უფლისმიერი შეგონების გათვალისწინებით, განმარტავენ, რომ ეს იგავი უმთავრესად სწორედ **დროულად გამოღებული (თუ გამოსაღები) სინანულის ნაყოფზე** დაგვაფიქრებს. უფალი იგავურად გვასწავლის: ლეღვის ხის უნაყოფობის მიზეზი **ცოდვათა მოუნანიებლობაა.** ადამიანის ცხოვრება იქნება ფუჭი და ამაო და, მაშასადამე — უნაყოფო, თუკი ღვთივსათნო წრფელი სინანულისა და ცოცხალი რწმენის კეთილ ნაყოფს არ გამოიღებს. ***წმიდა იოანე ნათლისმცემელიც*** ამ კეთილ ნაყოფს გულისხმობს: **„ყავთ უკუე ნაყოფი, ღირსი სინანულისაჲ“** (მათე 3, 8) — და კონკრეტულად ცოდვათა აღიარებასა და ნათლისღებას გულისხმობს.

ასევე კონკრეტულ შინაარსს ანიჭებს სინანულის კეთილ ნაყოფს ***წმიდა ამბროსი***: *„რას ნიშნავს კეთილად ცხოვრობდე მონანიების შემდეგ? გეუბნებით თქვენ, რომ ეს ნიშნავს: თავი შეიკავო მემთვრალეობისგან, ავხორცობისგან, ქურდობისგან, ავსიტყვაობისგან“.*

მაგრამ ესეც საკითხავია: **როდის და როგორ გამოვიღებ სინანულის კეთილ ნაყოფს ისე, რომ უფლისათვის მოსაწონი იყოს?** უპირველესად მაშინ, თუკი **არ** გადავდებ **და** დროულად მოვი-

ნანიებ ჩემს ცოდვებს: *„ნუ აყოვნებ მოქცევას უფლისაკენ, და სახვალიოდ ნუ გადადებ, რადგან მყისვე გარდამოვა უფლის რისხვა და შურისგების ჟამს წარწყმდები“*, – გვარიგებს **ზირაქი** (ზირაქი 5, 7).

ასევე აუცილებელია **გულწრფელი სინანული, ცოდვათა გულმხურვალედ აღიარება**. უფალი ცრემლით განბანილ სინანულს ელის ჩვენგან, რადგან მხოლოდ გულიდან გადმოღვრილი ცრემლი ბუგავს და შანთავს, ძირიან-ფესვიანად სპობს და სამუდამოდ ამოძირკვავს ბოროტ სურვილსა და ცოდვის ჩადენისაკენ სწრაფვას. მხოლოდ მაშინ იქნება კეთილი და მაცხოვნებელი სინანულის ნაყოფი, მხოლოდ ამგვარად ხდება მონანული ღირსი უფლის წყალობით მონიჭებული ცხონებისა, ცათა სასუფევლის მკვიდრობისა.

გულწრფელად გამოღებული სინანულის ნაყოფის გამო ბრძანებს **წმიდა დავით მეფსალმუნე: „რაჲ სთქუათ გულთა შინა თქუენთა, სარეცელთა თქუენთა ზედა შეინანეთ. შეწირეთ მსხუერპლი სიმართლისაჲ და ესევდით უფალსა“** (ფსალმუნნი 4, 4-5).

მართლმორწმუნემ კარგად იცის, რომ ძალას მაცხოვნებელი სინანულისთვის მხოლოდ უფლისგან იღებს ცოდვილი, მხოლოდ ღვთის შეწევნითა და წყალობით ვიმოსებით სინანულის მადლით, ვძლიერდებით და აღარ გვიმძიმს, წრფელი აღსარებით წავდგეთ უფლის წინაშე. ამიტომ გვირჩევენ წმიდა მამები, მადლიერებითა და სასოებით მივაპყროთ უფალს ჩვენი გონებისთვალიც და გულისყურიც, და *წმიდა იერემია წინასწარმეტყველთან* ერთად შევღაღადოთ მას:

„შენკენ მოგვაქცე, უფალო, და მოვიქცევით; განგვიახლე დღეები, როგორც ძველად იყო!“ (გოდება იერემიასი 5, 21).

წმიდა დავით მეფსალმუნის სინანულის ლოცვაც ხშირად მოვიმარჯვოთ ჩვენიევ სამომავლო მარადიული სიცოცხლისათვის:

„გული წმიდაჲ დაჰბადე ჩემ თანა, ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გუამსა ჩემსა“ (ფსალმუნნი 50, 12).

ნეტარი ავგუსტინეს თქმით, არასოდეს არ უნდა გაგვიჩნდეს ეჭვი იმის გამო, რომ კაცთაგან არავის ძალუძს სინანული, თუკი

ღმერთმა იგი თავისი ნათლით (მადლით) არ შემოსა და თავისი წყალობით არ მოაქცია.

უფლის სულგრძელობა და მზრუნველობა

ყველა წმიდა მამა ერთხმად აღნიშნავს,რომ „უნაყოფო ლეღვის ხის“ იგავში აშკარად არის გამჟღავნებული უფლის მითითება **ვენახის პატრონის** უსაზღვრო მომინებასა და სულგრძელობაზე: **აგერ უკვე სამი წელია, მოვდივარ და ნაყოფს ვეძებ ამ ლეღვის ხეზე, მაგრამ ვერ ვპოულობ.**

ვენახის პატრონის მოთმინება **სამი წლის** ხანგრძლივობით მჟღავნდება იგავში, სულგრძელობას კი იგი **მევენახის** შუამდგომლობის შემდეგ ავლენს. მართალია, იგავში არ არის ნათქვამი, რომ ვენახის პატრონმა დასტური მისცა მევენახეს: კარგი, ერთ წელს დავიცდიო, მაგრამ ეს დასტური იგავური ქვეტექსტით იგულისხმება.

მოუთმენლობის სენით შეპყრობილ ცოდვილს ზოგჯერ ჰგონია, რომ უფალი აყოვნებს აღთქმის აღსრულებას. სინამდვილეში, ეს დაყოვნება უფლის მოთმინება და სულგრძელობაა: იგი ჯერ კიდევ ელის ჩვენი კეთილი ნების გამოხატვას, არ ჩქარობს სამართლიანი განაჩენის გამოტანას, ვინაიდან, როგორც *წმიდა პეტრე მოციქული* ამბობს: *„უფალი დიდსულოვანია, რადგან ვისიმე წარწყმედა კი არ ნებავს, არამედ – ყველას სინანულად მოსვლა“* (2 პეტრე 3, 9).

განარჩევენ **ცოდვილთა ორგვარ უგუნურებას**. ერთნი უფლის სულგრძელობისა და მოწყალების იმედად სჩადიან ცოდვას – მაინც შემინდობსო, და ცოდვას ცოდვაზე უმატებენ: *„ნუ იტყვი: შევცოდე და, ვითომ, დამემართა რამე? რადგან უფალი სულგრძელიაო; ნურც იმას იტყვი: გულმოწყალება მისი დიდია და მრავალ ცოდვას შემინდობსო; ვინაიდან შეწყალებაც და რისხვაც მასთანაა* (უფალთანაა), *და ცოდვილებზე გადმოვა მისი გულისწყრომა“*, – გვაფრთხილებს **ზირაქი** (5, 4-6).

ამათი მსგავსნი აღსარებას არ ჩქარობენ, მეხვალიეები არიან და სინანულის ნაყოფის გამოღებას აგვიანებენ. მაგრამ არიან

უგუნურნი, რომელნიც საკუთარ უგულებელყოფენ ღვთის სულგრძელობას, აყვედრიან უფალს, ეს რა დღეში ჩამაგდოო, სხვებსაც განიკითხავენ. ეს მართლაც უგუნურნი თავისას ვერაფერს ხედავენ და ვერც გრძნობენ. ამას უკვე სიშლეგე შეიძლება ეწოდოს, რადგან მხოლოდ შლეგი დაიტეხს თავს ღვთის რისხვას ისევ თავისი *„სიკერპისა და უსინანულო გულის გამო“* (*წმიდა პავლე მოციქული*).

უაღრესად სანუგეშო განმარტებას გვაწვდიან **ვენახის პატრონის** ბრძანების გამო – **მოჰკუეთე ეგე**, და შენიშნავენ, რომ ეს ყოვლადმოწყალე ღმერთის ბრძანებაა! დიახ, ეს ჭეშმარიტად საღმრთო მოწყალების გამომხატველი განაჩენია, ვინაიდან იგი სასჯელს ფარულად, საიდუმლოდ და გაუფრთხილებლად კი არ აღასრულებს, არამედ ჯერ რამდენიმეგზის აძლევს ნიშანს (სამი წელი ვეძიებდიო), შემდეგ სიმკაცრეს ირენს და ცდილობს, გამოაფხიზლოს ცოდვილი (მოჰკვეთეო), რათა ახლა მაინც მოეგოს გონს, თვითონვე დაინახოს საკუთარი მცონარობა, შიშმა მაინც დააყენოს სინანულის გზაზე, აღარ გადადოს და აღსარებას ეშურებოდეს.

უფალი ღმერთი იმ მზრუნველი და კეთილგონიერი მშობელივით იქცევა, რომელიც შვილის გასაგონად ხმამაღლა გააცხადებს თავის განზრახვას სიმკაცით მოპყრობაზე, იმის იმედით, რომ, იქნებ, ახლა მაინც დაფიქრდეს, შიშმა მაინც მოტეხოს ეს ურჩი და გაჯიუტებული ბავშვი და შეაწყვეტინოს უმართებულო, ავის მომტანი თავისი საქციელი.

„აწვე, ესერა, ცული ძირთა თანა ხეთასა ძეს“ (მათე 3, 10; ლუკა 3, 9) – აი რა არ უნდა დაგვავიწყდეს! ცული მზადაა მოსაჭრელად! და იგი იმ მიზნით კი არ ძევს ჩემი ხის ძირში, რომ დამსაჯოს, არამედ იმისთვის, რათა სასჯელი ამაცილოს. ცული, ანუ იგავში ნათქვამი **მოჰკუეთე ეგე**, უფლის გულის შემძვრელი მზურვნელობისა და პატრონობის გამომხატველია – მიზანი ჩემი ხსნა და გადარჩენაა, ყოვლად შემწყნარებელი და სულგრძელი ღვთის კიდევ ერთი ცდაა, რათა დაღუპვასა და წარწყმედას გადავურჩე.

მაგრამ ჩემს ნებასა და არჩევანზეა დამოკიდებული ის, თუ საბოლოოდ რად გადაიქცევა ცული ჩემთვის – დასასჯელ იარაღად თუ მხსნელის ფარად. უფალი მარადის მწყალობს და ახლა ჯერი ჩემზეა, ახლა **მე უნდა ვინდომო ჩემი გადარჩენა და ცხონება,** მე უნდა მივიღო მადლიერებით ყოვლადმოწყალე უფლისგან ბოძებული შესაძლებლობა (შუამდგომლობა), ჩემი ნება უნდა შევაგებო უფლის ნებას – მოვინანიო სიტყვით და კეთილი ნაყოფი გამოვიღო საქმით! აი მაშინ კი მჭრელი ცული საცხონებელ მალამოდ გადამექცევა.

წმიდა მამები ამიტომ გვაფრთხილებენ: ცდომილებაშია ის, ვინც სისასტიკესა და მრისხანებას მიაწერს **ვენახის პატრონს,** მის გადაწყვეტილებას – **მოჰკუეთე ეგე!** *ნეტარი ავგუსტინე* გვარწმუნებს: *„მას რომ ხის მოჭრა ნდომოდა, არ გააცხადებდა ამ განაჩენს, არამედ მყისვე აღასრულებდა, როგორც ეს მრისხანების ცოდვაში ჩავარდნილს სჩვევია. განა ის, ვისაც დარტყმა უნდა, ყვირის: ფრთხილად, უნდა დაგარტყაო?!“*

წმიდა იოანე ოქროპირი შენიშნავს: *„იგი იმუქრება სასჯელით, რათა განარიდოს მას; იგი აშინებს სიტყვით, რათა საქმით არ მოუხდეს ამ სასჯელის აღსრულება“.*

ასე რომ, უნაყოფო ლეღვის ხის მოჭრა,წარწყმედა და დაღუპვა არც ვენახის პატრონს ნებავს და არც მევენახეს. მოთმინებით, სულგრძელობითა და ზრუნვით ორივე თავიანთ სიყვარულსა და ყოვლადმოწყალებას იჩენს.

ნუ დავაყოვნებთ და ნულარც გადავდებთ სინანულის კეთილი ნაყოფის გამოღებას, რათა არ გავაწბილოთ ჩვენი სულგრძელი ზეციერი პატრონი!

„ბოროტი მევენახეები“

„ლოდი, რომელ შეურაცხ-ყვეს
მაშენებელთა, ესე იქმნა თავ კიდეთა“
ფსალმუნნი 117, 22

„რომელი დაეცეს ლოდსა მას ზედა, შეიმუსროს;
და რომელსა ზედა დაეცეს, განანქრიოს იგი“
მათე 21, 44

„გულისჴმა-ყვეს, ვითარმედ მათთჳს თქუა იგავი ესე“
ლუკა 20, 19

„*33.* კაცი ვინმე იყო სახლისა უფალი, რომელმან დაასხა ვენაჴი და ზღუდე გარემოსდვა მას და ქმნა მას შინა საწნეხელი და აღაშენა გოდოლი და მისცა იგი მოქმედთა საქმედ და წარვიდა. *34.* და რაჟამს მოიწია ჟამი ნაყოფთაჲ, მიავლინნა მონანი მისნი მოქმედთა მათ მოღებად ნაყოფისა მისისა. *35.* და შეიპყრნეს მოქმედთა მათ მონანი იგი მისნი, რომელთამე სცეს, რომელნიმე მოსწყჳდნეს და რომელთამე ქვაჲ დაჰკრიბეს. *36.* კუალად წარავლინნა სხუანი მონანი, უმრავლესნი პირველთასა, და მათცა ეგრეთვე უყვეს. *37.* ხოლო უკუანაჲსკნელ მიუვლინა მათ ძე თჳსი და თქუა: შე-ხოლო-თუ-იკდიმონ ძისაგან ჩემისა. *38.* ხოლო ქუეყანისმოქმედთა მათ ვითარცა იხილეს ძე იგი მისი, და თქუეს გულსა მათსა: ესე არს მკჳდრი, მოვედით და მოვკლათ იგი და დავიპყრათ სამკჳდრებელი მისი. *39.* და შეიპყრეს იგი და განიყვანეს გარეშე ვენაჴისა მის და მოკლეს“.

მათე 21, 33-39

იგავის ადრესატი — 44; იგავის წინასწარმეტყველური ელემენტები — 46; ვენახის იგავური ალეგორია — 48; სახლისა უფალი, ღობე, საწნახელი, კოშკი — 49; ღვთის რჩეული ერის სულიერი ღობე — 54; მონები და მევენახეები: რჯულის მონობიდან რჯულის აღსრულებისკენ — 56; საწნახელი და კოშკი — 59; ვენახის პატრონის წასვლა — 60; წინასწარმეტყველნი და წინამძღოლნი — 62; ზეციერი მეუფის სულგრძელობა და მევენახეთა ბოროტება — 70; ძე და მემკვიდრე — 78; „გარეშე ვენაჯისა მის“ — 78; ვენახის პატრონის მოსვლა — 79; უფლის შეკითხვის გამიზნულობა — 81; ნუ იყოფინ! — 83; „ლოდი... თავ კიდეთა — 84.

ᲘᲒᲐᲕᲘᲡ ᲐᲓᲠᲔᲡᲐᲢᲘ

იგავი „ბოროტ მევენახეებზე“ სამ სახარებაშია წარმოდგენილი – *წმიდა მათესი, წმიდა მარკოზისა* და *წმიდა ლუკასი.* ეს იგავი უფალმა მღვდელმთავრებსა და უხუცესებს ტაძარში უამბო, მას შემდეგ, რაც იგი დიდებით შევიდა იერუსალიმში (იგულისხმება ბზობის დღესასწაული, ჩვენი უფლის დიდებით შესვლა იერუსალიმში). განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ წმიდა მათეს სახარებაში „ბოროტი მევენახეების“ იგავის თხრობას უფალი იესო „ორი ძის“ იგავს მოაყოლებს (მათე 21, 28-30).

ვენახის თემა გამორჩეულია, საგანგებოა წმიდა სახარებაში, რაც უფლისმიერი იგავებითაც მჟღავნდება: თავის ორ ძეს მამა ვენახში სამუშაოდ აგზავნის „ორ ძის“ იგავში; ვენახის პატრონი სხვადასხვა ჟამს ასევე ვენახში სამუშაოდ იქირავებს ვენახის მუშაკებს იგავში „ვენახის მუშაკებზე“ (მათე 20, 1-15). თავად უფალი იესო ქრისტე განგვიცხადებს: **„მე ვარ ვენაჯი ჭეშმარიტი“** (იოანე 15, 1), და ამ უმნიშვნელოვანეს სახარებისეულ თეზას იგავური თხრობის წესით ავითარებს წმიდა იოანეს სახარების მე-15 თავში.

„ბოროტი მევენახეების“ იგავს უფალი იესო ქრისტე იმავე მსმენელს უყვება, რომელიც „ორი ძის“ იგავის თხრობისას ჰყავდა. როგორც ითქვა, ესენი არიან: მღვდელმთავრები, უხუცესები, ასევე მწიგნობრები და ფარისეველები, ანუ სინედრიონის წარმომადგენლები, წარჩინებული საერო თუ სასულიერო პირები, რომელთაც უკვე განსრახული ჰქონდათ იესო ქრისტეს თავიდან მოშორება.

მაგრამ მსმენელთა შორის იდგა ხალხიც. „ბოროტი მევენახეების“ იგავის კომენტატორები ყურადღებას მიაქცევენ იმას, რომ *წმიდა მათე* და *წმიდა მარკოზ მახარებლები* ამ იგავის კონკრეტულ ადრესატებად ასახელებენ ზემოხსენებულ სინედრიონელებს, *წმიდა ლუკა მახარებელი* კი აღნიშნავს, რომ ეს იგავი ხალხისათვისაც ითქვა. წმიდა მახარებელი ამბობს, რომ უფალი ხალხს ასწავლიდა ტაძარში და ახარებდა, ხოლო მღდელმთავრები და მწიგნობრები, უხუცესებთან ერთად: **„ეძიებდეს მას წარწყმედად“**, მაგრამ არ იცოდნენ, რა ექნათ, რადგან **„ერი დამორჩილებულ იყო სმენად მისგან“** (ლუკა 19, 47-48). ისე მოხდა, რომ უფალს გამოსაცდელი შეკითხვა სინედრიონელებმა დაუსვეს, მაგრამ პასუხად იგავი ხალხს უამბო უფალმა იესომ. რა თქმა უნდა, ეს ნაამბობი ყველა იქ მდგომს ერთნაირად ესმოდა.

ასე რომ, „ბოროტი მევენახეების“ იგავის ადრესატი, საბოლოო ჯამში, ყველა იქ მდგომია, მაგრამ უაღრესად ნათელია და ცხადი ამ იგავის თხრობის გამიზნულობა: მანამდე, „ორი ძის“ იგავის მოსმენისას, სინედრიონელებმა თავი შეირცხვინეს ხალხის წინაშე, რადგან უფალმა ამ იგავით ისინი აიძულა, თავად ეღიარებინათ თავიანთი უცოდინარობა, უნებურად გაემჟღავნებინათ საკუთარი უკეთური განზრახვა და თვალთმაქცობა, თავიანთი ნამდვილი სულიერი ბუნება, და თვითონვე გამოეტანათ საკუთარი განაჩენი, ის, რომ ცის სასუფეველში მათზე წინ ცოდვილები შევლენ. სწორედ ამის შემდეგ გააცხადა უფალმა იესომ, რომ იგია აღთქმული მესია, რომელსაც ეს სულიერი წინამძღოლები უარყოფენ; უფრო მეტიც, „ბოროტი მევენახეების“ იგავში უფალ-

მა მსმენელს წინასწარმეტყველურად მიანიშნა თავის მომავალ ჯვარცმაზე, იმ მკვლელობაზე, რომელსაც ეს სინედრიონელები უკვე გეგმავდნენ და მალე აღასრულებდნენ კიდეც.

იგავის წინასწარმეტყველური ელემენტები

„ბოროტი მევენახეების" იგავში საკმაოდ უხვადაა წინასწარმეტყველური მინიშნებანი. აქ უპირველესად გაცხადებულია ძველ და ახალ ეკლესიათა ურთიერთმიმართება, ანუ უფლისმიერი განგებულება ქრისტეს ეკლესიის დამკვიდრებაზე, ასევე არის მინიშნება იმაზე, რომ ეკლესია მიეცემა სხვებს, ანუ არაიუდეველებს; უფალი თავის მსმენელს იმასაც აუწყებს იგავურად, რომ იუდეველები უარყოფენ ქრისტეს, აღთქმულ მესიას, და ჯვარს აცვამენ მას, მოკლავენ; იგი იმასაც ამცნობს ყველას, თუ რა მოელით ამის გამო ქრისტეს უარმყოფელებს.

თითქმის ყველა კომენტატორი ერთხმად აღიარებს, რომ „ბოროტი მევენახეების" იგავში ნაჩვენებია იუდეველი ერის ბედი, კერძოდ, ბედი იუდეველთა სულიერი წინამძღოლებისა. იგავში ამ წინამძღოლთა კონკრეტული ქმედებაა მხილებული, ის, თუ როგორ შეურაცხყოფენ, უარყოფენ და მოკლავენ ისინი ძე ღვთისას, აღთქმულ მესიას.

მკითხველს ვურჩევ, კიდევ ერთხელ წაიკითხოს დაკვირვებით ეს იგავი და ამის შემდეგ მიმართოს ერთ-ერთ ნაწყვეტს *წმიდა ესაია წინასწარმეტყველის* წიგნიდან. იგავის თხრობის დასრულებისთანავე უფალი თავის მსმენელს შეეკითხა:

მერედა, როცა მოვა ვენახის პატრონი, რას უზამს ამ მევენახეებს? მსმენელებმა პასუხად თქვეს: **ბოროტად მოაკვდინებს, ხოლო ვენახს სხვა მევენახეებს მისცემს, რომლებიც დროულად ჩააბარებენ მოსავალს.**

ახლა *წმიდა ესაია წინასწარმეტყველს* მოვუსმინოთ:

„ვუმღერებ ჩემს შეყვარებულს სიყვარულის სიმღერას მის ვენახზე: ჰქონდა ვენახი ნაყოფიერ გორაკზე ჩემს შეყვარებულს. დაბარა, ქვები მოაცილა, ჩაყარა წითელი ვაზი, ჩადგა

კოშკი მის შუაგულში, საწნახელიც ამოკვეთა იქ და დაელოდა, ვიდრე სავსე მტევნებს გამოიღებდა. მაგრამ ხენეში ნაყოფი გამოიღო. ახლა განგვსაჯეთ, იერუსალიმის მცხოვრებნო და იუდას ხალხო, მე და ჩემი ვენახი. კიდევ რა უნდა გამეკეთებინა ჩემი ვენახისთვის და რა დავაკელი? რატომ გამოიღო ხენეში ნაყოფი, როცა სავსე მტევნებს ველოდი? ახლა გაგიცხადებთ, რას დავმართებ ჩემს ვენახს: ღობეს მოვურღვევ, რომ გაპარტახდეს, ზღუდეს მოვუნგრევ, რომ გაითელოს. გავაველურებ, არ გაისხლება და არ დაიბარება, და ამოვა იქ ნარი და ეკალი, ღრუბლებს ვუბრძანებ, წვიმა არ აწვიმოს მათზე. რადგან ცაბაოთ უფლის ვენახი ისრაელის სახლი და იუდას ხალხია, მისი სასატრელი ნერგი, სამართალს მოელოდა და, აჰა, სისხლის ღვრაა! სიმართლეს მოელოდა და, აჰა, სასოწარკვეთილი ძახილია!" (ესაია 5, 1-7).

ყველა კომენტატორი აღიარებს იმ მსგავსებას, რომელიც აშკარად არსებობს იგავსა და ესაიას წინასწარმეტყველებაში წარმოდგენილ ბიბლიურ-სახარებისეულ სახეებს შორის. ეს სახეები: **ვენახი, მისი ჩაყრა, საწნახელი, კოშკი** (გოდოლი), **ნაყოფის გამოღების ჟამის დადგომა** და ამის ნაცვლად **ხენეში ნაყოფის მიღება**, ანუ **უნაყოფობა**, ასევე **ღვთიური შურისგება** და **საზარელი სასჯელი იუდაველებისა** – ყველა ეს ბიბლიური სახე სწორედ ამ ძველაღთქმისეული წინასწარმეტყველებიდან არის გამოხმობილი და ნასესხები სახარების იგავში „ბოროტ მევენახეებზე".

როგორც შენიშნავენ, ეს არ არის შემთხვევითი. ჯერ ერთი, იმ დროს უფლის იგავის მსმენელი, მით უფრო, განათლებული, მოსეს რჯულისა და სხვა წიგნების მცოდნე მსმენელი, კარგად იცნობდა ვენახის ხსენებულ ბიბლიურ ალეგორიას, მის მნიშვნელობას, და იგი გაუჭირვებლად მიადევნებდა თავის გონებასა და გულისყურს უფლის ამ იგავის თხრობას. ესენი იყვნენ მსმენელები, რომლებიც უფალ იესოს ბრალს სდებდნენ რჯულის დარღვევაში, ცილს სწამებდნენ წმიდა წინასწარმეტყველების გმობაში. ამიტომ უფალი იესო ქრისტე „ბოროტი მევენახეების" იგავის დასაწყისშივე თითქმის ფეხდაფეხ მისდევს *წმიდა ესაია*

წინასწარმეტყველს, დაწვრილებით აღწერს ვენახის პატრონის მზრუნველობას, დაწყებული ვაზის ჩაყრიდან – მევენახეებისათვის მისი იჯარით გადაცემამდე, და იგავურად უთითებს თავის ცილისმწამებლებს, რომ იგი მოვიდა არა რჯულის დასარღვევად, არამედ სწორედ რჯულისა და წინასწარმეტყველების დასამტკიცებლად, მის აღსასრულებლად. ამაზე მეტყველებს იგავის შინაგანი წყობაც და მისი ფორმაც.

ვენახის იგავური ალეგორია

იგავის მთხრობელმა უფალმა მიმართა ამ ცილისმწამებელთათვის ესოდენ კარგად ნაცნობ თემას, სათქმელს, ხოლო ამ სათქმელის გამოსახატავად მოიხმო იმ დროისათვის ყველაზე ხელსაყრელი იგავური ალეგორია – **ვენახი.**

ძველაღთქმისეულ ხანაში ვენახს, ყურძენს, ყველაზე კეთილშობილურ მცენარედ აღიარებდნენ. იმდროინდელი პალესტინა მდიდარი იყო ზვრებით. მას უმთავრესად მთა-ბორცვების ფერდობებზე, კირქვიან მიწაში ყრიდნენ, სადაც წვიმის წყალი იოლად გადიოდა. მართალია, ვენახი დიდ ძალისხმევას საჭიროებდა, მთელი წლის მანძილზე ითხოვდა მუდმივ მოვლა-პატრონობას – დაბარვას, გასხვლას და ა.შ. მაგრამ მას დიდი მოგებაც მოჰქონდა და საკუთრებათა შორის ყველაზე მეტად ფასობდა. არც ვენახის დაცვა იყო ადვილი საქმე, განსაკუთრებით პაპანაქება სიცხეში. ვენახის მცველებს თავშესაფრად ფიცრულ ქოხებს უდგამდნენ, რომელსაც ვაზის ლერწებითა და ხის ტოტებით გადახურავდნენ ხოლმე. ვენახის მცველნი ძალზე ერთგულები იყვნენ თავიანთი პატრონისა, ისინი ხშირად ხიფათშიც იგდებდნენ თავს, ღამეების გათევაც უხდებოდათ, რათა ვენახი მპარავებისა და ცხოველებისაგან დაეცვათ. ვენახის მოვლა და საწნახელში ღვინის დაწურვა ღარიბთა ხვედრი იყო. რთველს, როგორც ჩვენში, პალესტინაშიც სიხალისე და მხიარულება მოჰქონდა: ყველა სიხარულით აღსავსე შრომობდა, ისმოდა სიმღერა და ომახიანი შეძახილები. პალესტინის მხარეში დღესაც ასეა.

ვენახის გამორჩეულ მნიშვნელობაზე ისიც მეტყველებს, რომ იუდეის სიმბოლო იყო ყურძნის ფოთოლი და მტევანი, მაკაბელთა მონეტაზე კი ვაზი გამოისახებოდა, ზოგჯერ – მტევანიც და ფოთოლიც. რჩეულ ერს ვენახის, ვაზის ალეგორიით ასევე წარმოაჩენენ ძველი აღთქის წმიდა წინასწარმეტყველნი: ***იერემია*** (2, 21), ***ეზეკიელი*** (15, 1-6; 19, 10), ***ოსია*** (10, 1), ასევეა II რჯულის წიგნში (32, 32), განსაკუთრებით კი ფსალმუნებში.

წმიდა ესაია წინასწარმეტყველი თავადვე განმარტავს ვენახის ალეგორიას: *„უფლის ვენახი ისრაელის სახლი და იუდას ხალხია“*, – ამბობს იგი. სწორედ ამგვარი შინაარსით განიხილავს „ბორიტი მევენახეების“ იგავში ვენახის ალეგორიას ***ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი*** და ამბობს, რომ **ვენახი** ამ იგავში ებრაელი ხალხია, რომელიც ღმერთმა დაამკვიდრა, ვითარცა რჩეული ერი; მაგრამ **ვენახი** იუდეველთა ეკლესიაც არის, ანუ უფლის ტაძარია. ***წმიდა იოანე ოქროპირი*** **ვენახში** ერთდროულად მოიაზრებს მოსეს რჯულს, ქალაქ იერუსალიმსა და ტაძარს: ღმერთმა იუდეველებს რჯული მისცა სინას მთაზე, შემდეგ აუშენა ქალაქი და შიგ ტაძარი ჩაუდგა.

სახლისა უფალი, ღობე, საწნახელი, კოშკი

კაცი ვინმე სახლისა უფალი ამ იგავში, ბუნებრივია, ღმერთია, სამყაროს შემოქმედი და მეუფე, ის, ვინც, ***დეკანოზ ბუხარევის*** თქმით, კაცთა მოდგმას ჯერ ძველი აღთქმის ეკლესია გაუშენა, შემდეგ კი ახალი აღთქმის, ქრისტიანული ეკლესია დაუწესა.

აქედან გამომდინარე, შენიშნავენ, რომ ღმერთმა უამრავი სიკეთე და სიქველე მისცა ებრაელ ერს, რაზეც მეტყველებს ყველა დანარჩენი იგავური ალეგორია **ღობე, საწნახელი, კოშკი**. ღმერთმა მართლაც საკვირველი მზრუნველობა გამოიჩინა იუდეველთა მიმართ: ყველაზე მძიმე საქმე თავად იტვირთა – ვაზი ჩაყარა, ღობე მოავლო, საწნახელი დაუდგა, აუგო გოდოლი, კოშკი,– რაც ერთიანობაში მიანიშნებს ებრაელთა ეგვიპტიდან გამოყვანაზე, მოსეს რჯულზე (მცნებებზე), სამოქალაქო ყოფის დაწესე-

ბაზე, სამსხვერპლოს მოწყობასა და უფლის ტაძრის აშენებაზე. ღობის სახით ღმერთმა ისინი რჯულით შემოზღუდა და, ცალკე ხალხად ქცეულებს, რჯულის „ცეცხლოვანი კედელი“ აღუმართა, რათა მათ, უკვე ერად შეკრულთ, წარმართებისგან, კერპთაყვანისმცემლებისაგან და სხვა ურჯულოთაგან დაეცვათ თავი. ღვთის საკვირველი მზრუნველობა იყო ისიც, როცა ეგვიპტიდან გამოსვლისას, სინას მთაზე თუ აღთქმული ქვეყნის დაპყრობისას, იგი თავად უძღოდა წინ იუდეველებს სასწაულებითა და გამოცხადებებით.

ყოველივე ამის შემდეგ კი, მზამზარეულზე, ეს კეთილად გამართული **ვენახი** ღმერთმა მიანდო იუდეველთა სულიერ წინამძღოლებს, ლევიტელებს – იმათ, რომელთაც იგავში **მევენახეები** განასახიერებენ. მაგრამ მათ ღვთისგან ბოძებული ეს კეთილი წიაღი არ დაიცვეს.

ჩვენთვის უაღრესად საგულისხმოა *წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის (ქიქოძის)* განმარტება „ბოროტი მევენახეების“ იგავის, როგორც თავად ბრძანებს, საზოგადო მნიშვნელობაზე. წმიდა ეპისკოპოსის თქმით, ეს იგავი იმას გვასწავლის, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ქრისტიანულ რჯულს როგორც თითოეული კაცისათვის, ასევე ერისა და ხალხის ცხოვრების წარმატებისათვის: *„ჭეშმარიტი წარმატება და ბედნიერება კაცობრიობისა, თვით ამ ქვეყანაზედ, დამოკიდებული არის ქრისტე იესოს სახარებისა და სარწმუნოების მიღებაზედ და აღსრულებაზედ“*, – გვმოძღვრავს წმიდა მამა. მისი თქმით, **ვენახი** ამ იგავში ქრისტიანული ეკლესიაა, ხოლო **ვენახის მუშაკები** არიან ქრისტეს რჯულის მიმღებნი და აღმსრულებელნი. ქრისტეს ეკლესიაში ღმერთმა მუშაკები კეთილი ნაყოფის მისაღებად განაწესა, ანუ კეთილი, პატიოსანი ქრისტიანული ცხოვრების წესის დამკვიდრება უბრძანა. მხოლოდ ამ რჯულის მიმღები და აღმსრულებელი ერი იქნება მტკიცედ შემოზღუდული **რჯულის ღობით**, კედლით, რომელსაც ღვთის მადლი დაიცავს. მაგრამ რჯულის უარმყოფელი ერი დაკარგავს ვენახს და ყოველივეს, ესე იგი,

ღვთის მადლს, რასაც უფალი სხვა, უფრო ღირსეულ ერს მიაკუთვნებს. უარმყოფელი ერი კი ამქვეყნადვე დაეცემა, დაიღუპება, და საბოლოოდ წარწყმდება იმქვეყნად.

ამ მიზეზით ეეედრება *წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი* ყრმებს, რომ სხვა საგანთა შორის მათ აუცილებლად ისწავლონ საღვთო რჯულიც, ისწავლონ *„არა ზეპირად, არამედ სულით და გულით მიითვისონ იგი“*, რადგან რა ზომითაც მიითვისებს და შეიყვარებს კაცი ამ რჯულს, იმ ზომით იქნება იგი პატიოსანი, მხნე და წარმატებული ყველა კეთილ საქმეში. ქრისტეს რჯულის წინააღმდგომს წმიდა მამა ცოფიან ძაღლს ამსგავსებს, რომელიც თავისი კბენით სწამლავს და კლავს კაცს.

ასევე საგულისხმოა და საინტერესო *წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის* დაკვირვება „ბოროტი მევენახეების“ იგავის წინასწარმეტყველურ მხარეზე, იგი გვეუბნება: *„დარწმუნებული ვარ, (რომ) თქვენ არ გიფიქრიათ და არ იცით, რომ იგავი ესე, ვითარცა ღვთიური სიტყვა, იყო არა მხოლოდ ურიათა ზედა, არამედ მთელი ქვეყნისათვის და ყოველთა ერთათვის, და წინასწარმეტყველება, მას შინა თქმული, მრავალგზის აღსრულდა სხვათაცა ერთა ზედა და თვით ჩვენთა წინაპართა, ქართველთა ზედაცა“*. წმიდა ეპისკოპოსი დასძენს, რომ ამის არაერთი მაგალითი მოიძებნება ჩვენი წარსულიდან. მთელი ჩვენი ისტორია სწორედ რომ დასტურია წინასწარმეტყველებისა **ვენახის,** ანუ ქრისტეს ეკლესიის, სხვა ერისათვის გადაცემის შესახებ. თუმცა აჯობებს, გავიხსენოთ თვით *წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის* ბრწყინვალე ქადაგება **„სიტყვა, თქმული ქუთაისის საკათედრო ეკლესიასა შინა სასულიერო და სახორციელო სასწავლებლების მოსწავლეთადმი, 1876 წელს“**, რომელიც წმიდა მათეს სახარების 21-ე თავის 33-ე მუხლის გამო ითქვა:

„თქვენ ყველანი ფრთხილად უნდა იყოთ, რომ ვინმემ, ბოროტის განმზრახველმა, არ გაცთუნოთ, არ შეგაგონოთ რაიმე რჯულის საწინააღმდეგო აზრი. ახლა კი მსურს, აგიხსნათ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქრისტიანულ რჯულს არათუ მხოლოდ თი-

თოეული კაცისთვის, არამედ მთელი ერის და ხალხის ცხოვრების წარმატებისთვის. მე იმას აგისხნით, რომ ჭეშმარიტი წარმატება და ბედნიერება კაცობრიობისა თვით ამ ქვეყნადაც დამოკიდებულია ქრისტე იესოს სახარების და სარწმუნოების მიღებასა და აღსრულებაზე. მაგრამ, წინაპირველად, მე უნდა გაგახსენოთ სახარების ერთი იგავი „ბოროტ მევენახეებზე“.

ვენახის დამსხმელი და პატრონი *ამ იგავში არის თვით ღმერთი.* ***ვენახი*** *არის ღვთის რჯული, ქრისტიანული ეკლესია.* ***ვენახის მუშაკნი*** *არიან ყოველნი კაცნი და ერნი, რომელთაც ღვთის რჯული მიიღეს და აღასრულეს. ღმერთმა იმისთვის გააჩინა და მისცა ადამიანებს რჯული, სახარება, ქრისტიანობა, ეკლესია, რომ კეთილი ნაყოფი გამოიღონ, ესე იგი, პატიოსანი ქრისტიანული ცხოვრება ჰქონდეთ. თუ რომელიმე ერი კეთილად მიიღებს ამ ვენახს და ნაყოფსაც კეთილად გამოიღებს, ღვთის მადლით იქნება დაცული, და თუ რომელიმე ერი არ მიიღებს კეთილად, არ აღასრულებს ღვთის რჯულს კეთილად და არც კეთილ ნაყოფს გამოიღებს, ღმერთი ჩამოართმევს მას ამ საღმრთო ვენახს და მისცემს სხვას, უფრო ღირსეულ ერს.*

დარწმუნებული ვარ, რომ ზოგიერთ თქვენგანს კიდეც გაუგონია ეს იგავი და იცის, რომ უფალმა იესო ქრისტემ ეს იგავი თქვა ურიებზე (ებრაელებზე) და მათი მომავალი ხვედრი აჩვენა.

ამ იგავით თქმული კიდეც აუსრულდათ ებრაელებს, რომლებმაც არ შეიწყნარეს ქრისტეს რჯული და ამის გამო მათი ქალაქი აოხრდა, ისინი დაიფანტნენ. მაგრამ დარწმუნებული ვარ, თქვენ არ გიფიქრიათ და არ იცით, რომ ეს იგავი, ვითარცა ღვთის სიტყვა, იყო არა მხოლოდ ურიებზე, არამედ მთელი ქვეყნისათვის და ყოველი ერისათვის. ამ იგავით თქმული წინასწარმეტყველება მრავალგზის აღსრულდა სხვა ერებზეც, და იგივე გასაოცრად აღსრულდა კავკასიის მრავალ ერზეც და თვით ჩვენს წინაპართა – ქართველთა ზედაც.

მე დამივლია კავკასიის მრავალი მხარე, სადაც ქრისტიანობის მრავალ ძველ ნიშანს ვხედავდი. არათუ მარტო ჩვენი წინაპარ-

ნი,ქართველნი,არამედ სხვანიც: ოსნი,აფხაზნი, ლეკნი,ჩერქეზნი — იყვნენ განათლებულნი ქრისტიანული რჯულით. მაგრამ საკვირველი ის არის, რომ ქრისტიანობა ყველგან, კავკასიის ყველა სხვა ხალხში, ადრევე მოისპო, და დარჩა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში. ეს იმიტომ მოხდა, რომ კავკასიის სხვა ერნი არ აღმოჩნდნენ კარგნი მუშაკნი ღვთის ვენახისა, არ შეიყვარეს ქრისტიანობა. ხოლო ჩვენმა წინაპრებმა სულითა და გულით მიითვისეს და შეიყვარეს ქრისტიანობა, რომელიც გადაიქცა სისხლად და ხორცად ჩვენთა მამათა.

ვისაც ცოტაოდნად წაუკითხავს და გაუგია ჩვენი წინაპრების ცხოვრებაზე, იცის, რაოდენ თავდადებულნი იყვნენ ქრისტეს რჯულის დაცვისათვის, რამდენი მსხვერპლი შესწირეს ამ საქმეს, რამდენი ტანჯვა და აოხრება მოითმინეს მათ. ეს მცირე და ერთი მუჭა სუსტი ხალხი, გარემოცული მრავალი ურწმუნო ხალხით, დღედაღამ დაიარაღებული იცავდა თავის რჯულს უმოწყალო მტრისგან. სპარსნი, თათარნი, ლეკნი, ჩერქეზნი, ოსნი მრავალი საუკუნის განმავლობაში გლეჯდნენ, მუსრავდნენ, აოხრებდნენ, ატყვევებდნენ.

განსაცვიფრებელია, რამ დაიცვა ეს ერთი მუჭა ერი ამოდენა მტრისგან?! ის დაიცვა, ძმანო ჩემნო, რჯულმან ქრისტესმან! ის დაიფარა მართლმადიდებელი ეკლესიის სიყვარულმა; და არა თუ მარტო დაიცვა და დაიფარა სრული ამოწყვეტისაგან, არამედ კიდეც გაანათლა და გაადიდა, რაოდენიც მაშინ შესაძლებელი იყო. თავიანთი სარწმუნოებით გამხნევებულებმა, მათ არათუ დაიცვეს თავიანთი ქვეყანა და ეკლესია უცხო მტერთაგან, არამედ გააჩინეს მწიგნობრობა და მწერლობა, გადმოთარგმნეს საღმრთო წერილი, წმიდა მამათა წიგნები, დააწესეს საკუთარ ენაზე წირვა, ლოცვა და მწერლობა.

ერთი სიტყვით, კავკასიის მრავალ ერთა და ტომთა შორის მხოლოდ ჩვენმა წინაპრებმა მიიღეს ცოტაოდენი წარმატება და განათლება, დაიცვეს თავიანთი ენა და ეროვნება ქრისტეს რჯულის შემწეობით. ამისთანა სიკეთე და ბედნიერება მისცა ქრისტემ რჯულმა ჩვენს წინაპრებს.

ახლა, ვგონებ, თქვენც გაიგეთ, რა მნიშვნელობა აქვს კაცობრიობის ცხოვრებაში ქრისტიანულ რჯულს. ვგონებ, თქვენ მიხვდით, რომ ამ ქვეყანაზე მხოლოდ იმ ერს და შთამომავლობას აქვს სახელი და წარმატება, რომელთა შორის დანერგილია საღმრთო ვენახი, ესე იგი – ქრისტიანობა. ჩვენს წინაპრებს რომ ქრისტიანობა არ მიეღოთ და არ შეენარჩუნებინათ, ჩვენც, სხვებივით, ახლა ვიქნებოდით უსახელონი, ველურნი და წარმართნი.

აჰა, რაოდენად დავალებული ვართ ჩვენ ქრისტეს რჯულით. აჰა, რაოდენი ძალა და ღონე აქვს საღმრთო რჯულს ჩვენი ქვეყნის წარმატების, არსებობისა და ცხოვრებისათვის! ნუ დაივიწყებთ ამას, საყვარელნო ყრმანო, და სხვათა საგანთა შორის, თქვენი რჯულიც უნდა ისწავლოთ. ისწავლეთ იგი არა ზეპირად, არამედ სულით და გულით შეითვისეთ. გახსოვდეთ, კაცი რა ზომითაც მიითვისებს და შეიყვარებს ამ რჯულს, იმ ზომით იქნება იგი პატიოსანი, მხნე და წარმატებული ყველა კეთილ საქმეში. თუ ვინმე დაგიწყებთ ლაპარაკს ან შეგონებას ამ რჯულის საწინააღმდეგოდ – იგი შერაცხე, ვითარცა ცოფიანი ძაღლი, რომელიც, თუ უკბენს კაცს, მოწამლავს და მოკლავს. ამინ".

ღვთის რჩეული ერის სულიერი ღობე

ვენახის ღობით შემოზღუდვა იგავში რამდენიმე მნიშვნელობით გაიაზრება. **ღობე**, როგორც ითქვა, საღმრთო რჯულია, რომელიც „ცეცხლოვანი კედელივით" უნდა აღემართა რჩეულ ერს და ამ გზით დაეცვა თავი ურჯულოებისაგან. კონკრეტულად იგულისხმება მოსეს რჯული, ის მცნებები, რომლებიც ღმერთმა ***მოსეს*** მისცა, რათა ისრაელიანები ცალკე ერად შემოსაღვრულიყვნენ და სხვა ხალხებს არ შერეოდნენ.

მაგრამ ამ რჯულის უმთავრესი დანიშნულება მაინც მისი აღსრულებაა, მცნებათა დაცვაა. **ვენახის ღობე** სულიერი ღობეა, ერთგვარი მიჯნაა, ის შესაყარია, სადაც ხღვარი უნდა გავლებულიყო ამ რჯულით გამოცალკევებულ ებრაულ ერსა და სხვა ერებს შორის.

სწორედ ამგვარად გავლენილი სულიერი ლობე დაიცავდა ღვთის რჩეულ ერს ყველა სახის ურჯულოების მოქტანი სენისაგან: წარმართობისგან, კერპთაყვანისმცემლობისგან და სხვა. ამიტომ მიუთითებენ, რომ ღვთისგან შემოვლენილი სულიერი ლობე ვენახის ღვთიური მფარველობის საწინდარიც არის, იმის ნიშანია, რომ ღმერთი თვითონ უკარნახებს თავის რჩეულ ერს თავდაცვის საშუალებებს, გზას – ყოველგვარი ცოდვისგან თავის მოსლუდვისა.

როგორც შენიშნავენ, ცალკე, რჩეულ ერად ჩამოყალიბებისა და დამკვიდრების ღვთიურ განგებულებაზე მეტყველებს იუდეის ისტორიულ-გეოგრაფიული ხვედრიც: იუდეას ალმოსავლეთიდან მდინარე იორდანე გამოყოფს თავისი ორი ტბით; სამხრეთიდან – იდუმეის უდაბნო და მთები; დასავლეთიდან – ზღვა, და ჩრდილოეთიდან – ლიბანი. თითქოს, თვით ღმერთმა განაგო ამ ქვეყნისა და მის მკვიდრთა განმარტოებითი მყოფობა. ამიტომ, **სულიერი ლობის** იგავურ ალეგორიაში მის ამგვარ – გეოგრაფიულ ფუნქციასაც ჭვრეტენ.

მართლაც, ყოველი ერის თვითშემეცნების გზა, გარდა ისტორიულისა, გეოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინებითაც მოიაზრება ხოლმე. იუდეის ახლახან მონიშნული ისტორიულ-გეოგრაფიული საზღვრები და მისი ღვთიური განგებულება გვახსენებს VIII საუკუნის ქართლის ვითარებას. ***იოვანე საბანისძის*** ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში „წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტეჲსისა ჰაბოჲსი“ მწვავედ დგას ქართველთა თვითშეგნებისა და თვითშემეცნების რღვევის საკითხი. ეს საწუხარი იოვანე საბანისძეს, ბუნებრივია, დაკავშირებული აქვს ქრისტიანული სარწმუნოების, ქრისტეს რწმენისა და რჯულის რღვევასთან ქართველთა შორის.

იოვანე საბანისძის თქმით, არაბთა მძლავრობის ჟამს ქართველ ერში მოირყა ქრისტეს ხუთასწლოვანი რჯული. ავტორი ქრისტეს რჯულის რღვევას ცოდვათა გამრავლებითა და მოუნანიებლობით ხსნის, რის გამოც საქართველოს არაბთა სახით უბედურება დაატყდა თავს.

იოვანე საბანისძე ცდილობს, დაანახვოს ქართველს სამდვილი მიზეზები ამ უბედურებისა, და ერთ-ერთ მიზეზად სწორედ გეოგრაფიულ ფაქტორს ასახელებს. იგი ბრძანებს: *„რომელნი ესე ვართ ყურესა ამას ქუეყანისასა“* – ესე იგი, ამ დედამიწაზე, იმდროინდელი ქრისტიანული კულტურული მსოფლიოს წიაღში, ჩვენი სამშობლო გეოგრაფიულად აღმოჩნდა **ყურესა ქუეყანისასა** – ამ წიაღის **ყურეში**, კუთხეში. იმ დროს ქართლი მართლაც იყო შემოსაზღვრული არაქრისტიანული გარემოთი: ჩრდილოეთით ველურ ხაზართა, „ძეთა მაგოგისთა“ მოდგმა სახლობდა, სამხრეთიდან კი არაბები მოგვიხდნენ. ამგვარ გეოგრაფიულ პირობებში, რა თქმა უნდა, უფრო იზრდებოდა საფრთხე უცხო ერთან აღრევისა. ***იოვანე საბანისძის*** ამ განაცხადში ამოიკითხება იმდროინდელი ქართლის, საქართველოს, ესქატოლოგიური, მისტიკური დანიშნულება, რაც ღვთის განგებულებით დაეკისრა ჩვენს ერს – დაეცვა ქრისტიანობა, წინ აღდგომოდა ქრისტეს რჯულის დარღვევის ყოველგვარ ცდას.

მონები და მევენახეები: რჯულის მონობიდან რჯულის აღსრულებისკენ

მაგრამ ამ **სულიერი ღობით** – რჯულით – ვერც ერი და ვერც ადამიანი *„ვერ გამართლდება ღვთის წინაშე, რადგანაც რჯულით შეიმეცნება ცოდვა“*, – ბრძანებს წმიდა პავლე მოციქული (რომაელთა მიმართ 3, 20).

წმიდა მოციქულის სიტყვები რჯულის რაობასა და რაგვარობაზე დაგვაფიქრებს:

რა არის რჯული? რატომ მიეცა იგი ღვთისგან ადამიანს, ერს? კერძოდ, რა დანიშნულება აქვს საღმრთო რჯულს, რისკენ მივყავართ მას?

„ბოროტი მევენახეების“ იგავის განმარტებისას, **სულიერი ღობის** გამო, გაისმის გაფრთხილება იმის შესახებ, რომ ამ ღობით, ესე იგი, რჯულით, უფალმა უაღრესად კონკრეტული საქმე გაუჩინა ადამიანს, ერს. *წმიდა პავლე მოციქული* გვეუბნება, რომ ეს

საქმე არის ცოდვის შეცნობა. მაშასადამე, რჯულის აღსრულება, ფაქტობრივად, არის თავის მოზღუდვა ცოდვისაგან. გავიხსენოთ ის, რომ ათი მცნება უმთავრესად აკრძალვის შინაარსისაა, და სწორედ იმის აკრძალვისა, რაც ცოდვას წარმოადგენს ღვთის წინაშე.

პირველშეცოდების შემდეგ ადამიანი ჯერ ცოდვის მონა გახდა. რჯულის მიღებამდე იგი ცოდვის სრულ მორჩილებაში იყო. რჯულის მიღების შემდეგ ცოდვის მონა რჯულის მეთვალყურეობის ქვეშ აღმოჩნდა და ახლა რჯულის მონადაც იმ მიზეზით იქცა, რომ რჯულსა და მცნებებს იგი ცოდვისგან თავის დაღწევის მიზნით კი არ ასრულებდა, არამედ ფარისეველურად, მექანიკურად.

იგავში ნახსენები ღობე, სულიერი ღობე, რჯულის სახით იმის შესახსენებლად შემოავლო ვენახის პატრონმა, რომ მევენახეებს ღირსეულად აღესრულებინათ თავიანთი ვალი და არ დავიწყებოდათ, რომ ვენახში განსაზღვრული, ღობით შემოსაზღვრული წესი და რიგი უნდა დაეცვათ. ოღონდ ამ წესისა და რიგის დაცვა მათ სიყვარულით, თავმდაბლობითა და მორჩილებით მართებდათ. გარდა ამისა, მევენახეებს უფალმა კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი მისია დააკისრა.

ხალხის რჯულისმიერი აღზრდა ევალებოდათ სულიერ წინამძღოლებს — ლევიტელ მღვდლებსა და მღვდელმთავრებს. მაგრამ ისინი თავიანთ ვალდებულებას არ ასრულებდნენ. წინასწარმეტყველთა მისია სწორედ ის იყო, რომ სულიერი წინამძღოლები გამოეფხზილებინათ, რათა სასიკეთოდ წარმართულიყო ხალხის სულიერი აღზრდა, და ამგვარად მოემზადებინათ რჩეული ერი მესიასთან შესახვედრად.

„ბოროტი მევენახეების“ იგავში სულიერი წინამძღოლები მევენახეები არიან, წინასწარმეტყველები კი ის მონები, რომლებიც არაერთგზის გაგზავნა ამ მევენახეებთან სახლისა და ვენახის პატრონმა, ანუ ღმერთმა. ბოროტი მევენახეები, ანუ ერის წინამძღოლები, ვერ მისწვდნენ უფალი ღმერთის განგებულებასა და ნიშნებს, ისინი კვლავ ცოდვის მქმნელებად და რჯულის მონებად დარჩნენ: მათ ღვთისგან მიგზავნილები სცემეს,

ჩაქოლეს, დახოცეს, და იმასაც შეეცადნენ, რომ ვენახის ულირსი მემკვიდრეები გამხდარიყვნენ, ძალით დაუფლებოდნენ ვენახს.

და რაკი აღარ იყო საშველი, ვენახის პატრონმა თავისი ერთადერთი ძე გაუგზავნა მევენახეებს – იქნებ, ვენახის ნამდვილმა მემკვიდრემ, მისმა ხილვამ და მოსმენამ მოიყვანოსო გონს გონებადაბნელებული და გულით გაუხეშებული მევენახეები.

მემკვიდრე, სახლის პატრონის ძე იგავში თავად უფალი იესო ქრისტეა. თავისი მოსვლის ნამდვილი მიზნის გასაცხადებლად უფალმა „ბოროტი მევენახეების“ იგავში *წმიდა ესაიას* წინასწარმეტყველებიდან გამოიხმო იგავური ალეგორიები და ამ გზით მიუთითა მევენახეთა მსგავს თავის მსმენელებს, რომ იგი მოვიდა არა რჯულის დასარღვევად, არა ამ სულიერი ღობის მოსარღვევად, როგორც მას ცილს სწამებდნენ, არამედ სწორედ რჯულისა და წინასწარმეტყველების აღსასრულებლად, ანუ იმ საქმის აღსასრულებლად, რაც მათ – ამ ბოროტ მევენახეებს – ჰქონდათ დაკისრებული ღვთისაგან. კაციც და ერიც რჯულის აღსრულებით უნდა გამოზრდილიყო, განმზადებულიყო ქრისტეს რწმენის მისაღებად და ასე მიეღო განმართლება, ანუ, იგავის მიხედვით, ნამდვილი, ღირსეული მემკვიდრეობა ვენახისა.

რჯულს – **სულიერ ღობეს**, რომელიც ღვთისგან გვეძლევა, მხოლოდ ეტაპობრივი, დროებითი საშუამავლო მისია ეკისრება ცოდვილის განმართლების საქმეში: ცოდვილი ჯერ უარს ამბობს ცოდვაზე, ანუ აღასრულებს რჯულს, შემდეგ კი, ქრისტეს მიერ მონათლული და ქრისტეს რწმენით შემოსილი, ქრისტეს შუამდგომლობითა და წყალობით მიიღებს ცოდვაზა მიტევებას, სულიერ შობა-განახლებას. ამ დიდებული ფერისცვალებისაკენ მიმავალი გზა ერთადერთია – ეს არის უფალი იესო ქრისტე: **„სჯული მოსესაგან მიეცა, ხოლო მადლი და ჭეშმარიტებაჲ ქრისტეს იესუჲს მიერ იქმნა“**, – ამბობს *წმიდა იოანე მახარებელი* (იოანე 1, 17).

ამ მიზნით დაემორჩილა მოსეს რჯულს თვით ძე ღვთისა და ძე კაცისაც, ამქვეყნად განხორციელებული უფალი ჩვენი იესო

ქრისტე, რათა რჯულის მონობის ქვეშ მყოფი ცოდვილი გამოეხსნა და „შვილება“, ქრისტემიერი ძეობა – ჭეშმარიტი მემკვიდრეობა მიენიჭებინა მისთვის. ასეთია გზა ღვთის განკაცებისა და კაცის განღმრთობისა. ამ გზაზეც მიგვითითებს ჩვენი უფალი თავისი იგავით „ბოროტ მევენახეებზე“.

ამ მაცხოვნებელი გზის გაცნობიერებისას, მისი მიღებისას, კიდევ ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ: ხსენებული **სულიერი ღობის**, ანუ რჯულის (როგორც ძველი აღთქმისა, ასევე ქრისტესი) დანიშნულება მაშინვე ამოიწურება, როგორც კი მართლმორწმუნე ქრისტესმიერი ნათლითა და რწმენით შეიმოსება, ანუ რჯულის მონა იქცევა ჭეშმარიტ მონად ღვთისა.

ასე რომ, ქრისტეს მისაღებად განმზადებულისთვის რჯულის მიღება და აღსრულება არის არა მიზანი, არამედ საშუალება, გზა. მიზანი – ქრისტესმიერი განმართლებაა, ცხონებაა.

საწნახელი და კოშკი

ვენახის პატრონმა ვენახს არა მარტო ღობე მოავლო, არამედ ვენახის შიგნით **საწნახელიც** ამოკვეთა და **კოშკიც** ააგო. უფალმა ღმერთმა საკვირველი მზრუნველობა გამოიჩინა იუდეველთა მიმართ: შექმნა სამყარო (ჩაყარა ვენახი), რაც ასევე გამოხატავს ებრაელთა ეგვიპტიდან გამოსვლას; მისცა რჯული მოსეს ხელით (ესე იგი, შემოავლო ღობე), და ამით მათ სამოქალაქო ყოფაც დაუწესა; მოუწყო სამსხვერპლო (საწნახელი), სადაც ერი მსხვერპლშეწირვას აღასრულებდა ღვთის წინაშე; სამსხვერპლოზე დაღვრილი სისხლი, ქრისტიანულ ეკლესიაში შეანაცვლა ქრისტეს დაღვრილმა სისხლმა, და, ამიტომ, იგავში **საწნახელი**, სადაც ღვინო იწურება, უკვე მომასწავებელია ყველაზე დიადი, სრულყოფილი და წმინდა მსხვერპლისა – ქრისტეს წმიდა სისხლის დაღვრისა.

კოშკს სათვალთვალოდ იყენებდნენ ვენახის მცველები და შიგ ყურძენიც ინახებოდა ხოლმე დაწურვამდე. „ბოროტი მევენასეების“ იგავში ეს იგავურ-სახარებისეული ალეგორია – **კოშკი**,

გოდოლი, ჩვეულებრივ, საწნახელთან ერთად მოიაზრება: **საწნახელი და კოშკი,** ერთად, იუდეველთა ტაძარიც არის, სადაც სამსხვერპლო სისხლი იღვრება, და ქრისტიანული ეკლესიაც, სადაც ქრისტეს წმიდა სისხლით დაწესებული წმიდა ზიარების საიდუმლო აღესრულება.

ვენახის პატრონის წასვლა

ვენახის პატრონმა თავისი ხელით განმზადებული ვენახი გადასცა ვენახის მოქმედთ: **„მისცა იგი მოქმედთა საქმედ და წარვიდა“** (მათე 21, 33). **ვენახის პატრონის წასვლას** *წმიდა იოანე ოქროპირი* განმარტავს, როგორც ღვთის დიდ სულგრძელობასა და მოთმინებას. ამასვე ამოწმებს *წმიდა ლუკა მახარებლის* შენიშვნა. ვენახის პატრონის გამო იგი ამბობს: **„წარვიდა მრავალთა ჟამთა“** (ლუკა 20, 9) – დიდი ხნით წავიდაო, და ამით ხაზგასმით წარმოაჩენს ვენახის პატრონის უსაზღვრო სულგრძელობას.

მართლაც, ღმერთმა განმზადებული **ვენახი** კეთილი ნაყოფის გამოსაღებად გადასცა **ვენახის მოქმედთ,** ანუ კაცთა მოდგმას. ვენახის პატრონობაც და ნაყოფის (მოსავლის) მიღებაც ღმერთმა საქმედ დაუწესა ადამიანს. ეს ნაყოფი მას საკუთარი ხელით (შრომით, ღვაწლით, სიკეთის ქმნით) უნდა მიეღო, რისთვისაც ღვთისგან დრო მიეცა.

იგივე ითქმის ერზე, კერძოდ – იუდეველებზე, ასევე ქრისტიანებზეც. **ნაყოფში,** რაღა თქმა უნდა, სათნოებანი, სულიერი ნაყოფი და ჯანსაღი, ზნეობრივი ცხოვრების წესი იგულისხმება. ღმერთი იმ მიზნით **წარვიდა,** რომ კაცსაც და ერსაც საშუალება მისცემოდათ, თავისი ნებით და საკუთარი ძალისხმევით მოეწიათ ეს ნაყოფი.

ყველა კომენტატორი შენიშნავს, რომ ვენახის პატრონის **დიდი ხნით წასვლა** იგავში გამოხატავს ღვთის უსაზღვრო მოთმინებასა და სულგრძელობას. ღმერთი მოსიყვარულე მშობელივით ეპყრობა საკუთარ ქმნილებათა გვირგვინს და მოელის, თუ როგორ

იმოქმედებს იგი, რა არჩევანს გააკეთებს, როგორ აღასრულებს ღვთის მცნებებს, რომელ გზას დაადგება თავის ნებითა თუ სურვილით – ღვთისმოშიშებისა და მორჩილების გზას, თუ ულმერთობისა და ურჩობისას.

ვენახის პატრონის წასვლით უფალი იესო ქრისტე იმ ჟამზე უთითებს, როდესაც ღმერთი იუდეველებს უკვე აღარ წინამღვრობდა უშუალოდ, ასე ვთქვათ, ხილულად, როგორც ეს ეგვიპტიდან გამოყვანისას, სინას მთაზე რჯულისდებისას და ქანაანში ებრაელთა დამკვიდრებისას იყო. მაშინ ღმერთი თავის წინამძღოლობას სასწაულებითა და გამოცხადებებით უმოწმებდა ისრაელ ერს. ამის შემდეგ იგი **წარვიდა**, და, ამასთან, **წარვიდა მრავალთა ჟამთა** – დიდი ხნით, რადგან ერს სჭირდებოდა საკუთარი ნების, თავისუფალი ნებელობის გამოვლენა ღვთისგან ბოძებული აღთქმის, მცნებების აღსასრულებლად.

იმასაც მიუთითებენ, რომ იგავში **მრავალთა ჟამთა** გულისხმობს კონკრეტულ დროს, კერძოდ, დროს უფლის პირველ წინასწარმეტყველთა გამოჩენამდე.

სწორედ პირველ წინასწარმეტყველთა გამომხატველია ამ იგავში **მონები**. იმ ხნის მანძილზე, სანამ ამ მონებს გამოგზავნიდა უფალი, ვენახის მუშაკებს საკმაო დრო ჰქონდათ, რათა ღვთისნიერად ემუშავათ, ეღვაწათ და მიეღოთ ხსენებული კეთილი ნაყოფი. მაგრამ ღვთისგან დაკისრებული მათი საქმე უმართებულოდ წარიმართა. იმის ნაცვლად, რომ არ დავიწყებოდათ თავიანთი პატრონი, ის, ვისგანაც მათ ვენახი მიიღეს, ვისი წყალობითა და მადლითაც მიეცათ შესაძლებლობა ღირსეული ნაყოფის ღირსეულად გამოღებისა – სამუშაოდ დადგენილმა მევენახეებმა მესაკუთრეებად იგრძნეს თავი, მათთვის დროებით გადაცემული ვენახი საკუთრებად მიიჩნიეს და აღარ ისურვეს, უარი თქვეს ჭეშმარიტ ნაყოფზე, ანუ იმაზე, რაც ღმერთმა მათ დაუწესა, და რასაც ღმერთი მათგან მოელოდა.

როგორც აღინიშნა, **მევენახეები** ამ იგავში არიან ღვთისაგან რჩეული სულიერი წინამძღოლნი ერისა, რადგან, ჩვეულებრივ,

სწორედ მათი ძალისხმევითა და ღვაწლით ეძლევა საშუალება ერს, სულიერი ნაყოფი გამოიღოს. ეს საქმე ერთსა და იმავე დროს არის სულიერი წინამძღოლების უფლებაც და მოვალეობაც — ღვთის, ქვეყნის და ერის წინაშე.

სულიერ წინამძღოლებში უფალი იესო ქრისტე გულისხმობდა ფარისევლებსა და მწიგნობრებს, ასევე მღვდელმთავრებსა და უხუცესებს, რომლებიც იქვე იდგნენ, ხალხში, და ყურადღებით ისმენდნენ იგავის თხრობას.

ვნების კვირის სამშაბათს უფალი იესო საჯაროდ ამხელს მათ, ხალხსა და მოწაფეებს აფრთხილებს და ეუბნება: **„მოსეს საყდარზე მწიგნობარნი და ფარისეველნი სხედან. მაშ, ყველაფერი, რის დაცვასაც გირჩევენ, დაიცავით და აღასრულეთ, მაგრამ მათ საქმეს ნუ მიბაძავთ, ვინაიდან ამბობენ და არ ასრულებენ“** (მათე 23, 2-3).

თავისი საქმისადმი სწორედ ეს თვალთმაქცური, ფარისევლური დამოკიდებულება იგულისხმება იგავში „ბოროტ მევენახეებზე“, სადაც მევენახეები ბოროტად იყენებენ შექმნილ ვითარებას, ივიწყებენ თავიანთ ნამდვილ მოვალეობას, აფართოებენ და აჭარბებენ თავიანთ უფლებებს და უკეთურად ეპყრობიან ღვთისგან მოგზავნილებს — **მონებს**.

წინასწარმეტყველნი და წინამძღოლნი

წინასწარმეტყველებად იწოდებოდნენ წმინდა ადამიანები, რომელთაც ღმერთი დროდადრო გამოარჩევდა და აგზავნიდა საკუთარი ნების საუწყებლად, ცოდვათაგან თავის ასარიდებლად, ცოდვათა მოსანანიებლად, საზოგადოდ — ურჯულოებით გამოწვეული სხვადასხვა სენისაგან თავის დასახსნელად, ასევე ღვთიური ძლევამოსილების დასამოწმებლად. წინასწარმეტყველის საქმე არ იყო მხოლოდ წინასწარმეტყველება, ანუ მომავლის მაუწყებლობა, როგორც ეს ადრეც ესმოდათ და ახლაც ჰგონიათ. რა თქმა უნდა, ეს შეადგენდა წინასწარმეტყველის მისიას, მაგრამ იგი უპირველესად იყო მაუწყებელი ღვთის ნებისა, საჯაროდ

განმცხადებელი ღვთის სიტყვისა და ღვთიური განგებულებისა. **წინასწარმეტყველის** ძველებრაული აღმნიშვნელი სიტყვა („ნავაიიმ“) თავისი შინაარსით დაკავშირებულია მჭევრმეტყველებასთან, ორატორობასთან, მაუწყებლობასთან (ისევე, როგორც შესაბამისი ძველბერძნული სიტყვა „პროფეტოს“). ბიბლიაში პირველად ***აბრაამი*** იწოდება წინასწარმეტყველად: *„კაცი წინასწარმეტყველი არის იგი და ილოცოს შენთუს და სცხონდე“*, – ამას ეუბნება სიზმრად მოვლენილი ღმერთი ***აბიმელექს*** აბრაამის გამო (დაბადება 20, 7). თუმცაღა ***აბრაამი*** არასოდეს წინასწარმეტყველებს. ***მოსეს*** ძმაც, ***აარონიც***, წინასწარმეტყველად იხსნიება (გამოსლვა 7, 1). იგია ბაგე, ქადაგი და წინასწარმეტყველი მოსესი: რაც მოსეს ღვთისაგან ეუწყებოდა, აარონის პირმეტყველებით გადაეცემოდა ხალხს.

წინასწარმეტყველს ვალად ედო მხოლოდ ღვთის სიტყვის განცხადება, მისი სათქმელი იყო მხოლოდ ღვთაებრივი სიტყვა. ამ სიტყვას იგი სულიწმიდის ძალით ამბობდა. ძველი აღთქმის დიდ წინასწარმეტყველთა საგანი იყო აღთქმული მესია, ქრისტე, მისი არსი, განხორციელება, ვნება და დიდება.

წინასწარმეტყველი მემატიანეც გახლდათ: ისრაელის დიდმა წინასწარმეტყველმა ***მოსემ***, ღვთისაგან ბოძებულ რჯულთან ერთად, თავისი ხალხის თავდაპირველი ისტორიაც ჩაწერა. სხვა წინასწარმეტყველებიც წერდნენ თხზულებებს ცალკეულ მეფეთა ცხოვრებაზე ან საეტაპო ისტორიულ მონაკვეთებზე.

ახალი აღთქმის ჟამს სიტყვა **წინასწარმეტყველი** აღნიშნავს როგორც ძველი აღთქმის წინასწარმეტყველს, ასევე ყველა იმ ქრისტიანს, ვინც ეკლესიურ წიაღში გააცხადებს ღვთის ნებას. ძველ და ახალ აღთქმათა შესაყარის წინასწარმეტყველია ***წმიდა იოანე წინამორბედი და ნათლისმცემელი***. როგორც ითქვა, იგი არის ძველი აღთქმის უკანასკნელი და ახალი აღთქმის პირველი წინასწარმეტყველი.

რაც შეეხება **მოციქულებს**, **ქრისტეს მოციქულობას**, მათ **სამოციქულო** მისიას – იგი განსხვავდება წინასწარმეტყველობისა-

გან, მისი როგორც ძველაღთქმისეული, ასევე ახალაღთქმისეული მნიშვნელობით. მოციქულებრივი და სამოძღვრებო ნიჭი მიჩნეულია უმაღლესად, უპირატესად. ქრისტიანული საეკლესიო სწავლების საქმეში ღვთისათვის სათნო და ყველაზე წარმატებული სწორედ სამოციქულო და სამოძღვრებო ღვაწლია.

წმიდა პავლე მოციქული ეფესელთა მიმართ ეპისტოლეში ამბობს, რომ მას გამოცხადებით ეუწყა ქრისტეს საიდუმლო: *„რომელიც არ გამჟღავნებია კაცის ძეთა სხვა თაობებს, როგორც აწ გამოეცხადა სულით მის წმიდა მოციქულთა და წინასწარმეტყველთ“* (ეფესელთა მიმართ 3, 4-5). იმავე ეპისტოლეში წმიდა მოციქული აღიარებს, რომ ქრისტეს საბოძვარი მადლის სახით მიეცათ რჩეულთ, რომელთაგან უფალმა იესო ქრისტემ დაადგინა ზოგი მოციქულებად, ზოგი წინასწარმეტყველებად, ზოგი მახარებლებად, ზოგიც მწყემსებად და მოძღვრებად, რათა *„სრულეყოთ წმინდანნი მსახურების საქმისათვის, ქრისტეს სხეულის ასაშენებლად“* (ეფესელთა მიმართ 4, 11-12).

წმიდა იოანე ოქროპირის განმარტებით, წინასწარმეტყველური ნიჭით ცხებული იმით განსხვავდება მოძღვრისაგან, რომ პირველი სულიწმიდის აღძვრით მეტყველებს, მეორე კი (მოძღვარი) — საკუთარი გულითა და გონებით.

ასე რომ, ჭეშმარიტი წინასწარმეტყველი ღვთის რჩეულია, რომლის საშუალებითაც ღმერთი ელაპარაკება ხალხს, განსაკუთრებით იმ ჟამს, როცა ხალხის წინამძღოლი — მეფე თუ სულიერი მწყემსი — ცდომილებაშია, როცა ქვეყანას საზარელი განსაცდელი ელის, როცა თავის ცოდვათა სიმრავლით ერი წარწყმედისა და დაღუპვის წინაშეა. მაშინაც ღაღადებენ წინასწარმეტყველის ბაგენი, როდესაც ღვთისმოშიშება ავიწყდება ხალხს, ღვთისადმი სასოება ეკარგება და გული აქვს დახშული ღვთისადმი რწმენისათვის; როდესაც მომძლავრებულია ურჯულოება ან მოძალებულია რჯულის აღსრულებისადმი ზედაპირული, გადაჭარბებული, ზედმიწევნითი დამოკიდებულება, რაც კლავს გულითად მორჩილებას, მცნებათა გულისხმიერ დაცვას და შობს

რჯულის მოჩვენებით, ფარისეველურ აღმსრულებლობას. ყოველივე ეს კი, საბოლოოდ, კაცს ღვთისაგან აშორებს.

მონების იგავურ ალეგორიაში სწორედ ეს შინაარსი და მნიშვნელობა იგულისხმა ჩვენმა უფალმა. ამ მონებს, ესე იგი, წინასწარმეტყველებს, ვენახის პატრონი შაშინ აგზავნის, როდესაც დადგება **ჟამი ნაყოფისაჲ** – ანუ რთველობა, ჟამი ნაყოფის მოღებისა. ღმერთმა ეს მონები იმ იმედით გამოგზავნა, რომ მათ აქ (ვენახში) დახვდებოდათ ღირსეული ნაყოფი: სულიერი უბიწოება, სათნოებანი, რწმენა, და სხვა სათნოებანიც. ამ კეთილი ნაყოფის გამოღება გმირობა კი არა, ვალია, მოვალეობაა, რომლის აღსრულებაც ღვთის წყალობითა და შეწევნით არის შესაძლებელი.

თავისი რჩეული ხალხისგან (მართლმორწმუნეთაგან) ღმერთი ითხოვს მორჩილებას, მადლიერებასა და სიყვარულს. მაგრამ ერის სულიერ ისტორიაში დგება ხოლმე ჟამი – კრიტიკული ჟამი, როცა ღმერთი განსაკუთრებულად, ერთგვარი ანგარიშსწორებით ითხოვს ამ ნაყოფს. სწორედ ამ კრიტიკული ჟამის წინასწარმეტყველებს განასახიერებენ იგავში **მონები.**

ვენახის პატრონის წასვლის შემდეგ, ესე იგი, მას შემდეგ, რაც ისინი ღმერთს განშორდნენ, მევენახეებმა იფიქრეს, რომ ვენახი მათი ანაბარა დარჩა და ვენახის ნაყოფიც მარტო მათი კუთვნილება უნდა ყოფილიყო. ნაყოფის მოწევის ჟამი რომ დადგა, პატრონმა მევენახეებს თავისი მონები გაუგზავნა, იმ მიზნით, რომ ნაყოფი მიეღო, ანუ მიეღო ის, რაც მას ეკუთვნოდა. მანამდე, სანამ მონებს გაგზავნიდა, ვენახის პატრონი მოთმინებით ელოდა ამ ჟამს: მანამდე იგი არც პასუხს სთხოვდა მევენახეებს და არც ანგარიშს. მაგრამ დადგა **ჟამი ნაყოფისაჲ** და ღმერთმაც მათთან გაგზავნა თავისი რჩეულნი – წინასწარმეტყველნი. იგი გამუდმებით აგზავნიდა მათ და მათი პირით ამხელდა მევენახეებს, სულიერ წინამძღოლებს: *„ნუ ჩაიდენთ სიბილწეს, რომელიც მე მძულს“* (იერემია 44, 4).

წინასწარმეტყველთა გამუდმებული გამოგზავნა, რაც იგავში პატრონის მიერ **მონების მრავალგზისი გაგზავნით** გამოიხატე-

ბა, ღმერთის დიდ სულგრძელობასა და მოთმინებაზე ღაღადებს. ამითვე მეღავნდება ღვთის დიდი წყალობა, რისი ღირსნიც არაერთხელ გამხდარან ხალხის წინამძღოლნი.

მევენახეთა საპასუხო ქცევა იგავში არაორაზროვნად მეტყველებს იმაზე, რომ **მონებს**, ანუ წინასწარმეტყველებს, მევენახეებმა არ დაახვედრეს ის კეთილი ნაყოფი, რომელსაც ღმერთი მათგან მოელოდა. როგორც ***წმიდა იოანე ოქროპირი*** ამბობს, მევენახეებმა თვითონ დაიტეხეს თავს სასჯელი: ღვთისგან მოვლინებულთ არა მარტო განურისხდნენ, არამედ იმათი სისხლითაც შეიღებეს ხელი. გაბოროტებული მევენახეები იმით იყვნენ დაიმედებულნი, რომ პატრონი განუსაზღვრელი დროით განშორდა თავის სამკვიდრებელს: ამდენი ხანი არ გამოჩენილა და, ვინ იცის, როდის მობრუნდებაო. გაამპარტავნებულმა მევენახეებმა ვენახის მესაკუთრეებადაც იგრძნეს თავი და, თვითდამკვიდრების მიზნით, ყოველივეს ხელყოფა განიზრახეს, რაც კი ან ვინც კი აღუდგებოდა წინ ვენახის დაუფლების ამ უსამართლო და უკეთურ განზრახვას.

ძველი აღთქმის წიგნებში წინასწარმეტყველთა დევნისა და მკვლელობის შემზარავი სურათებია აღბეჭდილი: მხილებისა და სიმართლის თქმის წილ მათ სიძულვილით ხვდებოდნენ, უმადურად ექცეოდნენ, ლანძღავდნენ, ბოროტმოქმედებას აბრალებდნენ, ცილს სწამებდნენ, გვემდნენ, საპყრობილეში აგდებდნენ, ქოლავდნენ, კლავდნენ. ***წმიდა პავლე მოციქული*** ებრაელთა მიმართ ეპისტოლეში წინასწარმეტყველთა ამგვარი ხვედრის გამო წერს:

„დრო არ მეყოფა იმ წინასწარმეტყველთა ამბის თხრობად, რომელნიც რწმენით სძლევდნენ მეფეებს, იქმოდნენ სიმართლეს, იღებდნენ აღთქმას, პირს უკრავდნენ ლომებს, შრეტდნენ ცეცხლის ძალას... ზოგიერთნი თავის მოკვეთით აღესრულნენ, სხვებმა დაითმინეს წამება და გვემა, ბორკილები და საპყრობილე; იყვნენ ჩაქოლილნი, შუაზე გადახერხილნი, ხმლით განგმირულნი, ცხვრისა თუ თხის ტყავებით მოარულნი, გაჭირვებულნი, ურ-

ვილნი, ძვირხილულნი, რომელთა ღირსიც არ იყო მთელი ქვეყანა, უდაბნოებსა თუ ტყე-ღრეში მოხეტიალენი, მღვიმეებსა და მიწის ხვრელებს შეფარებულნი" (ებრაელთა მიმართ 11, 32-38).

წმიდა მარკოზი და ***წმიდა ლუკა*** ამ იგავში წინასწარმეტყველთა სამგზის მოვლინებას მოიხსენიებენ, ***წმიდა მათე მახარებელი*** კი ორ მოვლინებაზე ლაპარაკობს, სადაც, ცხადია, ხსენებული სამივე მოვლინება იგულისხმება. „ბოროტი მევენახეების" იგავის განმარტებისას წინასწარმეტყველთა მოვლინების ქრონოლოგიაზეც მიუთითებენ: ***პირველი მონა წმიდა ლუკასთან*** მსაჯულთა დროს გამოგზავნილ წინასწარმეტყველთა გამომხატველი უნდა იყოს; **მეორე მონა** – იმ წინასწარმეტყველთა, რომლებიც მეფეთა და ***სამოელის*** დროს იყვნენ, **მესამე მონა** კი – ბაბილონის ტყვეობის დროინდელ წინასწარმეტყველთა.

ერთი საგულისხმო დეტალიც იქცევს ყურადღებას ამ მხრივ: „ბოროტი მევენახეების" იგავში მსახურება და ღვაწლი ღვთის წინაშე ეკისრებათ როგორც მევენახეებს – სულიერ წინამძღოლებს, ასევე მონებსაც – წინასწარმეტყველებსაც. ორივეს რჩეულის ხვედრი აქვს, ოღონდ, სულიერი წინამძღოლები ხალხის რჩეულნი არიან, წინასწარმეტყველნი კი ღვთისგან რჩეულნი.

მართალია, სულიერების დამცველს ასევე ღვთისაგან ებოძებოდა რჩეულობა და ღვთისგანვე ეძლეოდა უფლება რჯულის დაცვისა, რაც ერის სულიერებისა და ზნეობის ფხიზელ მოდარაჯეობას ავალებდა მას, მაგრამ მისი მოვალეობა ღვთისა და ხალხის წინაშე რჯულის ყოველდღიური, ყოველკამიერი აღსრულება იყო. ამას აპირობებდა იმ დროს გაბატონებული იუდაური თეოკრატიაც – სამღვდელოების მძლავრი მმართველობა. ამისგან განსხვავებით, წინასწარმეტყველები მარადის არ იყვნენ ხალხთან, ისინი დროდადრო ევლინებოდნენ ქვეყანას, მხოლოდ დიდი განსაცდელების ჟამს, ქვეყნისათვის უკიდურესად კრიტიკულ პერიოდებში, როცა ერს ღვთის განსაკუთრებული მზრუნველობა ესაჭიროებოდა.

ორივე საქმე – სულიერი წინამძღოლობაც და წინასწარმეტყველური მხილებაც – უაღრესად მაღალია ღვთის წინაშე, და ასევე

უაღრესად მნიშვნელოვანია ერის სულიერი ზრდის, ზნეობრივი სიწმინდისა და ღვთისადმი ერთგულად მსახურების თვალსაზრისით. მაგრამ სულიერი წინამძღოლობა ყოველდღიურობით, ყოველდღიური ცხოვრების წესით განისაზღვრება, წინასწარმეტყველური მისია კი საგანგებოა, განსაკუთრებულია.

ღვთისგან ორივე საქმეა კურთხეული, მაღალი პასუხისმგებლობა ორივეს წარმატების საწინდარია, მაგრამ წმიდა წერილი იუდეველთა საბედისწერო შეცდომის, მათი სულის წარმწყმედი შეცოდების სავალალო ამბავს გვიამბობს: ბოროტი მევენახეების მსგავსად, მათ საკუთარი ნებით თქვეს უარი ღვთისაგან ბოძებულ უფლებაზე – ყოფილიყვნენ ერის ღირსეული წინამძღოლები, დაეცვათ რჯულის სიწმინდე, აღესრულებინათ ღვთის მცნებები, მართალ გზაზე დაეყენებინათ ერი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათ უარყვეს ყოვლადმოწყალე ღვთისაგან მონიჭებული ყველა ის უფლება და პირობა, ის წმინდა აღთქმა, რომლის თანამიმდევრული დაცვით თავადაც და მთელი ერიც საკუთარი ცხოვრების კეთილად აღმშენებლობას შეძლებდა და ღვთივკურთხეულ ყოფას უკვე ამქვეყნადვე დაიმკვიდრებდა.

მართალია, სულიერი წინამძღოლები და წინასწარმეტყველები იღუპებიან, მაგრამ მათი აღსასრული ისევე განსხვავებულია და დაშორებულია ერთმანეთისაგან, როგორც მათი განზრახვანი, მიზნები და საქმენი. წინასწარმეტყველთა აღსასრული მოწამეობრივია, ღვთისაგან განმართლებულია – **„პატიოსან არს წინაშე უფლისა“** (ფსალმუნნი 115, 6). სულიერ წინამძღოლთა აღსასრული კი ღვთის სამართლიანი სასჯელია – **„ბოროტ არს“** (ფსალმუნნი 33, 21), ვინაიდან წინასწარმეტყველთა განზრახვა და მიზანი წმინდაა, სულიერ წინამძღოლთა ქმედებანი კი ბოროტია, უკეთურია, უმართებულოა და ღვთის საწინააღმდეგო.

რატომ აგზავნიდა ღმერთი ასე გამუდმებით თავის რჩეულებს, წინასწარმეტყველებს (იგავში – მონებს), თუკი მევენახეების ბოროტებას ზღვარი არ დაედებოდა? ყოვლისმცოდნე ღმერთმა ხომ ყოველივე უწყოდა. და რატომ თავიდანვე არ გაგზავნა ღმერთმა თავისი მხოლოდშობილი ძე?

ამ შეკითხვას სვამს *წმიდა იოანე ოქროპირი* და თავად უპასუხებს: თავისი ძის გაგზავნით ღმერთი შეეცადა, ბოროტ მევენახეებში აღეძრა მორიდება იმ უკეთურობისადმი, რაც მანამდე წინასწარმეტყველებს შეამთხვიეს, გამოეწვია სირცხვილი და, რაც მთავარია – სინანული ჩადენილ ბოროტებათა და ცოდვათა გამო.

შე-ხოლო თუ-იკდიმონ ძისაგან ჩემისა – იქნებ ჩემი ძისა მაინც მოერიდოთო. წმიდა ლუკას სახარებაში ვენახის პატრონის მზრუნველობა უფრო მძაფრად არის გადმოცემული: **„რა ვქნა? მოდი, გავგზავნი ჩემს საყვარელ ძეს, ვინ იცის, იქნებ მისი მაინც მოერიდოთ?“** (ლუკა 20, 13) – ასე ფიქრობს ვენახის პატრონი. ამ ღვთიური განსრახულობით მჟღავნდება უფლის სურვილი, გადაარჩინოს ცოდვილი, ასევე ვლინდება მისი სულგრძელობა და უსაზღვრო სიყვარული კაცთა მოდგმისადმი.

მსგავსი მონდომება და ცდა არის გაცხადებული *წმიდა იერემიას* წინასწარმეტყველებაშიც: *„იქნებ გაიგონ და მოიქცნენ თავიანთი ბოროტი გზიდან და მეც თავს შევიკავებ ბოროტისაგან, რასაც მათ ვუპირებდი მათი ბოროტი საქმეების გამო“* (იერემია 26, 13) – ამას ეუბნება უფალი წმიდა იერემიას იუდეველთა გამო.

„ბოროტი მევენახეების“ იგავის დასაწყისიდანვე უფალი იესო მიჰყვება *წმიდა ესაიას* წინასწარმეტყველებას (ესაია 5, 1-7) და დაწვრილებით აღწერს ვენახის პატრონის მზრუნველობას ვაზის ჩაყრიდან მევენახეებისთვის მისი იჯარით გადაცემამდე (იხ. ზემოთ, გვ. 46-49).

ამჯერად კი ერთადერთი ძის გაგზავნით დაიმედებული ვენახის პატრონის მოლოდინი ეხმიანება *წმიდა იერემიას* წინასწარმეტყველებას, ძველი აღთქმის იგავურ მასალას. თავის ცილისმწამებლებს უფალი იგავურად უთითებს, რომ იგი მოვიდა არა რჯულის დასარღვევად, არამედ სწორედ რჯულისა და წინასწარმეტყველების აღსასრულებლად.

ვენახის ერთადერთი მემკვიდრით ამ იგავში უფალი გამოხატავს საკუთარ თავს და წინასწარმეტყველურად მიანიშნებს თავის მომავალ ჯვარცმაზე, რომელიც სამიოდე დღეში აღსრ-

ულდება გულბოროტი მევენახეების პროტოტიპთა ხელით — სინედრიონელთა მონდომებითა და ძალისხმევით.

ზეციერი მეუფის სულგრძელობა და მევენახეთა გოროტება

„ბოროტი მევენახეების“ იგავში **ვენახის პატრონი**, ანუ ზეციერი მეუფე, საკვირველ სულგრძელობასა და სიყვარულს იჩენს უგუნური მევენახეების მიმართ. *წმიდა მარკოზ მახარებელი* შენიშნავს, რომ ვენახის პატრონს ჰყავდა **„ერთი ძე... საყუარელი თჳსი“** (მარკოზი 12 ,6). *წმიდა ლუკა მახარებელი* ვენახის პატრონის პირით გვაუწყებს: **„და თქუა უფალმან მან ვენაჴისამან: რაჲ ვყო? მივავლინო ძე ჩემი საყუარელი, ვინ უწყის, შეიკდიმონ“** (ლუკა 20, 13).

რაოდენ დამაფიქრებელია და გულისშემძვრელი **ვენახის პატრონის**, ანუ მამაღმერთის, ნდობა, სასოება, სიყვარული და უსაზღვრო მოლოდინი — კაცთა მოდგმის კეთილგონიერებისა! **ვინ უწყის** — ვინ იცის, იქნებ, ჩემი ერთადერთი, საყვარელი ძისა მაინც მოერიდოთო. რაღა თქმა უნდა, ღმერთმა ყოველივე უწყოდა, იცოდა ისიც, თუ რა ელოდა მის ძეს, და რას მოიმოქმედებდნენ დაუნდობელი მევენახეები, მაგრამ, როგორც შენიშნავენ, ამ სიტყვებით უფალი იესო ქრისტე იგავის მსმენელს განუცხადებს ზეციური სიყვარულის უკიდეგანობას, ღვთიური სახიერების კიდევ ერთ დიდებულ გამოვლინებას. ჩვენი უფალი ამით ნათელს ჰფენს ბოროტი მევენახეების ცოდვის სიმძიმეს და ცოდვის ჩამდენთა შეუნანებლობას.

ვენახის პატრონის, ანუ ღმერთის, ეს არაერთგზისი მცდელობა და საკუთარი ძის მეშვეობით ცოდვილთა გადარჩენის განზრახვა — **იქნებ ისმინონ, შეიკდიმონ** და **მოიქცნენო** — ძველი ალთქმის მოწმობითაც არის გაცხადებული.

წმიდა ეზეკიელ წინასწარმეტყველის წიგნიდან უთუოდ გეცნობათ ვენახის პატრონისეული განზრახულობაც და განგებულებაც: *„ადამის ძევ!“* — ეუბნება ღმერთი წინასწარმეტყველს, —

„მიგავლინებ ისრაელიანებთან, მოჯანყე ხალხთან, რომლებიც მიჯანყდებიან მე; მცოდავენ ისინი და მათი მამა-პაპა დღევანდლამდე, ურცხვი და ჯიუტი შვილები არიან, მათთან გგზავნი, რომ უთხრა: ასე ამბობს უფალი ღმერთი. გინდ მოგისმინონ, გინდ არ მოგისმინონ, რადგან ურჩნი არიან, ეცოდინებათ მაინც, რომ წინასწარმეტყველი იყო მათ შორის“ (ეზეკიელი 2, 3-5).

ამ წინასწარმეტყველებაში თვალში საცემია მიმართვა **ადამის ძევ!** ვინაიდან „ბოროტი მევენახეების“ იგავში პატრონი სწორედ **თავის ძეს**, თავის შვილს აგზავნის იმგვარივე განზრახვით, რაზეც ახლახან მოტანილ ციტატაში იყო ნათქვამი.

ასე რომ, იგავშიც და წინასწარმეტყველებაშიც მინიშნებული და მითითებულია არა ის, თუ რა სურვილი ამოძრავებდათ უკეთურთ და რას ლამობდნენ,რის გაკეთებას აპირებდნენ ისინი,არამედ ის, თუ რას მოიმოქმედებდნენ, რა ვალი დაიდეს თავიანთი ცოდვათქმნადობით და რა სასჯელიც ელოდათ მათ ამის გამო ღვთისაგან.

წმიდა მამები განსაკუთრებული სიფრთხილითა და გულმოდგინებით ეკიდებიან იგავის ამ ნაწილს, რადგან არის იმის საშიშროება, რომ მევენახეთა ბოროტების მიზეზი ვეძიოთ როგორც ***წმიდა ეზეკიელის*** წინასწარმეტყველებაში, ასევე, ნაწილობრივ, ვენახის პატრონის განზრახვაში თავისი ძის გაგზავნის გამო, და, მაშასადამე, ვაღიაროთ, რომ ეს ბოროტება (ძის მოკვლა) ღვთიური წინასწარგანზრახულობით აღსრულდა.

სწორედ ამ ცდომილებისა და მკრეხელობის თავიდან ასაცილებლად არის იგავში ხაზგასმით ნათქვამი ის, თუ რა უნდა მოემოქმედათ მევენახეებს, ესე იგი, ის, რაც უნდა მოემოქმედათ ისრაელიანებს, კერძოდ: მათ უნდა შეეწყვიტათ ჯანყი ღვთის წინააღმდეგ, უარი ეთქვათ ცოდვასა და ბოროტებაზე, მორჩილებით უნდა მიეღოთ მათთან სიყვარულით მოვლინებული ძე ღვთისა და ძე კაცისა! აი ამის იმედით აგზავნის ვენახის პატრონი თავის ერთადერთ საყვარელ ძეს მევენახეებთან. იმავე მკრეხელობისაგან თავდაცვის მიზნით არ აისახება პატრონის სიტყვებით ის, რასაც შემდეგ ჩაიდენენ მევენახეები, თუმცა პატრონმა, ანუ ღმერთმა, როგორც უკვე ითქვა, უწყოდა ყოველივე.

პერმანენტული, განუწყვეტელი ცოდვათქმნადობა, როგორც ჩანს, ადამიანს მარტო გონებას კი არ უბნელებს, თვალის სინათლეს კი არ უშრეტს, ყურს კი არ უხშობს, არამედ გულს უბოროტებს და სულს უბილწავს იმდენად, რომ იგი საკუთარი თავის მტრად იქცევა, საკუთარი ხელით იჭრის ყელსაც და გადარჩენისაკენ მომავალ ყველა გზასაც.

ასე დაემართათ იგავში მევენახეებს! ცოდვათა მიმართ მიდრეკილნი სიცოცხლეშივე ეზიარნენ ჯოჯოხეთს, ვინაიდან მათი გონება ვნებათაგან უკვე პყრობილი და „უფლებული“ იყო. ამიტომ ვეღარ შეაწუხებდათ მათ ვეღარც სირცხვილი და ვეღარც რიდი პატრონი-ღმერთისადმი. იგავში *წმიდა მათე* და *წმიდა ლუკა მახარებლები* შენიშნავენ: მევენახეებმა მისი ძე რომ დაინახეს, ბჭობა გამართეს და ერთმანეთს უთხრეს: **„ესე არს მკუდრი“** – აგერ, მკვიდრი, მემკვიდრეო, მოდი, მოვკლათ იგი და დავიპყროთო სამკვიდრებელი (მათე 21, 38; ლუკა 20, 14).

დიახ, ამ მევენახეებმა წარმოუდგენელი ბოროტება მოიმოქმედეს: მემკვიდრე მოკლეს! წინასწარმეტყველების (იგავის მიხედვით, მონების) მკვლელთა ნაშიერებმა – **ვენახის მუშაკებმა: „აღავსეს საწყაული მამათა თჳსთა“**. ამათზეა ნათქვამი *წმიდა ესაიას* წინასწარმეტყველებაში: *„ხელებს რომ აღაპყრობთ, თვალს გარიდებთ; ლოცვებსაც რომ მიმრავლებთ – არ ვისმენ; ხელები სისხლითა გაქვთ სავსე!“* (ესაია 1, 15). **არა კაცჰკლა** მცნების დამრღვევებმა არ მიატოვეს ბოროტი ჩვევა და ყველაზე საზარელი ფორმით დაარღვიეს იგი – მოკლეს ძე ღვთისა! *ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელის* თქმით, მათ მოკლეს მემკვიდრე – ძე ღვთისა, და ამით მოკლეს საწყისი თავიანთი სიკეთისა, დაიბნელეს წყარო ნათლისა, გაწყვიტეს ის ერთადერთი ძაფი, რომლითაც ჯერ კიდევ შეეძლოთ, გაებათ კავშირი უზენაესთან.

წმიდა იოანე ოქროპირი გოდებით მიმართავს ბოროტ მევენახეებს, მათ მსგავსთაც, და ეუბნება: *„იმის მაგივრად, რომ მისულიყავით და შეწყალება გეთხოვათ, დანაშაული ახალი, უფრო*

საზარელი ბოროტგანზრახვით დააგვირგვინეთ: მოდი, მოვკლათ იგიო; რა გინდოდათ, ურჯულონო, ქედფიცხელნო და ღვთის მოძულენო, რა ბრალი პოვეთ მასთან — დიდი ან მცირე? ნუთუ ის, რომ მან პატივი დაგდოთ, ღმერთი „აც იქმნა“ თქვენთვის, სასწაულები აღასრულა, ცოდვათა შენდობა მოგცათ, თავის სამეუფოში — ცის სასუფეველში მოგიწოდათ... მაგრამ შეხედეთ მათს სულმყრალობასა და გახრწნილებას!?“ — განაგრძნობს წმიდა მამა, — *„შეხედეთ მათს სიბოროტესა და სიშლეგეს, რა ინდომეს: მოვკლათ და... დავიპყროთო სამკვიდრებელი მისი!“*

ამის დასტურს *წმიდა იოანე ოქროპირი* ძველი აღთქმიდან შეგვახსენებს: *„საცდური დავუგოთ მართალს, რადგან ჩვენთვის ტვირთია მხოლოდ და ჩვენი საქმეების წინააღმდგომი; გვაყვედრის ცოდვებს რჯულის წინაშე“*, — ასე ამბობენ ერთმანეთში ულმრთოები (სიბრძნე სოლომონისა 2, 12). წმიდა ესაიას წინასწარმეტყველებაში ნათქვამია: „მათივე გამომეტყველება ამხილებს მათ და სოდომელებივით აცხადებენ თავიანთ ცოდვას, არ მალავენ — ვაი მათ სულს! ბოროტება მიაგეს საკუთარ თავს!“ (ესაია 3, 9).

„ბოროტი მევენახეების“ იგავის თითქმის ყველა კომენტატორი ავლებს პარალელს *იოსების* ძმებთან, რომლებიც, მსგავსად მევენახეებისა, შეითქვნენ. დაბადების წიგნის 37-ე თავში ვკითხულობთ: *„სხვა შვილებზე მეტად უყვარდა ისრაელს (იაკობს) იოსები, რადგან მისი სიბერის შვილი იყო. შეუკერა მას ჭრელი კვართი. დაინახეს ძმებმა, რომ ყველა ძმაზე მეტად უყვარდა იგი მამას და შეიძულეს, ველარ ელაპარაკებოდნენ მშვიდობიანად“* (37, 3-4). შემდეგ იოსების სიზმრებმა უფრო გააღვივა ძმების სიძულვილი, რადგან ამ სიზმრებში მინიშნებაა იოსების რჩეულობაზე, უპირატესობაზე. და აი, მამის დავალებით, იოსები: *„ძმების კვალს მიჰყვა და მათ მიაგნო. (ძმებმა) შორიდან მოჰკრეს მას თვალი და, ვიდრე ახლოს მოვიდოდა, განიზრახეს მისი მოკვლა. უთხრეს ერთმანეთს: შეხედეთ, მოდის ეს მესიზმრე. ახლა, მოდი, მოვკლათ და სადმე, ჭაში ჩავაგდოთ, ვთქვათ, ვითომ ნადირმა შეჭამა. მაშინ ვნახოთ, როგორ აუხდება სიზმრები“* (დაბადება 37, 17-20).

როგორც ვხედავთ, ეს ძველაღთქმისეული მინიშნება თითქმის სრულად მეორდება „ბოროტი მევენახეების“ იგავში. ძმებიც და მევენახეებიც ერთსა და იმავე ლექსიკას იყენებენ, როცა შეითქვებიან და ამბობენ: აგერ, შეხედე, მოდის ეს მესიზმრე, ეს მემკვიდრე, მოდი, მოვკლათო.

ორივე ბჭობისას გამიზნულობაც ერთი და იგივეა: ეს არის სამკვიდრებლის ხელში ჩაგდება და მისი დაუფლება, იმ სამკვიდრებლის ხელყოფა, რომელიც მათ არც მამისა და პატრონის კურთხევით ეკუთვნით და არც საკუთარი დამსახურებით. ორივე ბჭობა ღვთის განგებულების დარღვევისკენ არის მიმართული!

კომენტატორთა ყურადღებას კიდევ ერთი პარალელი იპყრობს, რომელიც ასევე მევენახეების ბჭობასთან პოვებს მსგავსებას. „ბოროტი მევენახეების“ იგავს უფალი იესო ქრისტე თავის ჯვარცმამდე სულ რამდენიმე დღით ადრე ჰყვება. ძის მოკვლასთან ერთად, უფალი იესო ამ იგავში მევენახეთა ბჭობასაც წინასწარმეტყველებდა. ამ ბჭობით გამოხატულია ის, რაც მართლაც აღსრულდა. *წმიდა იოანე მახარებელი* მე-11 თავში გვიამბობს: *ლაზარეს* აღდგინების შემდეგ იუდეველებმა ფარისევლებს ყოველივე აუწყეს: **„მაშინ შეკრიბეს მღვდელმთავრებმა და ფარისევლებმა სინედრიონი და თქვეს: რა ვქნათ? ეს კაცი მრავალ სასწაულს ახდენს. თუ თავის ნებაზე მივუშვებთ, ყველა იწამებს, და მოვლენ რომაელები და წაგვართმევენ ჩვენს ადგილ-მამულსაც და ხალხსაც. ერთმა მათგანმა, ვინმე კაიაფამ, რომელიც იმ წელიწადს მღვდელმთავარი იყო, უთხრა მათ: არაფერი თქვენ არ იცით, და არ ფიქრობთ, რომ უმჯობესია, ერთი კაცი მოკვდეს ხალხისათვის, ვიდრე მთელი ხალხი დაიღუპოს... იმ დღიდან შეითქვნენ, რათა მოეკლათ იგი“** (იოანე 11, 47-50. 53).

წმიდა იოანეს სახარებაში გაცხადებულია ნამდვილი მიზეზი და განზრახვა სინედრიონელებისა: მათ ეშინოდათ, არ დაეკარგათ პატივი, ძალაუფლება და გავლენა ხალხზე; ისინი ღმერთის ვენახში ესწრაფოდნენ პირველობას! წმიდა სახარებაში სინედრი-

ონელები ფარავენ ამ თავიანთ განზრახულობას, მაგრამ იმდენად დიდია მათი შიში იესო ქრისტესადმი, იმდენად დიდია მათი სურვილი და სწრაფვა პირველობისაკენ, რომ ბჭობისას მაინც იჩენს თავს სინედრიონელთა ნამდვილი გულისზრახვა: თავიდან მოიშორონ ის, ვინც, მათი აზრით, კანონიერ უფლებებს ართმევს და უსაგნოდ ტოვებს ამ წუთისოფელში: „რომაელები ჩვენს ადგილ-მამულებსა და ხალხს წაგვართმევენო", – შეშფოთებით ბრძანებენ ისინი, თუმცა ესეც თვალთმაქცობაა. სამშობლოს სიყვარული, ამ შემთხვევაში, მხოლოდ ფარია, რითაც სინედრიონელები ცდილობენ, თვალი აუბან ხალხს, კიდევ ერთხელ აცდუნონ ისინი და გააკეთილშობილონ საკუთარი განზრახვა. და ამ განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, სულისშემხუთველი თავმოყვარეობით მოცულნი და სისხლმოწყურებულნი, ყველაფრისთვის მზად არიან.

ჩვენ ვხედავთ, რომ **მემკვიდრის მოკვლის გზით მემკვიდრეობის ხელში ჩაგდების იდეა** ბიბლიაში გაცხადებულია როგორც ძველაღთქმისეული, ასევე ახალაღთქმისეული მნიშვნელობით: შურით შეპყრობილი ძმები იოსების თავიდან მოშორებით ცდილობენ სამკვიდრებლის მისაკუთრებას; სინედრიონელები კი ქრისტესმიერი ეკლესიის დამკვიდრებას აღუდგებიან წინ, იესოს თავიდან მოშორებით ეცდებიან ძველაღთქმისეული თეოკრატიით მოპოვებული უფლებების შენარჩუნებას.

მსგავსად ამისა, ვენახის პატრონის ძის თავიდან მოშორებით ინდომეს ბოროტმა მევენახეებმა საუფლო სამკვიდრებლის ხელში ჩაგდება. **ვენახის პატრონის ძე** – ძე ღვთისაა, უფალი იესო ქრისტეა. იგია სულიერი ვენახის პატრონი, ანუ ეკლესიის, ქრისტეს ეკლესიის უფალი: „**ყოველივე მომეცა მე მამისა ჩემისა მიერ; და არავინ იცის ძე, გარნა მამამან; არც მამაი ვინ იცის, გარნა ძემან, და რომლისაი უნდეს ძესა გამოცხადების, გამოუცხადოს**" (მათე 11, 27), – ამბობს უფალი იესო.

ამიტომ **ვენახის მფლობელობა** სახარების ამ იგავში ცის სასუფეველის დაუფლების იდეასაც გამოხატავს, რასაც ასე

უსირცხვილოდ ცდილობენ ბოროტი მევენახეები. მათ პქონდათ კარგი პირობები და საშუალება – უფლებაც კი – მოეპოვებინათ ღირსეული მფლობელობა და მკვიდრობა ამ ვენახისა – ცის სასუფევლისა, დაქირავებულ მუშაკებს შეეძლოთ, გამხდარიყვნენ ჭეშმარიტი მემკვიდრეები, მაგრამ, რომ იტყვიან, ვერ შეიშნოვეს, დაკარგეს ეს უფლება, და დაკარგეს საბედისწერო შეცდომის ფასად: ისინი საკუთარ თავს თვითონვე მიიჩნევდნენ ღვთის სასუფევლის განუყოფელ იგივეობად. ამით მათ თავიც დაიღუპეს და სულიც წარიწყმიდეს. ყოველივე ამის მიზეზთა მიზეზი კი იყო მოუნანიებლობა:

„არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა სინანულად“ (მარკოზი 2, 17) – ქადაგებდა უფალი იესო, მათ კი არ ესმოდათ.

„ხოლო სასუფევლის ძენი გარესკნელის ბნელში გაიყრებიან; და იქნება იქ ტირილი და კბილთა ღრჭენა“ (მათე 8, 12) – აფრთხილებდა მათ უფალი იესო, მაგრამ არც ესმოდათ და ვერც ხვდებოდნენ;

„და, აჰა ესერა, არიან უკუანაჲსკნელნი, რომელნი იყვნენ პირველ, და არიან პირველნი, რომელნი იყვნენ უკუანაჲსკნელ“ (ლუკა 13, 30) – უწინასწარმეტყველებდა მათ უფალი, და მაინც ვერ გულისხმისყოფდნენ, აღარც *წინასწარმეტყველ იერემიას* სიტყვები ახსოვდათ: *„გამოასწორეთ თქვენი ზნე და საქციელი, რათა მტკიცედ დაგასახლოთ ამ ადგილზე. ნუ დაენდობით ცრუ სიტყვებს, რომ ამბობენ: უფლის ტაძარია, უფლის ტაძარია, უფლის ტაძარიაო აქ! თუ გამოასწორებთ ზნესა და საქციელს, თუ სამართლიანად მოექცევით ერთმანეთს, არ შეავიწროვებთ ხიზანს, ობოლსა და ქვრივს, არ დაღვრით უბრალო სისხლს ამ ადგილზე, არ გაჰყვებით უცხო ღმერთებს თქვენდა საზიანოდ — მაშინ დაგასახლებთ ამ ადგილზე, ქვეყანაში, რომელიც მივეცი თქვენს მამა-პაპას უკუნითი უკუნისამდე“* (7, 3-7).

ჭეშმარიტად მარადიულობას გადასწვდება ეს წინასწარმეტყველება და იგი დღესაც ცხოველმყოფლად შემოგვესმის. ეს

ღვთის გაფრთხილება ყოველმა ადამიანმა, ყველა ქრისტიანმა უნდა იღოს ყურად — „ბოროტი მევენახეების“ იგავის ერთ-ერთი სათქმელიც ეს არის.

ბოროტმა მევენახეებმა მოიწადინეს, ულირსი გზით ჩაეგდოთ ხელში ვენახი, მისი მფლობელობა. თუმცა, შენიშნავენ, რომ მევენახეთა ბოროტი განზრახულობა და მემკვიდრის მკვლელობა უფრო მეტია და საზარელი, ვიდრე ულირსობა — ეს არის **სულიერი სიბრმავე და უგუნურება**, რასაც მხოლოდ განუზომელ ცოდვათქმნადობაში მყოფი თუ დაიტეხს თავს. მართლაც, განა გონივრულია იმის ფიქრი, რომ ვენახის უფალი, ანუ ზეციერი მამა, დაუსჯელად დატოვებს თავისი ძის მკვლელობას, და ამას არ მოჰკითხავს მემკვიდრის მკვლელებს?!

ვენახის მფლობელობის იდეასთან დაკავშირებით, ***ნეტარი ავგუსტინე*** ბრძანებს: *„მათ მოკლეს, რათა დაუფლებოდნენ ყოველივეს; და რაკი მოკლეს, სწორედ ამიტომ დაკარგეს ყოველივე“*.

ნეტარი მამის ამ განმარტებაში გვერდი-გვერდაა მევენახეთა უგუნურების მიზეზიც და ნაყოფიც: მიზეზია ულმერთობა — ღვთის წინააღდგომილება, ჯანყი მის წინააღმდეგ; ულმერთოდ, ღვთისადმი სასოებისა და რწმენის გარეშე დაუფლება იმისა, რაც ღმერთმა დააფუძნა და ღმერთმა არგუნა მათ. ისიც მიზეზია, რომ ღვთიურის დასაუფლებლად ისინი თვითრჯულობას ეწევიან, თვითგანმართლებისა და თვითდამკვიდრების გზას შესდგომიან, იმის მაგივრად, რომ ღვთივმმართველობის კანონები დაიცვან, მცნებათა აღსრულებით აღიჭურვონ და სინანულით დააღწიონ თავი ცოდვას. ხსენებული თვითგანმართლება და თვითდამკვიდრება იგავში კონკრეტულად მემკვიდრის მოკვდინებით გამოიხატება, ანუ იმ უგუნურებით, რის გამოც მათ, დაუფლებისა და შეძენის ნაცვლად, დაკარგეს ყოველივე: დაკარგეს ის, რაც ინდომეს, და ისიც, რის ღირსიც ვენახის პატრონმა მანამდე გახადა მევენახეები.

მევენახეები მართლაც ყველაზე დიდებული, უპირატესი და უსენაესი ღირსების წინაშე აღმოჩნდნენ: ეს იყო თავად უფალი იესო ქრისტე – ძე ღვთისა, მხოლოდშობილი, ერთადერთი საყვარელი ძე **და მემკვიდრე ზეციერი მამისა,** ერთადერთი მემკვიდრე ყოველივესი.

წმიდა პავლე მოციქული თავის ეპისტოლეებში ეფესელთა და ფილიპელთა მიმართ გვიბრძანებს: *„კურთხეულია ღმერთი და მამა – უფლის ჩვენის იესო ქრისტესი, რომელმაც გვაკურთხა ჩვენ იესო ქრისტეს მიერ – ყოველი სულიერი კურთხევით – ცაში... და წინასწარ დაადგინა, ვეშვილებინეთ იესო ქრისტეს მეოხებით... და რომლითაც იმოქმედა ქრისტეს მიერ, მკვდრეთით აღადგინა იგი, და მარჯვნივ დაისვა ზეცას, უზენაეს ყოველი მთავრობისა და ხელმწიფებისა და ძალისა და უფლებისა, და ყოველი სახელისა, რომელიც სახელდებულია არა მარტო ამ საწუთროში, არამედ მომავალშიაც, და ყველაფერი ფეხქვეშ დაუმორჩილა მას; და მისცა მას მთავრობა ყოველი ეკლესიისა“* (ეფესელთა მიმართ 1, 3. 5. 20-22) *„...რათა იესოს სახელის წინაშე მოიდრიკოს ყოველი მუხლი, ზეცისანი, ქვეყანისანი და ქვესკნელისანი, და ყოველმა ენამ აღიაროს, რომ იესო ქრისტე – არის უფალი სადიდებლად ღმრთისა მამისა“* (ფილიპელთა მიმართ 2, 10-11).

ბოროტმა მევენახეებმა, ანუ სინედრიონელებმა, იხილეს ძე კაცისა, მაგრამ ვერ დაინახეს, ვერ ამოიცნეს მასში **ჭეშმარიტი მემკვიდრე** ყოველივესი. *წმიდა იოანე ოქროპირი* ამის გამო საგანგებოდ მსჯელობს და გვასწავლის, რომ „ბოროტი მევენახეების“ იგავში **ვენახის პატრონის ძე – მემკვიდრეა,** მაგრამ იგი მემკვიდრეა არა როგორც ღმერთი, არამედ როგორც ადამიანი (ძე კაცისა), როგორც ღმერთი, – ხაზგასმით დასძენს წმიდა მამა, – იგი ყოველივეს შემოქმედია.

„ზარეშე ვენაჯისა ესე“

მაშასადამე, ამ იგავის მსმენელმა და მკითხველმა კარგად უნდა უწყოდეს, რომ ვენახის პატრონის ძისა და მემკვიდრის წინააღმდგომი **მევენახეები,** ფაქტობრივად, ღვთის წინააღმდგო-

მნი არიან. მაგრამ უფალი ამ იგავის მსმენელ სინედრიონელებს ამავე დროს მიანიშნებდა, რომ მევენახეები ღვთის განგებულების აღსრულების იარაღსაც წარმოადგენენ. უფრო მეტიც – უფალმა მათ წინასწარ აუწყა იგავურად და იმ ადგილზე მიუთითა, სადაც მას – ძესა და მემკვიდრეს მოკლავდნენ: „და განიყუანეს **გარეშე ვენაჯისა მის და მოჰკლეს** – ვკითხულობთ იგავში. *წმიდა მათე* და *წმიდა ლუკა მახარებლებისაგან* განსხვავებით, *წმიდა მარკოზ მახარებელი* შენიშნავს: **„შეიპყრეს იგი, მოკლეს და ვენახის გარეთ დააგდეს“ („გამოაგდეს იგი მიერ სავენაჯით“)** (მარკოზი 12, 8).

სამივე სახარებაში იგავის ეს მუხლი მიგვანიშნებს ქრისტეს ჯვარცმის ადგილზე – იერუსალიმის გარეთ, გოლგოთაზე: **„და როცა მიაღწიეს იმ ადგილს, რომელსაც ჰქვია თხემის ადგილი, ჯვარს აცვეს იქ“**, – გვიამბობს *წმიდა ლუკა მახარებელი* (ლუკა 23, 33). წმიდა იოანეს სახარებაში, როგორც *წმიდა მათესა* და *წმიდა მარკოზთან*, თხემის ადგილის ებრაული სახელწოდებაც მიეთითება: **„მივიდა იმ ადგილას, რომელსაც ჰქვია თხემისა, ხოლო ებრაულად გოლგოთა“** (იოანე 19, 17). *წმიდა პავლე მოციქული* ასევე შენიშნავს, რომ იესო **„გარეშე ბჭეთა იტანო“** (ებრაელთა მიმართ 13, 12).

სწორედ ასევე გაიყვანა *კაენმა აბელი* ველად, და იქ მოკლა იგი: *„და თქუა კაინ აბელის მიმართ: განვიდეთ ზოგად ველად. და იყო, ყოფასა მათსა ველს, აღდგა კაინ აბელის ზედა, ძმისა თჳსისა, და მოკლა იგი“* (დაბადება 4, 8).

ბოროტი მევენახეების გზა – **კაენის გზაა**, ისეთივე ვერაგული, უგუნური, ურჩობითა და შურით გამრუდებული გზა, რომელსაც ადამიანი სრულ გახრწნამდე მიჰყავს. ამ გზაზე შემდგარი, ბოლოს და ბოლოს, ღვთის სასჯელსა და რისხვას იმკის.

ვენახის პატრონის მოსვლა

და აი, იგავის თხრობის დასრულების შემდეგ უფალი იესო ქრისტე თავის მსმენელებს მიუბრუნდება და ეკითხება: **„მერედა,**

როცა მოვა ვენახის პატრონი, რას უზამს ამ მევენახეებს?“ (მათე 21, 40).

ეს შეკითხვა გაისმის სამივე სახარებაში – *წმიდა მათესი, წმიდა მარკოზის* და *წმიდა ლუკასი*. მაგრამ პასუხს ამ შეკითხვაზე, წმიდა მათეს სახარების მიხედვით, გასცემს მსმენელი, ხოლო წმიდა მარკოზისა და წმიდა ლუკას სახარებაში ამ შეკითხვას თავად უფალი იესო უპასუხებს. მსმენელთა პასუხი ასეთია: (ვენახის პატრონი) **„ბოროტად მოაკვდინებს** (მევენახეებს), **ხოლო ვენახს სხვა მევენახეებს მისცემს, რომლებიც დროულად ჩააბარებენ მოსავალს“**, ანუ ნაყოფს (მარკოზი 12, 9; ლუკა 20, 15). უფლის პასუხიც მსგავსია: **„მოვა ვენახის პატრონი, დახოცავს მევენახეებს და ვენახს სხვებს მისცემს“** (მარკოზი 12,9; ლუკა 20,16).

ვენახის პატრონის მოსვლა ამ იგავში იმაზე მიუთითებს, რომ ძის, მემკვიდრის მოკვლის შემდეგ ამოიწურა ყველა ის საშუალება, რომლითაც იუდეველებს სულის გადარჩენა შეეძლოთ – ის უკანასკნელი საშუალებაც კი, რომელიც ღვთიური სიყვარულის ყველაზე ძლიერი გამოხატულებაა, რადგან მანამდე ღმერთი მონებს აგზავნიდა, ახლა კი მემკვიდრე, თავისი საყვარელი ძე მოავლინა.

ვენახის პატრონის მოსვლა იმანაც განაპირობა, რომ მევენახეებმა არათუ გამოიყენეს ეს საშუალება, არათუ შერცხვათ და მოერიდნენ მემკვიდრეს, არამედ ხელყვეს, მოკლეს იგი და უბრალო, მართალი სისხლი დაღვარეს, ცოდვათა შორის უსაზარლესი ცოდვა ჩაიდინეს და ბოროტება საკუთარი ხელით მიაგეს თავიანთ თავს! ამ ბოროტმა მევენახეებმა თვითონვე დაისაჯეს თავი: ჯერ დათესეს, ესე იგი განიზრახეს, შემდეგ გააფხვიერგამარგლეს, ესე იგი, შეითქვნენ, დაბოლოს, მოიმკეს – აღასრულეს კიდეც. მაგრამ ნაყოფი ბოროტი შერჩათ – ეს ნაყოფია სასჯელი, რომელიც ჯერ თვითონ დაიტეხეს თავს და უკვე შემდეგ ღვითსგან დაატყდათ. ამაზეა ნათქვამი *წმიდა დავით მეფესალმუნესთან*: „აჰა ესერა ელმოდა სიცრუვე, მუცლად-იღო

სალმობაჲ და შვა უშჯულოებაჲ“ – „აჰა ჩაესახება სიმრუდე, დაორსულდება უკეთურებითა და შობს სიცრუეს“ (ფსალმუნნი 7, 14).

როგორც განმარტავენ, **ვენახის პატრონის მოსვლაში** არ იგულისხმება ქრისტეს მეორედ მოსვლა და საბოლოო სამსჯავრო. პატრონის მოსვლა წინასწარმეტყველური მინიშნებაა სასჯელსე, რომელიც, *ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელის* თქმით, ქრისტეს ჯვარცმიდან რამდენიმე ათეული წლის შემდეგ მართლაც აღსრულდა: ქრისტეს შობიდან 70-ე წელს იერუსალიმი ძირიანად დაინგრა, იუდეველთა დიდი ნაწილი დაიხოცა, დანარჩენები მონებად გაყიდეს ან დაიფანტნენ. რაც შეეხება ვენახის სხვებისთვის გადაცემას – ესეც აღსრულდა.

ვენახი იგავის ამ ნაწილში გამოკვეთილი სახარებისეული მნიშვნელობით წარმოდგება – ეს არის ეკლესია, რომელიც მკვდრეთით აღმდგარმა იესო ქრისტემ თავის მოციქულებს გადასცა. ამ იგავში ნახსენები **მოსავლის დროულად მოწევა** და კეთილი ნაყოფის მიღებაც აღსრულდა. ამას ამოწმებს „საქმე მოციქულთას“ წიგნი, სადაც ნათქვამია, რომ ათასობით ნათელღებული ემატებოდა ქრისტიანებს მას შემდეგ, რაც ისმენდნენ ქრისტეს მოციქულთა ქადაგებას.

სწორედ ქრისტიანები არიან **სხვა მუშაკნი**, რომელნიც დროულად მიიღებენ ვენახის ნაყოფს, ანუ ეკლესიას, ეკლესიური ცხოვრების წესს და წმიდა საიდუმლოთა მადლს.

წმიდა იოანე ოქროპირი შენიშნავს, რომ უფალმა პირდაპირ არ დაასახელა ის წარმართები, რომლებიც ეკლესიის, ღვთის სასუფევლის მემკვიდრენი იქნებოდნენ, რათა იუდეველნი არ გაელიზიანებინა.

უფლის შეკითხვის გამიზნულობა

შეკითხვა – როცა მოვა ვენახის პატრონი, რას უზამს ამ მევენახეებს? – უფალმა იესომ ყველას გასაგონად, ხალხის თანდასწრებით დასვა. ამ შეკითხვას კონკრეტული ადრესატი ჰყავს – ესენი არიან არაერთხელ ხსენებული სინედრიონელები:

მღვდელმთავრები, უხუცესები და ფარისევლები. წმიდა მათეს სახარების 21-ე თავის ბოლო მუხლები, ასევე *წმიდა მარკოზი* და *წმიდა ლუკა მახარებლებიც*, გვაუწყებენ, რომ მღვდელთმთავრებმა, მწიგნობრებმა და ფარისევლებმა მოინდომეს იესოს შეპყრობა, რადგან მიხვდნენ, რომ მათზე ამბობდა ამ იგავში, მაგრამ ხალხისა შეეშინდათ, მიატოვეს და გაეცალნენ იქაურობას.

„კეთილი სამარიტელის" იგავის თხრობამდე და თხრობის შემდეგაც უფალი სწორედ შეკითხვების დასმით აიძულებს რჯულისმეცნიერს, თვითონ გასცეს პასუხი მის მიერვე შემოთავაზებულ შეკითხვებს: **როგორ დავიმკვიდრო სასუფეველი? ვინ არს მოყვასი ჩემდა?**

„ორი ძის" იგავში უფალი თავის მსმენელ სინედრიონელებს ეკითხება: **რომელმა ძემ შეასრულა მამის ნება?** ამ დროსაც იძულებითი პასუხით გააცხადებენ სინედრიონელები იმას, რასაც ნებით არასოდეს აღიარებდნენ და, უკეთურებასთან ერთად, საკუთარ განაჩენსაც თავისი პირით გაამჟღავნებენ.

საგულისხმოა, რომ „ბოროტი მევენახეების" იგავს წინ უძღვის იგავი „ორ ძეზე". როგორც ჩანს, ორივე იგავის თხრობისას უფალს ერთი და იგივე მსმენელი ჰყავდა. უფალი იესო ჩვეული, კეთილად ნაცადი ხერხით წარმართავს თავის იგავურ ქადაგებას. იგულისხმება შეკითხვის დასმით მსმენელის გულისზრახვისა და გულისთქმის უნებლიე გამჟღავნება და გაცხადება.

ასე დაემართათ „ბოროტი მევენახეების" მსმენელებსაც, კერძოდ, სინედრიონელებს. „ორი ძის" იგავის მოსმენისას ქრისტემ ისინი ურჯულოებაში ამხილა, „ბოროტი მევენახეების" იგავში კი ამან იმდენად გამჭვირვალედ იჩინა თავი, იმდენად არაორაზროვნად მიანიშნა უფალმა მათს ბოროტ გულისთქმაზე, რომ არც სინედრიონელებს და არც იგავის სხვა მსმენელებს აღარ გაუჭირდებოდათ, მიმხვდარიყვნენ: უფალმა იესომ კარგად უწყოდა, თუ ვინ უპირებდა მას მოკვლას. ეს იყო საჯაროდ განცხადებული წინასწარუწყება იესო ქრისტეს უცილობელ მკვლელობაზე.

და სწორედ ამ მიზეზით გახდნენ იძულებულნი სინედრიონელები, იესოს შეკითხვაზე მოჩვენებითი სიმშვიდით, სინამდვილე-

ში კი უსირცხვილოდ, თავხედურად ეპასუხათ: პატრონი ბოროტ მევენახეებს ბოროტად წარწყმედს, დახოცავს, ვენახს კი სხვებს გადასცემს, იმათ, ვინც დროულად მისცემს ნაყოფს. ესეც განაჩენი იყო — საკუთარი პირით ამოთქმული განაჩენი თავიანთ მომავალ ბედზე, რაც, როგორც უკვე ვთქვით, აღსრულდა კიდეც ორმოციოდე წლის შემდეგ: უფლის ტაძარი იერუსალიმთან ერთად დაინგრა, ებრაელი ერი გაიფანტა, ეკლესია კი ქრისტეს მოციქულებს მიეცათ.

წმიდა ბასილი დიდი სინედრიონელთა გამო შენიშნავს: *„მათ თვითვე განიკითხეს საკუთარი თავი, და აღარანაირი უფლება აღარ დაიტოვეს თავის მართლებისათვის“.*

მართლაც, თავის მართლების ყველა გზა მოჭრილი იყო მათთვის და სინედრიონელებმაც „მიატოვეს (იესო) და გაეცალნენ“, — აღნიშნავს *წმიდა მარკოზ მახარებელი* (მარკოზი 12, 12).

ნუ იყოფინ!

„ბოროტი მევენახეების“ იგავის ეს ადგილი დიდი სიფრთხილითა და გულმოდგინებით განიმარტება კომენტატორთა მიერ: ყურადღებას აქცევენ იმ შეძახილს, რომელიც გაისმის წმიდა ლუკას სახარების მე-20 თავის მე-16 მუხლში: უფალი აქ თვითონ უპასუხებს (წმიდა მათეს სახარებისგან განსხვავებით) შეკითხვას და ამბობს: „მოვა (პატრონი) და დახოცავს ამ მევენახეებს, ხოლო ვენახს სხვებს მისცემს“. *წმიდა ლუკა მახარებელი* კი დასძენს: „და ამის მსმენელებმა თქვეს: ღმერთმა ნუ ქნას!“ — ძველი ქართულით: ნუ იყოფინ!

ამასთან დაკავშირებით, კომენტატორთა განმარტება ორი მიმართულებით წარიმართება. ერთნი ეთანხმებიან *წმიდა იოანე ოქროპირს* და გვირჩევენ, წმიდა სახარების ეს იგავური მასალა მთლიანობრივად, ერთიანობაში აღებული განვიხილოთ. მათი თქმით, სამივე მახარებლის მონათხრობი არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს, არამედ ავსებს და აერთიანებს ერთ სათქმელს, კერძოდ: სინედრიონელთაგან ერთმა ნაწილმა ვერ შეისმინა, ვერ მიუხვ-

და ამ იგავის ნამდვილ მიზანს და უფლისმიერ შეკითხვაზე გაუცნობიერებლად, უნებურად გასცა პასუხი. მათ არც კი უწყოდნენ, რომ ამ პასუხით საკუთარი განაჩენი გამოთქვეს ყველას გასაგონად. ეს წმიდა მათეს სახარებაშია ასახული. მაგრამ დანარჩენმა სინედრიონელებმა, რომლებიც მიხვდნენ, რომ იგავი მათთვის ითქვა, უნებურად წამოიძახეს: **ნუ იყოფინ! ღმერთმა ნუ ქნას, ღმერთმა დაგვიფაროს ამისგანო!** – ეს კი წმიდა ლუკას სახარებაშია.

თუმცა კომენტატორთაგან ზოგიერთი მიიჩნევს, რომ **ნუ იყოფინ!** ხალხის წამოძახილი უნდა იყოს, და არა სინედრიონელებისა, რადგან მღვდელმთავრები, მწიგნობრები თუ ფარისევლები უფრო მეტ სიფრთხილეს გამოიჩენდნენ და დუმილს არჩევდნენ. ხალხის პირით გამოთქმული **ნუ იყოფინ!** – ამავე კომენტატორთა განმარტებით, იმის მაუწყებელი უნდა იყოს, რომ ისინი შეშინდნენ, შეძრწუნდნენ იმ წინასწარმეტყველური უწყებით, რომელიც იგავით მიაწოდა უფალმა. ამავე შეძახილით, შესაძლოა, მათ იმის რწმენაც გამოხატეს, რომ ისრაელიანებს ღვთივრჩეულობა არასოდეს წაერთმეოდათ: არ შეიძლება ასეთი რამ მოხდეს და ღვთივრჩეულობა წაგვართვას ზეციერმაო.

„ლოდი... თავ კიდეთა“

წმიდა ლუკას სახარებაში **ნუ იყოფინ!** შეძახილის შემდეგ ვკითხულობთ: **„ხოლო თავადმან მიხედა მათ და ჰრქუა: ვითარ არს წერილი ესე: ლოდი რომელ შეურაცხ-ყვეს მაშენებელთა, იგი იქმნა თავ კიდეთა?“** (ლუკა 20, 17).

უფალმა *წმიდა დავით მეფსალმუნე* დაიმოწმა: **„ლოდი, რომელ შეურაცხ-ჰყვეს მაშენებელთა, ესე იქმნა თავ კიდეთა. უფლისა მიერ იყო ესე და არს საკჳრველ წინაშე თუალთა ჩუენთა“** (ფსალმუნნი 117, 22-23).

უკვე ითქვა, რომ კომენტატორები ერთხმად აღიარებენ მსგავსებას, რომელიც აშკარად არსებობს ამ იგავსა და წმიდა ესაიას წინასწარმეტყველებაში (ესაია 5, 1-7) წარმოდგენილ ბიბლ-

იურ-სახარებისეულ სახეებს შორის, კერძოდ, იგულისხმება ამ წინასწარმეტყველებაში ჩენილი ვენახი, მისი ჩაყრა, საწნახელი, კოშკი, უნაყოფობა.

თუმცა ასევე მსგავსია ამ წინასწარმეტყველებასა და იგავში გაცხადებული ღვთიური განგებულება მომავალ სასჯელსე, რომელიც ერსა თუ კაცს სწორედ სულიერი უნაყოფობის გამო დაატყდება თავს. სახარების ამ იგავშიც, ხსენებული შეკითხვის შემდეგ, იგავის მსმენელი ჯერ შეიტყობს იგავურ წინასწარუწყებას ბოროტ მევენახეთა დახოცვისა და ვენახის სხვათათვის მიკუთვნების შესახებ; შემდეგ უფალი შეგვახსენებს ამ ფსალმუნისეულ წინასწარმეტყველებას **თავკიდურ ლოდზე**, ქვაკუთხედზე, დაბოლოს, კვლავ სასჯელთან დაკავშირებულ იგავურ მინიშნებას დაურთავს, კერძოდ, უფალი ლოდის ალეგორიას ავითარებს და ამბობს: **„რომელი დაეცეს ლოდსა მას ზედა, შეიმუსროს; და რომელსა ზედა დაეცეს, განანქრიოს იგი“** (მათე 21,44; ლუკა 20,18).

„ბოროტი მევენახეების“ იგავის კომენტატორები საგანგებოდ განმარტავენ ლოდის, ანუ ქვაკუთხედის, სახარებისეულ მნიშვნელობას. თავსაკიდურ ლოდს ბიბლიაში რამდენიმე საღვთისმეტყველო შესატყვისობა აქვს, როგორც ძველ, ისე ახალ აღთქმაში. მეტად საგულისხმოა, რომ თვითონ უფალი იესო ქრისტე უწოდებს თავის თავს ლოდს, იმ ლოდს, **რომელ შეურაცხ-ყვეს მაშენებელთა** და, რომელიც, მიუხედავად ამ შეურაცხყოფისა — **იქმნა თავ კიდეთა**, ანუ თავსაკიდურ ლოდად, ქვაკუთხედად იქცა.

იოვანე საბანისძე თავის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში „წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტჱსისა ჰაბოჲსი“, კერძოდ, პირველ თავში, უფალ იესო ქრისტეს თავსაკიდურ ლოდად იხსენიებს და ამბობს: **„ლოდ საკიდურ ეწოდა წინასწარმეტყუელისა მიერ, რამეთუ ესე არს, რომელი იგი შეურაცხ და განგდებულ იქმნა მლვდელთმოძღუართა მათგან და მწიგნობართა ნათესავისა ჰურიათაჲსა იერუსალემს, არამედ ესე თავ ყოველთა ცისკიდეთა იქმნა“.**

როგორც ვხედავთ, *იოვანე საბანისძე* ამ ნაწყვეტში წმიდა დავითის წინასწარმეტყველებაში ნახსენები **მაშენებლების** განმარტებასაც გვაწვდის. თხსულების ავტორი ამბობს, რომ **თავსაკიდურ ლოდად** ჯერ კიდევ ***წმიდა დავითის, წინასწარმეტყველისა და მეფსალმუნის,*** მიერ იყო წოდებული იესო ქრისტე — იგივე მესია, რომელიც ღმერთმა თავის რჩეულ ერთან მოავლინა, მაგრამ იგი შეურაცხყვეს, უარყვეს და არ მიიღეს სინედრიონელებმა — მღვდელთმთავრებმა და მწიგნობრებმა. მათ ისევე 'შეურაცხყვეს მესიად მოვლენილი ქრისტე, როგორც თავსაკიდური ლოდი — მაშენებლებმა. *იოვანე საბანისძე* იმასაც შენიშნავს ხაზგასმით, რომ ეს **ლოდი,** ანუ **იესო ქრისტე,** დაიდო **ყოველთა ცის კიდეთა,** ესე იგი, ზეციური კიდის (კუთხის) თავში.

შეურაცხყოფა ამ შემთხვევაში იესო ქრისტეს მოკვლას, მის ჯვარცმას გულისხმობს. იუდეველმა მოძღვრებმა ჯერ შეურაცხყვეს და შემდეგ **ვენახის გარეთ განაგდეს** იესო ქრისტე. გავიხსენოთ იგავიდან: **„გამოაგდეს იგი მიერ სავენაჯით“** (მარკოზი 12, 8). ეს **უგუნური** მაშენებლები გამოუსადეგარი ქვასავით მოექცნენ მას — ქრისტეს, ყოველთა თავს და ყოველთა კიდეთა შემაერთებელს, ცისა და მიწის დამაკავშირებელს. მღვდელმთავრებს, მწიგნობრებსა და რჯულისმეცნიერებს რჯულის შენება ევალებოდათ, რჯულისმიერი შენობის აღმართვა მართებდათ, რათა ერი მომზადებული შეხვედროდა ღვთისაგან აღთქმულ მესიას; მაგრამ თავიანთი თვალთმაქცობით, ამპარტავნებითა და ცოდვათქმნადობით რჯულის მსახურნი რჯულის მონებად იქცნენ, რის გამოც ვერ აღასრულეს თავიანთი ვალი და ვერც იგი ამოიცნეს, ვინც მათაც და ერსაც შემწედ მოევლინა.

„ოავაშვებულობითა და უგბილობით რა აღარ ჩაიდინეს ხალხის ამ ცრუწინამძღვრებმა“, — ამბობს ***წმიდა იოანე ოქროპირი,*** — *„არც წინასწარმეტყველთა ხმა ისმინეს, არც ერისა შეიგნეს, არც უფლის სიტყვას მიუგდეს ყური და არც საკუთარი სიტყვისა შერცხვათ. მათ, როგორც ეს წმიდა ესაისთან არის ნათქვამი, საკუთარი 'ურჯულოების ეკლისგან შეთხზეს გვირგვინი და იგი*

ყოველთა მეუფეს დააღგეს თავზე; მათვე ღალადეყეს საქვეყნოდ: „ალილე ეგე, ალილე და ჯუარს-აცუ“, ისე დაებნელდათ გონება შურისა და დიდებისმოყვარეობისაგან“, – განაგრძობს წმიდა მამა, – *„რომ გაუგონარ ცილისწამებასაც არ მოერიდნენ: „ხალხს აცდუნებსო“, „ეს კაცი ღმერთისგან არ არისო“, „ეშმაკი არს შენთანო“,* – *ამასაც კი უბედავდნენ“* (შდრ.: საქმე მოციქულთა 6, 11-14).

თავსაკიდური ლოდის ბიბლიური ალეგორია ძველ აღთქმაში წმიდა დანიელის წინასწარმეტყველებაშიც მოიპოვება. ვისაც წაუკითხავს ბიბლიის ეს წიგნი, შეუძლებელია, არ ახსოვდეს ბაბილონის მეფე ***ნაბუქოდონოსორის*** სიზმრის ამბავი. მეფემ ბრძენ ქალდეველ მოგვებსა და შემლოცველებს მოსთხოვა, ჯერ გამოეცნოთ, რა სიზმარი ნახა მან, და შემდეგ აეხსნათ იგი. ცხადია, ბრძენებმა მეტად გაიკვირვეს მეფის უცნაური ახირება და უარი თქვეს მის შესრულებაზე. ამით განრისხებული ნაბუქოდონოსორის ბრძანებით, ბრძენთა ხოცვა-ულეტა დაიწყეს. იგივე ბედი ელოდათ ***დანიელს*** და მის მეგობრებს, მაგრამ ებრაელმა ყმაწვილებმა ლოცვით გამოითხოვეს უფლისაგან წყალობა. დანიელს ღამის ხილვით ეუწყა საიდუმლოს ახსნა. იგი ეახლა მეფე ნაბუქოდონოსორს და უამბო მისი სიზმარი: *„ხედავდი, მეფევ, ერთ დიდ კერპს, უსარმაზარსა და საშინელს, რომელსაც თავი წმინდა ოქროსი ჰქონდა, მკერდი და ხელები – ვერცხლისა, მუცელი და ბარძაყები – სპილენძისა, წვივები – რკინისა, ფეხები ნაწილობრივ რკინის, ნაწილობრივ – თიხისა. შენ დაინახე, რომ ხელისუკვრელად მთას მოსწყდა ერთი ლოდი,დაეცა კერპს,რკინისა და თიხის ფეხებზე მდგარს, და შემუსრა იგი. მაშინ ყველაფერი ერთიანად დაიფშვნა... ქარმა წაიღო ისინი და მათი ნატამალიც კი აღარ დარჩა. ხოლო ის ლოდი,კერპი რომ შემუსრა,ვეებერთელა მთად იქცა და მთელი დედამიწა აავსო“* (დანიელი 2, 2-49).

წმიდა დანიელ წინასწარმეტყველის ამ ნაწყვეტში მთიდან ხელისუკვრელად – კაცის ხელის დაუხმარებლად – ღვთის ნებით მომწყდარი ლოდი ამსხვრევს და აცამტვერებს კერპს, ანუ ღმერთი სასჯელს მოუვლენს იმ ხალხებსა და ქვეყნებს,

რომლებიც კერპთა თაყვანისცემაში არიან და ერთ ღმერთს არ აღიარებენ.

მსგავსად სახარების ამ იგავისა, **ლოდი** აქაც **იესო ქრისტეა**, რომელმაც თავისი უსენაესი მოძღვრებით შემუსრა რომის იმპერიის უხეში წარმართული ძალა და მთელი ქვეყნიერება აავსო ჭეშმარიტი ღვთის სიტყვით – ქრისტეს სწავლებით. როგორც განმარტავენ, ***წმიდა დანიელის*** ამ წინასწარმეტყველებაში **მთა** გამოხატავს ძველი აღთქმის ეკლესიას,რომელსაც ქვის, ლოდის სახით მოსწყდა მესიანური ეკლესია – ახალი აღთქმის ქრისტეს ეკლესია. ეს კი, ***ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელის*** თქმით, ნიშნავს, რომ ქრისტეს ეკლესია ისევე აერთებს ძველსა და ახალ აღთქმისეულ სულიერ წიაღს, როგორც თავკიდური ქვა – შენობის ორ კედელს. ის, რაც ვერ აღმართეს იუდეველებმა – აღიმართა შეურაცხყოფილი და უგულებელყოფილი ქვა-ლოდით.

ამგვარად აღმართული შენობის ტოლფასია „ბოროტი მევენახეების“ იგავში ის სულიერი ვენახი, რომელიც ამ მევენახეებისთვის ჩაყარა ვენახის პატრონმა, მაგრამ შემდეგ, მევენახეთა უგუნურების გამო, მისი სხვებისთვის გადაცემა მოუხდა.

მთის და **ლოდის** ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით სხვა ბიბლიურ-საღვთისმეტყველო მნიშვნელობაზეც მიუთითებენ: **ლოდი** – მესიაა, იესო ქრისტე, ხოლო **მთა** – ყოვლადწმიდა ქალწული მარიამი: **„წინადათვე გქადაგებდეს, უბიწოო, წინადასწარმეტყუელნი გამოგსახვიდეს... მთად გამოუკვეთელად“, –** ვკითხულობთ ღვთისმშობლის საგალობელში. ძლისპირში კი წერია: **„ლოდი საკიდური უხელოდ გამოეკუეთა შენგან, მთაო“, „კლდისაგან გამოუკვეთელსა გამოხუედ, ქრისტე, რომელი არს დედად ქალწული უქორწინებელისა“.**

ასე რომ, **ლოდის** სახე-სიმბოლოში მონიშნული საღვთისმეტყველო შინაარსი – წინასწარმეტყველება მესიის, ქრისტეს მოვლინებაზე და ქრისტეს ეკლესიის საყოველთაო დამკვიდრებაზე – ძველ აღთქმაშია დამოწმებული (წმიდა დავითის, წმიდა ესაიას, წმიდა დანიელის წინასწარმეტყველებაში). ამასვე ადასტურებს

ახალი აღთქმის წიგნებიც (საქმე მოციქულთა, წმიდა პეტრეს, წმიდა პავლეს ეპისტოლეები). მაგალითად, პირველ ეპისტოლეში კორინთელთა მიმართ *წმიდა მოციქული პავლე* ქრისტესმიერ ძმებს შეახსენებს და აფრთხილებს: *„მინდა, იცოდეთ, ძმანო, რომ ჩვენი მამები, ყველანი, ღრუბლის ქვეშ იყვნენ და ყველამ გამოვლო ზღვა. და ყველამ მოსეს მიერ ნათელ-იღო ღრუბელსა და ზღვაში. და ყველანი ერთსა და. იმავე სულიერ საჭმელს ჭამდნენ. და ყველანი ერთსა და იმავე სულიერ სასმელს სვამდნენ. ვინაიდან სვამდნენ სულიერი კლდისაგან, რომელიც მიჰყვებოდა მათ. ხოლო ეს კლდე იყო ქრისტე“* (1 კორინთელთა მიმართ 10, 1-4).

უაღრესად საგულისხმოა *წმიდა დანიელ წინასწარმეტყველის* ღვთიური უწყება *ლოდის*, ანუ მოვლინებული მესიის, საუკუნო მეუფებაზე: *„ზეციერი მეფე დაამყარებს სამეფოს, რომელიც უკუნისამდე არ დაიქცევა, და მისი ხელმწიფება სხვა ხალხში არ გადავა. იგი შემუსრავს და დააქცევს ყველა სამეფოს, თავად კი უკუნისამდე იდგება“* (დანიელი 2, 44).

წმიდა მთავარანგელოზმა გაბრიელმა სწორედ ეს წინასწარმეტყველური უწყება აახლა მიმადლებულ ქალწულ მარიამს, როდესაც სიხარულით მოიკითხა იგი და უთხრა: **„და აჰა, მუცლად ილებ, და შობ ძეს, და უწოდებ მას სახელად იესოს. დიდი იქნება იგი, და უზენაესის ძედ იწოდება, და მისცემს მას ღმერთი მამამისის დავითის ტახტს, და იმეფებს იაკობის სახელზე საუკუნოდ, და არ იქნება დასასრული მისი სუფევისა“** (ლუკა 1, 31-33).

ამ სიტყვებით გაცხადებულია მთიდან ხელისუკვრელად მოწყეტილი ლოდის ძველაღთქმისეული წინასწარმეტყველება, სადაც მთა – ყოვლადწმიდა ქალწული მარიამის წიაღია, ლოდი – ამ წიაღიდან მოწყვეტილი, ანუ მარიამისაგან შობილი იესო ქრისტე.

როგორც დავრწმუნდით, „ბოროტი მევენახეების“ იგავის თხრობის დასასრულ, უფალი იესო ქრისტე იგავის სათქმელის ახალ წახნაგს მოუნიშნავს თავის მსმენელს და მიაწვდის ბიბლიურ

ალეგორიას **ლოდი, თავკიდური ქვა, ქვაკუთხედი,** რასაც კონკრეტული მნიშვნელობა აქვს მინიჭებული – ეს არის თავად უფალი იესო ქრისტე. იგია ნაწინასწარმეტყველები *„გამონაცადი ქვა, ძვირფასი ქვაკუთხედი და მყარი საძირკველი“* (ესაია 8, 16) და მასზე დაეშენა და აღმოცენდა ქრისტეს ეკლესია. ამ ეკლესიის სახლეულნი, *წმიდა პავლე მოციქულის* სიტყვით რომ ვთქვათ, არიან: *„მოციქულთა და წინასწარმეტყველთა საფუძველზე დაფუძნებულნი“*, იმ სახლის მკვიდრნი, *„რომლის ქვაკუთხედი თვითონ იესო ქრისტეა“*, – დასძენს წმიდა მოციქული (ეფესელთა მიმართ 2, 20), და ამ სახლის ახალაღთქმისეული მნიშვნელობის გამო ამბობს: „(იესო ქრისტეთი) *მთელი შენობა მწყობრად ნაგები, წმიდა ტაძრად აღიმართება უფალში“* (ეფესელთა მიმართ 2, 20-21).

ამგვარად იკვეთება **ქვაკუთხედზე, კლდეზე მკვიდრად აღმართული შენობის** – ეკლესიის ბიბლიური სახე-სიმბოლო. ძველაღთქმისეული გააზრებით, ეს **შენობა** გათანაბრებულია იუდეველთა სახელმწიფოსთან, რომელიც **საულმა** და თორმეტი ტომის უხუცესებმა ააგეს. **უარყოფილი და შეურაცხყოფილი ქვა,** ამ შენობის თავკიდურად რომ იქცა ღვთის ნებით – **დავითია,** გოლიათის მძლეველი ცხებული მეფე, ვითარცა წინარეხატი მესიისა – ქრისტესი, ძისა დავითისა. ამ შენობის თავკიდური ქვით შეერთებული **ორი კედელი** ასევე მიანიშნებს ძე კაცისას და ძე ღვთისას ორბუნებოვნებაზე, კაცობრივ და ღვთაებრივ ბუნებაზე, რაც უფალ იესო ქრისტეში შეურევნელად არსებობდა.

იმასაც შენიშნავენ, რომ **შენობის** ამ სახე-სიმბოლოში მოიაზრება ორმხრივი მითითება: ქრისტეს მოსვლით, მისი ცხოვრებით, სწავლებითა და ჯვარცმით გასრულდა ძველი აღთქმის შენობის აგება და დაიწყო აღმართვა ახალი აღთქმის შენობისა, სადაც ქრისტეს შუამდგომლობით მადლმიღებული ქრისტიანები შეუდგნენ მსახურებას *„ქრისტეს სხეულის ასაშენებლად“* (ეფესელთა მიმართ 4, 12).

წმიდა იოანე ოქროპირი შენიშნავს, რომ ამ საკიდური ქვა-ლოდით შეერთდა **ორი** კედელი, მანამდე გაყოფილი და და-

შორებული კედლები შეიკრა. წმიდა მამის თქმით, ეს კედლებია ებრაელთაგან და წარმართთაგან შემოკრებილი მორწმუნე ქრისტიანები, რომლებიც მანამდე ქრისტეს გარეშე იყვნენ, როგორც *წმიდა პავლე მოციქული* ამბობს: *„აღთქმის მცნებათაგან უცხოქმნილნი, სასომიხდილნი, ამქვეყნად უღმერთოდ შთენილნი, ხოლო აწ იესო ქრისტეში – ოდესღაც შორეულნი, ახლობელნი გახდნენ ქრისტეს სისხლით... მისი ხორცით კი განქარდა მტრობა... მოვიდა იგი და მშვიდობა ახარა შორეულთაც და ახლობელთაც“* (ეფესელთა მიმართ 2, 12-13. 15. 17).

იესო ქრისტეს ხორცით, სხეულით, ანუ ჯვარცმით შეერთებული ეს ორი კედელი უფლის იმ სიტყვებითაც ამოიცნობა, რომლებსაც წმიდა იოანეს სახარებაში ვკითხულობთ: **„სხვა ცხვრებიც მყვანან, რომლებიც არ არიან ამ ფარეხისა; მათი მოყვანაც მმართებს, და ისმენენ ჩემს ხმას, და იქნება ერთი სამწყსო, და ერთი მწყემსი“** (იოანე 10, 16).

აი ეს ლოდი ვერ იცნეს უგუნურმა მევენახეებმა,რომელთაც უფალმა იესო ქრისტემ შემზარავი ეპითეტი გამოუძებნა ამ იგავში – **ბოროტი. რით გამოიხატება მათი ბოროტება?** იმით, რომ მათ მშვიდობის მომტანი და მტრების „მომზავებელი“ შეურაცხყვეს, ამქვეყნად ყველას შემაერთებელი მოიშორეს, მიწიერთა ზეცად ამყვანებელი ვერ დაინახეს, კაცის ღმერთთან შემარიგებელს ცილი დასწამეს, სიკვდილითა სიკვდილის დამთრგუნველი და ჯვრით ჯოჯოხეთის შემმუსვრელი უარყვეს, და ვერც ის შეიგნეს, რომ ყოველივე ეს არც კაცს ხელეწიფებოდა და არც ანგელოზს, არამედ *„უფლისა მიერ იყო ჭეშმარიტად საქმე ესე“*, – ბრძანებს *წმიდა იოანე ოქროპირი* იმის ნიშნად, რომ სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში უფალ იესო ქრისტეს, როდესაც იგავის მსმენელებს *წმიდა დავით მეფსალმუნის* წინასწარმეტყველებიდან შეახსენებდა: **„უფლისა მიერ იყო ესე და არს საკურველ წინაშე თუალთა ჩუენთა“** (მათე 21, 42).

თავკიდურ ლოდთან დაკავშირებით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი იგავური მინიშნება იქცევს ყურადღებას, კერძოდ, ის, რომ ამ

ლოდს ორმაგი საღვთისმეტყველო დანიშნულება ენიჭება: ერთსა და იმავე დროს იგი არის შეურაცხყოფილი, დაწუნებული და თან ფასდაუდებელი – **ლოდი ცხოველი და პატიოსანი** – ასეა ნათქვამი *წმიდა მოციქულ პეტრეს* პირველ ეპისტოლეში (1 პეტრე 2,4). ეს ლოდი დაწუნებულია ურჯულოთა და ურწმუნოთაგან, მაგრამ ფასდაუდებელია მორწმუნეთათვის. მოვუსმინოთ წმიდა მოციქულს:

„მაშ, განიშორეთ ყოველგვარი უკეთურება, და ყოველგვარი ზაკვა, პირმოთნეობა, შური და ყოველგვარი ავსიტყვაობა. როგორც ახალშობილმა ყრმებმა, შეიყვარეთ წმიდა სიტყვიერი რძე, რათა იზარდოთ მისით. ვინაიდან იგემეთ, რომ ტკბილია უფალი, რომელსაც მიეახლეთ, როგორც ცოცხალ ლოდს, კაცთაგან უარყოფილს, მაგრამ ღმერთის მიერ რჩეულსა და ფასდაუდებელს. და თვითონაც, როგორც ცოცხალმა ქვებმა, თქვენით ააშენეთ სულიერი სახლი, წმიდა სამღვდელოება, რათა შესწიროთ სულიერი მსხვერპლი, რომელიც იესო ქრისტეს მიერ სასურველად უჩანს ღმერთს. ვინაიდან წერილი იტყვის: აჰა, მე დავდებ სიონში საკიდურ ლოდს, რჩეულსა და ფასდაუდებელს; და მის მიმართ მორწმუნე თავს არ შეირცხვენს. ამრიგად, ის თქვენთვის, მორწმუნეთათვის, ფასდაუდებელია, ხოლო ურწმუნოთათვის – ქვაა, რომელიც დაიწუნეს მშენებლებმა, მაგრამ რომელიც კუთხის თავად დაიდვა; ქვა-ფეხწამოსაკრავი და კლდე-საცდური იმათთვის, რომელნიც ურჩობენ სიტყვის მიმართ, და რომელნიც მასზევე არიან დატოვებულნი“ (1 პეტრე 2, 1-8).

წმიდა ესაიას წინასწარმეტყველებაშიც იხსენიება **„დაბრკოლების ლოდი და წაფორხილების კლდე“**, რომელიც **„იერუსალიმის მკვიდრთათვის ბადედ და მახედ“** იქცევა: *„ბევრი წაიფორხილებს მასზე, დაეცემიან და დაილეწებიან, გაებმებიან და გაიხლართებიან“* (ესაია 8, 14-15). უფალი იესო ქრისტე „ბოროტი მევენახეების“ იგავის დასასრულ თავის მსმენელს *წმიდა ესაიას* სწორედ ამ წინასწარმეტყველებაზე მიანიშნებს და რჯულის მაშენებელთაგან დაბრუნებული ლოდის გამო დასძენს:

„ვინც ამ ლოდზე დაეცემა, დაიმტვრევა, ხოლო ვისაც ის დაეცემა, გასრესს“ (მათე 21, 44).

ცხადია, უფალი იესო ამ დროს ურწმუნო იუდეველებსა და ქრისტეს (თავკიდური ლოდის) უარმყოფელებს გულისხმობს. გარდა იმისა, რომ ამ უარმყოფელ იუდეველებს **წაერთმევათ ღმერთის სასუფეველი**, რომელიც მიეცემა ნაყოფის გამომღებ ხალხს, ანუ მორწმუნე წარმართებს (ქრისტიანებს), ამათ, ამ ბორიტ მევენახეებს, სასჯელიც ელით. ეს სასჯელი, როგორც ვხედავთ, ორგვარია: ერთნი ამ ლოდზე ეცემიან, რასაც მათი დამსხვრევა მოჰყვება, მეორე ნაწილს კი ეს ლოდი დაეცემა და გასრესს, **განანქრევს** მას.

რას უნდა ნიშნავდეს ეს უფლისმიერი იგავური წინასწარუწყება მომავალ სასჯელზე? რა ელით თავკიდური ლოდის შეურაცხმყოფელებს? და რის მიხედვით განირჩევა სასჯელის ეს ორი სახე?

ჯერ უნდა შევნიშნოთ, რომ **დაწუნებული** და **დაგმობილი ლოდი** ამ შემთხვევაში თავკიდურიც არის და დასჯის იარაღიც – ოღონდ იგი დასჯის იარაღია მხოლოდ ჯვარცმული ქრისტეს მგმობელთა, უარმყოფელთა და შეურაცხმყოფელთათვის, როგორც წმიდა მარკოზის სახარებაშია ნათქვამი: **„ვინც იწამებს და ნათელს იღებს, ცხონდება, ვინც არა, განიკითხება“** (მარკოზი 16, 16).

რაც შეეხება **სასჯელის ორგვარ სახეს**, განმარტავენ, რომ ლოდზე დაცემული ის არის, ვინც დაბრკოლდება, შეცდება და ამ მიზეზით არ ირწმუნებს აღთქმულ მესიას, მხსნელ იესოს, არ მიიღებს მის სწავლებას. ამიტომ იგი მხოლოდ დაიმსხვრევა, დაიმტვრევა, მისი დაცემა არ იქნება გამოუსწორებელი. ამ დაცემულს საკუთარი ნებით შეეძლება ფეხზე დადგომა, გონს მოსვლა, მონანიება. მაგრამ ლოდი დაეცემა იმას, ვინც განზრახ, შეგნებულად უარყოფს უფალს, ვინც იცის, რომ იგია მესია და მხსნელი – იესო ქრისტე, მაგრამ მაინც წინააღუდგება, ბოროტი განზრახვით ებრძვის და არ ინანიებს.

ტერტულიანეს თქმით, ლოდი თავკიდურად აქ, ამქვეყნად დამკვიდრდა და იგი დაიწუნეს; სამსჯავროს დროს კი ამ დამ-

წუნებლებს თვითონ დაწუნებული დაიწუნებს და თავად **დაეცემა** ბოროტთ – ეს კი მათი სამუდამო წარწყმედა და დაღუპვა იქნება. ასეთნი ამ წუთისოფელშიც დასჯილნი არიან, რადგან საკუთარი ნებით ამბობენ უარს გადარჩენაზე, თავიანთ ერთადერთ მხსნელზე, და იქაც მარადიული სასჯელი ელით ჯოჯოხეთის სახით.

პირველი სახის სასჯელი დასჯილს კვლავ აღდგენის იმედს უტოვებს, მეორე სასჯელით კი სამუდამოდ იღუპებიან. ორივე სახის სასჯელი, დამსახურებისამებრ, ყველას ელის – იუდეველსა თუ ქრისტიანს. ამ მხრივ საგულისხმოა ის, რომ წმიდა მათეს სახარებაში უფალი იესო ქრისტე ჯერ **ვენახის**, ანუ ეკლესიის სხვა **მევენახეებზე** გადაცემის გამო აფრთხილებს იგავის მსმენელს და ამის შემდეგ აუწყებს სასჯელის ამ ორ სახეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სასჯელი მარტო **ბოროტ მევენახეებს** კი არ ელით, არამედ იმათაც, ვინც ამ ბოროტი მევენახეების მსგავსად მოეპყრობა ღვთისგან გაშენებულსა და დამკვიდრებულ ღვთის სასუფეველს!

უკვე ითქვა და გავიმეორებთ, რომ ხალხი, რომელსაც **ვენახი** ღვთისაგან რჩეული, მაგრამ რწმენაშერყეული ისრაელის ნაცვლად გადაეცა – არის ქრისტეს მიმდევარი. ეს ხალხი ჩვენ ვართ – ქრისტიანები, *„მკუდრნი ღმრთისა თანა და თანა-მკუდრნი ქრისტესა“* (რომაელთა მიმართ 8, 17). ახლა ჩვენ მოგვეცა ყველანაირი საშუალება, რათა კეთილი ნაყოფი გამოვიღოთ: მოგვეცა წმიდა ეკლესია – *„სუეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისაჲ“* (1 ტიმოთეს მიმართ 3, 15) – ვითარცა ზღუდე და ფარი; მოგვეცა ცხოველმყოფელი სისხლი იესო ქრისტესი და მადლი სულიწმიდისა – ვითარცა საწნახელში ჩაწურული ღვინო; მოგვეცა გზა რწმენის კეთილი ნაყოფის გამოღებისა – გზა კეთილი საქმეების კეთებისა საკუთარი ნება-სურვილით. და თუ ჩვენ ბოროტი მევენახეებივით გამოვიყენებთ ამ უფლებებს, ძნელი წარმოსადგენია, ბოროტ მევენახეებთან შედარებით, რაოდენ უფრო უმადურები ვიქნებით!

ყოვლადსახიერი უფალი ჩვენც გადმოგვცქერის თავისი ამოუწურავი მრავალმოთმინებით, ელის, როდის მოვიქცევით უკეთური გზისაგან, და ჯერ კიდევ გვაძლევს დროს გონს მოგებისა და სინანულისთვის.

ამიტომ „ბოროტი მევენახეების“ იგავი გაფრთხილებაც არის მისთვის, ვინც მარტო სიტყვიერად აღიარებს ქრისტეს, გულითა და საქმით კი დაშორებულია მისგან. ბოროტი მევენახეების მსგავსად, იგი ცოდვათქმნადობითა და უმადურობით ხელმეორედ აკრავს ჯვარზე თავის ერთადერთ ჭეშმარიტ მხსნელს. მაშინ კი უცილობლად აღსრულდება ის წინასწარმეტყველებაც, რაც ამ იგავით აუწყა უფალმა იესომ თავის მსმენელს.

„დიდებული სერობა“

„ყოველმან რომელმან აღიმაღლოს თავი თჳსი,
იგი დამდაბლდეს, და რომელმან
დაიმდაბლოს თავი თჳსი, ამაღლდეს“
ლუკა 14, 11

„ავმაღლდი რაჲ, დავმდაბლდი და შევსულბი“
ფსალმუნნი 87, 15

„ესე არს პური, რომელი ზეცით გარდამოჴდა,
უკუეთუ ვინმე ჭამოს მისგანი, არა მოკუდეს“
იოანე 6, 50

„*16.* კაცმან ვინმე ყო პური დიდი და მოუწოდა მრავალთა. *17.* და წარავლინა მონაჲ თჳსი ჟამსა პურისასა, რაჲთა ჰრქუას ჩინებულთა მათ მოსლვად, რამეთუ: აჰა ესერა პური ჩემი მზა არს ყოველი. *18.* და იწყო თითოეულმან ყოველმან ჯჳნად. პირველმან მან ჰრქუა მას: აგარაკი ვიყიდე და უნებელი ზედამაც მისლვად და ხილვად იგი. გლოცავ შენ, განმიტევე, ჯჳნულმცა ვარ შენგან. *19.* და სხუამან თქუა: ულლეული ჴართაჲ ვიყიდე და მივალ გამოცდად მათა. გლოცავ შენ, ჯჳნულმცა ვარ. *20.* და მერმე სხუამან ჰრქუა: ცოლი შევირთე და მის გამო ვერ ჴელ-მეწიფების მოსლვად. *21.* და მოვიდა მონაჲ იგი და უთხრა ესე უფალსა მას თჳსსა. მაშინ განრისხნა სახლისა უფალი იგი და ჰრქუა მონასა მას თჳსსა: განვედ ადრე უბანთა და ყურეთა ქალაქისათა და გლახაკთა და უცხოთა და ბრმათა და მკელობელთა შემოხადე აქა. *22.* და თქუა მონამან მან: უფალო, იქმნა ბრძანებაჲ შენი, და ადგილი არსღა. *23.* და ჰრქუა უფალმან მან მონასა მას: განვედ გზათა ზედა და ფოლორცთა და აიძულე შემოსლვად, რაჲთა აღივსოს სახლი ჩემი“.

ლუკა 14, 16-23

უფლის ორი იგავის მსგავსება — 97; სამნაკვეთიანი იგავური მინიშნება — 100; ნუ ვივაჭრებთ მეგობრობით! — 105; კაცი მშვინვიერი — 108; „პური დიდი“ — 110; კაცი ვინმე — 112; „მოუწოდა მრავალთა“ — 113; „წარავლინა მონაᲘ თჳსი ჟამსა პურისასა“ — 116; „მზა არს ყოველი“ — 118; „და იწყო თითოეულმან ყოველმან ჯმნად“ — 119; აგარაკი, ხუთი უღლეული ხარი, დაქორწინება — 120; ვის „ვერ ჴელ-ეწიფების მოწაფე ყოფად“ ქრისტესი? —125; გლახაკნი, უცხონი, ბრმანი, მკელობელნი — 131; უბანი, ყურე ქალაქისა, გზა, ფოლორცი: „ადგილი არსღა“ — 133; „აიძულე შემოსლვად“ — 135.

უფლის ორი იგავის მსგავსება

„დიდებული სერობის“ გარდა, ეს იგავი ასევე მოიხსენიება როგორც: „დიდებული ვახშამი“, „დიდებული ნადიმი“, „დიდებული წვეულება“.

სერობა ძველ ქართულში ნიშნავდა „ვახშამს“. იგავის დასაწყისში ნათქვამია, რომ ერთმა კაცმა **ყო პური დიდი და მოუწოდა მრავალთა**. თუმცა იგავის ბოლოს ამ პურობასთან დაკავშირებით შენიშნულია, რომ წვეულნი ვერ იხილავენ გემოს **სერობისა ამის**. შესაბამის რუსულ თარგანშიც ასევე ვახშამია — **Ужин**. იგავის სათაურში არსებული განსაზღვრება **დიდებული** მიუთითებს ამ ვახშმისა თუ ნადიმის გამორჩეულობაზე, მის განსაკუთრებულ დანიშნულებაზე.

კომენტატორთა დიდი ნაწილი საგანგებოდ მსჯელობს **„დიდებული სერობის“** და **„მეფის ძის ქორწილის“** იგავთა მსგავსება-განსხვავებაზე. ისინი გვაფრთხილებენ, რომ უფრო მნიშვნელოვანია მათ შორის არსებული განსხვავება. თუმცა, იმასაც შენიშნავენ, რომ გასათვალისწინებელია მსგავსებაც, რომელიც მხოლოდ საქმეში ჩაუხედავი მკითველისთვის იქნება თვალში საცემი.

მართლაც, ვინც ყურადღებით წაიკითხავს ამ ორ იგავს, იოლად მონიშნავს არაერთ იდენტურ ნაკვეთს, კერძოდ: ორივეგან გამ-

ართულია პურობა; ორივეგან ამ პურობაზე მრავალ სტუმარს იწვევენ, ამასთან – ერავალგზის; აქაც და იქაც მოსაწვევად აგზავნიან მონას ან მონებს; მოწვეულნი ორივეგან არ იღებენ და უგულებელყოფენ მოწვევას. ამის შემდეგ იწყება ახალი ეტაპი მოწვევისა: გაშლილ სუფრასთან ქალაქის მოედნებიდან, ქუჩებიდან, გზაჯვარედინებიდან, გზებიდან და შუკებიდან მოჰყავთ წუთისოფლის საზომით ულირსად მიჩნეულნი, და სწორედ ამ ულირსი მოწვეული სტუმრებით აივსება სერობაც და ქორწილიც.

მაგრამ ეს მხოლოდ მსგავსებაა და არა დამთხვევა. ეს არის ე.წ. ზედაპირული სიუჟეტური თანხვედრა, ვინაიდან ამ ორი მსგავსი იგავის თხრობისას უფალს განსხვავებული მიზანი ამოძრავებდა და, შესაბამისად, სათქმელიც სხვადასხვაგვარი ჰქონდა. ასევე განსხვავებული იყო იგავთა თხრობის საბაბი და ის გარემოებანი, რომელთა დროსაც აღიძრა როგორც ერთი, ისე მეორე იგავის საჭიროება.

ნეტარი ავგუსტინე ამბობს: იგავს „საქორწილო ნადიმზე“ მხოლოდ *წმიდა მათე მახარებელი* გვიყვება. მსგავსი იგავი გვხვდება *წმიდა ლუკასთან*. მაგრამ ეს ერთი და იგივე არ არის. ამაზე თვით იგავთა თხრობის გარემოებანი მიგვითითებს: წმიდა ლუკას იგავი სახლში ითქვა, წმიდა მათესი – უფლის ტაძარში; წმიდა ლუკასთან ვახშამია, წმიდა მათესთან – ნადიმი; წმიდა ლუკასთან ვიღაც კაცი ეპატიჟება წვეულთ, წმიდა მათესთან – მეფე; წმიდა ლუკასთან უფალი იგავს მანამდე ჰყვება, სანამ დაუფარავად გამოხატავდნენ სიძულვილს იესო ქრისტეს მიმართ, წმიდა მათესთან კი იგავი უფლის სიცოცხლის ბოლო დღეებში ითქვა, როდესაც განხეთქილება აშკარაა, იესოს სიძულვილით შეპყრობილნი და უკიდურესად განრისხებულნი უკვე ბჭობენ მის დაღუპვაზე.

ეს იმას ნიშნავს, რომ უფალი „დიდებული სერობის“ იგავს წმიდა ლუკას სახარებაში იმათ გასაგონად ჰყვება, რომელთაც ჯერ კიდევ აქვთ შესაძლებლობა და უნარი, შეისმინონ ჭეშმარიტი სიტყვა. ამისგან განსხვავებით, წმიდა მათეს სახარებაში

„მეფის ძის ქორწილის“ იგავს პყავს მსმენელი, რომელმაც უკვე უარყო უფლის მოწოდება და დამანგრეველი, სულის წარმწყმედელი სიძულვილით აღივსო მის მიმართ.

იმასაც შენიშნავენ, რომ წმიდა მათეს სახარების იგავი თავისი განაჩენის სიმკაცრითაც განსხვავდება წმიდა ლუკას იგავისგან, სადაც წვეული სტუმრები ბოდიშს იხდიან, ერთგვარი რიდითაც კი ამბობენ უარს მოწვევაზე, მობოდიშებით იმიზეზებენ და, ასე ვთქვათ, მშვიდობიანად უარყოფენ მათთვის დაგებულ პურობას. წმიდა მათეს სახარების იგავში წვეულნი მოურიდებლად გამოხატავენ თავიანთ განწყობასა და დამოკიდებულებას, დაურიდებლად იქცევიან, შეურაცხყოფენ და კლავენ კიდეც მეფისგან მივლინებულებს. „მეფის ძის ქორწილის“ იგავში გამჟღავნებული სიძულვილი და ძალადობა იმდენად შემზარავია, რომ ეს წვეულნი ბოროტ მევენახეებს ემსგავსებიან (ამავე სახელწოდების იგავიდან – მათე 21, 33-41), რომლებიც ვენახის პატრონის ძესაც კი კლავენ მ'ხაკვრულად. „მეფის ძის ქორწილის“ იგავში ძე რომ გაეგზავნა მეფეს წვეულთა საწვევად, იგი (ძე მეფისა) ვენახის პატრონის ძის ხვედრს უცილობლად გაიზიარებდაო, – შენიშნავს ერთ-ერთი კომენტატორი.

„მეფის ძის ქორწილის“ იგავში სიმძაფრეს ისიც აძლიერებს, რომ ეს პურობა და ნადიმი საქორწინოა, ხოლო *წმიდა ლუკასთან* სავახშმო სუფრა იშლება, სერობის პურობა დაიგება. ქორწილს მეფე მართავს ძისათვის, ვახშამს კი – ერთი კაცი ვინმე. „მეფის ძის ქორწილის“ იგავის წვეულთა დანაშაულს ის გარემოება ამძიმებს, რომ წვეულნი თავად მეფეს ეუბნებიან უარს, ხოლო „დიდებული სერობის“ წვეულნი – მხოლოდ კერძო პირს. შედეგიც, ანუ სასჯელიც, შესაბამისია: პირველნი იმსახურებენ უსასტიკეს განაჩენს – გარესკნელის (ჯოჯოხეთის) *კბილთა ღრჭენასა და ტირილს,* მეორენი კი დიდებული ვახშმის გემოს ვერ იხილავენ. წმიდა ლუკასთან ამ სტუმრებს გააძევებენ და მათ სამუდამოდ ჩაეკეტებათ ზეციური ვახშმობის კარი, *წმიდა მათესთან* კი უარმყოფელთა ქალაქი გადაიწვება და თვითონ უარმყოფელებსაც მოაკვდინებენ.

ყურადღებას მიაქცევენ იმას, რომ „დიდებული სერობის“ იგავში უფალი მხოლოდ გაკვრით მიანიშნებს თავის მსმენელს წარმართებზე, რომლებიც სხვათათვის დაგებული სერობის პურობაზე დამკვიდრდებიან, ვინაიდან, ამ იგავის მიხედვით, ებრაელი ერის მხოლოდ ნაწილს წაერთმევა ზეციური პურობის უფლება: ეს ნაწილია მღვდელმთავრები, რჯულისმცოდნენი და ფარისევლები, ანუ ისინი, რომელთა გასაგონადაც ჰყვება ჩვენი უფალი ამ იგავს. დიდებული პურობა ერგება ებრაელთა მეორე ნაწილს – მებაჟეებსა და ცოდვილებს – იგავის მიხედვით: **გლახაკებს, საპყართ, ბრმებს, კოჭლებსა** და **უცხოთა**, ანუ სხვებს, არაიუდეველებს.

„მეფის ძის ქორწილის“ იგავში, ამისგან განსხვავებით, მთელ ულირს ერს წაერთმევა სასუფეველი. როგორც განმარტავენ, წმიდა მათეს სახარებაში უფალი იგავურად გვაწვდის აზრს იმის შესახებ, რომ ამ ერის მცირე ნაწილს მიეკუთვნება ზეციური სასუფეველი. *წმიდა იოანე ოქროპირი* პარალელს ავლებს ორივე იგავის ზემოთ განმარტებულ ნაწილებს შორის და შეგვახსენებს „ორი ძის“ იგავს მიდევნებულ გაფრთხილებას, რომელსაც უფალი იესო მღვდელმთავრებისა და უხუცესების გასაგონად ამბობს: **„მეზუერენი და მეძავნი წინაგიძღოდიან თქუენ სასუფეველსა ღმრთისასა“** (მათე 21, 31) – მებაჟენი და მეძავნი თქვენზე წინ შევლენო სასუფეველში. წმიდა მამის თქმით, მებაჟეებისა და მეძავების მსგავსად, „დიდებული სერობის“ იგავში ნახსენები **გლახაკები, საპყარნი, ბრმები და კოჭლები** ებრაელი ერის უღირს ნაწილად მიიჩნეოდა იმ დროს.

სამნაკვეთიანი იგავური მინიშნება

„დიდებული სერობის“ იგავის თხრობას წინ უსწრებს სამნაკვეთიანი იგავური მინიშნება, ე. წ. იგავური წინათქმა, რომელზეც ყველა კომენტატორი საგანგებოდ მსჯელობს. ეს წინათქმა, ანუ წინამავალი ნაწილი „დიდებული სერობის“ იგავისა, უაღრესად მნიშვნელოვან ქრისტიანულ-ზნეობრივ სწავლებას შეიცავს. მისი გათვალისწინება და სათანადო განმარტება დიდად ეხმარება

„დიდებული სერობის“ იგავის მკითხველსა თუ მსმენელს, გაერკვეს ამ იგავის ნამდვილ სათქმელში, უფლის მიზანდასახულობაში.

წმიდა ლუკას სახარების მე-14 თავის პირველ ექვს მუხლში წყალმანკით დასნეულებული კაცის განკურნების ამბავია გადმოცემული. უფალმა იესომ, რომელიც ფარისეველთა ერთ-ერთი მთავრის სახლში მივიდა საჭმელად, ფარისევლებისა და რჯულისმცოდნეთა თვალწინ ხელის შეხებით განკურნა ეს სნეული კაცი. იუდეველს რჯული შაბათს საქმის კეთებას უკრძალავდა და დღესაც უკრძალავს. ეს წესი იმდენად მკაცრად და ჩაკირკიტებით სრულდებოდა, რომ, მაგალითად, ვაშლის ხიდან შაბათ დღეს ჩამოვარდნილი ნაყოფის ხელის ხლებაც კი იკრძალებოდა, ამ დღეს ქათმის მიერ დადებული კვერცხის ჭამაც არ შეიძლებოდა (ძველი აღთქმის წიგნებში 300-ზე მეტი ამ სახის აკრძალვაა მითითებული).

უფალი თავად ჩაეკითხა წარჩინებულ სტუმრებს, შეიძლება შაბათს განკურნებაო – **„ხოლო იგინი დუმნეს“**, – შენიშნავს ***წმიდა ლუკა მახარებელი*** (14, 3-4). უფალი მათ კაცთმოყვარეობას და გულმოწყალებას შეაგონებს და ეუბნება: **„ვისი თქუენგანისაი შვილი, გინა ხარი შთავარდეს ჯურღმულსა, არამედ მეყსეულად აღმოიქუას იგი დღესა შაბათსა?“** (ლუკა 14, 5). ამჯერადაც ვერაფერი შესწამეს უფალს მისმა განმკითხველებმა.

ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი გვეკითხება: ხედავ, როგორია ქრისტესმიერი ვახშამი? (იგულისხმება ფარისეველთან გაშლილი პურობა) – იგი არ არის მხოლოდ გასაძღომელი პურობა. უფლის ვახშამი სულისათვის სარგო სწავლებით აპურებს იქ მყოფთ, ფარისევლებს ჭეშმარიტი სიკეთის რაობასა და ქმნას ასწავლის.

ამ უფლისმიერ სწავლებას მოსდევს მეორე, – განაგრძობს ნეტარი მამა, – უფალმა დაანახვა, თუ როგორ ირჩევდნენ ფარისევლის სახლში მოსული სტუმრები საპატიო ადგილებს, და იგავური შეგონებით მიმართა მათ: **„ვინმემ რომ ქორწილში დაგპატიჟოს, ნუ დაჯდები სუფრის თავში, იქნებ შენზე საპატიო**

სტუმარიც ჰყავს. მოვა მასპინძელი და გეტყვის: ადგილი დაუთმე ამ კაცს! და მოგიწევს შერცხვენილს სუფრის ბოლოში გადა-ჯდომა. არამედ როცა დაგპატიჟებენ, მიდი და სუფრის ბოლო-ში დაჯექი, რათა მოვიდეს მასპინძელი და გითხრას: მეგობარო, სუფრის თავში გადმობრძანდიო, და პატივი დაგედება თან-ამეინახეთა თვალში“ (ლუკა 14, 7-10).

ნეტარი თეოფილაქტეს თქმით, რაკი უფალმა სიკეთის ქმნის რაობა და რაგვარობა შეასწავლა ფარისევლებს, ამ იგავური შეგონებით ახლა პატივმოყვარეობის ვნებისგან საკურნებელი სწავლება მიაწოდა მათ. ეს ვნება, ნეტარი მამის აზრით, იმდენად სახიფათო და სავალალოა ადამინისათვის, რომ მაშინაც კი არ იქნებოდა უადგილო მასზე სიტყვის ჩამოგდება, საბაბი რომ არ ჰქონოდა ჩვენს უფალს, და ისე, სასხვათაშორისოდ წამოეწყო მასზე საუბარი; მით უფრო, ახლა, როცა ამ ვნებით ანთებული ამდენი ადამიანი იტანჯებოდა მის თვალწინ. სწორედ რომ კეთილისმყოფელი და დროული იყო ამაზე ყურადღების გამახ-ვილებაო, – დასძენს ***ნეტარი მამა თეოფილაქტე*** და ღირსე-ბასთან დაკავშირებით წამოჭრის საკითხს: პატივმოყვარეობის სენისგან განსაკურნავი სწავლებით უფალი ადამიანს მეტის-მეტად მძიმე განსაცდელისგან იხსნის და ღირსებას შეახსენებს, ღირსებას ასწავლის მას! სუფრის თავში მჯდომისთვის ისევე და იმდენადვე სამარცხვინოა ყველას თვალწინ სუფრის ბოლო-ში გადაბრძანება და საქვეყნოდ თავის მოჭრა, როგორადაც და რამდენადაც ღირსების მომტანია ასევე ყველას თვალწინ დას-ტურქმნილი მისი პატივისცემა – საუკეთესო, პირველ ადგილზე მოწვევა. ნეტარი მამა სინანულით შენიშნავს, რომ, სამწუხაროდ, პირველი – უღირსობის შემთხვევა – უფრო ხშირია ხოლმე კაცთა შორის...

საიდან აღმოცენდება კაცის ღირსება? რა არის ის, რაც ჭეშმარიტი, უმაღლესი ღირსებით შემოსავს კაცს? ***ნეტარი თეოფილაქტეს*** პასუხი ამ შეკითხვაზე ერთი სიტყვით შემოიფა-რგლება – ეს არის თავმდაბლობა! მხოლოდ და მხოლოდ თავმ-

დაბლობის ნიადაგიდან აღმოცენდება ღვთისათვის სათნო ღირსება კაცისა!

უფალი თავისი იგავური სწავლებით გვახედებს სათნოებათა შორის უმაღლესი სათნოებისაკენ – **თავმდაბლობისაკენ,** რომელიც ყველაზე უებარი მალამოა ამპარტავნებით დაწყლულებული სულისთვის.

ეპისკოპოსი მიხეილი შენიშნავს, რომ ამ იგავურ სწავლებაში **სუფრის თავში** და **სუფრის ბოლოში ჯდომა,** სინამდვილეში, ნიშნავს მაღალ და დაბალ ადგილს, რომელსაც ღვთის წინაშე დაიმკვიდრებს ადამიანი. **შერცხვენა,** ამავე შეგონებით, გამოაშკარავებაა იმ ამპარტავნებისა, რომლითაც თავდაკარგული ფარისევლები მეტისმეტად იყვნენ დასნეულებულნი, იმდენად, რომ სხვათა თვალწინ გამალებით შეუდგნენ საპატიო ადგილების შერჩევას.

შერცხვენით იმასაც ესმება ხაზი, რომ კაცთათვის ესოდენ საპატიო ადგილი შერცხვენილს სინამდვილეში არ ეკუთვნის, რადგან ეს ადგილი და პატივი მან მიისაკუთრა, თვითონვე განუკუთვნა თავის თავს და ამით საკუთარი უღირსობა გააცხადა ღვთის წინაშე.

ამ მეორე უფლისმიერ იგავურ სწავლებას მოსდევს შეგონება: **„ყოველმან რომელმან აღიმაღლოს თავი თჳსი, იგი დამდაბლდეს, და რომელმან დაიმდაბლოს თავი თჳსი, ამაღლდეს“** (ლუკა 14, 11). უფალი ამ შეგონებას ხშირად იმეორებს. იგი გამოწვლილვით განიმარტა „ფარისევლისა და მეზვერის“ იგავთან დაკავშირებით (იხ. „იგავნი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესნი“, 2, თბილისი, 2008, გვ. 101-110).

ამჯერად გავიხსენოთ ***წმიდა პავლე მოციქულის*** სიტყვები: *„თავის თავზე ნუკი იზრუნებს თითოეული, არამედ სხვებისთვისაც... იგივე ზრახვანი გქონდეთ, როგორიც ქრისტე იესოს... რომელმაც დაიმცირა თავი თვისი, მონობის ხატი შეიმოსა და კაცის მსგავსად იქცა; თავი დაიმდაბლა და მორჩილი გახდა სიკვდილამდე, ჯვარზე სიკვდილამდე. ამიტომაც აღამაღლა იგი ღმერთმა,*

და მისცა მას სახელი უსენაეს ყოველი სახელისა, რათა იესოს სახელის წინაშე მოიდრიკოს ყოველი მუხლი – ზეცისანი და ქვესკნელისანი“ (ფილიპელთა მიმართ 2,4-10).

ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი *გვასწავლის: „ბუნებით ყოველი კაცი ღირსია ამაღლებისა“, – და გვევედრება: „ნუ ავმაღლდებით, ნუ ავიმაღლებთ ჩვენსავე თავს, რომ ღვთისაგან არ დავმდაბლდეთ სამარცხვინოდ“.*

ეპისკოპოსი პლატონი *ბრძანებს: „ამპარტავნება შობს ცოდვას: თავკერძობას, თვითსიბრმავეს, თავმომწონეობას, სიჯიუტეს, უკადრისობას, განკითხვისაკენ სწრაფვას, ცილისწამებას, შურს, ბოროტისქმნადობას, ცბიერებას, უმადურობას ღვთის მიმართ, ურჩობასა და დაუმორჩილებლობას ზემდგომთა მიმართ; ამპარტავნება არის დედა ყველა ერესისა“.*

ეპისკოპოს მიხეილის *თქმით: „ამპარტავნება ყოველდღიურ ყოფაშიც დასცემს კაცს, ხოლო მორჩილება ამაღლებს, მით უფრო – მესიის ზნეობრივ და სულიერ სასუფეველში, სადაც უმთავრესი კანონია მოყვასისადმი სიყვარული; მორჩილება კი ამგვარი სიყვარულის მოუცილებელი ნაწილი და კუთვნილებაა“.*

ამპარტავნებისა და მორჩილების ანტიპოდური წყვილის გამო მრავალი სხვა წმიდა მამაც გვმოძღვრავს. თუკი ***ეპისკოპოსი პლატონი*** ბრძანებს, რომ „ამპარტავნება არის დედა ყველა ერესისა“, ***წმიდა ისააკ ასური*** გვასწავლის, რომ *„მორჩილება არის ყველა სიკეთის ფარი და მცველი“.*

წმიდა იოანე კიბისაღმწერელი *გვაფრთხილებს: „არანაირი ღვაწლი არ გვიხსნის, თუკი მასთან ჭეშმარიტი მორჩილება არ იქნება“.* გავიხსენით ***ზირაქის*** *სიბრძნიდან: „უფლისთვისაც და ადამიანებისთვისაც საძულველია ამპარტავნება, უსამართლობა კი დანაშაულია ორივეს წინაშე“* (სიბრძნე ზირაქისა 10, 7). ამ შეგონების ერთგავარ გაგრძელებად იკითხება 50–ე ფსალმუნიდან: **„მსხვერპლ ღმრთისა არს სული შემუსრვილი, გული შემუსრვილი და დამდაბლებული ღმერთმან არა შეურაცხყოს“** (ფსალმუნნი 50, 19).

ასე რომ, სანამ უფალი „დიდებული სერობის“ იგავის თხრობას შეუდგებოდა, მანამდე მსმენელები უმნიშვნელოვანეს ზნეობრივ კრიტერიუმებზე დააფიქრა და აიძულა, ჯერ საკუთარი ზნეობრიობა შეეფასებინათ სამართლიანად, თვითვე განეცადათ საკუთარი სულის სახიფათო მიმოხრა, რათა იგავით გამოთქმული სწავლება შეუმცდარად მიეღოთ.

ნუ ვიფაჯრებთ მეგობრობით!

ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი „დიდებული სერობის“ იგავში თანამესუფრეთა ორ კატეგორიას გამოყოფს: მოწვეულნი და მასპინძელი. ხსენებული სამნაკვეთიანი მინიშნების პირველ ორ ნაკვეთში უფალი მოწვეულ სტუმართა გასაგონად ქადაგებდა, მესამე ნაკვეთში იგი უშუალოდ მასპინძელს მიმართავს: **„როცა სადილს ან ვახშამს მართავ, ნუ მოიპატიჟებ ნურც შენს მეგობრებს, ნურც შენს ძმებს, ნურც შენს ნათესავებს, ნურც მდიდარ მეზობლებს, რათა მათაც არ დაგპატიჟონ და, ამრიგად, სანაცვლო მოგაგონ შენ. არამედ, როცა წვეულება გაქვს, დაპატიჟე გლახაკნი, საპყარნი, კოჭლნი და ბრმანი, და ნეტარი იქნები, ვინაიდან ვერაფრით მოგაგებენ სანაცვლოს; ამიტომაც მოგეზღვება შენ მართალთა აღდგომისას“** (ლუკა 14, 12-13).

ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ ფარისეველ მასპინძელს საგანგებოდ ჰქონდა გამართული ვახშამი, სადაც მან მხოლოდ რჩეული სტუმრები მოიწვია — ნათესავები, მეგობრები და მდიდარი ნაცნობები.

წყალმანკით დასნეულებული კაცი, რომელიც უფალმა იესომ ამ მასპინძლის სახლში ყველას თვალწინ განკურნა ხელის შეხებით, არ იყო წვეული სტუმარი. ამაზე მიუთითებს შენიშვნა: **„იესო შეეხო, განკურნა იგი და გაისტუმრა“** (ლუკა 14, 4).

ამ განკურნებით, როგორც უკვე ითქვა, უფალმა ჭეშმარიტი სიკეთის ქმნის რაობა ასწავლა იქ მყოფთ და ეს თემა საგანგებოდ განავითარა მასპინძლის გასაგონად — სიკეთე კაცმა სანაცვლოს მიღების მოლოდინის გარეშე უნდა ქმნასო. ყველა კომენტატორი ამასთან დაკავშირებით შეგვახსენებს უფლის შეგონებას მთის კალთის ქადაგებიდან:

„და უკუეთუ გიყუარდენ მოყუარენი ხოლო თქუენნი, რაჲ სასყიდელი გაქუს? რამეთუ მეზუერეთაცა ეგრეთვე ყვიან. და უკუეთუ მოიკითხვიდეთ მეგობართა ხოლო თქუენთა, რასა უმეტეს იქმთ? ანუ არა მეზუერეთაცა ეგრეთვე ყვიანა? იყვენით თქუენ სრულ, ვითარცა მამაჲ თქუენი ზეცათაჲ სრულ არს. ეკრძალენით ქველის-საქმესა თქუენსა, რაჲთა არა ჰყოთ წინაშე კაცთა სახილველად მათა; უკუეთუ არა, სასყიდელი არა გაქუნდეს მამისა თქუენისაგან ზეცათაჲსა. ხოლო რაჟამს იქმოდი ქველის-საქმესა, ნუ ჰქადაგებ წინაშე შენსა, ვითარცა-იგი ორგულთა ყვიან შესაკრებელთა მათთა და უბანთა ზედა, რაჲთა იდიდნენ კაცთაგან. ამენ გეტყჳ თქუენ: მიუღებიეს სასყიდელი მათი. ხოლო შენ რაჟამს ჰყოფდე ქველის-საქმესა, ნუ სცნობ მარცხენაჲ შენი, რასა იქმოდის მარჯჳენაჲ შენი. რაჲთა იყოს ქველის-საქმე შენი ფარულად, და მამამან შენმან, რომელი ჰხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად“ (მათე 5, 46-48; 6, 1-4).

ფარისეველის ოჯახში მისული უფალი ამავე სათქმელს ამცნობს მასპინძელს, რომელიც თავის ტრაპეზს მხოლოდ ანგარებით უწილადებს სტუმრებს – იმის მოლოდინით, რომ ამქვეყნადვე მიიღებს საზღაურს. მოწყალება, წყალობის გაცემა მისთვის, როგორც ჩანს, უცხოც არის და მიუღებელიც. *ნეტარი თეოფილაქტეს* თქმით, ამგვარი ქმედება სულმოკლეთა საქმეა, ვინაიდან ასეთნი ერთი ხელით გასცემენ, მაგრამ მეორე ხელით სამაგიეროს დაეძებენ, თან მოუთმენლობით შეპყრობილთ გული უთრთით. და თუკი არ მიიღებენ სანაცვლოს, გაცემულ წყალობას ნანობენ. დიდსულოვანნი კი, განაგრძობს ნეტარი მამა, თავიანთი მოთმინებისა და უანგაროდ გაწეული სათნოების წილ იღებენ კუთვნილ საზღაურს იმისგან, ვინც ჭეშმარიტი, ზეციური წყალობით არის მდიდარი! **ღმრთისა მიერ** ისინი ყოვლადმოწყალე ქრისტე უფლისგან მდიდრდებიან.

ნეტარი მამა თეოფილაქტე გვევედრება: ნურასოდეს ივაჭრებთ მეგობრობით! ვინაიდან ამ ამაზრზენი ვაჭრობით თქვენივე ნებით ადგებით სულის წარწყმედისაკენ მიმავალ გზას. ის, ვინც მხ-

ოლოდ ამქვეყნიური საზომით ზომავს თავის ყოველ ნაბიჯს, თუნდაც კეთილად გადადგმულს – კარგავს უფლებას, მიიღოს ერთადერთი ჭეშმარიტი საზღაური – ზეციური წყალობა.

უფალი იესო მასპინძელს ზეციური საზღაურის გამო უბრძანებს: თუკი უანგაროდ გაიღებ მოწყალებას – **„მოგეგოს შენ აღდომასა მას მართალთასა“** (ლუკა 14, 14).

მართლმორწმუნემ იცის, რომ, ქრისტეს სწავლებით, მომავალი აღდგომის ჟამს აღსრულდება აღდგომა ყოველთა – მართალთა და ცოდვილთა:

„მოვალს ჟამი, რომელსა ყოველნი, რომელნი ისხნენ საფლავებსა, ისმინონ ჴმისა მისისაჲ. გამოვიდოდიან კეთილისმოქმედნი აღდგომასა ცხორებისასა, ხოლო ბოროტისმოქმედნი აღდგომასა სასჯელისასა“ (იოანე 5, 28-29).

მაგრამ ფარისევლებს უფალი იესო მხოლოდ **მართალთა** აღდგომაზე უმახვილებს ყურადღებას. ამას თავისი მიზეზი აქვს. საქმე ის არის, რომ, ფარისეველთა შეხედულებით, აღდგომა მარტო მართალთათვის იქნება. სწორედ ამის გამო ეუბნება მათ უფალი ხაზგასმით: აი, თქვენ რომ ამბობთ, მარტო მართალნი აღდგებიანო, იმ აღდგომაზე მიგეზღვებათ.

„დიდებული სერობის“ იგავის ყველა კომენტატორი ერთხმად გვაფრთხილებს, რომ უფლის სიტყვები – **ნუ ჰხადი მეგობართა შენთა, ნუცა ძმათა შენთა, ნუცა ნათესავთა შენთა, ნუცა მოძმეთა მდიდართა** – არ უნდა მივიღოთ, როგორც კატეგორიული აკრძალვა ან ნათესავ-მეგობრების უარყოფა. უფალი იესოს ამ შეგონებიდან უნდა ამოვიკითხოთ უფლისმიერი დარიგება და ზრუნვა, რათა თავი დავიცვათ ანგარებისაგან, რომელიც, სამწუხაროდ, ხშირად წარმართავს ხოლმე ჩვენს სტუმართმოყვარეობას. უფალი ასევე გვაფრთხილებს, რომ სიკეთის ქმნისას არ უნდა მოგვიცვას ამქვეყნიური საზღაურის მოლოდინმა, არ მივეჯაჭვოთ ცრუ წუთისოფელს, მის მიერ შემოთავაზებულ მაცდუნებელ ჯილდოსა და საუნჯეს, რითაც ჩვენი ხელიდან გამოსულ სიკეთეს ჩვენ თვითონვე გავატანთ წყალსა და ქვიშას.

უფალი იესოს ხსენებულ გაფრთხილებაში არის ჩამონათვალი: **გლახაკნი, საპყარნი, კოჭლნი და ბრმანი.** აი ვინ უნდა დაპატიჟო, როცა წვეულება გაქვსო, – ასე შეაგონებს უფალი მასპინძელს. ეს ჩამონათვალი სრულად მეორდება „დიდებული სერობის“ იგავშიც, სადაც წვეულთაგან უარყოფილი სახლის პატრონი განრისხდება და მონას უბრძანებს: **დაიარე სასწრაფოდ ქალაქის მოედნები და ქუჩები, და მომგვარე გლახაკნი, საპყარნი, ბრმანი და კოჭლნი.**

ამ ჩამონათვალის ორგზისი განმეორება იგავის წინაც და თავად იგავშიც, რაღა თქმა უნდა, იმის დასტურია, რომ იგავის წინა ნაწილი უშუალოდ უკავშირდება იგავში დავანებულ ერთ-ერთ უფლისმიერ სათქმელს, კერძოდ, იმას, რომ მხოლოდ უანგაროდ გაწეული წყალობა და სიკეთე გაუკვალავს კაცს სასუფევლისაკენ მიმავალ გზას.

კარნი მშვინვიერნი

იგავის წინამავალ ნაწილში, მე–14 მუხლში, **მართალთა აღდგომის** ხსენებას მოსდევს ერთ-ერთი თანამეინახის წამოძახილი, რომელიც „დიდებული სერობის“ იგავის თხრობის მიზეზად იქცევა. უფალ იესოს თანამეინახე ეუბნება:

„ნეტარ არს, რომელმან ჭამოს პური სასუფეველსა ღმრთისასა!“ (ლუკა 14, 15).

ამის მთქმელი მეინახე უცილობლად ის კაცია, – ბრძანებს *ნეტარი თეოფილაქტე*, – რომელსაც მშვინვიერი მისწრაფებანი აქვს. ნეტარი მამა ადამიანის სამ შინაგან მდგომარეობას მოიხილავს: **ხორციელს, მშვინვიერსა და სულიერს.** ნეტარი მამის თქმით, ადამიანის ცხოვრების წესი ამ სამი მდგომარეობიდან გამომდინარე განისაზღვრება.

ხორციელია ის წესი, როდესაც კაცი სიამოვნებას მაშინაც კი ილებს, როცა ეს სხვისთვის ბოროტებისა და სიავის მომტანია. *ნეტარი თეოფილაქტე* ამის მსგავსთ მომხვეჭელის ტიპს განაკუთვნებს.

მშვინვიერი ცხოვრების წესის მიმდევარს, ხორციელისაგან განსხვავებით, არ უნდა ბოროტება სხვისთვის, მაგრამ იგი ყვე-

ლანაირად ცდილობს, არც თვითონ გადაეყაროს ბოროტებას, იმაზეც ზრუნავს, რომ თვითონ არაფერი დაიშავოს. ეს წესი, გვასწავლის ნეტარი მამა, სავსებით შეესაბამება კაცობრივ ბუნებას.

სულიერი კაცი კი სიკეთისათვის იღვწის, იგი მზადაა და თანახმაა, მიიღოს ტანჯვა, თავი ივნოს, შეურაცხყოფა აიტანოს სიკეთის ქმნისათვის, მოყვასისათვის, ქრისტესათვის. ასეთნი, – ხაზგასმით ბრძანებს ***ნეტარი თეოფილაქტე,*** – კაცობრივ ბუნებაზე მაღლდებიან.

ის, ვინც განსჯის ადამიანურს, – განაგრძობს ნეტარი მამა, – სწვდება მხოლოდ ამსოფლიურს (თუნდაც კეთილს), მას არ შეუძლია მისწვდეს ზებუნებრივს, ანუ ზეცას, და არ ძალუძს, გაჭვრიტოს ღვთიური. ასეთი კაცი მხოლოდ მშვინვიერი მისწრაფებისაა. ***ნეტარი თეოფილაქტე*** შეგვახსენებს ***წმიდა პავლე მოციქულის*** სიტყვებს: *„მშვინვიერი კაცი არ შეიწყნარებს იმას, რაც ღმერთის სულისაგან არის, რადგანაც სიშლეგედ, სიცოფედ მიაჩნია იგი; და არ შეუძლია იმის გაგება, რომ ეს სულიერად უნდა განსაჯოს“* (1 კორინთელთა მიმართ 2, 14).

სწორედ ასეთი გახლავთ ეს თანამეინახე, რადგან სიტყვებს – **ნეტარ არს, რომელმან ჭამოს პური სასუფეველსა ღმრთისასა!** – იგი სწორედ მშვინვიერი მისწრაფებებით აღვსილი ამბობს. ჯერ ერთი, ამ მოკლე შენიშვნით აშკარად იგრძნობა თანამეინახის თვითკმაყოფილება. მართალთა აღდგომის გაგონებისთანავე მან თითქოს დაუდასტურა უფალს: მართლაც ასეა, მართალთა აღდგომისას აღმდგარნი ნეტარნი იქნებიანო. მეორეც, ამ დასტურით მან ისიც დაამოწმა, რომ საფრთხე თავად მას არ ელის, ამ სანეტარო ადგილს სასუფეველში იგი არ დაკარგავს, და ისევე მიიღებს იქ ზეციურ პურს, როგორც აქ, სავახშმო სუფრასთან იღებს. მაშასადამე, ეს ფარისეველი უეჭველად მიიჩნევს იმას, რომ იგი იმ ნეტართა მსგავსად გახდება ღირსი ღმრთის სასუფევლისა.

სწორედ ამ ე.წ. მართალი თუ ნეტარი თანამეინახის პასუხად შეუდგება ჩვენი უფალი „დიდებული სერობის“ იგავის თხრობას,

რათა ამ იგავით მასაც და იქვე მსხდომ ფარისევლებსაც მათივე ტყუილ-მართალი დაანახვოს.

უფალი იესო, – შენიშნავს *ეპისკოპოსი მიხეილი*, – არ განიკითხავს თვითკმაყოფილ თანამეინახეს, არამედ მხოლოდ მისი წამოძახილის საპასუხოდ შეუდგება ამ იგავის მოყოლას. უფალი მას იგავურად უხსნის, რომ ყველა არ იგემებს ზეციურ პურს, და ვერც ღმრთის სასუფევლის სანეტარო პურობაში მიიღებს მონაწილეობას. ამ მიზეზით შენიშნავენ, რომ „დიდებული სერობის“ იგავი უფალი იესოს გაფრთხილებაა ამ თანამეინახისთვისაც, ვახშამზე მყოფ დანარჩენ წვეულთათვისაც და იგავის ყველა მსმენელისა თუ მკითხველისთვისაც.

„პურრი დიდი“

„დიდებული სერობის“ იგავის კომენტატორები უაღრესად საგულისხმო განმარტებას გვაწვდიან **დიდებულთან, დიდთან** დაკავშირებით, რომელიც ამ სერობის მრავლისმთქმელი განსაზღვრებაა.

პურობა, სერობა დიადი და არაჩვეულებრივი უპირველესად იმის გამოა, რომ იგავურად გამოხატავს ღმერთის მეუფებას, სადაც მეუფე თვით ღმერთია, ხოლო სამეუფოს მკვიდრნი არიან ურიცხვი ანგელოზები და *„სრულქმნილებას მოწევნული მართალთა სულები“* (ებრაელთა მიმართ 12, 23).

მიუთითებენ, რომ **დიდი სერობა** ასევე არის ქრისტეს წმიდა ეკლესია, და საგანგებოდ დასძენენ: **დიდი პურობის** მსგავსი სახარებესიული მნიშვნელობა ენიჭება **ქორწილს** „მეფის ძის ქორწილის“ იგავშიც.

ნეტარი თეოფილაქტეს თქმით, ეს ვახშამი იმიტომაც არის დიდებული, რომ გამოუთქმელად დიდია საიდუმლო, რომელიც ცოდვილთა ხსნისა და გადარჩენისათვის დაგვიდგინა ჩვენმა მხსნელმა, მაცხოვარმა იესო ქრისტემ.

წმიდა პავლე მოციქული თავისი ეპისტოლეთი მიმართავს *ტიმოთეს*, და სთხოვს, გაუფრთხილდეს ღვთისაგან მონიჭებულ

მადლს, რომელიც ხუცობის ხელდასხმით მიეცა მას. წმიდა მოციქული ეუედრება ტიმოთეს, რომ თავისი სულიერი ძმები ღვთისმოსაობაში გაწვრთნას, ვინაიდან ღმერთის ყოველი ქმნილება *„ღვთის სიტყვითა და ლოცვით“* განიწმიდება. აქიტომ და მარტო ამისთვის უნდა იზრუნოს ტიმოთემ. ბოლოს, წმიდა პავლე დასძენს: *„ჩაულრმავდი შენს თავს და (ქრისტეს) მოძღვრებას; დამკვიდრდი მათში, რადგან ამის მოქმედი თავსაც იხსნი და შენს მსმენელსაც“* (1 ტიმოთე 4, 4-8. 14-6).

წმიდა მოციქული პავლე ამ დარიგებით შეგვახსენებს, რომ საკუთარი თავისა და სხვათა ხსნა-გადარჩენა აუცილებლობით არის დაკავშირებული გულმოდგინე, გამუდმებულ და თავგანწირულ ღვაწლთან, გარჯასთან, მსახურებასთან. ამ დროს ასევე აუცილებელია დიდი სიფრთხილე, რიდი, რადგან სულის ხსნა და გადარჩენა უზენაესი საიდუმლოა, რომელიც კაცს ზეცით ეძლევა — უფალი იესო ქრისტეს შუამდგომლობით.

აი რატომ იწოდება და რატომ იხსენიება უფლის მიერ იგავში სერობა — **დიდად, დიდებულად.**

ასტრახანისა და კავკასიის ***არქიეპისკოპოს სილვესტრის*** განმარტებით, **სერობის დიდებულება** რამდენიმე ფაქტორით განისაზღვრება. ჯერ ერთი, სერობით გამოხატულ ამ საიდუმლოში თვითონ ძე ღვთისა ეწირება მსხვერპლად კაცობრიობის გამოხსნისათვის; მეორეც, ამ სერობას ვერც ერთი სხვა ვახშამი, ნადიმი თუ წვეულება ვერ შეედრება თავისი დიდებულებით — ვერც ***არტაქსერქსეს*** 180-დღიანი ლხინი, სადაც მან თავისი აურაცხელი სიმდიდრე და ამსოფლიური ბრწყინვალება გამოაჩინა (ესთერი თ. 1), ვერც ***აბესალომის*** ლხინი და ვერც ***ბალთასარისა (ბელშაცარისა)***, რომელმაც ათას დიდკაცს გაუმართა თვალისმომჭრელი ნადიმი. ვერც ერთი მათგანი ვერ სწვდება ამ სერობის დიდებულებას, რადგან დიდებული სერობა ცათა სასუფევლის უხრწნელი შუქით არის გაცისკროვნებული, იგი პირველქმნილი უხრწნელი ნათლით არის მოსილი.

უფლის იგავში წარმოჩენილი **სერობა** ჭეშმარიტად ყველაზე **დიდებულია**, რადგან აქ სუფევს უსასრულო ძალმოსილება, ულევი

სიმდიდრე, გამოუთქმელი სიბრძნე, უკიდეგანო წყალობა და თავად უკვდავება. *არქიეპისკოპოს სელევესტრის* თქმით, სერობას დიდებულებას ისიც მატებს, რომ მას დაესწრებიან ცისა და ქვეყნის მპყრობელი, მეუფე მეუფებათა და უფალი უფლებათა, ქერუბიმნი და სერაფიმნი, მთელი ლაშქარი ციურთა, წმიდა პატრიარქები, წმიდა წინასწარმეტყველნი და წმიდა მოციქულნი – მართლაც სანეტარო დიდებულებაა! მოიპოვება კი ადამიანი, რომელიც არ ინდომებს ამ უბრწყინვალესი ვახშმის გემოს ხილვას? ვინ იტყვის უარს, იხილოს პირველმამა – *ადამი*, კიდობანში მძინარე *ნოე*, მართალთა მამა – *აბრაამი*, მსხვერპლად განმზადებული და ღვთისაგან *კურთხეული ისაკი*, ისრაელად წოდებული *იაკობი*, და თვით *მოსე* – წინამძღოლი ისრაელისა, დაუმარცხებელი მხედართმთავარი *ისუ ნავე* – ყველა ის, ვინც ჭეშმარიტი ღმერთი მიიღო.

კაცმან ვინმე

„დიდებული სერობის“ იგავი ასე იწყება: **კაცმან ვინმე ყო პური დიდი და მოუწოდა მრავალთა.** „დიდებული სერობის“ იგავში **კაცი ვინმე**, ანუ ერთი კაცი, დიდ წვეულებას, დიდ პურობას გამართავს.

მამაღმერთს უფალი ხშირად წარმოგვიდგენს ადამიანად, – ამბობს *ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი*, – რითაც იგავურად მიგვანიშნებს მის კაცთმოყვარეობაზე, ღვთის დიდ სიყვარულზე ადამიანთა მიმართ. ღმერთი ასევე მოსიყვარულე კაცის და მზრუნველი მამის იგავურ სახეს ილებს სახარების იგავებში „უძღებ შვილსე“, „ორ ძეზე“ და სხვა. ეს არ უნდა გაგვიკვირდეს, – გვმოძღვრავს ნეტარი მამა, – თუკი გავიხსენებთ, რომ წმიდა წერილში ღმერთი ზოგჯერ სხვადასხვა ცხოველის სახითაც კი წარმოდგება.

ისრაელიანთა გადაადგილებისა და ღვთის დავიწყების გამო, ღმერთი მოსალოდნელ სასჯელზე მიუთითებს *წმიდა ოსია წინასწარმეტყველს* და ეუბნება: *„გადაადგილდნენ და დამივიწყეს მე. მე კი ლომად ვექცევი მათ, ვეფხვივით ჩავუსაფრთები გსა-*

ზე: ბელებწაგვრილი დათვივით დავიცემი თავს, შევუნგრევ გულისფიცარს და ლომივით შევჭამ მათ; ველის მხეცები დაგლეჯენ მათ“ (ოსია 13, 6-8).

წმიდა წერილი ამ დროს მხოლოდ და მხოლოდ იგავურად გამოთქმის წესს ექვემდებარება, რაც, რაღა თქმა უნდა, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ღმერთი ან ადამიანის სახეს მიიღებს, ან რომელიმე ცხოველისას.

დიდებული ვახშმის მომწვევი, ანუ ღმერთი, მთელი ძველი აღთქმის ხანაში ამზადებდა ამ **დიდ პურობას** – ქვეყნის დასაბამითგანვე განმზადებულ **დიდებულ სერობას**, ანუ ვახშამს, რომელიც იგავურად ნიშნავს ღმერთის მეუფებას, ცათა სასუფეველს. ბუნებრივია, დიდებულ სერობაზე წვეულებს ღმერთი **სულიერი ვახშმით** გამასპინძლებას ჰპირდებოდა, რაც იგავში ხორციელი საკვებით – **დიდი პურობით** არის გამოხატული.

დიდებულ სერობაზე ღმერთი რჩეულ ებრაელ ერს იწვევდა და მოუწოდებდა, მონაწილეობა მიეღო ღვთაებრივ პურობაში. იგი მრავალგვარი მოწოდებით იხმობდა ისრაელიანებს: აღთქმათა დაპირებებით, წინასწარმეტყველებებით, წინასწარ გამოსახული ნიშნებით მომავალზე, რაც აღთქმასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებებით და სჯულის კარვით აღიბეჭდებოდა ხოლმე; ასევე მოუწოდებდა სასწაულმოქმედებებით, თავისი ყოვლადძლიერებისა და სიბრძნის გამოვლინებებით, რჩეულ ღვთისშვილთა ბაგეთაგან წარმოთქმული წინასწარუწყებებით, ღვთისათვის სათნო და კაცთა მიერ აღიარებულ რჩეულთა განდიდებით ყველას წინაშე.

ღმერთი ამ ერს საზარელი სასჯელებითაც მოუწოდებდა და წინააღმდგომთა თავს დიდ რისხვას ატეხდა ზეგარდმო. მაგრამ ამ რჩეულმა ერმა არა და არ ისმინა ღვთის ხმა. მაშინ კი მესიის პირით მოიწვია ღმერთმა ისინი და სახარება უქადაგა მათ.

„მოუწოდა მრავალთა“

„დიდებული სერობის“ იგავში სახლის პატრონი იწვევს **მრავალთ**: მან **მოუწოდა მრავალთა**, – ვკითხულობთ იგავში. სიტყ-

ვა **მრავალთა** არ გულისხმობს წვეულთაგან ზოგიერთს. **მრავალნი** აქ უკლებლივ ყველას ნიშნავს. იგავი გვეუბნება, რომ მასპინძელმა ადამიანთა სიმრავლეს მოუწოდა, მან ყველასთვის გამართა წვეულება.

ამის მსგავსად ამბობს *წმიდა წინასწარმეტყველი დანიელიც: „მრავალი მიწაში მიძინებული გამოიღვიძებს, ზოგი საუკუნო გმობისა და შერცხვენისათვის“* (დანიელი 12, 2). იგივე სათქმელია წმიდა იოანეს სახარებაშიც, რაც უკვე გავიხსენეთ და ახლაც უნდა გავიმეოროთ: **„მოვალს ჟამი, რომელსა ყოველნი, რომელნი ისხნენ საფლავებსა, ისმინონ ჴმისა მისისაჲ. გამოვიდოდიან კეთილისმოქმედნი აღდგომასა ცხორებისასა, ხოლო ბოროტისმოქმედნი აღდგომასა სასჯელისასა“** (იოანე 5, 28-29).

წმიდა სახარების ძველ ბერძნულ თარგმანში **მოწოდება** **მრავალთა**, ანუ მოხმობა, მოპატიჟება, გადმოიცემა სიტყვით, რომელიც ჩვეულებრივ დაძახებას ნიშნავს. თუმცა *წმიდა მოციქული პავლე* გულისხმობს არა ჩვეულებრივ დაძახებას, არამედ ღვთის იმ მოწოდებას, რომელსაც ერწყმის ღვთის ნებითვე აღძრული სულიერი სწრაფვა ადამიანისა. ღმერთი ამ მოწოდებისას თავის სამეფოში გვიხმობს და იმას გვპირდება, რასაც იგი წმიდა იოანეს სახარებაში ამბობს:

„ვერვის ჴელ-ეწიფების მოსლვად ჩემდა, უკუეთუ არა მამამან, მომავლინებელმან ჩემმან, მოიყვანოს იგი ჩემდა, და მე აღვადგინო იგი უკუანაკსკნელსა მას დღესა“ (იოანე 6, 44). ზმნა მოყვანა აქ იმავე საღვთისმეტყველო მნიშვნელობას შეიცავს, როგორსაც ზემოთ განმარტებული **მოწოდება**.

მაშასადამე, წმიდა იოანეს სახარებაში უფლისმიერი აღთქმიდან ამოიკითხება აზრი იმის შესახებ, რომ არავის ძალუძს მაცხოვარ იესო ქრისტესთან მიახლება თავისი ნებით, თუკი ძე ღვთისას მომავლინებელი მამა არ მოუწოდებს და ამ მოწოდებით არ მიიყვანს უფალ იესოსთან. უფლის იგავური თქმა **მოუწოდა** **მრავალთა**, და წმიდა იოანეს სახარებაში აღბეჭდილი უფლის ხსენებული აღთქმა – ორივე ერთად – ღაღადებს, რომ ყოვლადძლიერის მოწოდება დამთრგუნველად კი არ მოქმედებს ადამი-

ანის ნებაზე, კი არ ლახავს და ბოჭავს მას, არამედ არჩევანისა და თავისუფალი ნების გამოხატვის საშუალებას უტოვებს ადამიანს, რომელსაც შეუძლია აირჩიოს – გაპყვეს თუ არ გაპყვეს ამ მოწოდებას, დამორჩილდეს თუ წინ აღუდგეს მას. საბოლოო არჩევანს უფალი ღმერთი თვითონ ადამიანს უტოვებს.

სწორედ ღვთის სიტყვით გამოხატული მოწოდების და შინაგანი სულიერი სწრაფვის ამგვარ ერთიანობას გულისხმობს *წმიდა პავლე მოციქული*, როდესაც თავის ეპისტოლეებში ახსენებს **მოწოდებას, ხმობას,** რომელიც ძველ ქართულში **ჩინებით** გადმოიცემა. მაგალითად, რომაელთა მიმართ ეპისტოლეში წმიდა მოციქული ამბობს: ღმერთის ნიჭები და ღმრთის მოწოდება უცვალებელნი, *„შეუნანებელ არიან“* (რომაელთა მიმართ 11, 29). ებრაელთა მიმართ ეპისტოლეში წმიდა მოციქული თავის ქრისტესმიერ ძმებს ასე მიმართავს: *„ზეციური ხმობის ზიარნო“*, *„ჩინებისა მის ზეცათაჲსა ზიარნო“* (ებრაელთა მიმართ 3, 1). ფილიპელთა მიმართ ეპისტოლეში კი იგი თავის სანუკვარ მისწრაფებასა და სურვილს გაიმჟღავნებს: *„მოველტვი მიზანს – ღმერთის უზენაესი ხმობის პატივს – ქრისტე იესოში“* (ფილიპელთა მიმართ 3, 14). წმიდა მოციქული კრძალულებით ისწრაფვის ყველაზე დიდებული გვირგვინისაკენ – გახდეს ღირსი ღვთაებრივი მოწოდებისა და ქრისტე იესოს მიერ მიიღოს ზეციური ხმობა ღვთისაგან.

იგავში სახლის პატრონი მონას წვეულთა მოსაპატიჟებლად, მათ **მოწოდებად** აგზავნის. მონა ისევე გადასცემს წვეულთ სახლის პატრონის დანაბარებს – მობრძანდით, ყველაფერი მზად მაქვსო, როგორც უფალი იესო ქრისტე ქადაგებისას მოუწოდებდა ყველას: **„შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათაჲ“** (მათე 4, 17) – მოინანიეთ და ისე მოდით ჩემთან, რადგან უკვე ახლოსაა სასუფეველი, რომელიც მხოლოდ სინანულის გზით არის მზად მრავალთათვის, და მხოლოდ თავისი ნებით მოსული მონანული ეზიარება ზეციურ პურობას.

უფალი დღესაც ყველას მოგვიწოდებს, რათა ზიარების წმიდა საეკლესიო საიდუმლოში მონაწილეობის ღირსნი გავხდეთ და წარწყმედისაგან გადავირჩინოთ სული:

„მიიღეთ და ჭამეთ, ესე არს ჴორცი ჩემი... სუთ ამისგანი ყოველთა: ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქუმისაჲ, მრავალთათჳს დათხეული მისატევებელად ცოდვათა“ (მათე 26, 26-28; მარკოზი 14, 22-24).

„წარავლინა მონაჲ თჳსი ჟამსა პურისასა“

„დიდებული სერობის“ იგავში ნათქვამია: **და წარავლინა მონაჲ თჳსი ჟამსა პურისასა.** ამ მონას წვეულთათვის უნდა გადაეცა სახლის პატრონის მიპატიჟება: მობრძანდით, პურობის დრომ მოაწია, ყველაფერი უკვე მზად მაქვსო, – და მონა ასეც მოიქცა.

მონა იესო ქრისტეა, მესიაა. ძველი აღთქმის წიგნებში **მესია** ხშირად იხსენიება მონად, კერძოდ, *წმიდა ესაია წინასწარმეტყველის* წიგნში მესია ღვთის **მონად** იწოდება. ახალ აღთქმაში, კერძოდ, *წმიდა პავლეს* ეპისტოლეებში, არაერთგზისაა წარმოჩენილი იესო ქრისტეს მიერ მონობის ხატით შემოსვა, თავის დამდაბლება და *„მსგავს კაცთა ქმნა“* (ფილიპელთა მიმართ 4, 7).

წმიდა მოციქული იესო ქრისტეზე ასევე ბრძანებს: *„რომელი იგი ხატი ღმრთისაჲ იყო... თავი თჳსი დაიმდაბლა და ხატი მონისაჲ მიიღო და მსგავს კაცთა იქმნა და ხატითა იპოვა ვითარცა კაცი; დაიმდაბლა თავი თჳსი და იქმნა იგი მორჩილ ვიდრე სიკუდილადმდე, და სიკუდილითა მით ჯუარისაჲთა”* (ფილიპელთა მიმართ 2, 6-8).

მონის სახარებისეული ალეგორია ამ იგავში შეგვახსენებს, რომ განკაცებული ღმერთი კაცთა სამსახურებლად მოვიდა. თუმცა *ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელის* თქმით, **მონა** იგავში იმასაც გულისხმობს, რომ იესო ქრისტე ემსახურა ღმერთსა და მამას, და ამიტომაც არის იგი მონა – ღვთისა!

ნეტარი ავგუსტინე და *წმიდა გრიგოლი დიდი* **მონაში** ჭვრეტენ არა იმას, ვინც წინ უძღვის, ანუ არა თავად ქრისტეს, არამედ იმას, ვინც უფალს ახლდა, ანუ მახარებლებსა და მოციქულებს. ისინი ამცნობდნენ იუდეველებს უფალი იესო ქრისტეს მოწოდებას, უქადაგებდნენ ქრისტეს სიტყვასა და სწავლებას და ნაწინასწა-

რმეტყველები სასუფევლის მოახლოებას შეახსენებდნენ: **„შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათა“** (მათე 4, 17).

სწორედ ამ მიზნით – სასუფევლის დადგომის საუწყებლად მოევლინა ზეციდან უფალი იესო ქრისტე. ძე ღვთისა მოვიდა ძე კაცისად – მონა ღვთისად, რათა კაცთა მოდგმას მომსახურებოდა. ასე მომზადდა ღმერთის დიადი პურობა – **დიდებული სერობა**.

ვახშმობის ჟამი, ანუ მწუხრის, **სერობის** ჟამის დადგომაც ამას ნიშნავსო, – შენიშნავს *დეკანოზი ბუხარეევი*, რადგან ეს არის ჟამი მესიის სასუფევლისა, ქრისტეს სასუფევლისა, მისი ამქვეყნად მოსვლისა. კონკრეტულად ამას გულისხმობს იგავში ნათქვამი: **ჟამსა პურისასა**, ანუ იმ ჟამს, სერობის, ვახშმობის დრომ რომ მოაწია.

„ოდეს მოიწია აღსასრული ჟამთაჲ, მოავლინა ღმერთმან ძე თჳსი, შობილი დედაკაცისაგან, და იქმნა იგი შჯულისა ქუეშე“, – ამბობს *წმიდა პავლე მოციქული* (გალატელთა მიმართ 4, 4). სწორედ ამ აზრს გულისხმობს **ჟამსა პურისასა**.

ეს ჟამი, ანუ ცის სასუფევლის მოახლოების ჟამი, სწორედ მაშინ დადგა, როდესაც ძე ღვთისა ხორციელად იშვა. კაცთა მოდგმის გადასარჩენად სწორედ რომ ყველაზე შესაფერისი დრო იყო, – ბრძანებს *ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი* და განაგრძობს: – ავგუსტუსის დროს, როდესაც ამ დიდებულმა ჟამმა დაჰკრა, ბოროტებამ მწვერვალს მიაღწია. სხვა გზა და სხვა საშველი უკვე აღარ იყო, გარდა ღვთის შეწევნისა. სანამ ავადმყოფობა მთლიანად არ გამოავლენს თავს, სანამ ჩირქი თავისით არ გამოუონავს და შეტევები პერიოდულ ხასიათს არ მიიღებს – მანამდე მკურნალი არ იწყებს განკურნებას, არამედ იცდის და ელოდება სენის სრულად გამოვლინებას. ასევე უნდა გამოაშკარავებულიყო ცოდვა – მთელი თავისი საშინელებითა და სიმახინჯით, მას თვითონვე უნდა ეღაღადა ცოდვის აპოკალიფსი.

აი, მხოლოდ ამის შემდეგ **გარდამოჴდა ზეცით** დიდებული მკურნალი და მაცხოვნებელი მალამო სცხო ცოდვით დასნებოვნებულ კაცობრიობას. **პურობის ჟამიც** „დიდებული სერობ-

ის“ იგავში სწორედ ეს გახლავთ: ეს არის ჟამი ძე ღვთისას ხორციელად დაბადებისა, ჟამი, როცა მისი მეოხებით მისწვდა კაცთა გულისყურს ღვთის სიტყვა.

„მზა არს ყოველი“

ამავე აზრსა და მნიშვნელობას შეიცავს „დიდებული სერობის“ იგავში თქმული **პური ჩემი მზა არს ყოველი** – ანუ ყველაფერი უკვე მზად მაქვსო.

წმიდა კირილე ალექსანდრიელი გვასწავლის, რომ ჩვენთვის, ცოდვილთათვის, იესო მაცხოვარს მზად აქვს: ჩვენი ცოდვების მიტევება, სულიწმიდასთან ზიარება, ღვთისმშობლის მფარველობის ღირსყოფა, ზეციური ნეტარების მიღება. ამ დიდებულ სერობაზე სხვა სულიერი საზრდოც მომზადდა ჩვენთვის: განმართლება, უკვდავება, დაუსრულებელი სიხარული, ჭეშმარიტი თავისუფლება (განთავისუფლება ცოდვისაგან), ქრისტეს წმიდა ხორცსა და პატიოსან სისხლთან ზიარება. უფალი იესო ქრისტეს შუამდგომლობითვე გვეფინება ზეციდან ჩვენი ხსნისა და გადარჩენის საწინდარი – სულიწმიდა, რომლის ძალით განგვიმტკიცდება რწმენა, განგვეწმინდება გული, აღგვენთება სიყვარული მტრის მიმართ, აღგვეძვრება სასოება და განსაცდელებისას თმენით აღვიჭურვებით.

აი რა მომზადდა ჩვენთვის ამ დიდებულ სერობაზე, აი როგორ მზადყოფნაზე ამცნობს სახლის პატრონისაგან წარგზავნილი მონა წვეულთ – **ჩინებულთ**. იგი მათ ეუბნება: მობრძანდითო, ესე იგი, ირწმუნეთ ყოველივე ეს, შეიყვარეთ ძე ღვთისა მთელი გულით, მიიღეთ მისი მოძღვრება – ღვთის სიტყვა, მიბაძეთ მას, დაიცავით მცნებები და არ ასცდეთ მისგან ნაჩვენებ ერთადერთ ჭეშმარიტ გზასო. ყოველივე ეს ებრაელთათვის იყო განმზადებული. მანამდე ღმერთმა რჯულითა და წინასწარმეტყველებით აუწყა მათ და მოუწოდა. სწორედ მათთან – ისრაელის სახლის წარწყმედილ ცხვრებთან (მათე 15, 24) მოივლინა უფალი იესო, მაგრამ ებრაელებმა უარი თქვეს. იგავში ნათქვამია, რომ უარი თქვა ყველამ!

კომენტატორები შენიშნავენ, რომ ამ სერობაზე ებრაელთა წიალიდან პირველ ყოვლისა მოუწოდეს მწიგნობრებს, რჯულისმეცნიერებს და ფარისევლებს, ანუ ხალხის წინამძღოლებს. სწორედ მათ ხელთ იყო რჯულის წიგნები, წინასწარმეტყველთა უწყებანი, სადაც მკაფიოდ მიეთითებოდა ამ დიდი პურობის ჟამიც და ღმერთის მადლმოსილი მეუფების ამქვეყნად გამოცხადებაც.

უარის მთქმელებმა სამი სხვადასხვა მიზეზი დაასახელეს. სამივე მიზეზს ორ კატეგორიად ყოფენ: ერთნი არიან სიმდიდრით ძლეულნი, მეორენი კი სიამეთა სიყვარულით პყრობილნი. პირველ კატეგორიას ეკუთვნის იგავში ნახსენები პირველი ორი უარმყოფელი, რომელთაც მიწისა და ხუთი უღელი ხარის შეძენის გამო თქვეს უარი, თან ბოდიშიც მოიხადეს. მესამე უარმყოფელმა ცოლის მოყვანის, დაქორწინების გამო განაცხადა უარი. ახლად დაქორწინებული წვეული, იმ ორისგან განსხვავებით, ბოდიშს არ იხდის. იგავის მიხედვით, იგი ქრისტეს უარმყოფელთა მეორე კატეგორიას შეადგენს.

ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელის თქმით, უარყოფის სამივე შემთხვევა ამ იგავში სიტყვასიტყვითაც შეიძლება გავიგოთ. მართლაც, მიწისა და საქონლის შეძენას, ქორწინებას ან სხვა მსგავს წადილთა ნებას მთელი სიცოცხლე ეწირება ხოლმე. საღმრთო საქმე ამ დროს მეორეხარისხოვანია ანდა სულაც განზე რჩება. ეს საშური საქმე აღარც ფიქრის საგანია, აღარც საუბრისა და სურვილიც კი არ გვიჩნდება, რომ ამ დიდებულ საქმეს მოვკიდოთ ხელი.

დიდებულ სერობაში მონაწილეობაზე უარის თქმას ნებაყოფლობითი ხასიათი აქვს. **სამივე თავისი ნებით ამბობს უარს.** მერედა, რაზე ამბობენ უარს? მათ არ სურთ ქრისტეს რწმენა, არ იღებენ მის მოძღვრებას და, ბუნებრივია, ვერასოდეს გახდებიან ჭეშმარიტი ქრისტიანები. საბოლოოდ, ორივე კატეგორიის წვეულნი ერთნაირად — ულირსად იქცევიან.

ერთი და იგივეა ამ საქციელის გამომწვევი მიზეზიც — ეს არის მიდრეკილება, სწრაფვა წუთისოფლის დროებითი და მოჩვენებითი სიკეთისაკენ. სამივენი საკუთარ სურვილებს ემორჩილებიან. მათ ქონება კი არ უშლით ხელს, მონაწილეობა მიიღონ საღმრთო პურობაში, არამედ ქონებაზე მიჯაჭვულობა და ტრფიალი ამ საგნებისადმი. მიწიერის უპირატესობის აღიარება და მხოლოდ ხორციელით შემოფარგვლა აბრკოლებთ. ამის გამო აღარ ძალუძთ, იბატონონ საკუთარ სურვილებზე.

მიწის ნაკვეთის მფლობელი, ***ნეტარი ავგუსტინეს*** თქმით, საკუთარ ამპარტავნულ მბრძანებლობას ავლენს, ამ მიწის ბატონპატრონად მოაქვს თავი. მასში ასე იდგამს ფესვებს ამპარტავნება — დედა ყოველთა ცოდვათა. ნეტარი მამა დასძენს: *„მიწიურ საგნებზე მიჯაჭვა, ჩვეულებრივ, სულიერებისკენ მიმავალ გზას ულობავს ადამიანს და იგი ველარ მაღლდება ამ საგნებზე. ეს უმძიმესი ტვირთია სულიერი ფრთებისთვის: გაფრენა კი გინდა, მაგრამ დამძიმებული ხარ“*, — დანანებით მოგვმართავს ნეტარი მამა.

მიწის ნაკვეთის ყიდვა, მიწა ამ იგავში გამოხატავს აზრს იმის შესახებ, რომ ადამიანი ხშირად სულის ცხოვნებაზე უმჯობესად ამსოფლიურ სიბრძნეს მიიჩნევს ხოლმე. უნდა ითქვას, რომ **მიწა**, საზოგადოდ, **მამული, ველ-მინდვრები**, დიდ ფასეულობას წარმოადგენდა იმდროინდელ პალესტინაში და ძვირად ღირებული იყო, რადგან იქ მიწა ბევრი არ არის, თუმცა ნიადაგი ნოყიერი და უხვმოსავლიანია. ამიტომ მიწის მცირე ნაკვეთის მფლობელობაც კი მეტად მნიშვნელოვანი ქონების პატრონობას ნიშნავდა. იგავში ამ მიზეზით შეუპყრია მოუთმენლობას ეს წვეული: უეჭველად უნდა მივიდე და ამ ჩემს ახლად შეძენილ ყანას დავხედოო. ჩანს, იმდენად დიდია მისი სიხარული წარმავალი შენაძენის გამო, რომ იგი არაფრად აგდებს საღმრთო პურობაში მონაწილეობის პატივსა და ამ პურობით მონიჭებულ სიხარულს.

ნეტარი თეოფილაქტეს განმარტებით, **მიწა** იგავში ასევე უნდა გამოხატავდეს წუთისოფელს მიჯაჭვული კაცის ბუნებას. ამგ-

ვარი ბუნების ადამიანი ვერასოდეს ეზიარება ზებუნებრივს. ეს მიწისმფლობელი, ნეტარი მამის თქმით, ძლიერ ჰგავს ფარისეველს, რომელიც მარტო ბუნების კანონებით ხელმძღვანელობს და მთლიანად მას ეყრდნობა. ფარისეველებმა და სხვა წარჩინებულმა იუდეველებმა არ მიიღეს ქრისტე, ვინაიდან ქალწულისაგან შობილი ძე ღვთისა (ზებუნებრივი, ღვთაებრივი) მათთვის იყო იოსებისა და მარიამის ძე (ბუნებრივი). ამით მათ თავიანთი დაცემული ბუნების განმაახლებელი იესო უარყვეს.

მეორე წვეულსაც შენაძენი აქვს – ეს არის **ხუთი უღელი ხარი**. ხარით ხნავდნენ მიწას, ფქვავდნენ მარცვლეულს, გადაჰქონდათ ტვირთი, წყალი ამოჰქონდათ ჭიდან, ხარის ხორცს საკვებად იყენებდნენ, ხოლო ტყავს – სხვადასხვაგვარი დანიშნულებით და ა. შ.

ამ წვეულით, ხარები რომ შეიძინა, უფალი ფარისეველებსა და სადუკეველებზე მიგვანიშნებს. მთელი სულით და გულით ისინი ქონების დაგროვებისკენ ისწრაფოდნენ, რის გამოც არ სურდათ და დროც არ ჰქონდათ იმისთვის, რომ უფლის მოწოდება ყურად ელოთ.

ნეტარი თეოფილაქტეს თქმით, **ხუთი უღელი ხარით** გამოხატულია ადამიანის ხუთი გრძნობის ორგანო: მხედველობა, სმენა, ყნოსვა, გემო და შეხება. ხუთი ხარის პატრონი ამ გრძნობათა ტყვეა, მისი სული ხუთივე გრძნობის ორგანოსთან არის შეხორცებული – სული მას ხორცად უქცევია!

ნეტარი მამა იხსენებს ბრძენი *ზირაქის* სიტყვებს: *„როგორ შეიძლება, ბრძენი გახდეს გუთნის დამჭერი, ხარების გამრეკი და ამგვარ საქმეებში გართული, რომელსაც მხოლოდ მოზვრები აკერია პირზე? მისი საფიქრალი კვლების გაყვანაა, და მისი საზრუნავი – ხბორების საკვები“* (სიბრძნე ზირაქისა 38, 25-26). იგავში ამავე მიზეზით არ ინდომებენ ხორციელებით მოცულნი სულიერ ვახშამში მონაწილეობას.

მესამე წვეული **ახლად დაქორწინებულია**, ახლა შეურთავს ცოლი და ამ მიზეზით ვერ იცლის საღმრთო პურობაზე მონაწ-

ილეობისათვის. ერთი შეხედვით, ეს წვეული არც უჯეროდ იქცევა და არც ბოროტებას სჩადის — ქორწინება ხომ ღვთისაგან არის კურთხეული! ქორწილი თვით უფალმა იესო ქრისტემ თავისი სასწაულით სათნო-ყო *გალილეის კანაში*. მაგრამ ადამიანს ვერ მიეცემა განმართლება ღვთისაგან, თუკი იგი თუნდაც კეთილსახიერი საქმის გამო იტყვის უარს საღმრთო სერობაზე.

ამსოფლიური საქმე არ უნდა უსწრებდეს და არ უნდა აღემატებოდეს ღვთაებრივს, კაცმა არ უნდა დაიჯაბნოს თავი ამქვეყნიურით და ღვთაებრივი განზე არ უნდა დარჩეს. *„სხვა რას უნდა ნიშნავდეს ამ იგავში ცოლი, თუ არა ხორციელ გულისთქმებს?!“* — გვეკითხება *წმიდა გრიგოლი ღვთისმეტყველი*.

ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი გვასწავლის, რომ **ახლად დაქორწინებული** ამ იგავში ვნებებს აყოლილი კაცია, რომელიც მხოლოდ ხორცით შეერთებია თავის მეორე ნახევარს. სულით კავშირი მას აღარ ძალუძს და ვეღარც ღვთის მოსაწონად იქცევა.

წმიდა კირილე ალექსანდრიელი განმარტავს: *„ცოლის შემრთველი ამ იგავში იმგვარადვეა სიყვარულით მიდრეკილი ხორცისკენ, როგორც ახლად დაქორწინებული — ცოლისკენ, და ამის გამო აქცევს იგი ზურგს მარადიულ, ჭეშმარიტ სიკეთეს“*. წმიდა მამა ხორცისაკენ მიდრეკილი ადამიანის გულისთქმებს შეგვახსენებს, ესენია: ნაყროვანება, სიმთვრალე, მუცელღმერთობა, ავხორცობა და სხვა ხორციელი ცოდვები, რომელთა გახსენების სურვილიც კი არ უნდა ჰქონდეს მართლმორწმუნეს. სწორედ ეს იყო მიზეზი მწიგნობრების, ფარისევლებისა და სადუკეველების არაწმიდებისა, მათი უსიყვარულო, ურჯულო ცხოვრებისა. მათ აღარ შეეძლოთ (და ვერც შეძლეს), ქრისტეს შესდგომოდნენ, ერწმუნათ მისი, რის შედეგადაც დაკარგეს მადლი და ზეციური წყალობა.

იუდეველ მამამთავრებს, ამავე მიზეზით, არასწორად ესმოდათ წინასწარმეტყველება მესიის სასუფევლის დადგომაზე. ისინი ელოდნენ მესიას, მაგრამ არა როგორც სულის მხსნელსა და

ცოდვათა მიმტევებელს, არამედ ვითარცა მიწიერ მეუფეს, რომელიც გაამდიდრებდა მათ, მთელ ქვეყნიერებას დაიპყრობდა ებრაელთათვის. ისინი ხალხსაც ამას ასწავლიდნენ.

არანაკლებ საგულისხმოა ამ სამი უარმყოფელის თანამიმდევრობის გათვალისწინება იგავში. მსგავსი გრადაცია მეღავნდება „მეფის ძის ქორწილის“ იგავშიც: მეუფის მონებს წვეულთა პირველმა ჯგუფმა არც კი მიხედა, ყურად არ იღო მეუფის მოწვევა, მეორე ჯგუფმა შეურაცხყო და მესამემ მოაკვდინა კიდეც წარგზავნილები.

პირველი უარმყოფელი „დიდებული სერობის“ იგავშიც კატეგორიულად არ გამოთქვამს უარს, არამედ განმარტავს, რომ აუცილებლობა აიძულებს, ასე მოიქცეს, და ბოდიშსაც იხდის. მეორე უარმყოფელიც იმართლებს თავს შექმნილი ვითარებით, მაგრამ აუცილებლობას არ უსვამს ხაზს, მხოლოდ ცნობას აწვდის მასპინძელს: **მივალ გამოცდად მათა** – მათ გამოსაცდელად მივდივარო, და ასე მოუბოდიშებს.

მესამე უარმყოფელი საკუთარი საზრუნავით მთლიანად არის მოცული: **ცოლი შევირთე,** – ამცნობს მონას და შემდეგ უცერემონიოდ, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, უბოდიშოდ განაცხადებს: **და მის გამო ვერ ჭელ-მეწიფების მოსლვად** – ამიტომ ვერ გეახლებით, არ შემიძლია და მორჩაო! იგი მეტისმეტად არის დარწმუნებული, რომ მისი არჩევანი მართებულია, კანონიერად აქვს უფლება, თქვას უარი, და მოსაბოდიშებელიც არაფერი აქვს.

რა თქმა უნდა, მარტო ებრაელთა და იუდეველთა შორის როდი იპოვებიან მსგავსი უარმყოფელნი. ქრიატიანებს შორისაც არიან ისეთნი, რომლებიც მეტისმეტი სიყვარულით ეკიდებიან ყოველგვარ მიწიერს, – გვაფრთხილებს *დეკანოზი ბუხარევი,* – და საწუთისოფლო სიამეებს ესწრაფვიან; ისინი შორდებიან ღმერთს, კარგავენ ეკლესიას, იწყვეტენ მადლს, აკლდებიან სასუფეველს. რამდენია ჩვენ შორის ასეთი? რამდენი არლვევს ამ მიზეზით მარხვას და არ ესწრება ღვთისმსახურებას? – ამასაც გვეკითხება დეკანოზი ბუხარევი.

„დიდებული სერობის“ იგავის კომენტატორები **ყანის (მიწის) შეძენის, გუთნისა** და **დაქორწინების** სახარებისეულ ალეგორიათა განსხვავებულ მნიშვნელობაზეც მიაქცევენ ჩვენს ყურადღებას. მაგალითად, „საუნჯის“ იგავში უფალი ბრძანებს:

„მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ საუნჯესა, დაფარულსა ყანასა შინა, რომელი პოვა კაცმან და დამალა და სიხარულითა მით მისთჳს წარვიდა და განყიდა ყოველი, რაჲცა აქუნდა, და მოიყიდა აგარაკი იგი“ (მათე 13, 44).

აშკარაა, რომ „საუნჯის“ იგავში **შეძენილი ყანის, მინდვრის** საღვთისმეტყველო მნიშვნელობა საპირისპიროა „დიდებული სერობის“ იგავში არსებული **ყანის, მიწის შეძენის** ალეგორიისა: ეს კაცი ყველაფერს გაყიდის, ანუ უარს იტყვის წუთისოფლის სიამეზე, საცდურზე, რათა მარადიული საუნჯის მფლობელი გახდეს.

ასევე სხვაგვარია თავისი მნიშვნელობით წმიდა სახარებაში არსებული ალეგორია **ხელის დადება სახნისზე, გუთანზე**: ერთმა კაცმა ჯერ თავისიანებთან გამომშვიდობება ინება და ამის შემდეგ დააპირა, გაჰყოლოდა ქრისტეს. უფალი მას ეუბნება: **„არავინ იყურება უკან, როცა გუთანი უჭირავს ხელში; ასეთი მეგუთნე არ ივარგებს ღვთის სასუფეველისათვის“** (ლუკა 9, 62). როგორც ვხედავთ, ამ გუთნისდედის ჭაპანი ძლიერ განსხვავდება ხუთი უღელი ხარის პატრონის განზრახვისაგან.

რაც შეეხება **დაქორწინების** ალეგორიას, *წმიდა მოციქული პავლე* თავის კორინთელ ძმებს საღმრთო სურვილით მიმართავს და ეუბნება: *„დაგწინდეთ ერთ კაცზე, რათა უბიწო ქალწულად წარგადგინოთ ქრისტეს წინაშე“* – (2 კორინთელთა მიმართ 11, 2). ამ შემთვევაშიც სულ სხვაა მიზანი დაწინდვისა, ნიშნობისა, განსხვავებით იგავის ახლად დაქორწინებულის განზრახვისა.

ახლახან წარმოდგენილ სამივე სახარებისეულ ალეგორიას ერთი გამიზნულობა აერთიანებს – ეს არის **ქრისტესთან ერთობით გადარჩენა სულისა** და **დამკვიდრება ცათა სასუფევლისა**. ამ დიდებულ სამეულს, „დიდებული სერობის“ იგავის

სამეულისგან განსხვავებით, ვერავინ და ვერაფერი შეუშლის ხელს, მიიღოს მოწვევა დიდებულ სერობაზე!

იგავში წარმოჩენილი **მობოდიშების** სახარებისეული ალეგორია თავისებურად ვითარდება „დიდებული სერობის“ იგავს მოდევნებულ ნაწილში.

როგორც გაირკვა, „დიდებული სერობის“ იგავში წვეულთა ორივე კატეგორია (იხ. ზემოთ, გვ. 119) ამსოფლიურობით, ხორციელისადმი გარდარეული სიყვარულით არის ძლეული. პირველი კატეგორია (მიწისა და ხუთი უღელი ხარის პატრონები) მობოდიშებით უარობს, ისინი გრძნობენ, რომ უმართებულოდ იქცევიან, მაგრამ არ ძალუძთ, სძლიონ საკუთარ „წადილთა ნებას“ და მობოდიშებითლა ლამობენ, დააღწიონ თავი ამ დილემას. ასეთია პირველი კატეგორიის უარმყოფელთა არჩევანი.

მეორე კატეგორიის უარმყოფელი, ამათგან განსხვავებით, უფრო დამძიმებულია თავისი არასწორი არჩევანით, ვინაიდან საკუთარი საზრუნავით მთლიანად არის მოცული და პყრობილი, ვნებებს აყოლილს ველარა გაუგნია რა, მხოლოდ ხორცს ჭვრეტს, სულს კი ზურგს აქცევს, და თვითდარწმუნებულს ჰგონია, რომ კანონიერადაც აქვს უფლება, უარი თქვას ზეცით მოვლენილ უდიდეს წყალობაზე, რადგან ღვთისაგან კურთხეულ საქმეს შესდგომია – ცოლს ირთავს! მაგრამ მას უკვე აღარც სულის ღონე შერჩენია და აღარც გონებისთვალი უჭრის იმისათვის, რომ თავისი ნამდვილი სულიერი ხატება განიცადოს.

ეს ხატება ძლიერ ჰგავს თვითგამართლებით გაკერპებულ კაცს, რომელსაც მისხალი ეჭვიც კი აღარ უჩნდება, რათა კიდევ ერთხელ გადაამოწმოს თავისი არჩევანი, კიდევ ერთხელ გაზომოს და საკუთარი ხელით არ მოიჭრას სულის ცხოვნებისაკენ მიმავალი გზა.

ვის „ვერ ჯელ-ეწიფების მოწაფე ყოფად“ ქრისტესი?

„დიდებული სერობის“ იგავის დასრულების შემდეგ იესო ქრისტეს გარშემო დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. თუკი „დიდე-

ბული სერობის“ თხრობისას, შაბათ დღეს, უფლის მსმენელები იყვნენ ფარისეველთა მთავრის სახლში პურის საჭმელად მოსული წარჩინებულნი (რჯულის მეცნიერები, მწიგნობრები და ფარისევლები), იგავის თხრობის დასრულების შემდეგ უფალ იესოს ხალხიც უსმენდა. მათგან მრავალი მისდევდა უფალს, ისმენდა მის ქადაგებას, მაგრამ, როგორც შენიშნავენ, ყველა ვერ ისმენდა სათანადო გულმოდგინებით. თავიანთი გრილი გულისა და „ჩჩვილი ქრისტესმიერობის“, ანუ სულიერი მოუმზადებლობის გამო, ისინი საჭიროებდნენ დიდებული მკურნალის მაცხოვნებელ მალამოს – ღვთის სიტყვას. და აი, იმას, ვისაც ქრისტეს მიმდევრობა, ქრისტეს მოწაფეობა აქვს განზრახული, უფალი ურჩევს, ჯერ კარგად დაფიქრდეს და აწონ-დაწონოს საკუთარი მზადყოფნა.

რამ უნდა დააფიქროს ქრისტეს მიმდევარი? რა არის ასაწონ-დასაწონი ამ დროს?

ამ შეკითხვებზე პასუხად იგავს მოდევნებულ ნაწილში უფალი იესო იმგვარ იგავურ თქმას მიმართავს, რომლის მოსმენა ბევრს, განსაკუთრებით სულიერ უმწიფრობაში მყოფს, შეაშფოთებს და დაამძიმებს კიდეც. მოვუსმინოთ ჩვენს უფალს:

„რომელი მოვალს ჩემდა და არა მოიძულოს მამაჲ თჳსი და დედაჲ თჳსი და ცოლი და შვილნი და ძმანი და დანი და მერმე კუალად სულიცა თჳსი, ვერ ჴელ-ეწიფების მოწაფე ყოფად ჩემდა. და რომელმან არა აღიღოს ჯუარი თჳსი და შემომიდგეს მე, ვერ ჴელ-ეწიფების მოწაფე ყოფად ჩემდა“ (ლუკა 14, 26–27).

ამ უფლისმიერ განაცხადს უფალი ორგზის იმეორებს წმიდა ლუკას სახარების ამავე, მე–14 თავში. თავისი სწავლების თვალსაჩინოებისათვის უფალი იესო მსმენელს მიაწვდის ორ იგავს – „კოშკსა“ და „ომში მიმავალ მეფეზე“, რომლებსაც აგვირგვინებს დასკვნით:

„ეგრეცა ყოველმანვე თქუენგანმან, რომელმან არა იჯმნეს ყოვლისაგან მონაგებისა თჳსისა, ვერ ჴელ-ეწიფების მოწაფეო-

ბად ჩემდა“ (ლუკა 14, 33) – ვერც ერთი თქვენგანი, ვინც არ განუდგება ყველაფერს, რაც აბადია, ვერ იქნება ჩემი მოწაფეო.

ამ შეგონებით უფალი იესო ნაწილობრივ განაგრძობს „დიდებული სერობის“ იგავის სათქმელს, კერძოდ: როგორც იგავში წარმოდგენილი ყველა უარმყოფელი არ განუდგა იმას, რაც ებადა (მიწას, ულლეულს, ოჯახის შექმნას), საკუთარი ნებით დაკარგა მარადიული, უხრწნელი წილი (დიდებული სერობის გემოს ხილვა) და მხოლოდ წარმავალი, ხრწნადი სიკეთის აშარა დარჩა თავის ყანასა თუ ოჯახში – სწორედ ასევე ვერ გახდება ქრისტეს მოწაფე ის, ვინც წინასწარ არ აწონ-დაწონის საკუთარ არჩევანს მიწიერსა და ზეციურს შორის.

ოჯახის, დედის, მამის და ყველა სხვა ძვირფასი ადამიანის მიტოვებისა და მათი უარყოფის გამო უფალი იესო წმიდა მათეს სახარებაშიც ორგზის ამახვილებს ყურადღებას: მე-19 თავში უფალი თავის მოწაფეებს განუმარტავს, თუ როგორ, რა გზით შეიძლება, მათ ერგოთ ღვთისაგან საუკუნო სასუფეველი:

„ყოველმან, რომელმან დაუტევა სახლი, გინა ძმანი, ანუ დანი, ანუ მამაჲ, ანუ დედაჲ, ანუ ცოლი, ანუ შვილნი, ანუ აგარაკნი სახელისა ჩემისათჳს, ას წილად მიიღოს და ცხორებაჲ საუკუნოჲ დაიმკჳდროს“ (მათე 19, 29).

ამ შეგონების პარალელურად წმიდა მამები ყურადღებას ამახვილებენ კიდევ ერთ შეგონებაზე, რომლითაც უფალმა თავისი თორმეტი მოწაფე დამოძღვრა, მას შემდეგ, რაც ისინი საქადაგებლად გაგზავნა:

„რომელსა უყუარდეს მამაჲ ანუ დედაჲ უფროჲს ჩემსა, არა არს იგი ჩემდა ღირს; და რომელსა უყუარდეს ძე ანუ ასული უფროჲს ჩემსა, იგი არა არს ჩემდა ღირს. და რომელმან არა აღიღოს ჯუარი თჳსი და შემომიდგეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირს. რომელმან მოიპოოს სული თჳსი, წარიწყმიდოს იგი; და რომელმან წარიწყმიდოს სული თჳსი ჩემთჳს, მან პოოს იგი“ (მათე 10, 37-39).

როგორც ვხედავთ, ეს შეგონება თითქმის ფეხდაფეხ მისდევს „დიდებული სერობის“ იგავის შემდგომ წარმოდგენილს, იმ განსხ-

ვავებით, რომ წმიდა მათეს სახარებაში ხორციელი ნათესავების გადამეტებული სიყვარულით იზომება ქრისტეს მიმდევრის ულირსობა: **არა არს ჩემდა ღირს,** – ეუბნება უფალი მოწაფეებს. წმიდა ლუკას სახრებაში საზომად ყოველივე იმის მოძულებაა, რაც შეაფერხებს და შეუძლებელს ყოფს ქრისტეს ჭეშმარიტ მოწაფეობას: **ვერ ჰელ-ეწიფების მოწაფე ყოფად ჩემდა,** – ამას ეუბნება უფალი თავმოყრილ ხალხს, რომელთა შორის აუცილებლად იყვნენ ქრისტეს მოწაფეობის მოშურნენიც.

წმიდა იოანე ოქროპირი გვაფრთხილებს, რომ ამ შეგონებიდან ჩვენ არ უნდა ამოვიკითხოთ მოწოდება თვითმკვლელობისაკენ. წმიდა მათეს სახარებაში ნათქვამი – **წარიწყმიდოს სული თჳსი ჩემთჳს** – ნიშნავს საკუთარი ბოროტი ნების წარწყმედას, მის დათრგუნვას. ჩვენ უნდა უარი ვთქვათ იმ გულისთქმაზე, სურვილზე ან მიდრეკილებაზე, რომელიც ღმერთთან მიახლებისას შეგვაფერხებს; **რომელმან მოიპოოს სული თჳსი** კი ამგვარ გულისთქმათა აყოლას ნიშნავს, რაც საუკუნო ცხოვრებას დაგვაკარგვინებს და მარადიულ წარწყმედას მოგვამკობინებს.

უფალი იესო ქრისტე გვასწავლის, რომ ჩვენ უნდა წარწვიწყმიდოთ, უარი ვთქვათ და მივატოვოთ ის ყოველივე (სახლი, ადგილ-მამული, და-ძმა, ცოლ-შვილი), რაც ურჯულოებისაკენ გვახედებს, დევნილობისა და შეჭირვების ჟამს ღვთის უარყოფისაკენ გვიბიძგებს და ამსოფლიურის მოხვეჭისაკენ მიგვიზიდავს.

სხვა წმიდა მამებიც ამასვე გვაფრთხილებენ, რომ არამც და არამც არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს, ჩვენი მოწყალე და ტკბილადმხედი უფალი დედ-მამას ან და-ძმას და, საზოგადოდ, მოყვასის ხელალებით უარყოფას გვასწავლიდეს. იგი მხოლოდ იმას ჩაგვაგონებს, რომ საუკუნო ცხოვრების მოსაპოვებლად ყველანაირად უნდა მოვერიდოთ სულის წარმწყმედელ გარემოს, პირობას, სურვილს, და იმასაც, ვინც, ნებსით თუ უნებლიეთ, ჩვენი სულის წარწყმედას მოინდომებს: *„ან რა სარგებელი აქვს კაცს ისეთი მშობლისაგან თუ სხვათაგან, თუკი ისინი მის სულს ჯოჯოხეთის მკვიდრად აქცევენ?“* – ასე ჩაგვეკითხება *წმიდა იოანე ოქროპირი.*

ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი უფრო მეტი თვალსაჩინოებისათვის გაშლილ შედარებას გვთავაზობს: *„უფალი თავის ამ ალთქმას ყველას ჰპირდება, ვინც მოწაფეთა მსგავსად გასწევს ღვაწლს ღვთისათვის: მაშინ ხორციელი ნათესავების წილ მას ქრისტესმიერი ნათესავები ეყოლება, ველი-მინდვრების წილ – სამოთხე ექნება, ქვის სახლების წილ – მთიანი იერუსალიმი ებოძება, ხორციელი მამის წილ – ეკლესიის მამები ეყოლება, ხორციელი დედის წილ კი – ეკლესიის დედები, და ეყოლება არა ქორწინებით შეუღლებული ცოლი და ქმარი, არამედ სულიერი სიყვარულითა და მსრუნველობით დაწინდული დები და ძმები“.*

წმიდა მამა თითოეულ ჩვენგანს მოგვართავს და გვარიგებს: *„შენც შეეცადე, უარი თქვა და გაყიდო შენი ქონება: მრისხანის ქონება – მრისხნებაა, მრუშისა – მრუშობა, გულღვარძლიანისა – ღვარძლი და ა.შ. მაშ, გაყიდე ეს შენი ქონება და მიეცი გლახაკებს, ანუ დემონებს, რომელთაც არავითარი სიკეთე არ გააჩნიათ. შენი ვნებები ვნებათა ბუნაგს დაუბრუნე და შეიძენ საუნჯეს, ანუ ქრისტეს ზეცაში“.*

ამის თაობაზე წმიდა სახრებაში ჩვენი უფალი იესო ქრისტე არაერთგზის გვმოძღვრავს. გალილეის მთის კალთაზე ქადაგებისას თავის მიმდევრებს იგი ასევე მიანიშნებს სულის წარსაწყმედელ თუ მაცხოვნებელ გზებზე და ეუბნება:

„ვრცელ არს ბჭე და ფართო არს გზაჲ, რომელსა მიჰყავს წარსაწყმედელად, და მრავალნი ვლენან მას ზედა. ვითარ-იგი იწრო არს ბჭე და საჭირველ გზაჲ, რომელი მიიყვანებს ცხორებასა, და მცირედნი არიან, რომელნი ჰპოებენ მას“ (მათე 7, 13-14).

ნეტარი თეოფილაქტეს განმარტებით, ეს **ვიწრო ბჭე**, ანუ კარი, და ძნელად საკალი, **საჭირველი გზა** – განსაცდელებია, „სურვილთა თმენაა“ და წუთისოფლის ამაოებაზე უარის თქმაა ღვთის სადიდებლად: *„ეს გზა ბეწვის ხიდივითაა, – ამბობს* **წმიდა ბასილი დიდი**, *– და იმდენად ვიწროა, რომ საშიშია ყოველგვარი გადახრა როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა მხარეს“.*

იგივე უნდა ითქვას „დიდებული სერობის“ იგავს მოდევნებული შეგონების გამიზნულობაზეც. ამ შეგონებითაც ჩვენი უფა-

ლი დედ-მამის, ოჯახის ან საკუთრი თავის მოძულებას კა არ გვიქადაგებს, არამედ გვასწავლის, რომ უნდა უარი ვთქვათ ყველასა და ყოველივეზე, რაც ღვთისადმი თაყვანისაცემისა და რწმენის საქმეში დაგვაბრკოლებს.

ნეტარი თეოფილაქტე ამასთან დაკავშირებით შეგვახსენებს უფლის სათნო სწავლებას მშობლების პატივისცემისა და ზრუნვის შესახებ, რის გულისშემძვრელ მაგალითს თავად უფალი იესო გვიჩვენებს: ჯერ ერთი, იესო იყო მორჩილი *იოსებისა*, რომელმაც ყოველდღეში და ღვთისმშობელ მარიამთან ერთად გაზარდა იგი ნაზარეთში; მეორეც, ჯვარზე გაკრულმა უფალამა არ დაივიწყა თავისი დედა, იზრუნა მასზე და საყვარელ მოწაფეს – *წმიდა იოანე მახარებელსა და ღვთისმეტყველს* დაუტოვა საპატრონოდ.

ამ ქვეყნის წარმავალი ხატის უარყოფისა და მოძულების თემას ეხება *წმიდა პავლე მოციქული* თავის პირველ ეპისტოლეში კორინთელთა მიმართ: *„ძმანო, ცოტალა დარჩა დრო. ასე რომ, ცოლიანები ისე იყვნენ, როგორც უცოლონი; მოტირალნი, როგორც არამტირალნი; და მყიდველნი, როგორც არას მქონენი; და ამ ქვეყნით მოსარგებლენი, როგორც არამოსარგებლენი, ვინაიდან წარმავალია ამ ქვეყნის ხატი... ხოლო ამას გეუბნებით თქვენსავე სარგოდ, არა იმიტომ, რომ ქამანდი მოგდოთ (საფრთხე შეგიქმნათ), არამედ, რათა გამუდმებით, ღირსეულად და დაუბრკოლებლად ემსახურებოდეთ უფალს“* (1 კორინთელთა მიმართ 7, 29-31. 35).

წმიდა მოციქულის სწავლებით, *„ამ ქვეყნით მოსარგებლენი“*, ანუ ისინი, რომლებიც იხვეჭენ ყოველივე ამსოფლიურს: ქონებას, სიმდიდრეს, ვაჭრობას, ძალაუფლებას, პატივს და სხვას, – კი არ უნდა მიეჯაჭვონ მათ, უპირატესად კი არ უნდა მიიჩნიონ ესე ყოველი, არამედ აღიარონ მათი წარმავლობა, მსწარფლცვალეებადობა და არამდგრადობა, განსხვავებით წარუვალი, მარადიული, უკვდავი, ზეციური, ღვთიური ღირებულებებისა და ფასეულობებისაგან. *წმიდა მოციქული პავლე* ამ შეგონებით ყველა ქრისტიანს ურჩევს, მიჰყვეს *ლაზარეს* დის – *მარიამის* გზას,

რომელმაც კეთილი ნაწილი გამოირჩია, რადგანაც მან უკუაგდო ამაო ზრუნვა, შფოთი მრავალთათვის და, იესოს ფერხთით მჯდომი, მთელი გულისყურით ისმენდა ღვთის სიტყვას.

უფლისმიერი შეგონებების ამ ვრცელი განმარტების შემდეგ, ძნელი არ არის, ირწმუნო, რომ „დიდებული სერობის“ იგავში წარმოდგენილი უარმყოფელები სწორედ ისინი არიან, ვინც უფალ ღმერთზე მეტად შეიყვარა ეს ქვეყანა, ვინც „იმსახურა“, ისარგებლა ამსოფლიური, ხორციელი სიამეებითა და მიღწევებით, მიეჯაჭვა მათ და ამ მიზეზით ვერ გახდა ღირსი დიდებული სერობისა. მათ არ მოიძულეს, ვერ მიატოვეს ამსოფლიური სარგებელი და ამიტომ ვერ მოიპოვეს საუკუნო ცხოვრება.

გლახაკნი, უცხონი, ბრმანი, მკელობელნი

„დიდებული სერობის“ იგავის თხრობისას უფალი იესო ქრისტეს გარშემო შეკრებილთა შორის უთუოდ იდგებოდნენ ისინიც, რომელთა მოსაყვანადაც გაგზავნა პატრონმა მონა. იგავში ვკითხულობთ:

„და მოვიდა მონაჲ იგი და უთხრა ესე უფალსა თჳსსა. მაშინ განრისხნა. სახლისა უფალი იგი და ჰრქუა მონას მას თჳსსა: განვედ ადრე უბანთა და ყურეთა ქალაქისათა და გლახაკთა და უცხოთა და ბრმათა და მკელობელთა შემოხადე აქა“ (ლუკა 14, 21).

ვინ არიან კონკრეტულად ეს **გლახაკნი, საპყარნი** (უცხონი), **ბრმანი** და **კოჭლნი** ან რა მნიშვნელობა ენიჭება იგავში **ქალაქს, მოედნებს** და **ქუჩებს?**

განრისხებულმა სახლის პატრონმა იხმო მდაბიონი, ებრაელი ერის ის ნაწილი, რომელიც იმ დროს ულირსად, საძაგელ ბრბოდ იყო აღიარებული იუდეველთაგან. ქალაქის მოედნებსა და ქუჩებს მოდებულნი, საზოგადოებისგან მოკვეთილნი, იმავე ქალაქის მკვიდრნი იყვნენ. სწორედ ამას ნიშნავს იგავში ხსენებული **ქალაქი, ქალაქის მოედნები** და **ქუჩები.**

მაშასადამე, წარჩინებული იუდეველების მიერ უარყოფილი სერობა ჯერ მდაბიო იუდეველებს ერგოთ. ამის გამოა ნათქვამი

წმიდა მოციქულ პავლეს პირველ ეპისტოლეში კორინთელთა მიმართ: *„დაუკვირდით, ძმანო, ვინ ხართ ხმობილნი: ცოტაა თქვენ შორის ხორციელად ბრძენი, ცოტაა ძლიერი, ცოტაა წარჩინებული, მაგრამ ღმერთმა გამოარჩია შლეგნი ამა ქვეყნისანი, რათა არცხვინოს ბრძენნი, და (გამოარჩია) უძლურნი ამა ქვეყნისანი, რათა არცხვინოს ძლიერნი, და უგვანონი ამა ქვეყნისა, უბადრუკნი, და არაარსებულნი გამოარჩია ღმერთმა, რათა განაქარვოს არსებულნი; და რათა არც ერთი ხორციელი არ იქადოდეს ღმერთის წინაშე... რათა, როგორც დაიწერა: რომელ-იგი იქადოდეს, უფლისა მიერ იქადოდეს“* (1 კორინთელთა მიმართ 1, 26-31).

ის, რომ იგავში ნახსენები **გლახაკნი, საპყარნი, ბრმანი** და **კოჭლნი** იუდეველთა მდაბიო ნაწილია, ამ იგავის წინამავალი ნაწილით არის დამოწმებული, როდესაც უფალი იესო წარჩინებულ სტუმრებს შეაგონებს: **„როცა წვეულება გაქვს, დაპატიჟე გლახაკნი, საპყარნი, კოჭლნი და ბრმანი, და ნეტარი იქნები“** (ლუკა 14, 13).

ეს ჩამონათვალი იგავში ზნეობრივი მნიშვნელობითაც განიმარტება. *დეკანოზ ბუხარევის* თქმით, **გლახაკი** კეთილ საქმეთაგან არის ღარიბი, **საპყარი** უსუსურობისა და სულიერ უძლურებას მოუცავს, **კოჭლობა**, ხეიბრობა, ცოდვითი ნაკლულოვანებაა, **სიბრმავე** კი რწმენისა და რჯულის უცოდინარობა. **ქალაქის მოედნები** და **ქუჩები** იგავური ხაზგასმაა იმისა, რომ იუდეველთა ეს ნაწილი უარყოფილი, მოძულებული და გარიყულია მწიგნობართა და ფარისეველთაგან.

ეს მდაბიო ნაწილი – **გლახაკნი, საპყარნი კოჭლნი** და **ბრმანი** – იმაზეც მიანიშნებს იგავში, რომ ძლიერნი ამა ქვეყნისანი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებენ სასუფევლის დამკვიდრებას, თუკი აღიარებენ საკუთარ სიგლახაკეს, სულიერ დაცემას, დაძაბუნებას, სიბრმავეს, ცოდვებს, უვიცობასა და უმოწყალობას. ქრისტეს ამაღლებისა და სულთმოფენობის შემდეგ სწორედ მათ – მდაბიო და უცოდინარმა მოციქულებმა შეიძინეს და გაავრცელეს ჭეშმარიტი ღვთის სიტყვა: *წმიდა პეტრეს* ქადაგებ-

ის შემდეგ სამი ათასმა იღო ნათელი, მის მიერ კოჭლის განკურნების შემდეგ კი – ხუთი ათასმა (საქმე მოციქულთა თ. 1-4).

ყოველივე ამის ამსახველია იგავში მონის სიტყვები: **„ბატონო, შევასრულე შენი ბრძანება, მაგრამ მაინც რჩება ადგილი“** (ლუკა 14, 22), რაც იმას ნიშნავს, რომ **სერობაზე**, ანუ **ცათა სასუფეველში** მიწვევა მიიღეს **უბრალო** ადამიანებმა – **გლახაკებმა**, **რომლებიც**, **იუდეველი** მწიგნობრებისა და სხვა წარჩინებულთაგან განსხვავებით, **სულითა გლახაკნი** იყვნენ და დიდი ყურადღებით ისმენდნენ უფალი იესო ქრისტეს ღვთაებრივ ქადაგებას: **„და იყვნეს ყოველნი მეზუერენი და ცოდვილნი მახლობელად მისა და ისმენდეს მისსა“** (ლუკა 15, 1), – შენიშნავს *წმიდა ლუკა მახარებელი*. ეს უბრალო ადამიანები თავიანთი გულმოდგინებითა და უფლისადმი სიყვარულით აღემატებოდნენ გაამპარტავნებულ წარჩინებულთ. რაოდენ დიდი იქნებოდა მათი სიხარული, როცა სულისა და ხორცთა დიდებულმა მკურნალმა არ უარყო ისინი, არ ითაკილა მათთან ერთად ყოფნა, მწიგნობრებს მდაბიონი ამჯობინა და ცათა სასუფეველი დაუმკვიდრა მათ.

„დიდებული სერობის“ იგავში ეს მდაბიონი მოწვევის გამო არაფერს აღნიშნავენ არც სიტყვით და არც ქმედებით. იგავში ამგვარად არის გაცხადებული ამ წვეულთა სრული ნდობა უფლისადმი, მათ მიერ უფლის მოწვევის თავმდაბლობითა და მორჩილებით მიღება.

უგანი, ყურე ქალაქისა, გზა, ფილიგრეი: „ადგილი არსლა“

მონის სიტყვებში – **უფალო, იქმნა ბრძანებაი შენი, და ადგილი არსლა** – განმარტებას ითხოვს სერობაზე **დარჩენილი ადგილი**. მართალია, უფალმა ებრაელებს მოუწოდა, სხვებ'ზე უწინარეს მათ მიმართა, მაგრამ ებრაელთაგან ერთმა ნაწილმა უარყო ეს მოწვევა, მეორე ნაწილი კი, რომელმაც მიიღო მოწვევა, მეტად მცირე აღმოჩნდა. ესენი იყვნენ უფლისააგან რჩეული მოწაფეები და მიმდევრები. ამის გამო შენიშნავს *წმიდა მოციქული*

პავლე რომაელთა მიმართ ეპისტოლეში: *„რომელნიც წინასწარ აირჩია (ღმერთმა), მათ კიდეც მოუწოდა, და რომელთაც მოუწოდა, ისინი კიდეც გაამართლა, და რომელნიც გაამართლა, ისინი კიდეც განადიდა"* (*რომაელთა მიმართ* 8, 30).

იმასაც შენიშნავენ, რომ ღვთის მადლი მუდამ სისავსით ეფინება ყველასა და ყოველივეს. ამიტომაც არის ხაზგასმული იგავში: **ადგილი არსდა** – მაინც რჩება ადგილიო. უფლის კეთილმოწყალების მიზეზით, ამ პურობაზე ადგილი ყოველი მსურველისათვის დარჩა. ზეციერი მამის სურვილიც ეს არის – მას ნებავს, რომ თავისი ნებისა და შეძლებისამებრ, ყველა ადამიანი მიეახლოს ჭეშმარიტებას, შეიცნოს იგი და ცხოვნდეს. ზეციერი მამა სწორედ ამ მიზნით გამოუცხადებს ყველას თავის ღვთაებრივ სიყვარულს.

ვინ არიან ეს **სხვები**, იგავის მიხედვით – **უბანთა, ყურეთა, გზათა** და **ფოლორცთა ზედა** მყოფნი, რომლებიც პატრონისგან გაგზავნილმა მონამ უნდა იძულებით შემოიყვანოს ამ დიდებულ პურობაზე, რათა აივსოს სახლი? ესენი არიან წარმართები, არაიუდეველნი, კერპთაყვანისმცემელნი. სწორედ ურჯულოებას, მრავალცოდვიანობას, სხვადასხვაგვარად არეული გზებით გატარებული ცხოვრების წესს გამოხატავს იგავში **უბნები, ყურეები, გზები** და **ფოლორცები. გზები** და **ფოლორცები** უფრო ქალაქის გარეთაა საგულვებელი, ანუ იუდეველთა სამყოფის, ისრაელის გარეთ.

წმიდა იოანე ოქროპირი ამბობს: *„უფალმა უწყოდა, რომ მისგან რჩეული ებრაელი ერი არ შეისმენდა სახარებას და, მობოდიშებით, მიზეზსაც მოძებნიდა ამისთვის. მაგრამ ამ სამარცხვინო მობოდიშებისათვის საბაბი რომ არ მიეცა, ღმერთმა მათ თავისი მხოლოდშობილი ძე გაუგზავნა, რომელიც მათი წიაღიდან იშვა ქალწული მარიამისაგან, და ხორციელად მათ შორის დაიბადა. მხოლოდ მას შემდეგ მოუწოდა ღმერთმა წარმართებს, როცა ებრაელებმა მაინც უარყვეს ზეცით მოვლენილი ძე და ღირსნი არ შეიქნენ მისი ხმობისა".*

წარმართებს უფალმა მოციქულთა პირით მოუწოდა. ამის შესახებ გვიამბობს „საქმე მოციქულთას“ წიგნი, ამაზე ღაღადებს *წმიდა მოციქულ პავლეს* ეპისტოლეებიც.

ასე რომ, „დიდებული სერობის“ იგავი ერთგვარ ისტორიულ იგავადაც წარმოგვიდგება, ვინაიდან მასში წინასწარმეტყველურად არის ასახული ქრისტეს სასუფევლის, ქრისტეს ეკლესიის ჯერ იუდეველთა ნაწილის მიერ მიღება, და უკვე ამის შემდეგ – სხვათა, უცხოთა შესვლა ამ ეკლესიაში, რომელიც ღვთის მიერ მრავალთათვის არის განმზადებული: „(იესო ქრისტე) *მოვიდა, და მშვიდობა გახარათ თქვენ, გახარათ შორეულთაც და ახლობელთაც. რადგანაც მისი მეოხებით ორივენი ერთი სულით მიეახლებით მამას. ამიერიდან უცხონი კი აღარა ხართ და უცხოელნი, არამედ წმიდათა თანა-მოქალაქენი და ღმერთის სახლეულნი, მოციქულთა და წინასწარმეტყველთა საფუძველზე დაფუძნებულნი, რომლის ქვაკუთხედი არის თვითონ იესო ქრისტე*“ (ეფესელთა მიმართ 2, 17-20).

„აიძულე შემოსლვად“

საგულისხმოა, რომ პატრონი მონას საგანგებოდ ავალებს: **წარმართები აიძულე შემოსლვად**, ძალით მოიყვანე ეს წვეულნიო. ჩვენ ვიცით, რომ რწმენა ნებაყოფლობითია, უფალი მხოლოდ ჩვენი ნებით გაკეთებულ არჩევანს შეიწყნარებს. მაშინ, რას უნდა ნიშნავდეს ამ შემთხვევაში **იძულებით მოყვანა ეკლესიაში, სასუფეველში?** სახარების კომენტატორები სხვადასხვა კუთხით უძებნიან ახსნას იგავის ამ მუხლში ნახსენებ **აიძულე შემოსლვად**.

ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელის თქმით, იძულებაში შეიძლება დავინახოთ **მონის** ქვეშ ნაგულისხმევ მოციქულთა გულმოდგინე მცდელობა, დაარწმუნონ, შეაგონონ და ამ გზით აიძულონ ცოდვილნი, უარი თქვან თავიანთი წინანდელი ცხოვრების წესზე, ურჯულოებაზე, გონს მოეგონ, ბნელიდან გამოვიდნენ და მიიღონ ყოვლადმოწყალე უფლისაგან უზენაესი საჩუქრის სახით გაღებული უხვი გამასპინძლება დიდებულ სერობაზე.

თუმცა, *ნეტარი თეოფილაქტე* **იძულებას** იმის თვალსაჩინოებადაც მიიჩნევს, თუ როგორ შეუდგნენ სულის ცხოვნების გზას თავაშვებულობისა და გარყვნილების ფართო შარაგზებზე მავალი წარმართნი (კერპების მსახურნი). ეს მართლაც გასაოცარი სასწაულქმედება დიდებული ნიშანია ღვთის ყოვლისშემძლეობისა და უსაზღვრო კაცთმოყვარეობისა.

პატრონისაგან ნაბრძანები **აიძულე შემოსლვად** ზოგიერთი კომენტატორის გაკვირვებას იწვევს. ცნობილია, რომ ეს უფლისმიერი ბრძანება შუა საკუნეებში სიტყვასიტყვით აღიქვეს, ზედმიწევნითი მნიშვნელობით მოიმარჯვეს, ვითარცა უფლის ნაბრძანები ზეციდან. ისიც ცნობილია, რა საზარელი ფორმოთ იჩინა თავი ინკვიზიციამ. ინკვიზიტორები სწორედ ამ უფლისმიერი ბრძანებით ამართლებდნენ ერეტიკოსთა დევნას.

რაღა თქმა უნდა, „დიდებული სერობის" იგავის დასასრულ ნათქვამი **აიძულე შემოსლვად** მხოლოდ ზნეობრივი დასკვნების გამოტანისაკენ უნდა უბიძგებდეს წმიდა სახარების მკითხველს.

იგავის შინაარსიდან გამომდინარე, **მონის მოწვევა** არის თხოვნა: მობრძანდითო, — ასე მიმართავს იგი პირველწვეულთ. მაგრამ წარმართთა მისამართით ეს თხოვნა უფრო დაბეჯითებით, გულმოდგინედ, მეტი ძალისხმევით გამოთქმული უნდა ყოფილიყო. ამგვარა შინაარსი უნდა ვიგულოთ სახლის პატრონის ბრძანებაში — **აიძულეო**.

მართლაც, **იძულების** პირდაპირი, სიტყვასიტყვითი მნიშვნელობის მიღებით, ძნელი წარმოსადგენი იქნება ის, რომ ეს ერთი მონა ამოდენა ხალხს ერეკება, თანაც იმათ, რომელთა მიმართაც ძალადობით სახეიროს ვერაფერს მოიმკი. ამიტომ არის საძიებელი მასპინძლის ნამდვილი განსრახვა — კერძოდ ის, თუ რას გულისხმობს და რაზე მიანიშნებს იგი მონას, როცა ხაზგასმით უბრძანებს — **აიძულეო**.

პირველწვეულთაგან განსხვავებით, სახლის პატრონი ამ შემთხვევაში არ ელის იმგვარსვე წინააღმდეგობას, მაგრამ იგი არც ძალადობას ვარაუდობს, თუკი წარმართთაგან გულგრილობას ან

უარს მიიღებს; პირიქით, მასპინძელი იმის მოლოდინშია, რომ სიღატაკეში, უზნეობასა და სიბნელეში ჩაცვივნულნი, შარაგზისა და შუკების მკვიდრნი, ძლელად დაიჯერებენ, ამ დიდებულ სერობაზე მოწვევა სწორედ მათ რომ ეკუთვნით. ამიტომაც გახდება აუცილებელი განსაკუთრებული ძალისხმევის გამოჩენა: გამხნევება, დამაჯერებელი ახსნა-განმარტება, დაყინებული და დაუცხრომელი დარწმუნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი ვერ გაბედავენ ამ დიდებული კაცის სამკვიდრებელში შესვლას, ამაზე ფიქრიც კი შეაშფოთებს, შიში და ურწმუნოება შეაფერხებს და შეაყოვნებს მათ მონაწილეობას ამ უბრწყინვალეს დღესასწაულში.

ასე რომ, **იძულება** ამ იგავში. როგორც ითქვა, მხოლოდ სულიერი, ზნეობრივი მნიშვნელობით იმოსება: ძალდატანება აქ არის დიდი ძალისხმევისა და დარწმუნების გზით მოტანილი ღვთის სიტყვა — უპოვართა, ტვირთმძიმეთა, მაშვრალთა დახსნისა და გადარჩენისათვის.

ნეტარი ავგუსტინეს თქმით, ამ იგავში ნახსენებ **იძულებას** ერთადერთი გამიზნულობა ამართლებს — ეს არის მართლმორწმუნე მრევლის ეკლესიასთან შეერთება. ამგვარი **იძულება**, ანუ დარწმუნება და დაყინებული, დაუცხრომელი ღვაწლის გაწევა ღვთის სიტყვის, სახარების საქადაგებლად განახორციელეს ქრისტეს მოციქულებმა და ჭეშმარიტმა ქრისტიანებმა. მათ კარგად ესმოდათ და დღესაც ესმით **ქრისტესმიერი ელჩობის** უდიდესი მნიშვნელობა. იმასაც ითვალისწინებენ, თუ რა მძიმე შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამ მოწოდების უგულებელყოფას თუ უარყოფას. ამიტომ აგულიანებენ, აქეზებენ დაეჭვებულებსა და მერყევთ და იმგვარადვე შეეწევიან მათ, როგორც სტუმრების სახით მისულმა ანგელოზებმა გაუწოდეს ხელი სოდომში დასახლებულ ლოტს, და დაღუპვისაგან გადაარჩინეს ისიც და მისი ოჯახიც (იხ. დაბადება თ. 11).

იძულებასთან დაკავშირებით იხსენებენ წმიდა მათეს და წმიდა ლუკას სახარებაში საგანგებოდ თქმულს: „**დღითგან იოვანე ნათლისმცემელისაჲთ ვიდრე აქამომდე სასუფეველი ცათ-**

აჲ იიძულების და რომელნი აიძულებდენ, მათ მიიტაცონ იგი, რამეთუ ყოველნი წინაჲსწარმეტყველნი და სჯული ვიდრე იოვანესამდე წინაჲსწარმეტყველებდეს“ (მათე 11,12; იხ. ლუკა 16, 16).

წმიდა იოანე ნათლისმცემელი არის ძველი აღთქმის უკანასკნელი და ახალი აღთქმის პირველი წინასწარმეტყველი. მისი მოსვლით გასრულდა ჟამი რჯულისა და წინასწარმეტყველებისა და დადგა ჟამი ცის სასუფევლის ქადაგებისა, ჟამი სინანულის ნაყოფით სასუფევლის დამკვიდრებისა.

წმიდა იოანე ოქროპირის განმარტებით, უფალი იესო გვასწავლის, რომ *წმიდა იოანეს* მოსვლამდე **მხოლოდ** წინასწარმეტყველებდნენ მესიის მოვლინებაზე. მაგრამ მოვიდა სასუფევლამდე მისასვლელი გზების განმმზადებელი და წინამორბედი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. მან აუწყა ყველას მესიის მოსვლა და ამით დასრულდა კიდეც რჯულიც და წინასწარმეტყველებაც.

წმიდა ნათლისმცემლის ქადაგების შემდეგ განცხადდა ის, თუ რა არის ჭეშმარიტი **სასუფეველი ცათა,** რომლის დამკვიდრება მხოლოდ ქრისტესადმი რწმენით არის შესაძლებელი. მან ისიც გააცხადა, რომ სწორედ იესო ნაზარეველია ქრისტე – აღთქმით მოვლინებული მესია და მხსნელი: **„რომელნი სარწმუნოებითა ჩემითა მიიტაცებენ სასუფეველსა, სცანთ, ვითარმედ მე ვარ ქრისტე“** – აი ამას ეუბნებაო ჩვენი უფალი თავის მსმენელსა და მიმდევარს, – გვასწავლის *წმიდა იოანე ოქროპირი.*

როგორ უნდა აღსრულებულიყო ყოველივე ეს? ვინ არიან ისინი – კაცთაგან მოძულებულნი, რომელნიც იძულებით დაიმკვიდრებენ სასუფეველს?

წმიდა იოანე ოქროპირი შეგვაგონებს: *„ის, ვინც უკვე აღარ არის ამაოებისა და წარმავალი წუთისოფლის მოყვარე, ამსოფლიურ სიამეთა მოტრფიალე და მოძულებული აქვს ყოველივე ეს, ანუ ყოველივე ამის უარმყოფელი და დამთრგუნველია –*

სწორედ იგი შეიწყნარებს ქრისტეს სარწმუნოებას და ცათა სასუფეველსაც ამგვარად – იძულებით მიიტაცებს“.

წმიდა მამა იოანე ოქროპირი დასძენს, რომ უსენაესი მცნებების აღსრულებასაც და სახარების ქადაგებასაც ამიტომ მიეცა **მაიძულებელის** სახე. ამ მიზეზითა და მიზნით დაასკვნის უფალი იესო „დიდებული სერობის“ დასასრულ: **„ხოლო გეტყჳ თქუენ: არავინ მათ კაცთაგანმან გემოჲ იხილოს სერობისა ამის ჩემისაჲ“** (ლუკა 14-24). უფალი ამ წვეულთა შორის იმათ გულისხმობს, რომელთაც არ ირწმუნეს ქრისტე, არ აიძულეს საკუთარი თავი, უარი ეთქვათ არა მარადიულ სერობაზე, არამედ წარმავალ სიმდიდრეზე, ქონებაზე, სიამეებზე, მოკლედ – ამაო წუთისოფელზე.

ამ მიზეზით მიიჩნევა, რომ „დიდებული სერობის“ იგავი ჩვენკენ მომართული უფლის გაფრთხილებაა, რათა ეს წმიდა სახარებისეული წინასწარმეტყველება ჩვენზეც არ ასრულდეს და, ბრწყინვალე სერობის ნაცვლად, საშინელი სასჯელი არ ვიგემოთ.

„მეფის ძის ქორწილი“

„სხუანიცა ცხოვარნი მიდგან,
რომელნი არა არიან ამის ეზოჲსაგანნი“
იოანე 10, 16

„შევიმოსოთ ჯაჭუ იგი
სარწმუნოებისაჲ და სიყუარულისაჲ“
1 თესალონიკელთა მიმართ 5, 6-8

„მრავალ არიან ჩინებულნი და მცირედ – რჩეულნი“
მათე 22, 14

„*2.* ემსგავსა სასუფეველი ცათაჲ კაცსა მეუფესა, რომელმან ყო ქორწილი ძისა თჳსისაჲ. *3.* და წარავლინნა მონანი თჳსნი მოწოდებად ჩინებულთა მათ ქორწილსა მას, და არა ინებეს მოსლვად. *4.* კუალად წარავლინნა სხუანი მონანი და ჰრქუა: „არქუთ ჩინებულთა მათ: აჰა ესერა, პური ჩემი მზა მიყოფიეს, ზუარაკები და უსხები ჩემი დაკლულ არიან, და ყოველივე მზა არს, მოვედით ქორწილსა ამას“. *5.* ხოლო მათ უდებ-ყვეს და წარვიდეს: რომელიმე თჳსსა აგარაკსა, რომელიმე სავაჭროსა თჳსსა. *6.* ხოლო სხუათა შეიპყნეს მონანი იგი მისნი, აგინნეს და მოსწყჳდნეს. *7.* ხოლო მეუფე იგი განრისხნა, ესმა რაჲ ესე, და მიავლინა ერი თჳსი და მოსრნა კაცისმკლველნი იგი და ქალაქი იგი მათი მოწუა ცეცხლითა. *8.* მაშინ ჰრქუა მონათა თჳსთა: ქორწილი ესე მზა არს, ხოლო ჩინებულნი იგი არაღ-ირს იყვნეს. *9.* წარვედით მებოძირთა გზათასა და რაოდენიცა ჰპოოთ, მოუწოდეთ ქორწილსა ამას“. *10.* და განვიდეს მონანი იგი მისნი გზათა ზედა და შეკრიბეს ყოველი, რაოდენი პოვეს: ბოროტი და კეთილი, და აღივსო ქორწილი იგი მეინაპითა. *11.* ხოლო შე-რაჲ-ვიდა მეუფე იგი ხილვად მეინაპეთა მათ, იხილა მუნ კაცი, რომელსა არა ემოსა სამოსელი საქორწინე, *12.* და

ჰრქუა მას: „მოყუასო, ვითარ შემოხუედ აქა, რამეთუ არა გმოსიეს სამოსელი საქორწინე?“ ხოლო იგი დუმნა. *13.* მაშინ ჰრქუა მეუფემან მან მსახურთა თჳსთა: „შეუკრეანით მაგას ჴელნი და ფერჴნი და განაგდეთ ეგე ბნელსა მას გარესკნელსა. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენაჲ კბილთაჲ“.

მათე 22, 2-14

უფლის ორი იგავის ერთი სათქმელი — 141; სიძე და სასძლო — 148; ქორწილი ძისა — 150; ნიშნობიდან ქორწილამდე — 154; წვეულის მოწვევა —155; პური, დაკლული ზვარაკები და უსხები — 160; ძე ღვთისას უარმყოფელთა სასჯელი — 165; ღვთის რისხვის იარაღი — 171; ღვთივრჩეულთა ღირსება და ჩინებულთა უღირსობა — 173; კეთილი და ბოროტი — 174; „კაცი, რომელსა არა ემოსა“ — 180; „სამოსელი საქორწინე“ — 183; სამოსელი პირველი: ზნეკეთილობის პირველგანცდა — 196; კაცი შეუმოსავი — 201; „იგი დუმნა“ — 204; „მოყუასო“ — 206; ვინ არის „რჩეული“ იგავში? — 208; სანატრელი ღვთივრჩეულობა — 212; ღვთის რჩეულის წოდებანი — 214; ხელ-ფეხის შეკვრა, ბნელი გარესკნელი, კბილთა ღრჭენა, მსახურნი — 216; ჩინებულთა ორი იგავური სახე — 218; წუთისოფელი მინის ზღვაა — 223; „ნუ სდევ წადილთა ნებასა“: ქრისტესმიერი არჩევანი და თავისუფლება — 225.

უფლის ორი იგავის ერთი სათქმელი

იგავი „მეფის ძის ქორწილზე“ უშუალოდ მოსდევს „ბოროტი მევენახეების“ იგავს. წმიდა მათეს სახარების 21-ე თავი „ბოროტი მევენახეების“ იგავით მთავრდება, *წმიდა მათე მახარებელი* ამ იგავის ბოლო (45-ე და 46-ე) მუხლებში შენიშნავს: მღვდელმთავრები და ფარისევლები მიხვდნენ, მათზე რომ ამბობდა ამ იგავს უფალი იესო ქრისტე, „უნდოდათ მისი შეპყრობა, მაგრამ

ხალხისა შეეშინდათ, ვინაიდან წინასწარმეტყველად მიაჩნდათ იგი“ (მათე 21, 46).

22-ე თავში უფალი იესო განაგრძობს იგავებით საუბარს. წმიდა მახარებელი შენიშნავს, რომ იესო კვლავ იგავებით მიუგებდა იმათ, რომელნიც „ორი ძისა“ და „ბოროტი მევენახეების“ იგავებს ისმენდნენ, ანუ მღვდელმთავრებს, უხუცესებს და იერუსალიმის ტაძარში მისულ ხალხს.

იგავებს „ორ ძეზე“, „ბოროტ მევენახეებზე“ და „მეფის ძის ქორწილზე“ (ასევე რამდენიმე სხვა იგავსაც) – ყველა ამ იგავს – უფალი იესო ქრისტე იერუსალიმის დიდ ტაძარში ჰყვებოდა მას შემდეგ, რაც იგი დიდებით შევიდა იერუსალიმში, ანუ ბზობის დღესასწაულის შემდეგ. *წმიდა მათე მახარებელი* ამ იგავების თხრობამდე უფალზე ამბობს: **„და როცა შევიდა ტაძარში საქადაგებლად“** (მათე 21, 23).

ხსენებული სამივე იგავი ცის სასუფევლის დამკვიდრებას ეხება. უფალი იესო ქრისტე აფრთხილებს და იგავურად მიუთითებს იუდეველებს, კერძოდ, იუდეველთა სულიერ წინამძღოლებს, რომ ცის სასუფევლის დასამკვიდრებლად ღვთის მოწოდება უნდა ისმინონ, ცოდვები მოინანიონ და სულიერი ნაყოფი გამოიღონ – ერთი სიტყვით, ღირსნი უნდა გახდნენ ცის სასუფევლის მკვიდრობისა.

„მეფის ძის ქორწილის“ იგავს უფალი ამგვარად იწყებს: **ემსგავსა სასუფეველი ცათაჲ კაცსა მეუფესა, რომელმან ყო ქორწილი ძისა თჳსისაჲ,** ანუ ცათა სასუფეველი ემსგავსა მეფეს, რომელმაც თავისი ძის ქორწილი გამართა.

ეს დასაწყისი ძლიერ ჰგავს უფლის იგავურ მითითებას ცის სასუფეველის მსგავსებაზე სახლის პატრონთან, რომელსაც დასამუშავებელი აქვს ვენახი – იგულისხმება დასაწყისი სახარების იგავისა „ვენახის მუშაკებზე“ (მათე 20, 1-16):

„მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ კაცსა სახლისა უფლისა, რომელი გავიდა განთიად დადგინებად მუშათა ვენაჯსა თჳსსა“ (მათე 20, 1). უფალი იესო ცათა სასუფეველს ერთ კონკრეტულ

კაცს კი არ ამსგავსებს, არამედ ყოველივე იმას, რაც გადმოცემულია იგავში, და რაც ამ სახლის პატრონსა და მის მიერ სხვადასხვა უამს დაქირავებულ ვენახის მუშაკებს შორის ხდება.

ამის მსგავსად, „მეფის ძის ქორწილის" იგავშიც უფალი იმას კი არ ამბობს, რომ ცათა სასუფეველი მეფის მსგავსია, არამედ მეფის მიერ გამართული თავისი ძის ქორწილით იგავურად განმარტავს იმ პირობებს, რომელთა შეუსრულებლად ვერავინ შევა ცათა სასუფეველში.

„მეფის ძის ქორწილის" იგავი „ბოროტი მევენახეების" იგავის ერთგვარ გაგრძელებადაც მიიჩნევა. „მეფის ძის ქორწილის" იგავში უფალ იესო ქრისტეს უფრო მეტი სიცხადე შემოაქვს საკუთარ თავთან დაკავშირებით: თუკი „ბოროტი მევენახეების" იგავში იგი მხოლოდ საყვარელი, მხოლოდშობილი ძეა პატრონისა, აქ – „მეფის ძის ქორწილის" იგავში – ის არის ძე მეფისა, ძე მეუფისა – იგი ილებს მეუფებას „უწინარეს ყოველთა საუკუნეთასა", რაც წინასწარუწყებული იყო: **„ღმერთო, სასჯელი შენი მეუფესა მიეც და სიმართლე შენი ძესა მეუფისასა განშჯად ერისა შენისა სიმართლით და ღლახაკთა შენთა განკითხვით"** (ფსალმუნნი 71, 1-2).

„ბოროტი მევენახეების" იგავში უფალი შეფარვით მიანიშნებს, რომ ღვთის სასუფეველი ჩამოერთმევათ იუდეველებს და მიეცემა **სხვა ნათესავს**, რომელიც გამოიღებს ნაყოფს. „მეფის ძის ქორწილის" იგავში კი **სხვა ნათესავით** იგი აშკარად უთითებს წარმართებზე, რომელთაც იგავში გზაჯვარედინებზე (ძველი ქართულით **მებოძირთა გზათა ზედა**) გამოიხმობენ და ქორწილში მიიწვევენ. რჩეულ იუდეველთა ნაცვლად სწორედ ესენი – გარედან მოსულნი უნდა შევიდნენ მეფის ძის ქორწილში, ანუ ცის სასუფეველში.

ქადაგების დროს *წმიდა პავლე მოციქული* ასე მიმართავს იუდეველებს, რომლებიც შურმა შეიპყრო ხალხის სიმრავლის გამო და დაუპირისპირდნენ მას: *„თქუენ მიმართ უთუოდ პირველად უნდა თქმულიყო ღვთის სიტყვა"*, – ეუბნება წმიდა მოციქუ-

ლი თავის წინააღმდგომთ, — „მაგრამ, რაკი უარყოფთ მას, თვითვე ისჯებით და საუკუნო სიცოცხლის ულირსად თვითვე მიიჩნევთ თავს. აჰა, ჩვენც წარმართებს მივმართავთ, რადგანაც ასე გვამცნო უფალმა: დაგადგინე შენ წარმართთა ნათლად, რათა იყო ქვეყნის მხსნელი კიდით-კიდემდე“ (საქმე მოციქულთა 13, 46-47).

იგივე სათქმელი აქვს უფალს, როდესაც „ორი ძის“ იგავის თხრობის შემდეგ იუდეველებს ეუბნება: **„ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: მებაჟენი და მეძავნი თქვენზე წინ შევლენ ღმერთის სასუფეველში“** (მათე 21, 31). იგივე იგულისხმება უფლისმიერ შეგონებაში: **„ასე იქნებიან უკანასკნელნი პირველნი და პირველნი — უკანასკნელნი“** (მათე 19, 30), რომელსაც უფალი იესო „ვენახის მუშაკების“ იგავის თხრობას წაუმძღვარებს და თხრობის დასრულების შემდეგაც უმეორებს მსმენელს.

ორივე იგავში — „ბოროტი მევენახეები“ და „მეფის ძის ქორწილი“ — ვენახის პატრონიც და მეუფეც მოუწოდებენ იუდეველებს: ვენახის პატრონი — თავის ვენახში სამუშაკოდ, მეუფე კი თავისი ძის ქორწილში სიხარულის გასაზიარებლად. ორივე იგავში მოწოდებულთა ხვედრი მსგავსია: ბოროტი მევენახეები ძის მოკვლის შემდეგ დაკარგავენ ვენახს, რომელიც სხვებს გადაეცემა, მეფის ძის ქორწილში მოწვეულნი კი არ მივლენ ქორწილში, და საქორწილო სუფრას მიუსხდებიან სხვები — გარედან მოსულნი. განსხვავება მხოლოდ ის არის, თუ რას მოჰყვება მოწოდება.

„ბოროტი მევენახეების“ იგავში არის წინასწარმეტყველური უწყება ძის მოკვლაზე, ანუ იესო ქრისტეს ჯვარცმაზე. მაშასადამე, უფალი ჯვარცმამდე მოუწოდებდა იუდეველებს: **„წარმართთა გზით ნუ ივლით, და ნუ შეხვალთ სამარიტელთა ქალაქში, არამედ უპირატესად ისრაელის სახლის დაკარგულ ცხვრებს მიაკითხეთ და უქადაგეთ, რომ მოახლოვდა ცათა სასუფეველი“** (მათე 10, 5-7) — ამას უფალი იესო ქრისტე თავის თორმეტ რჩეულ მოწაფეს ეუბნება, როდესაც ცათა სასუფევლის მოახლოების საქადაგებლად აგზავნის მათ. ეს ჯვარცმამდე იყო.

ჯვარცმის შემდეგ კი მკვდრეთით აღმდგარი იესო ქრისტე თავის მოწაფეებს უბრძანებს:

„წადით და ასწავლეთ ყველა ხალხს, და ნათელი ეცით მამისა, და ძის, და სულისა წმიდისა სახელით“ (მათე 28, 19). ამაღლებამდე უფალი უპირველესად ისევ იუდეველთა საქადაგებლად მოუწოდებს თავის მოწაფეებს, და ასევე წარმართებისა და სხვებისაც: *„თქვენ მიიღებთ ძალას, როცა სული წმიდა გადმოვა თქვენზე, და იყვნეთ ჩემდა მოწამე იერუსალემს და ყოველსა ჰურიასტანსა და სამარიასა და ვიდრე დასასრულადმე ქუეყანისა“* (საქმე მოციქულთა 1, 8). მართლაც ასე იყო: მოციქულებმა ჯერ ჰურიასტანში – მთელს იუდეაში იქადაგეს, საიდანაც ისინი განდევნეს, და ამის შემდეგ ქადაგებდნენ წარმართთა შორის.

წმიდა იოანე ოქროპირის თქმით, „ბოროტი მევენახეების“ იგავში ჯვარცმაა, სიკვდილია უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, „მეფის ძის ქორწილში“ კი სიხარულია – უფალი თავის აღდგომას გამოსახავს იგავურად, კერძოდ, ქორწილის სახარებისეული ალეგორიით. თუმცა წმიდა მამა იქვე განმარტავს, რომ უფალი იესო ორივე იგავით იმაზეც მიანიშნებდა თავის მსმენელს, რომ ჯვარცმისა და სიკვდილის შემდეგ აუცილებლად აღსრულდებოდა აღდგომა, იგავური ენით – **ქორწილი**.

კიდევ ერთი რამ აერთიანებს სახარების ამ ორ იგავს – „ბოროტი მევენახეები“ და „მეფის ძის ქორწილი“. ეს არის უფლის მოწოდების გამიზნულობა: მოწოდებულნი და მოწვეულნი უფლის წყალობის მისაღებად უნდა მივიდნენ. ოღონდ ეგ არის, რომ ორივენი, ვენახში მოწოდებულნიც და ქორწილში მოწვეულნიც, საკუთარი ნებით ამბობენ უარს უფლის ამ წყალობაზე.

სახარების ამ ორი იგავის კომენტირებისას იმასაც მიაქცევენ ყურადღებას, რომ მათში უაღრესად განსხვავებულია ღვთიური მოწყალების ხარისხი: პირველში, „ბოროტი მევენახეების“ იგავში, უფალი საკუთარი ხელით განუმზადებს მევენახეებს ვენახს, რათა მათ შეძლონ კეთილი ნაყოფის მოღება, მაგრამ უგუნური

და ბოროტი მევენახეები მადლიერების წილ უმადურობას ავლენენ, კეთილის წილ ბოროტს სჩადიან და ვენახის ერთადერთ მემკვიდრეს კლავენ იმის გამო, რომ მათ ნაყოფი მოსთხოვეს, ანგარიშის გასწორება დაუპირეს. ამ მიზეზით იწოდება სახარების ეს იგავი **რჯულის იგავად**, რადგან „ბოროტი მევენახეების" იგავში ღმერთი ითხოვს ნაყოფს, ვალის გადახდას, ანუ რჯულის აღსრულებას.

ამისგან განსხვავებით, „მეფის ძის ქორწილის" იგავი **მადლის იგავია**, რადგან უფალი მოწვეულთ მადლსა და წყალობას ჰპირდება.

წმიდა იოანე ოქროპირი კიდევ ერთი დამაკავშირებელი იგავური ხასით აერთიანებს ამ ორ იგავს და ამბობს: პირველში მევენახეები ვენახის პატრონისგან წარგზავნილ მონებს კლავენ, ანუ იუდეველები ღვთივრჩეულ წინასწარმეტყველებს ბოროტებით უპასუხებენ. მეორე იგავში კი მეფისგან წარგზავნილი მონების პირით ქორწილში მოწვეულნი არიან ბოროტი მევენახეების მსგავსი ღვთის მგმობელნი და მკვლელნი. თავისი ძის მკვლელებს ღმერთი სიხარულს, ცოდვათა შენდობასა და ცის სასუფეველს ჰპირდება, ისინი კი მეუფის მონებს შეიპყრობენ, შეურაცხყოფენ და ხოცავენ კიდეც. *„რაჲსათჳს მოსწყჳდნეს? რაჲმცა იყო ამის სიბორგილისა და უკეთურებისა შემსგავსებაჲ?"* — გვეკითხება ***წმიდა მამა იოანე ოქროპირი.*** მართლაც, რა შეიძლება ეწოდოს ამგვარ სიშლეგეს და უკეთურობას კაცთა მოდგმისა?!

„კაცი პატივსა შინა იყო და არა გულისჯმა-ყო, ჰბაძვიდა იგი პირუტყუთა უგუნურთა და მიემსგავსა მათ" (ფსალმუნნი 48, 13. 21) — უთუოდ ამათ მსგავთ გულისხმობს ***წმიდა დავით მეფსალმუნე.***

იგავური სათქმელით, ასევე ძის, მემკვიდრის იგავურ-საღვთისმეტყველო შინაარსით, „ბოროტი მევენახეების" იგავი ძველი აღთქმის იგავადაც იწოდება პირობითად, ხოლო „მეფის ძის ქორწილის" იგავი ასევე პირობითად იხსენიება ახალი აღთქმის იგავად. პირველი იმის გამოა ძველი აღთქმისა, რომ ვენახის პატრონის ძე, ანუ იესო ქრისტე, იგავში გვევლინება უკანასკნე-

ლი დიდებული წინასწარმეტყველისა და მოძღვრის სახით, რომელმაც ძველი აღთქმა გაასრულა, ასე ვთქვათ – ძველი აღთქმა დაწინდა. მეორე იგავში კი ძე არის არა მარტო სამეუფოს მემკვიდრე, არამედ ამ სამეუფოს გვირგვინოსანი მფლობელიც – უწინარეს საუკუნეთაგან უწყებული.

„მეფის ძის ქორწილის“ იგავში ვითარდება და ახალ, სახარებისეულ მნიშვნელობას იძენს „ბოროტი მევენახეების“ იგავს მოდევნებული **ქვა-ლოდის** ალეგორია: **„ლოდი, რომელ შეურაცხ-ყვეს მაშენებელთა, ესე იქმნა თავ კიდეთა“** (მათე 21, 42; ფსალმუნნი 117, 22-23). აქ ნახსენები **თავსაკიდური ლოდი, ქვაკუთხედი** უფალი იესო ქრისტეა, რომელმაც შეაერთა ორი კედელი, შეკრა მანამდე გაყოფილი და დაშორებული კედლები, ანუ იუდეველთა და წარმართთაგან შემოკრებილი მორწმუნე ქრისტიანები. ამ ქვა-ლოდით აიგო შენობა, რომლის აღშენება გასრულდა განხორციელებული ძე ღვთისას (ძე კაცისას) სწავლებით, ჯვარცმით, აღდგომით, ამაღლებითა და სულთმოფენობით. ამგვარად გასრულდა ძველაღთქმისეული სულიერი წიაღიდან აღმოცენებული ახალაღთქმისეული შენობის აგება.

ახალი აღთქმის შენობაში მადლი ზეციდან ქრისტეს შუამდგომლობით მიიღება. ქრისტეს მადლით მოსილი ქრისტიანები შეუდგნენ **ქრისტეს სხეულის** აღშენებას (*წმიდა პავლე მოციქული*), და ამ აღმშენებლობით აღიმართა კლდეზე სულიერი სახლი, რომლის თავსაკიდური ლოდია ქრისტე – ეს ქრისტეს ეკლესიაა!

„მეფის ძის ქორწილის“ იგავში ნაგულისხმევი ქრისტეს ეკლესია მოიაზრება ვითარცა საღმრთო მადლის მეუფება, სადაც შემოკრებილია ქრისტეს მიმდევართა მთელი კრებული. აქ, ამ წიაღში, განემზადებიან ქრისტიანები დიდების სამეუფოს დასამკვიდრებლად, რასაც იგავში **საქორწილო პურობა** გამოხატავს. მეუფემ ეს პურობა (ანუ ეკლესია ქრისტესი) თავისი ძის ქორწილის გამო გამართა.

თავს იჩენს შეკითხვა: **ვინ არის და რას ნიშნავს ამ იგავში სიძე და ქორწილი ძისა?**

კიდევ ერთხელ მოვნიშნოთ ამ ორი იგავის თხრობის თანამიმდევრობა. უფალი ჯერ „ბოროტი მევენახეების“ იგავს ჰყვება, სადაც თავის მომავალ ჯვარცმას გამოსახავს. შემდეგ ამას მოადევნებს „მეფის ძის ქორწილის“ იგავს და გვაუწყებს, რომ ჯვარცმის, თავისი სიკვდილის შემდეგ აუცილებლად აღსრულდება აღდგომა, გლოვას აუცილებლად მოჰყვება სიხარული, როგორც *წმიდა დავით მეფსალმუნე* ამბობს: **„მწუხრსა განისუენოს ტირილმან და ცისკარსა სიხარულმან“** (ფსალმუნნი 29, 5).

ამ ორი იგავის თანამიმდევრობით კიდევ ერთი საგულისხმო უფლისმიერი იგავური უწყება ამოიცნობა: „ბოროტი მევენახეების“ იგავში ქრისტე ვენახის გარეთ მოკლული ძეა, „მეფის ძის ქორწილის“ იგავში კი იგი **მეუფის** ძედ წარმოდგება. მაშასადამე, ბოროტი მევენახეებისაგან უარყოფილი და ჯვარცმული ძე „მეფის ძის ქორწილის“ იგავში **სიძეა**, სასიძოა. მეუფე ქორწილს უმართავს კრავივით დაკლულ თავის ერთადერთ მემკვიდრეს და, თან, ამ ქორწილში უპირველესად იმ ბოროტ მევენახეებს – იუდეველებს იწვევს, რომელთაც ძე მოუკლეს.

როგორც ვხედავთ, ეს ორი იგავი – „ბოროტი მევენახეები“ და „მეფის ძის ქორწილი“ – ერთმანეთს ავსებს. უფალი იესო ქრისტე იგავურად გაგვიცხადებს **საიდუმლოს**, რომელსაც კავშირი აქვს მის უზენაეს მისიასთან ამქვეყნად – ეს არის **ქრისტეს ვნება, სიკვდილი და აღდგომა**. უფალი იესო იუდეველებს იგავური წინასწარმეტყველებით აუწყებს, რომ იგი – ძე ღვთისა და ძე კაცისა – ჯერ მათგან მოიკვლება (ეს „ბოროტი მევენახეების“ იგავშია), შემდეგ კი, მათგან მოკლული და ჯვარცმული, არა მარტო აღდგება მკვდრეთით, არამედ ყველას და ყოველივეს მოჰფენს აღდგომის სიხარულს. „მეფის ძის ქორწილის“ იგავში ამ სიხარულის ნიშნად იშლება საქორწილო სუფრა და იმართება საქორწილო პურობა. მეფის ძის ქორწილში მოსულნი უკვე იხილავენ არა მარტო **ძეს მეუფისას**, არამედ **სიძეს**, სასიძოს.

წმიდა იოანეს სახარებაში იესო ქრისტეს სიძედ იხსენიებს *წმიდა იოანე ნათლისმცემელი,* როდესაც მასთან მისივე მოწაფეები მივლენ და აცნობებენ, რომ იორდანე'ში მისგან ნათელღებული იესო ახლა უკვე თვითონ სცემს ნათელს და ყველანი მასთან მიდიან. *წმიდა იოანე ოქროპირი* შენიშნავს, რომ წმიდა ნათლისმცემლის მოწაფეები: *„უძლურ იყვნეს გონებითა და არა განწმენდილ იყვნეს კაცობრივისა საქმისაგან“*, რის გამოც ისინი ამსოფლიური ანგარიშით ზომავდნენ იესოს წარმატებულ ღვაწლს.

თავის მოძღვართან მისვლამდე, როგორც წმიდა სახარება გვამცნობს, *წმიდა იოანე ნათლისმცემლის* მოწაფეებს იუდეველებთან დავა მოუხდათ **განწმედისათვის**, ანუ ნათლისღების საკითხის გამო. *ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი* წმიდა იოანეს სახარების ამ მუხლის განმარტებისას უაღრესად საგულისხმო სურათს გვიხატავს და ამბობს: ამ დავის შემდეგ ისინი თავიანთ მოძღვართან მივიდნენ და შესჩივლეს: მოძღვარო! ის, ვინც შენთან იყო, ვინც მოწაფე იყო შენი – განგეშორა, და ახლა თავად სცემს ნათელს სხვებს; ის, ვინც შენ მონათლე და ამ ნათლისცემით ყველას დაანახვე – ახლა გაკადნიერებულა და იმასვე იქმს, რასაც შენ: ნათელს სცემს ხალხს; უფრო მეტიც – ხალხი ახლა მას უსმენს, შენ კი აღარ გისმენენ. ნეტარი მამის თქმით, *წმიდა იოანე ნათლისმცემელმა* თავისი განმარტებითი პასუხით კიდევ ერთხელ დაუმოწმა და დაარწმუნა მასთან მოსული მოწაფეები, რომ იგი არ იყო ქრისტე, არამედ მხოლოდ „მოვლინებული მის წინაშე“, და რომ ის, ვის გამოც ისინი ასე შეშფოთდნენ, კაცი კი არ არის, არამედ ღმერთია.

სწორედ ამ საუბრისას იხსენიებს *წმიდა იოანე ნათლისმცემელი* უფალ იესოს **სიძედ**. იგი **სიძე-სასძლოს** ალეგორიას მიმართავს და ამბობს: **„რომელსა აქუს სძალი, იგი სიძე არს, ხოლო მეგობარი სიძისაჲ, რომელი დგას და ესმის მისი, სიხარულით უხარის ჴმითა სიძისაჲთა. ესე სიხარული ჩემი აღსრულებულ არს“** (იოანე 3, 29).

ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელის განმარტებით, *წმიდა იოანე ნათლისმცემელი* თავის მოწაფეებს ქრისტეს ღვთაებრიობას

უდასტურებს: **სიძე** – ქრისტე იმისთვის მოვიდა აქ, რომ მოუწოდოს თავის **სასძლოს** – ხალხს, ცოდვილთ. სასძლოს მოსამზადებლად და სიძესთან მისაყვანად ***წმიდა იოანე წინამორბედი და ნათლისმცემელი*** ქადაგებდა სინანულს და ნათელს სცემდა ცოდვილთ. ამიტომ უხარია ასე ძლიერ სიძის ხმის გაგონება, მისი მოსმენა წმიდა იოანეს – მეგობარს სიძისას.

„მეფის ძის ქორწილის" იგავში მეუფის ძე – იესო ქრისტე – არის **სიძე**. მაგრამ იგავში არ ჩანს **სასძლო**. განმარტავენ, რომ ამ იგავში **სასძლო** უხილავად არსებობს და, საღვთისმეტყველო შინაარსით, იგი ქორწილში წვეულთა – **ჩინებულთა** გამომხატველია. დიახ, **სასძლო** „მეფის ძის ქორწილის" იგავში არის ის, ვისაც თავად მეუფემ მოუმზადა ეს საქორწილო პურობა და საქორწილო სუფრაც გაუშალა.

როგორც შენიშნავენ, **სასძლოს**, საპატარძლოს, ამ იგავში კონკრეტული საღვთისმეტყველო შინაარსი აქვს: იგია ეკლესიის წიაღში მყოფი მორწმუნეების კრებული, ***ნეტარი თეოფილაქტეს*** თქმით – ეკლესიის ყველა სათნო სულის ერთობლიობა.

ნეტარი ავგუსტინე ამ იგავის განმარტებისას ამბობს: *„აქ ხორციელი ქორწილი კი არ არის, სადაც სტუმრები ერთნი არიან, და პატარძალი – მეორეა; არამედ არის ერთი პატარძალი – ეკლესიაში მოსულ ჭეშმარიტ სულთა ერთობა"*. ხოლო ***წმიდა გრიგოლი დიდის*** თქმით: *„მამამ გამართა ქორწილი სამეფო ძისათვის, და განკაცების საიდუმლოს გზით შეაუღლა მასთან წმიდა ეკლესია"*.

ქორწილი ძისა

ცალკე განიმარტება საკუთრივ **საქორწილო პურობის, საქორწილო ლხინის** საღვთისმეტყველო მნიშვნელობა ამ იგავში. მეფის მიერ განმზადებული **პურობა** და **ლხინი** გამოხატავს ქრისტეს ეკლესიის დაფუძნებას ამქვეყნად. მართლაც, ქრისტეს ეკლესია იესო ქრისტეს აღდგომისა და ამაღლების შემდეგ დაფუძნდა, და იგი დაფუძნდა, ვითარცა საღმრთო მადლის მეუფება და წიაღი.

მეუფის ძის ქორწილში მოსულმა სტუმრებმა საქორწილო პურობა უნდა იგემონ, საქორწილო ლხინი და სიხარული გაიზიარონ – სწორედ ეს არის მეუფის მიერ ძისთვის გამართული **ქორწილის მიზანი**. ასე მოდიან ქრისტეს ეკლესიაში ქრისტიანები – საღმრთო მადლის მისაღებად, წმიდა ზიარების საიდუმლოში მონაწილეობისათვის, რათა ისინი ქრისტეს სისხლად ქცეული ღვინისა და ქრისტეს ხორცად ქცეული პურის თანაზიარობის ღირსნი გახდნენ.

ერთხმად შენიშნავენ, რომ **ძის ქორწილის** ამ სახარებისეული ალეგორიის საღვთისმეტყველო შინაარსში მოიაზრება **ქრისტეს შეერთება ეკლესიასთან**, ქრისტეს დაქორწინება ეკლესიაზე. აქედან გამომდინარე, ეკლესია **სასძლოა მეუფის ძისა**, ეს ეკლესიისა და ქრისტეს საქორწილო ნადიმია; მოწვეული სტუმრები ეკლესიის წევრები არიან, ხოლო პატარძალი, **სასძლო**, ამ სტუმართა, ანუ ეკლესიის წევრთა ერთობლიობაა, ქრისტიანთა კრებულია.

ამ ღვთაებრივ **სიძე-სასძლოს ქორწინებაში** ღვთის სიტყვისა და კაცობრივი ბუნების შეუღლებასა და თანაზიარობასაც ჭვრეტენ. ამას *წმიდა პავლე მოციქული* ამგვარად ამოწმებს: *„ამისთჳს დაუტეოს კაცმან მამაჲ თჳსი და დედაჲ თჳსი და შეეყოს ცოლსა თჳსსა და იყვნენ ორნივე იგი ერთ ჴორც. საიდუმლოჲ ესე დიდ არს; ხოლო მე ვიტყჳ ქრისტესთჳს და ეკლესიისა“* (ეფესელთა მიმართ 5, 31-32).

მეორე ეპისტოლეში *წმიდა მოციქული პავლე* ასე მიმართავს კორინთელებს: *„დაგწინდეთ ერთ კაცზე, რათა უბიწო ქალწულად წარგადგინოთ ქრისტეს წინაშე“* (2 კორინთელთა მიმართ 11, 2).

წმიდა იოანე ოქროპირი შეგვახსენებს, რომ ბიბლიაში ხშირად კაცობრივი ენით არის გადმოცემული და გამოხატული საღმრთო საქმე, ამ საქმის ამქვეყნიური დანიშნულება, კაცთა მოდგმის უზენაესი მისია. მაგალითად: ღვთიური ბრწყინვალება მზით გამოისახება; როცა მცნებათა აღსრულების სიტკბოებაა ხაზ-

გასმული, წმიდა წერილი თაფლს უხმობს ამის გამოსახატავად ან პატიოსან თვლებს, ოქროსა და ანთრაკს: **„გულისსათქუმელ არიან უფროჲს ოქროჲსა და ანთრაკთა პატიოსანთა ფრიად და უტკბილეს უფროჲს თაფლისა და გოლეულისა“** (ფსალმუნნი 18, 11) – *წმიდა დავით მეფსალმუნე* ამას ღვთის რჯულისა და მცნებების გამო ბრძანებს.

და აი, უფალი იესო **ქორწილის** აღეგორიას მიმართავს, რათა ეკლესიისა და ქრისტეს შეერთება გამოსახოს იგავურად. **რატომ უწოდა ამ საღმრთო საქმეს უფალმა სწორედ ქორწილი?** ამ შეკითხვას *წმიდა იოანე ოქროპირი* სვამს და უპასუხებს: იმიტომ, რომ ამქვეყნად ყველაზე დიდი სიხარული მაშინ დგება, როცა მამა თავისი შვილის, ძის ქორწილს იხდის. ასევე დიდია ღვთის სიხარული, უკიდეგანოა მისი წადილი და უხვია უფლის წყალობა იმგვარ სანეტარო საქმეში, როგორიცაა კაცთა მოდგმის ხსნა, თავისი ყოველი მონანიე შვილის გადარჩენა და ცხონება.

„მეფის ძის ქორწილის“ იგავი სწორედ ამ სულიერი სიხარულით აღვსებას გამოხატავს და გვაგონებს უფლის მშვენიერ იგავს „უძღებ შვილზე“, სადაც მამა შურით პყრობილ უფროს ძეს გადარჩენილი უმცროსი ძმის გამო ეუბნება: **„აწ მხიარულებაჲ და სიხარული ჯერ-არს, რამეთუ ძმაჲ ესე შენი მომკუდარ იყო და განცოცხლდა, წარწყმედულ იყო და იპოვა“** (ლუკა 15, 32).

წმიდა ლუკას სახარებაშივე „დაკარგული ცხვრის“ იგავი გვიამბობს მწყემსის დიდ სიხარულზე, რომელსაც იგი ერთი დაკარგული ცხვრის პოვნის გამო განიცდის. ის ქალიც დიდად ხარობს, რომელიც თავის ერთ დაკარგულ დრაქმას იპოვის „დაკარგული დრაქმის“ იგავში (ლუკა 15, 3-10).

ყველანი – მამაც, მწყემსიც და ქალიც – თავიანთ მეგობრებსა და ძმებს უხმობენ, რათა მათთან ერთად განიცადონ სიხარული, ისევე, როგორც მეფე უხმობს წვეულ სტუმრებს თავისი ძის ქორწილში ამ დიდი სიხარულის გასაზიარებლად.

„მეფის ძის ქორწილის“ იგავში მეფის ძის ქორწილის ორი საფეხური მოიაზრება: ერთია საქორწილო ნადიმი, სადაც უფ-

ლის წმიდა სისხლით გამოხსნილი მართალნი სრულ ნეტარებას იგემებენ. ეს არის ქორწილი ტარიგისა, კრავისა. სწორედ ამ საქორწილო ნეტარებასა და სიხარულს გულისხმობდა უფალი იესო ქრისტე საიდუმლო სერობაზე, როდესაც თავის მოწაფეებს ამცნო: „**გეუბნებით თქვენ, რომ აღარ დავლევ ყურძნის ნაყოფისაგან, ვიდრე არ მოიწევა ღმრთის სასუფეველი... და მე აღგითქვამთ თქვენ, როგორც მე აღმითქვა მამამ ჩემმა სასუფეველი, რათა ჭამდეთ და სვამდეთ ჩემს ტაბლაზე ჩემსავ სასუფეველში, და დასხდებით ტახტებზე, რათა განსაჯოთ ისრაელის თორმეტი ტომი**“ (ლუკა 22, 18. 29-30).

ამავე მნიშვნელობას გულისხმობს *წმიდა იოანე ღვთისმეტყველი* „გამოცხადებაში“: „*გვიხაროდეს და ვილხენდეთ, და მივაგოთ მას დიდება, რადგანაც მოვიდა ქორწილი კრავისა, და სასძლომ მისმა განიმზადა თავი*“ (გამოცხადება 19, 7).

ქორწილი ტარიგისა იდღესასწაულება ქვეყნიერების არსებობის დასასრულ, იესო ქრისტეს მეორედ მოსვლის ჟამს. მაგრამ საგანგებოდ შენიშნავენ, რომ **საქორწილო პურობა** მეორედ მოსვლამდეც შედგა, **საქორწილო ნადიმი** უფლის განხორციელების ჟამსაც გაიმართა. ყოველი წვეულისთვის დღემდე მზადდება ეს **დიდებული სულიერი პურობა** – წმიდა საეკლესიო საიდუმლონი: ნათლობა, სინანული, ზიარება, მღვდლობა და თვით ქორწინება. ამ ქორწილში წვეულთ შეუძლიათ, მიიღონ ეკლესიის წმიდა საიდუმლოთა მადლი, ინეტარონ რწმენის ნადიმით, აღივსონ და გაიზიარონ უფლის სიხარული, და დაეუფლონ უხრწნელ საუნჯეს – შეიმოსონ ღვთის სახიერება!

ამ საქორწილო სუფრაზე მოსული მორწმუნეებისათვის დაიკვლება ტარიგი – ქრისტე მაცხოვარი, და ისინი მის უწმიდეს ხორცსა და ღვთაებრივ სისხლს მიიღებენ საცხოვნებლად. ყოველივე ეს აღსრულდება ქრისტეს ეკლესიაში, რომლის მრევლი პატარძალივით, **სასძლოს** მსგავსად ელოდება სიძეს – ქრისტეს.

შენიშნავენ, რომ ამ იგავში ქრისტეს პირველად და მეორედ მოსვლის, ანუ **ქორწილის**, ამ **ორი საფეხურის** ურთიერთშეთანხმება აღარ გაძნელდება, თუკი გავიხსენებთ, რომ, აღმოსავლური ტრადიციით, ნიშნობასა და ქორწილს შორის შუალედური ხანაა: **ქრისტეს პირველად მოსვლა** იგავურად **ნიშნობას** შეესაბამება, **მეორედ მოსვლა** – პატარძლის სახლში მოყვანას, ანუ ქრისტესა და პატარძლის **ქორწინებას**, მათ სამარადისო შეუღლებას, მათი ერთობის სრულ, უზენაეს ნეტარებას.

იუდეველთა რწმენით, მესიის სასუფევლის გამოჩენა, მისი მოახლოება **დიდებული ნადიმით** უნდა აღინიშნოს. ღმერთსა და ადამიანს შორის დარღვეული კავშირის აღდგენა ძველი აღთქმის წიგნებში სწორედ ნადიმის, დაწინდვისა და ქორწილის ბიბლიური ალეგორიებით გამოიხატება. *„მე საუკუნოდ დაგწინდავ ჩემთვის, დაგწინდავ სიმართლით და სამართლით, წყალობითა და სიყვარულით. დაგწინდავ რწმენით და შეიცნობ უფალს“*, – ვკითხულობთ *წმიდა ოსია წინასწარმეტყველის* წიგნში (ოსია 2, 21-22). *წმიდა ესაიასთან* წერია: *„გაუმართავს ცაბაოთ უფალი ყველა ხალხს ამ მთაზე ნადიმს – მსუყე კერძებით, ნადიმს – ძველი ღვინით, ძვლის ტვინიანი მსუყე კერძებით, ძველი, დაწმენდილი ღვინით... როგორც ხარობს სიძე დედოფლით, ასე გაიხარებს შენით – შენი ღმერთი“* (ესაია 25, 6; 62, 5).

სწორედ თავის პირველად მოსვლაზე მიანიშნებს უფალი იესო მასთან მოსულ *წმიდა იოანე ნათლისმცემლის* მოწაფეებს, რომლებიც მარხვის გამო შეეკითხებიან უფალს: **„რატომ ვმარხულობთ ჩვენ და ფარისეველნი, შენი მოწაფეები კი არ მარხულობენ? ხოლო იესომ მიუგო მათ: განა შეიძლება წუხდნენ მექორწილენი, ვიდრე მათთანაა სიძე? მოვა დრო, როცა სიძე აღარ ეყოლებათ, და მაშინ იმარხულებენ“** (მათე 9, 14-15).

როგორც ვხედავთ, უფალი ამ დროს თავის თავს თვითონვე წარმოაჩენს **სიძედ**, რადგან იგი, *წმიდა იოანე ოქროპირის* თქმით, არის ღვთისმოყვარე სულთა სიძე, რომელმაც ქრისტესადმი მორ-

წმუნე წარმართთა ეკლესია შეუერთა საკუთარ თავს. ეს ეკლესია სწორედ მან – **სიძემ** *„მოიყიდა პატიოსნითა მით სისხლითა მისითა“*. ამავე პასუხით უფალმა იესომ ***წმიდა იოანე ნათლისმცემლის*** მოწაფეებს მათივე მოძღვრის ის სიტყვები გაახსენა, რომლებითაც რამდენიმე ხნით ადრე წმიდა ნათლისმცემელმაც სიძე-სასძლოს ალეგორიას მიმართა და მათ უთხრა: **„ვისაც სასძლო ჰყავს – სიძეა, ხოლო სიძის მეგობარი, რომელიც დგას და ესმის მისი, სიხარულით ხარობს სიძის ხმის გაგონებისას; სწორედ ეს სიხარული აღსრულდა ჩემი“** (იოანე 3, 29).

სამივე ხსენებული ბიბლიური ალეგორია, როგორც ვხედავთ, „მეფის ძის ქორწილის“ იგავშია შერწყმული: იგავის პირველ ნაწილში იშლება სუფრა, იკვლება **ზვარაკები და უსხები**, სიძე ელის თავის დაწინდულთ და უხმობს ჩინებულთ: **მოვედით ქორწილსა ამას**.

იგავის მეორე ნაწილში ქორწილი ივსება მეინახეებით: **შეკრბეს ყოველი, რაოდენი პოეს: ბოროტი და კეთილი**, რასაც მოჰყვება საბოლოო სამსჯავრო, და გარეთ – **ბნელსა მას გარესკნელსა** – უჯეროდ შემოსილი სტუმარი, ანუ ამ კრებულის ულირსი წევრი, ცრუ ქრისტიანი აღმოჩნდება, რომელიც საუკუნო სასჯელს მიიღებს.

იგავიდან, მისი დამაგვირგვინებელი სიტყვებიდან, ამოიკითხება უფლისმიერი დასტური იმის შესახებ, რომ წვეულთა შორის ამ საკრებულოში მხოლოდ მცირედნი დაიმსახურებენ საუკუნო სასუფეველს, ნეტარი ცხოვრების დამკვიდრებას ცათა სასუფეველში: **„მრავალ არიან ჩინებულნი, და მცირედ – რჩეულნი“** (მათე 22, 14) – უფალი მრავალს მოუწოდებს და მოიწვევს, მაგრამ ცოტანი აღმოჩნდებიან რჩეულნი, რომელნიც ისმენენ და მიიღებენ უფლის მოწოდებას.

წვეულის მოწვევა

იგავში ნათქვამია: **წარავლინნა მონანი თჳსნი მოწოდებად ჩინებულთა მათ ქორწილსა მას**.

ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი სვამს შეკითხვას: **რას ნიშნავს „მოწოდებად ჩინებულთა?“ როგორ შეიძლება მოწვეული (ჩინებული) მოიწვიო? როგორ აიხსნება წვეული სტუმრის მოწვევა?**

ნეტარი მამის თქმით, ყოველი ჩვენგანი შინაგანად, ბუნებითად არის მოწოდებული და **წვეული** სიკეთისთვის, სათნოებისთვის. ყოველ ჩვენგანს ებოძება ამის უნარი უფლისგან, მაგრამ ღმერთი თავადაც მოგვიწოდებს სიტყვით, რომელსაც გვამცნობენ და გვასწავლიან წმიდა წინასწარმეტყველნი და მოციქულნი, გვიქადაგებენ ჩვენი სულიერი მოძღვრები. სწორედ მათ განასახიერებენ იგავში მეუფის მიერ წარგზავნილი მონები.

უკვე მოპატიჟებული სტუმრების კვლავ მოპატიჟება აღმოსავლეთში დამკვიდრებული ჩვეულება იყო. *ესთერის* წიგნიდან ვიგებთ, რომ იუდეველმა დედოფალმა მეფეს დილით მოაწვევინა სტუმრები, შემდეგ კი, ნადიმის დაწყების წინ, კვლავ წარგზავნეს მეფის კარისკაცები ამ სტუმრებთან, რათა მათი წამოსვლა დაეჩქარებინათ და დროულად მოსულიყვნენ ნადიმზე (ესთერი, თ. 5-6).

მსგავსად ამისა, „მეფის ძის ქორწილში“ წვეულთა მოწვევა გულისხმობს, რომ მეუფისგან წვეულნი საქორწილო ნადიმის გამართვამდე მოიწვიეს, ახლა კი შეახსენეს, რომ მოწვეულნი არიან ქორწილში. უფალი იესო ქრისტე იგავის მსმენელებს შეახსენებს, რომ იგი – სიძე – მოულოდნელად არ დასტყდომია მათ თავს, გაუფრთხილებლად არ მოსულა ამქვეყნად, უფალი იგავურად მიგვითითებს, რომ სწორედ იგია „რჯულის გამასრულებელი“, ანუ ის, ვისკენაც და რისკენაც იყო მიმართული რჯული, ვისაც გამოსახავდა იუდაური მსახურება.

მოწოდებად რჩეულთა გამოხატავს იმ აზრს, რომ ქრისტეს სასუფეველი ნაწინასწარმეტყველევი იყო, ამ სასუფევლის საფუძველი გაცილებით ადრე ჩაიყარა. აქამდე ყოველივე მხოლოდ წინასწარმეტყველებას წარმოადგენდა, ახლა კი დადგა ჟამი ამ წინასწარმეტყველების აღსრულებისა.

ადრინდელი მოწოდება ძველალთქმისეულ წინასწარმეტყველთა პირით გამოითქმებოდა, მაგრამ ეს არ იყო საბოლოო, განმსაზღვრე-

ლი მოწოდება ღვთისა, რადგან წინასწარმეტყველნი მომავალზე ქადაგებდნენ. *წმიდა იოანე ნათლისმცემლამდე*, რომელიც არის ძველი და ახალი აღთქმის შესაყარის წინასწარმეტყველი, სასუფეველი ჯერ მხოლოდ მომავალში ესახებოდა ადამიანს:

„როგორც დაწერილია ესაია წინასწარმეტყველის წიგნში: ჰმაჲ ღაღადებისაჲ უდაბნოსა: განჰმზადენით გზანი უფლისანი და... იხილოს ყოველმან ჴორციელმან მაცხოვარებაჲ ღმრთისაჲ“ (ლუკა 3, 4.6) – თავდაპირველად ამას შეახსენებს წმიდა ნათლისმცემელი მასთან მისულთ, შემდეგ კი ღაღადებს.

„აღსრულებულ არს ჟამი და მოახლებულ არს სასუფეველი ღმრთისაჲ“ (მარკოზი 1, 15). უფალი იესო ქრისტე თავადაც ბრძანებდა ამას: **„ჟამი მოწევნულ არს“** (ლუკა 21, 8).

„მეფის ძის ქორწილის“ იგავში, „ბოროტი მევენახეების“ იგავის მსგავსად, რამდენიმეგზის წარავლენენ მონებს. ქორწილში წვეულთა საწვევად მეუფე **სამგზის გაგზავნის** თავის მსახურებს. *წმიდა იოანე ოქროპირის* განმარტებით, მსახურთაგან ღმერთმა პირველად წინასწარმეტყველნი წარგზავნა იუდეველებთან და მესიის სამეუფოში მოუწოდა მათ. ეს იყო მესიის ამქვეყნად გამოცხადებამდე, ქრისტე მაცხოვრის ამქვეყნად მოვლინებამდე, მაგრამ იუდეველებმა არ ინებეს მოსვლა, არ შეისმინეს ღვთისა.

შემდეგ, – განაგრძობს *წმიდა მამა იოანე ოქროპირი*, – ღმერთმა *წმიდა იოანე ნათლიმსცემლის* მიერ მოუწოდა იუდეველებს: **„აჰა ტარიგი იგი ღმრთისაჲ, რომელმან მიიღო ცოდვანი სოფლისანი“** (იოანე 1, 29) – ეუბნებოდა იგი მათ. მაგრამ არც მისი ისმინეს, გააწბილეს ღმერთი და არ გულისხმაყვეს მისი მოწოდება. ქორწილში წასვლის ნაცვლად, ზოგი თავის ყანაში წავიდა, ზოგმა თავის სავაჭროს მიმართა. მათ მარადიულს წარმავალი არჩიეს, ზეციურს ამსოფლური ამჯობინეს. შემდეგ ისევ მოუწოდა ღმერთმა იუდეველთ – თავად ძე ღვთისას პირით, – განგვიმარტავს წმიდა მამა, – იგი თავისკენ უხმობდა და მოუწოდებდა: **„მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტკურთმძიმენი, და მე განგისუენო თქუენ“** (მათე 11, 28); **„რომელსა**

სწყურის, მოვედინ ჩემდა და სუემდინ“ (იოანე 7, 37), იუდეველებმა კი იგი ჯვარს აცვეს. ამის შემდეგ მოციქულთა პირით მოუწოდა სულგრძელმა უფალმა ღმერთმა გულგაფიცხებულ იუდეველებს, რომელთაც ეს **ჩინებული მონები** შეურაცხყვეს და დახოცეს კიდეც.

ოდნავ განსხვავებული განმარტება აქვს *ნეტარ თეოფილაქტე ბულგარელს*, რომლის თქმით, პირველად გაგზავნილ მონებში *მოსე* რჯულმდებელი იგულისხმება ამ იგავში. ებრაელებმა არ ირწმუნეს მისი, მრავალგზის განარისხეს ღმერთი, არ ინდომეს ღვთის სიტყვის მიღება. მეორედ წარგზავნილებში ნეტარი მამა წინასწარმეტყველებს ჭვრეტს, რომელთაგან ზოგი მოკლეს, ზოგი დაამცირეს და ზოგიც შეურაცხყვეს. მესამედ გაგზავნილი მონები კი მოციქულები არიან, რომლებიც ღმერთმა წარმართებთან მიავლინა. ისინი უქადაგებდნენ ცრუ გზით მავალთ, ცდომილებაში მყოფთ, ცოდვილთ, მებაჟეთ და მეძავთ; ყველას, ვისაც შეხვდნენ – ბოროტსა თუ კეთილს.

ამ მხრივ უაღრესად საგულისხმოა *ნეტარ თეოფილაქტეს* განმარტება ამ იგავური ალეგორიებისა – **გზისა** და **გზაჯვარედინისა** (მებოძირთა): **გზა** ცხოვრების წესია, – ბრძანებს ნეტარი მამა, – გზაჯვარედინი კი ის სწავლებანი, რომელთაც ქრისტეს განხორციელებამდე მისდევდნენ წარმართნი. ისინი უზნეო ცხოვრებას ეწეოდნენ და ამიტომაც ასცდნენ ჭეშმარიტ სწავლებას, ქმნიდნენ ბილწ ღმერთებს, კერპებს. სწორედ მათ მოუწოდა უფალმა მოციქულთა მეშვეობით, რათა თავი დაელწიათ ამ გზაჯვარედინებისა და გზააცდენილი ცხოვრების წესისათვის.

არსებობს **წარგზავნილ მონებთან** დაკავშირებული კიდევ ერთი განმარტება: პირველად გაგზავნილი *წმიდა იოანე ნათლისმცემელია*, ასევე ქრისტეს თორმეტი მოციქული და დანარჩენი სამოცდაათი მოციქული. პირველად გაგზავნილ მონებს შორის უფალი იესო ქრისტე არ იგულისხმება. მხოლოდ შემდეგ, როცა მოახლოვდა ჟამი საქორწილო ნადიმისა, როცა წვეულთათვის ითქვა: **აჰა გავშალე სუფრა, დავკალი ზუარაკები და უსხები; ყველაფერი მზადაა, მო-**

ბრძანდით ქორწილში — აი ამის შემდეგ დაიმდაბლა თავი ძე ღვთისამ და იქცა მონად, ერთ-ერთ წარგზავნილად, **მომწოდებლად** ჩინებულთა, ანუ წვეულთა მომპატიჟებლად.

იგავში ამ წარგზავნილთა შესახებ ჯერ ნათქვამია, რომ მოწვეულებმა **უდებ-ყვეს,** ანუ გააწბილეს მეუფე, და არაკეთილ-განწყობილად შეხვდნენ მისგან წარგზავნილებს. მაცხოვრის სიცოცხლეში თავდაპირველად მართლაც არ გამომჟღავნებულა აშკარა დევნა და მტრობა მოწაფეებისა და თავად მაცხოვრის მიმართაც კი. მოწვეულმა სტუმრებმა ჯერ მხოლოდ არ ინდომეს და ჯერ მხოლოდ გააწბილეს მასპინძელი.

მეორედ წარგზავნილთა შორის, ამავე განმარტებით, ასევე არიან მოციქულნი, რომელნიც უფლის ამაღლებისა და სულთ-მოფენობის შემდეგ მიმართავდნენ და უქადაგებდნენ იუდეველებს. უფლის უშუალო მოწაფეებთან ერთად, ამ მოციქულთა შორის იგულისხმებიან *წმიდა პავლე, წმიდა სტეფანე, წმიდა ბარნაბა* და სხვებიც, რომელნიც ქადაგებდნენ არა მომავალ, არამედ იესო ქრისტეს აღდგომისა და ამაღლების შემდეგ დამდგარ — უკვე მოახლოებულ ღვთის სასუფეველს.

მეორედ მოწოდებისას წვეულთაგან ნაწილმა მშვიდობიანად უარყო მოწვევა: ზოგი თავის ყანაში წავიდა, ზოგი — სავაჭრო-ში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, პირველად წვეულთა მსგავსად, ესენიც უნდობლობითა და გულგრილობით მოეკიდნენ ღვთიურ მოწოდებას, რადგან მეტისმეტად იყვნენ მიჯაჭვულნი ამქვეყნი-ურ, ყოფით კეთილდღეობას, ზედმეტ, ამაო საზრუნავს.

ასახელებენ ამ უარყოფის ორ უმთავრეს მიზეზს: ანგარებასა და ავხორცობას. ვაჭრობაში იგულისხმება მომხვეჭლის ცხოვრე-ბის წესი, როდესაც ყოველივე ანგარებით წარიმართება. საკუ-თარ აგარაკზე, ყანაში წასვლა ხორციელი სურვილებისა და მისწრაფებებისკენ ლტოლვას გამოხატავს. შენიშნავენ,რომ ყანის პატრონს უკვე მოხვეჭილი აქვს, იგი გამაძღარია, სავაჭროდ წა-სული კი შრომობს, რათა მოიხვეჭოს, იგი ქონების მოხვეჭისა და დაგროვებისთვის ირჯება. მაშასადამე, იგავი გვასწავლის, რომ

სულიერ საქორწილო ნადიმზე წასვლას კაცი ხშირად სწორედ ამ ორი მიზეზით არიდებს ხოლმე თავს, ანგარებით და ავხორცობით ძლეული, მოხვეჭასა და სხვა ხორციელ წადილს მისდევს.

ჯურნ, დაკლულნ ზვარაკებნ და უსხებნ

მეორედ მოწოდების დროს მეუფე წარგზავნილ მონათა პირით წვეულებს შეუთვლის, რომ მას მზად აქვს **პური**, დაკლული ჰყავს **ზვარაკები და უსხები**. ღმერთმა ყველა წვეულისთვის მოამზადა პურობა, დაკლა ხარები და ნასუქი საქონელი. ამ საქორწილო სუფრაზე მეუფემ მოწვეულებს, ცხადია, სულიერი საზრდო, სულიერი ნადიმის ტრაპეზი განუმზადა.

„მეფის ძის ქორწილის" იგავში ნახსენები **პურობა**, გაშლილი სუფრა, ძველ ქართულ თარგმანში გადმოიცემა სიტყვით **პური**, რომელიც ნიშნავდა „სადილს, წვეულებას, ლხინს". რუსულში პურობის შესატყვისია: **„Вот, я приготовил обедмой"**. ძველ ქართულად: **აჰა ესერა, პური ჩემი მზა მიყოფიეს.**

ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელის განმარტებით, ამ იგავური ალეგორიით – **პური, პურობა** – მოინიშნება სულიერი ნადიმის, უფრო ზუსტად, სულიერი საიდუმლოს მნიშვნელობა. იგავში ამ საიდუმლოს იმიტომ ეწოდა **პური**, ანუ სადილი, გაშლილი სუფრა, რომ იგი ციკლური მონაცვლეობით სრულდება: როგორც სადილის სუფრა იშლება ყოველდღიურად და სადღესასწაულო ტრაპეზი იშლება კალენდარულად – განსაზღვრულ დღეს, ასევე მზადდებოდა და დღემდე მზადდება წმიდა საეკლესიო საიდუმლონი წვეულთათვის, ანუ წირვა-ლოცვის მონაწილე მრევლისათვის.

ნეტარი მამა შენიშნავს, რომ წმიდა საიდუმლონი მთელი სრულყოფილებით მხოლოდ უკანასკნელ ჟამს, ქრისტეს მეორედ მოსვლის დროს გაცხადდება. იგავში **პურობას** ამ მიზეზით ჰქვია **საქორწილო – ძის ქორწილი**, რომელსაც მეუფე გამართავს.

მაშასადამე, **მეუფის ძის ქორწილში** იგავურად მოიაზრება, ერთი მხრივ, ქრისტეს და ეკლესიის ერთობა, როდესაც სასძლო,

ანუ ეკლესია და მისი მრევლი, ეკლესიაში აღსრულებულ საიდუმლოთა მეოხებით მიიღებს და ეზიარება სუკიურ მადლს, ქრისტე მაცხოვრის უწმიდეს ხორცს და პატიოსან სისხლს. ამას გამოხატავს იგავში საკუთრივ **პურობა**, ასევე **დაკლული ზვარაკები და უსხები**.

მეორე მხრივ, **პურობა** და **დაკლული ზვარაკები** საქორწილოა, ქორწილისთვისაა განკუთვნილი. ამიტომ იგავური ალეგორია – **საქორწილო პურობა და ლხინი** – უკვე გამოხატავს არა მარტო ქრისტეს შეერთებას ეკლესიასთან, ესე იგი, არა მხოლოდ საკუთრივ პურობას, არამედ ქრისტეს დაქორწინებას ეკლესიაზე, ანუ **ქრისტეს და ეკლესიის სამარადისო შეუღლებას**, იმ ყველაზე დიდ და სანეტარო უკანასკნელ დღესასწაულს, რომელიც ქრისტეს მეორედ მოსვლის ჟამს დასრულდება სიძე-პატარძლის სრული, საბოლოო უზენაესი ნეტარებით.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, *ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი* დააწყვილებს **პურობისა** და **დაკლული ზვარაკების** ალეგორიებს, და განმარტავს: ამ იგავური ალეგორიებით (**პური** და **ზვარაკი**) უფალი ახალი და ძველი აღთქმის საიდუმლოზე უნდა მიგვანიშნებდეს. ძველი აღთქმის საიდუმლოს გამოხატავს დაკლული ხარები (**ზვარაკი**), რადგანაც სწორედ ზვარაკთა მსპვერპლშეწირვით აღსრულდებოდა ძველაღთქმისეული ღვთისმსახურება, განსხვავებით ახალაღთქმისეული მსხვერპლშეწირვისაგან, რომელიც უსისხლოა, რადგან ქრისტიანთა შესაწირი **პურითა და ხორბლით** გაიღება.

ასე რომ, ნეტარი მამის თქმით, მეუფე ამ იგავში ჩვენ, ღვთისაგან წვეულთ, მოგვიწოდებს, ვეზიაროთ და მივიღოთ როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმის მადლმოსილი საზრდო. *ნეტარი თეოფილაქტე* ღვთის სიტყვის განმმარტებელსა და ამხსნელსაც აკისრებს ამ სულიერი საზრდოს მიწოდების სამსახურს. ნეტარი მამა გვეუბნება: იცოდე, რომ ისიც გაწვდის სულიერ საზრდოს, ვინც კარგად, რიგიანად, გასაგებად განგიმარტავს და აგიხსნის ღვთის სიტყვას, რადგან იგი სულიერი პურით გაპურებს, შენს

სულს იმ პურით გამოსრდის, რომელსაც ჩვენ ყოველდღიური ლოცვით შევთხოვთ მამაღმერთს: **„პური ჩუენი არსობისაჲ მომეც ჩუენ დღეს“.**

ეს ის **ზეციური პურია**, რომლის გამოც თავად უფალი იესო ქრისტე ბრძანებს: **„პური ღმრთისაჲ არს, რომელი გარდამოჴდა ზეცით და მოსცა ცხორებაჲ სოფელსა“** (იოანე 6, 33) – პური ღმრთისა ის არის, რომელიც ჩამოვიდა ზეციდან და სიცოცხლე მისცა ქვეყანასო. უფალი იესო ქრისტეს მოწაფეები მოძღვარს ეკითხებიან: **„უფალო, ნუ მოგვიშლი ჩვენ ამ პურს“**, რის პასუხადაც უფალი იესო მათ ეუბნება: **„მე ვარ პური ცხორებისაჲ; რომელი მოვიდეს ჩემდა, არა შიოდის, და რომელსა ჰრწმენეს ჩემი, არასადა სწყურდეს“** (იოანე 6, 34-35) – ვინც ჩემთან მოვა, არ მოშივდება, და ვინც მიწამებს, არ მოსწყურდებაო არასდროს.

სიცოცხლის პური ზეციერმა მამამ გამოგვიგზავნა. მან თავისი მხოლოდშობილი ძე *„არ დაინდო, ერთადერთი ძე გაიმეტა ჩვენთვის, ყოველი ჩვენგანისთვის გასწირა იგი; როგორღა არ მოგვანიჭებს მასთან ერთად ყოველივეს?“* – გვარწმუნებს ***წმიდა მოციქული პავლე*** (რომაელთა მიმართ 8, 32). ყოველივე მონიჭებულში იგულისხმება: განმართლება, ღმერთშემოსილობა და შვილება, ცოდვათა მიტევება, ხსნა, მარადიული სასუფევლის დამკვიდრება. ცოდვილი ამის ღირსი შეიძლება გახდეს მხოლოდ გულმხურვალე სიყვარულით, სათნოებებით, მოწყალებით, ჭეშმარიტი რწმენით ჭეშმარიტი ღვთისადმი და ეკლესიური ცხოვრების წესით – ნათლობით, სინანულით, ზიარებით.

ამასთან დაკავშირებით საგანგებოდ განმარტავენ: *„როცა უფალმა იესო ქრისტემ დაასრულა თავისი ამქვეყნიური საზოგადო მსახურება და ზეცად ამაღლდა, მაშინ აღსრულდა მის მიერ დაფუძნებული ეკლესიის საბოლოო აღშენება და მოწყობა; და რაც აქამდე აკლდა სულიერი ნადიმის ტრაპეზს, აწ გამოჩნდა მასზე: ეს არის ყოვლადწმიდა ხორცი და სისხლი ღმერთის კრავისა, რომელიც ქვეყნიერების ცოდვებისთვის დაიკლა და ერთგზის შეწირულ უწმინდეს მსხვერპლად დაიდო*

ქრისტიანულ საკუთრხეველში. ეს დაკულული უსენაესი მსხვერპლი ყველა ერთგულ მორწმუნეს წინ დაუდო საზრდოდ, მის მისაღებად და ჭამად“.

ცხადია, აქ იგულისხმება ზიარების წმიდა საიდუმლო. იგავში **პურთან** ერთად ამ საიდუმლოზე **დაკლული ზვარაკები და უსხ-ებიც** მიგვანიშნებს. *ნეტარი თეოფილაქტესგან* განსხვავებით, განმმარტებელთა დიდი ნაწილი **დაკლული ზვარაკისა და უსხ-ების** შესატყვისად დასაკლავად გამოგზავნილ ქრისტე-კრავს მიიჩნევს: **„აჰა ტარიგი ღმრთისაჲ“, – ამბობს** *წმიდა იოანე ნათლისმცემელი* მისკენ მომავალ იესოზე და დასძენს: **„იგი იტვირთავს ქვეყნის ცოდვებს“** (იოანე 1, 29).

დიახ, ჩვენი ერთადერთი მხსნელი ჩვენი ცოდვების გამო დაიკლა და ნებით გაიღო საკუთარი ხორცი, რომელიც ამ საქორწილო სუფრაზე დაიდო, ვითარცა პური, რათა ჩვენ, ბილწი ცოდვების მონებმა, ის ჩვენივე გადარჩენისთვის ვიგემოთ. მაცხოვარმა დიდ ხუთშაბათს დაგვიწესა ზიარების წმიდა საიდუმლო, სადაც გააცხადა საღვთისმეტყველო შინაარსი **პურისა** – ძე კაცისას ხორცისა:

„ვითარცა ჭამდეს იგინი, მოიღო იესუ პური და ჰმადლობდა, და განტეხა და მისცა მოწაფეთა თუსთა და ჰრქუა მათ: მი-იღეთ და ჭამეთ: ესე არს ჴორცი ჩემი. და მოიღო სასუმელი და ჰმადლობდა და მისცა მათ და თქუა: სუთ ამისგანი ყოველ-თა: ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქუმისაჲ, მრავალთათუს დათხეული მისატევებელად ცოდვათა“ (მათე 26, 26-28).

ერთხმად აღიარებენ, რომ უფალი იესო ქრისტეს მიერ დაწესე-ბული სწორედ ეს საიდუმლოა გამოსახული „მეფის ძის ქორწი-ლის“ იგავში, რითაც ჩვენმა მხსნელმა იგავურად გამოთქვა თავისი გულმოწყალება, სულგრძელობა და უკიდეგანო კაცთმოყვარეობა.

მართლაც, განა სადმე იპოვება ესოდენი თავგანწირვა და სიყვარული მწყემსისა, როგორსაც ქრისტე-მწყემსი იჩენს თავისი სამწყსოსადმი – ჩვენდამი, ცოდვილებისადმი?! ვის უნახავს ან ვის გაუგონია, რომ მწყემსი საკუთარი ხორცითა და სისხლით კვებავდეს თავის ცხვრებს?! *წმიდა მამა იოანე ოქროპირი გვეკითხ-*

ება: „სად გინახავთ ასეთი მწყემსი? დედათაგან მრავალნი თავიანთ ახალშობილ შვილებს აძიძავებენ და სხვებს აძლევენ გამოსაზრდელად. ჩვენმა უფალმა ეს არ ინება. იგი საკუთარი ხორცით გამოგვკვებავს და ასე გვაზიარებს საკუთარ თავს, მასთან შეერთებისა და შეზიარების ღირსად გვყოფს“.

საბოლოო მიზანი ამ **საქორწილო ნადიმისა** საყოველთაო სიხარულის გაზიარებაც არის. ეს არის ჟამი, როცა *„აღარაფერი იქნება საწუხარი და საგლოვი, არამედ ყოველგან და ყოველივეში დაისადგურებს ყოველგვარი სახე სულიერი სიხარულისა“*, — გვანუგეშებს ***წმიდა მამა იოანე ოქროპირი.***

ამის გამომხატველია ***წმიდა იოანე ღვთისმეტყველის*** „გამოცხადების“ წიგნში ნაწინასწარმეტყველებიც: *„ალილუია! რადგანაც სუფევს ღმერთი ჩვენი ყოვლისმპყრობელი. გვიხაროდეს და ვილხენდეთ, და მივაგოთ მას დიდება, რადგანაც მოვიდა ქორწილი კრავისა, და სასძლომ მისმან განიმზადა თავი, და მიეცა მას, რათა შეიმოსოს ბისონი წმიდა და ბრწყინვალე, რადგანაც წმიდათა სიმართლეა ბისონი. ...ნეტარნი არიან კრავის საქორწილო სერობაზე წვეულნი... ესენი არიან ჭეშმარიტი სიტყუანი ღმრთისა“* (გამოცხადება 19, 6-9).

სიხარულის ამგვარი თანაზიარობითა და განცდით „მეფის ძის ქორწილის“ იგავი ჰგავს უფალი იესოს ტრილოგიად შეკრულ იგავებს: „დაკარგულ ცხვარზე“, „დაკარგულ დრაქმაზე“ და „წარწყმედილ უძღებ შვილზე“ (იხ. „იგავნი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესნი“, 2, 2008, გვ. 6-41). ამ იგავებში მწყემსი და ქალი თავიანთ მეგობრებსა და მეზობლებს ეძახიან, ხოლო მამა მონებს იხმობს, რათა ყველამ ერთად განიცადოს დაკარგულის, ცოდვილის პოვნით გამოწვეული სიხარული. ამ იგავებით გამოხატულია აზრი **თანასიხარულის** ზნეობრივი კატეგორიის შესახებ. ზეციერი მამა მარტო არ არის თავის სიხარულში, ამ სიხარულს იზიარებს ყველა, ვინც მამასთანაა: **ჩემ თანა გიხაროდენ** — უფალი ყოველ ჩვენგანს მოგვიწოდებს.

„მეფის ძის ქორწილის“ იგავშიც მეუფე სწორედ უზენაესი სულიერი სიხარულის გასაზიარებლად იწვევს წვეულთ. ამ სიხა-

რულის გასაზიარებლად ისევე დაიკვლება ზვარაკი, როგორც „უძღები შვილის“ იგავში დაიკლა ზუარაკი იგი ჭამებული მამის ნებითა და ბრძანებით, როდესაც გულწრფელად მონანიე შვილი დაუბრუნდა მამის წიაღს, ცოდვით წარწყმედილი სული სინანულით განიწმინდა და ამის საზღაურად ყოვლადმოწყალე მამა-ღმერთმა მას ბრწყინვალე ნადიმი გაუმართა. ამ ნადიმზე მამის ნებით დაკლული ზუარაკი იგი ჭამებული სულიერი ნუგეშით გაძღომას, სულის განცხრომას გამოხატავს იგავურად, საპირისპიროდ ცოდვისმიერი უძღებებისა. ეს ნადიმი იმგვარ სულიერ მდგომარეობას წარმოაჩენს, როცა „*არა დადებულ არს ულელი ცოდვისა*“ (*წმიდა იოანე ოქროპირი*).

ძე ღვთისას უარმყოფელთა სასჯელი

ყოველივე ამ სიკეთისა და წყალობის უამრყოფელია ის, ვინც ჯიუტად იჩენს უნდობლობას და სრული გულგრილობით ეკიდება ქრისტეს ეკლესიას, ეკლესიურობას, ეკლესიური ცხოვრების წესს; ვინც, *წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის* თქმით, არ სთხოვს მღვდელს, შეიყვანოს იგი ამ ქორწილში, რათა არ მიიღოს მონაწილეობა წმიდა საეკლესიო საიდუმლოებაში. ეს უარმყოფელი ემსგავსება იგავში ხსენებულ წვეულებს, რომლებმაც გააწბილეს მეუფე, საკუთარი საზრუნავი არჩიეს ქორწილში წასვლას. ღვთისმგმობელი და ეკლესიის შეურაცხმყოფელი კი სხვა დანარჩენებს ჰგავს, რომლებმაც იგავში მეუფის მონები შეიპყრეს, შეურაცხყვეს და დახოცეს კიდეც.

ამგვარად მოეპყრნენ ქრისტეს წმიდა მოციქულებს: *პეტრეს, იოანეს, პავლეს*, მოაკვდინეს მთავარდიაკონი *სტეფანე, იაკობ ზებედეს ძე, იაკობი* — ხორციელი ძმა უფლისა. და ამით, როგორც შენიშნავენ, იუდეველებმა იმას მიაღწიეს, რომ საბოლოოდ დაკარგეს ღვთისგან დასაბამითვე ბოძებული რჩეულობა.

რას ვამსგავსო ამგვარი სიშლეგე, სიბორგილე და უგუნურება? — გვეკითხება დიდი *წმიდა მამა იოანე ოქროპირი*, და პასუხად *წმიდა მოციქულ პავლეს* იმოწმებს, პირველი ეპისტოლედან

თესალონიკელთა მიმართ: „[იუდეველებმა] მოკლეს უფალი იესოც და მისი წინასწარმეტყველნიც, ხოლო ჩუენ [ქრისტეს მოციქულები] გამოგვაძევეს; იუდეველნი არად დაგიდევენ ღმერთს, და მტერნი არიან ყოველი კაცისა, გვიკრძალავენ რა ქადაგებას წარმართთა მიმართ, რათა ცხოვნდნენ; ასე რომ, იუდეველნი ერთთავად ავსებენ თავიანთ ცოდვათა საწყაულს, რისთვისაც მოიწევა მათზე რისხვა აღსასრულამდე“ (1 თესალონიკელთა მიმართ 2, 15-16).

„ბოროტი მევენახეების“ იგავის მსგავსად, ეს წვეულნი ისჯებიან. ბოროტი მევენახეებისა და ამ წვეულთა ხვედრი ძლიერ ჰგავს ერთმანეთს, რადგან ისინი მსგავსი უგუნურებითა და დაუნდობლობით მოეპყრნენ ვენახის პატრონისა და მეუფის წარგზავნილებს: ზოგი სცემეს, ზოგი შეურაცხყვეს და ზოგიც მოაკვდინეს. და როგორც ბოროტ მევენახეებს სიკვდილი ერგოთ სასჯელად, ასევე: **განრისხდა მეფე, გაგზავნა თავისი ლაშქარი, ამოაწყვეტინა მკვლელები და გადაწვა ქალაქი.**

ეს ორი იგავი მათი უმთავრესი სათქმელით ერთიანდება. როგორც უკვე ითქვა, „ბოროტი მევენახეების“ იგავს უშუალოდ მოსდევს იგავი „მეფის ძის ქორწილზე“, რომელიც „ბოროტი მევენახეების“ იგავის ერთგვარ გაგრძელებადაც კი მიიჩნევა. ორივე იგავში მამაღმერთის გამომხატველი იგავური პერსონაჟები – **ვენახის პატრონი** და **მეუფე** – ცოდვათქმნადობით გართული კაცთა მოდგმის გადასარჩენად ზრუნავენ და ილვწიან: ვენახს განუმსადებენ სამუშაოდ და ძის საქორწილო სუფრას გაუშლიან მათ. მამაღმერთი თავისთან უხმობს ცოდვილთ, უხმობს სინანულის კეთილი ნაყოფის გამოსაღებად, უზენაესი სიხარულის გასაზიარებლად. ორივე იგავში მევენახეებიც და წვეულნიც მათსავე სახმობად და მოწოდებად გაგზავნილ მონებს შეიპყრობენ, სცემენ, შეურაცხყოფენ, ქოლავენ და ხოცავენ კიდეც.

განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ „ბოროტი მევენახეების“ იგავში ვენახის პატრონი მას შემდეგ დაატეხს თავს ამ უგუნურ მევენახეებს სასჯელს, რაც ისინი პატრონის ძესაც არ მოერიდებიან და ერთადერთ მემკვიდრეს ულმობლად მოკლავენ, ანუ

ისინი ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ ისჯებიან. „მეფის ძის ქორწილის“ იგავში სხვაგვარი თანმიმდევრობით ვითარდება სასჯელის თემა: საქორწილო სუფრა ჯვარცმის შემდეგ იშლება, მხოლოდშობილი ძე ღვთისა უკვე დაკლულია. ქორწილში წვეულთ (იუდეველებს) მისი ხორცი და სისხლი შეეთავაზებათ, მაგრამ ისინი უარყოფენ და დაგმობენ თავიანთი ერთადერთი მხსნელის მოძღვრებას, სახარებას, ქრისტეს მოციქულებსაც უარყოფენ და, იგავის მიხედვით, სწორედ ამიტომ მოიმკიან სასჯელს.

სახარების ამ იგავის კომენტატორები საგანგებოდ განმარტავენ ამ სასჯელის მიზეზებს, რომელთა შორის უპირველესად დასახელებულია ძველი და ახალი აღთქმის წინასწარმეტყველთა მიმართ ჩადენილი დანაშაულებრივი შეურაცხყოფა. ასევე უთითებენ იუდეველთა ყველაზე მძიმე დანაშაულზე – ძის მკვლელობაზე, ბოლოს კი ამას ემატება მეუფის მიერ ამ მკვლელთათვის, ცოდვილთა და უგუნურთათვის გამზადებული საქორწილო სუფრის უარყოფა, იმ სუფრისა და პურობისა, სადაც მათ მიერვე მოკლული მეუფის ძის უწმინდესი ხორცი და პატიოსანი სისხლია დაგებული. მერედა, რისთვის? – იმისთვის, რომ ისევ ამ მკვლელებმა დააღწიონ თავი ცოდვათქმნადობას, სამუდამო წარწყმედას!

„მეფის ძის ქორწილის“ იგავში, როგორც ითქვა, უარმყოფელთა ორი ტიპია წარმოჩენილი: ერთნი **უდებ-ყოფენ**, ანუ დაიზარებენ, ვერ მოიცლიან ქორწილში წასასვლელად, და ამ სახით დაგმობენ ქრისტეს სწავლებასაც და ეკლესიასაც. მეორენი კი – **სხვანი** – შეიპყრობენ მონებს, **აგინებენ**, შეურაცხყოფენ და **მოსწყვეტენ**, დახოცავენ. ორივე ტიპის უარმყოფელი ღვთის მგმობელია. პირველთ ჰგონიათ, რომ ბევრი საქმე აქვთ და ეს გაამართლებს მათს მოუცლელობას. ამსოფლიური საზრუნავითა და სიტკბოებით გამაძღარნი, ამგვარი კეთილდღეობის მოშურნენი, სინამდვილეში სულიერი შიმშილით იტანჯებიან და უარს ამბობენ მასზე, ვინც ჭეშმარიტ სიმაძღრეს მიანიჭებს და ჰპირდება, რომ მასთან მყოფს არასოდეს მოშივდება და არა-

სოდეს მოსწყურდება. ისინი ჭეშმარიტების წინააღმდეგ იბრძვიან, უარს ამბობენ სახარებისეულ მადლსე, მაგრამ არა სიძულვილის გამო, არამედ მხოლოდ წარმავალი წუთისოფლისადმი მეტისმეტი სიყვარულის, მიჯაჭვულობის მიზეზით. ეს უარმყოფელნი, არსობრივად, ღვთის მგმობელნიც არიან, თუმცა, ასე ვთქვათ, მშვიდობიანი გზით გმობენ ქრისტეს. ეს არის უხილავი ბრძოლა, რომელიც ეშმაკისეული განზრახულობით აღიძვრება და წარიმართება.

სწორედ ამ ეშმაკისეულ განზრახვას აჰყოლიან ის **სხვებიც** – დანარჩენი წვეულნი, რომელნიც, იგავის მიხედვით, სამგვარი შეურაცხყოფით ებრძვიან, განაგდებენ და გმობენ ქრისტეს გზას. იგავში წერია, რომ მათ **შეიპყრნეს მონანი იგი მისნი, აგინნეს და მოსწყჳდნეს.**

„საქმე მოციქულთას“ წიგნში იოლია სამივე სახის შეურაცხყოფის მაგალითების მოძიება: ***წმიდა პეტრეს*** *და* ***წმიდა იოანეს*** *„დაადეს ხელი, დაცვას გადასცეს და ჩაყარეს საპყრობილეში“* (4, 3; 5, 18). თავად სავლე *„არბევდა ეკლესიას, იჭრებოდა სახლებში, გამოათრევდა კაცებს და ქალებს, და საპყრობილეში ყრიდა“* (საქმე მოციქულთა 8, 3).

ჩვენ ვიცით, რომ უფლის მადლითა და წყალობით, სავლეს რწმენა და სიყვარული გაუმრავლდა იესო ქრისტესადმი და, ***წმიდა მოციქულ პავლედ*** ქცეული, უკვე თავად იდევნებოდა იუდეველთაგან (იხ. 1 ტიმოთეს მიმართ 1, 12-15).

მღდელმთავარ ანანიას ბრძანებისამებრ, ***წმიდა პავლე მოციქულს*** *„ბაგეები დაუთეთქვეს“* (საქმე მოციქულთა 23, 2); სხვა დროს იუდეველებმა *„მოუხმეს მოციქულებს, ჰგვემეს, იესოს სახელით ლაპარაკი აუკრძალეს“* (საქმე მოციქულთა 5,40). „საქმე მოციქულთას“ წიგნში ისიც ნათქვამია, რომ *„ქალაქის მცხოვრებნი ორად გაიყვნენ: ზოგნი იუდეველებს უჭერდნენ მხარს, ზოგნი – მოციქულებს. მაგრამ როდესაც აღიძრნენ წარმართნი და იუდეველნი თავიანთ მთავრებთან ერთად, რათა შეურაცხეყოთ და ქვებით ჩაექოლათ ისინი (მოციქულები), გაიგეს მათ (მოციქულებმა) და მიაშურეს ლიკაონიის ქალაქებს“* (საქმე მოციქულთა 14,4-6).

მოციქულთა მკვლელობის ამბებიც არის ასახული „საქმე მოციქულთას“ წიგნში: *წმიდა იოანეს* ძმა, *წმიდა იაკობ ზებედეს ძე*, ხმლით განგმირეს, *წმიდა სტეფანე პირველმოწამე* ქვებით განტვინეს და ჩაქოლეს (საქმე მოციქულთა 7, 57-60). მოაკვდინეს ხორციელი ძმა უფლისა – *წმიდა იაკობი*, მართლად მადიდებელი, რის შესახებაც ქრისტიანული გადმოცემა გვიამბობს, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ ურიცხვ წმიდა მოწამეთა გამო, რომელთა რაოდენობა მხოლოდ ღმერთმა უწყის.

წმიდა იოანეს სახარებაში უფალი იესო ქრისტე თავის მოციქულებს წინასწარმეტყველურ უწყებას აწვდის და ეუბნება: **„გამოგყრიან სინაგოგებიდან; აჰა, მოდის დრო, როცა ყველა თქვენს მკვლელს ეგონება, რომ ამით ემსახურება ღმერთს. და ასე მოიქცევიან იმიტომ, რომ ვერც მამა იცნეს და ვერც მე“** (იოანე 16, 2-3) – ასე აფრთხილებდა მათ უფალი ჯვარცმამდე რამდენიმე ხნით ადრე.

ენების კვირას უფალი იუდეველებს ამხელს და წინასწარმეტყველურად ამცნობს: **„თქვენი თავის წინააღმდეგ თვითონვე მოწმობთ, რომ წინასწარმეტყველთა მკვლელების ნაშიერნი ხართ და აღავსეთ საწყაული თქვენი მამების. გველნო, იქედნეს ნაშიერნო, როგორ გაექცევით გეენის (ჯოჯოხეთის) სასჯელს? ამიტომ, აჰა, გიგზავნით წინასწარმეტყველთ, ბრძენთ და მწიგნობართ; და ზოგს მოჰკლავთ და ჯვარს აცვამთ, ზოგს მათრახით სცემთ სინაგოგებში და ზოგსაც ქალაქიდან ქალაქად დაუწყებთ დევნას; რათა მოიწიოს თქვენზე ამ ქვეყნად დათხეული ყოველი მართალი სისხლი, აბელი მართლის სისხლიდან ვიდრე სისხლამდე ბარაქიას ძისა, ზაქარიასი, რომელიც მოჰკალით ტაძარსა და საკურთხეველს შორის. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, რომ ყოველივე ეს მოიწევა ამ მოდგმაზე“** (მათე 23, 31-36).

მართლაც, იგავის მიხედვით, ღვთის დიდი მოთმინება იუდეველთა მიმართ ამოიწურა, ზეციერი მეუფე განრისხდა, გაგზავნა თავისი ლაშქარი (ერი თუსი) და ამოაწყეტინა მკვლელები და გადაწვა მათი ქალაქი. ყოველივე ეს უფალი იესო ქრისტეს

ამაღლებიდან ორმოციოდე წლის შემდეგ აღსრულდა. *„ხედავ, როგორ ჩქარა და ზუსტად აღსრულდა მოვლენები?“* – მოგვმართავს *წმიდა იოანე ოქროპირი*, – *„და აღსრულდა ჯერ კიდევ წმიდა იოანე მოციქულისა და სხვა მოციქულთა სიცოცხლეშივე, რომლებიც ახლოს იყვნენ ქრისტესთან. ამ გამოუთქმელი მოოხრების მოწმეებად იქცნენ ისინი, რომელთაც თავად მოისმინეს ეს წინასწარუწყება“.*

იუდეველებმა მაშინ ყველაზე საზარელი გაპარტახება და შემუსვრა იგემეს რომაელთაგან: სასტიკად დამარცხდა მათი აჯანყება რომაელთა წინააღმდეგ, საყოველთაო შიმშილს გადარჩენილ იუდეველთაგან ზოგი მახვილით მოაკვდინეს, ზოგი მონებად გაყიდეს, სხვები დედამიწის ზურგზე აქა-იქ მიმოფანტნენ. აღსრულდა უფლის წინასწარმეტყველება და აოხრდა იერუსალიმი, მიწასთან გასწორდა სოლომონის ტაძარი: **„ხომ ხედავთ ყოველივე ამას?“** – მიმართავს უფალი თავის მოწაფეებს, – **„ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ქვა ქვაზე არ დარჩება აქ, არამედ ყველაფერი დაინგრევა“** (მათე 24, 1-2); **„იერუსალემ, იერუსალემ, წინასწარმეტყველთა მკვლელო და შენდამი მოვლინებულთა ქვებით ჩამქოლველო!“** – ასე მიმართავდა უფალი იესო წმიდათაწმიდა ტაძრის ქალაქს ყველას გასაგონად, – **„რამდენჯერ ვცადე, შეშეკრიბა შენი შვილები (იუდეველნი), როგორც ფრინველი კრებს ბარტყებს თავის ფრთებქვეშ, და არ ისურვე. აჰა, ესერა, დაეტეოს თქუენგან სახლი თქუენი ოხრად“** (მათე 23, 37-38).

უფლის ეს მსჯავრი რომაელმა მეომრებმა აღასრულეს. იმპერატორ *ვესპასიანეს* (ასევე *ტიტუსი*) დროს ისინი გარს შემოეწყვნენ იერუსალიმს, მთლიანად მოაოხრეს, დაანგრიეს, მიწასთან გაასწორეს და ქვა ქვაზე აღარ დატოვეს, როგორც უფალმა ბრძანა. იერუსალიმის ტაძრისგან ნანგრევებიღა დარჩა. ყოველი იუდეველისთვის მოისპო ის წმიდათაწმიდა ადგილი, სადაც მხოლოდ აქ, და არსად სხვაგან, შეეძლოთ ღმერთისათვის მსხვერპლის შეწირვა, საღმრთო რჯულისამებრ.

როგორც შენიშნავენ, წმიდა წერილში არაწმინდა ადამიანები ზოგჯერ იწოდებიან ღვთის მსახურებად, როდესაც უფალი მათი მეშვეობით სჯის ღვთის წმიდა ნების დამრღვევთ. მაგალითად, ძველ აღთქმაში ასირიელებზე, ნათქვამია: *„ო, ასირია, ჩემი რისხვის მახვილი“*, ნაბუქოდონოსორზე კი: *„ნაბუქოდონოსორი, მონა ჩემი“*. რომაელთა ლეგიონები „მეფის ძის ქორწილის“ იგავში იმავე მნიშვნელობით იწოდება ზეციერი მეუფის მხედრობად (**ერი თუსი**).

წმიდა ესაია წინასწარმეტყველის წიგნში უფალი და მისი რისხვის იარაღი – შორი ქვეყნებიდან, ცის კიდიდან მოსული, საომრად გამზადებული ლაშქარი – მთელი ქვეყნის დასაქცევად მოდის. საომრად გამზადებულ ამ ლაშქარს *„აბაოთ უფალი თავად ათვალიერებს“* (ესაია 13, 4-5).

წმიდა იერემია წინასწარმეტყველის წიგნ'ში უფალი ღმერთი მოუხმობს ჩრდილოეთის ყველა ტომს, ვითარცა არაწმინდა, ურჯულო ხალხებს: *„ამბობს უფალი: ავამხედრებ მათ ამ ქვეყანაზე* (რომელმაც სასჯელი მოიმკო ღვთისაგან), *მის მაცხოვრებლებზე და ირგვლივ ყველა ხალხზე, გავწირავ ასაოხრებლად, შემზარავ და სამარცხვინო სანახავს გავხდი, სამარადისო უდაბნოდ ვაქცევ. აღვკვეთ მათგან სიხარულის ხმას და ლხინის ხმას, სიძის ხმას და პატარძლის ხმას, წისქვილის ხმას და ლამპრის ნათელს. გაოხრდება და გაუკაცურდება მთელი ეს ქვეყანა“* (იერემია 25, 9-11).

ასევე მოუხმობს მეუფე იგავში **ერსა თუსსა** და მიავლინებს ძის ქორწილის უარმყოფელთა დასასჯელად და მოსაოხრებლად, რადგან არ ისმინეს მისი.

თუმცა ზეციერი მეუფის შურისმაძიებლად წმიდა წერილში უფლის ანგელოზი ან ზეციურ ანგელოზთა მხედრობა, ზეციური ლაშქარი წარმოაჩნდება ხოლმე. გავიხსენოთ, რას ეუბნება უფალი იესო თავის გულმხურვალე მოწაფეს, ***წმიდა პეტრეს***, რომელმაც მახვილით წარკვეთა ყური მღდელმთავრის მონას, სახელად ***მალქოსს***, როდესაც გეთსიმანიის ბაღში იესო ქრისტე შეიპყრეს:

„ჩააგე მახვილი ქარქაშში, რადგან ყოველი, რომელიც აიღებს მახვილს, მახვილითვე დაიღუპება; ან იქნებ გგონია, რომ არ შეძიძლია შევევედრო მამას ჩემსას, და წარმომიდგენს ანგელოზთა თორმეტ ლეგიონს და უფრო მეტსაც“ (მათე 26, 51-53).

წმიდა იოანე ღვთისმეტყველის „გამოცხადების“ წიგნში თეთრ ცხენსეა ამხედრებული *„სარწმუნოდ და ჭეშმარიტი“*, რომელიც სიმართლით განსჯის და იბრძვის. იგი მოსილია სისხლით შეღებილი სამოსით, და წოდებულ არს სახელი მისი – **სიტყუად ღმრთისად** – ანუ უფალი ჩვენი იესო ქრისტე. მას *ციური მხედრობა მოსდევს, თეთრ ცხენებზე ამხედრებული, სპეტაკი და წმიდა ბისონით მოსილი.* შემდეგ ამავე წიგნში ნათქვამია: *„მის ბაგეთაგან გამოდიოდა მახვილი ორლესული, რათა მოსრას წარმართნი, და მწყემსდეს მათ რკინის კვერთხით, დაწურავს ყოვლისმპყრობელი ღმერთის რისხვისა და გულისწყრომის ღვინის საწნახელს“* (გამოცხადება 19, 11-15).

ძველი აღთქმის მეფეთა მესამე წიგნში *მიქა წინასწარმეტყველი* იხილავს ტახტზე მჯდომ უფალს, რომელსაც ცათა მთელი მხედრობა უდგას გვერდში, მარჯვნივ და მარცხნივ (3 მეფეთა 22, 19). მეფეთა მეორე წიგნში უფლის ანგელოზი ხელს გაიწვდის იერუსალიმისკენ, მის შესამუსრავად. ეს ანგელოზი იწოდება ხალხის შემმუსვრელ ანგელოზად, იმ ხალხისა, რომლის ურჩობის, უგუნურებისა და ცოდვათა გამრავლების გამო რისხვით არის აღგზნებული უფალი ღმერთი (2 მეფეთა, თ. 24).

განმარტავენ, რომ „მეფის ძის ქორწილის“ იგავში მეუფისგან წარგზავნილი ლაშქარი და ამ ლაშქრის ხელით აღსრულებული სასჯელი ერთდროულად უნდა გულისხმობდეს ორივე სასჯელს – ზეციურსაც და მიწიერსაც. შესაბამისად, ეს ლაშქარი ერთსა და იმავე დროს გამოხატავს როგორც ზეციურ მხედრობას, ასევე იმ არაწმინდა მეომრებს – რომაელ ლეგიონერებს, რომლებმაც დაუნდობლად მოაოხრეს ყოველივე.

რაც შეეხება იერუსალიმის ბედს, წმიდა წერილის მრავალ წიგნში არაერთგზისაა აღწერილი ამ ქალაქის აოხრება და ასევე მრავალგზისაა ნაწინასწარმეტყველევი მისი ძირიანად მოსპობა.

„მეფის ძის ქორწილის“ იგავში ქორწილის უარმყოფელთა დასჯის შემდეგ მეუფე კვლავ გზავნის თავის მონებს, რათა მათ ქორწილში მოიწვიონ ყველანი, ვისაც კი იპოვიან გზებსა და გზაჯვარედინებზე. მეუფე წარგზავნილებს ეუბნება: **საქორწილო სუფრა გაშლილია, მაგრამ წვეულნი არ იყვნენ ღირსნი.**

ყურადღებას მიაქცევენ იმას, რომ მეუფე იგავში ყოველ ღონეს მიმართავს იუდეველთა მოქცევისათვის, და როცა ყველა გზა და საშუალება ამოიწურება, როცა მათ საშველი აღარ დაადგებათ, მხოლოდ ამის შემდეგ ასკვნის მეუფე: წვეულნი არ იყვნენო ღირსნი: **ჩინებულნი იგი არა ღირს იყვნეს,** — ვკითხულობთ იგავში. დიახ, მრავალი ჩინებული იუდეველი ვერ მოხვდა მცირედთა რჩეულთა რიცხვში.

რისი ღირსნი არ იყვნენ, რისი ღირსნი ვერ გახდნენ იუდეველნი? წმიდა წერილში ადამიანის **ღირსების** თემა, როგორც წესი, განმართლებასა და ღვთის სასუფევლის დამკვიდრებას უკავშირდება. *წმიდა მოციქული პავლე* მეორე ეპისტოლეში თესალონიკელთა მიმართ შენიშნავს, რომ ქრისტესმიერი ძმები მარადის უნდა მადლობდნენ ღმერთს თესალონიკელთა ეკლესიის მრევლის გამო, რადგან მათი რწმენა იზრდება და ურთიერთსიყვარული მრავლდება. ისინი გასაოცარი თმენით იტანენ ქრისტეს გამო დევნასა და გასაჭირს, *„იმის დასტურად, რომ იქნება ღმრთის მართალი მსჯავრი, რათა ღირსნი გახდნენ ღმრთის სასუფევლისა, რისთვისაც ევნებიან კიდეც“* (2 თესალონიკელთა მიმართ 1, 5).

ამავე ეპისტოლეში წმიდა მოციქული ღმერთს შესთხოვს, რომ ეს ჭირთამთმენი მრევლი ქრისტეს ეკლესიისა ღირს-ყოს *„ჩინებისა მის“*, ანუ ღვთის გამოჩენის, ღვთისგან ხმობისა და მოწოდების ღირსად შერაცხოს.

კაცის ღირსება, რაღა თქმა უნდა, წმიდა სახარებაშიც ღვთის სასუფევლის დამკვიდრებას, საუკუნო ცხოვრებასა და მკვდრეთით აღდგომას უკავშირდება. უფალი იესო ქრისტე ამგვარი ღირსე-

ბით შემკულთა გამო ამბობს, რომ ისინი ანგელოზთა სწორნი არიან, ღმრთისა და აღდგომის ძედ იწოდებიან (ლუკა 20, 35-36).

წმიდა სახარებაში ღირსების საკითხი ასევე უკავშირდება ქრისტესმიერ გადარჩენას და სულის ხსნას წარწყმედისაგან. ადამიანი მაშინ მოიპოვებს ძე ღმრთისას და ძე კაცისას – იესო ქრისტეს წინაშე წარდგომის ღირსყოფას, როცა იგი თავს დააღწევს ამაო ამქვეყნიურ საზრუნავს და საცდურებს, როცა ქრისტეს მოსაწონად, ღირსეულად და, ესე იგი, განმართლებულად შეეგებება ნაწინასწარმეტყველებ **შურისგების დღეს** – მეორედ მოსვლის ჟამს. ამისთვის კი უფალი იესო ერთადერთ მართალ გზაზე გვითითებს და გვეუბნება: **„იფხიზლეთ მარადჟამ და ილოცეთ“** (ლუკა 21, 36). **სიფხიზლეში** იგულისხმება ჯანსაღი ქრისტიანული ცხოვრების წესი: ღვთის სიტყვის მოსმენა და მისი საქმედ ქცევა, რაც ყოველდღიურად უნდა აღვასრულოთ და, დაუცხრომელ ლოცვასთან ერთად, ამ გზით მივეახლოთ უფალს, რომლის წყალობითაც გავხდებით ღირსნი ცხონებისა, მის სასუფეველში დამკვიდრებისა.

„მეფის ძის ქორწილის“ იგავში წვეულ იუდეველთა უღირსობა იმით განისაზღვრება, რომ ისინი გულით არ მიისწრაფოდნენ სიწმიდისკენ, საკუთარი ნებით ამბობდნენ უარს იმ სანეტარო სულიერ გადარჩენაზე, რომელიც მათ კრავის საქორწინო ნადიმზე მიიყვანდა. საგულისხმოა ისიც, რომ იუდეველნი ვერ გულისხმაყოფდნენ, ვერ გრძნობდნენ და ვერც აცნობიერებდნენ ამ თავიანთ უღირსობას, პირიქით – ღირსეულად მოჰქონდათ თავი (განსაკუთრებით – წარჩინებულ იუდეველ თეოკრატებს) და, ამპარტავნებით გონებადაბნელებულნი, ვერ ხედავდნენ, ველარ განიცდიდნენ საკუთარ დაცემას, სულის საბოლოო წარწყმედას.

კეთილი და ბოროტი

და აი, საქორწილო პურობაზე მეუფე იწვევს მათ, ვინც **გზაჯვარედინზეა**, ვისაც არც ყანა გააჩნია და არც სავაჭრო, ვინც უპოვარია და საზოგადოების მიერ უარყოფილი. მეუფის ძის

ქორწილი აივსება ყველა ჯურის მეინახით – ბოროტითაც და კეთილითაც. მეუფე თავის მონებს უბრძანებს: მაშ, გადით გზაჯვარედინებზე, და ქორწილში მოიწვიეთ ყველა შემხვდური. და გავიდნენ მისი მონები გზაჯვარედინებზე, და შეკრიბეს ყველა, ვისაც კი შეხვდნენ, ბოროტი თუ კეთილი, და მეინახეებით აივსო ქორწილი – ვკითხულობთ იგავში.

მეინახე ძველ ქართულად „სუფრასთან მჯდომია", ესე იგი, გზაჯვარედინებიდან შემოკრებილებმა, იუდეველთაგან განსხვავებით, მიიღეს მოწვევა, მობრძანდნენ ქორწილში და სუფრასაც მიუსხდნენ. მონები ამ შემთხვევაში არიან ქრისტეს მოციქულები, რომლებიც უფალმა მკვდრეთით აღდგომის შემდეგ აკურთხა და უთხრა: **„წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი, და ნათელს-სცემდით მათ სახელითა მამისაითა და ძისაითა და სულისა წმიდისაითა"** (მათე 28, 19).

„მეფის ძის ქორწილის" იგავშიც, როგორც *წმიდა იოანე ოქროპირი* გვასწავლის, უფალი იესო გაგვიცხადებს, რომ ღვთის სასუფეველი მიეცემა **სხვებს** – არა იუდეველთ, რომლებსაც ის თავდაპირველად მოუწოდებდა, არამედ წარმართებს, გარედან მოსულებს, რომლებიც ცოდვათქმნადობის გზაჯვარედინებ'ზე დახეტიალობდნენ. ამავე იგავით მჟღავნდება უფლისმიერი სულგრძელობაც, განგებულებაც და უსაზღვრო წყალობაც. წარმართნი სწორედ ამის მეოხებით გახდნენ ღირსნი, მიეღოთ და ეგემათ მეფის ძის საქორწილო სუფრაზე დაგებული პური და ზვარაკები, გაეზიარებინათ და განეცადათ ძის ქორწილით გამოწვეული დიდი სიხარული მეუფისა. უაღრესად საგულისხმოა, რომ ღვთის სულგრძელობა და მოწყალება ყველას მისწვდა – კეთილსაც და ბოროტსაც.

ბუნებრივად ჩნდება შეკითხვა: **თუკი იუდეველებმა თავიანთი ცოდვების გამო დაიბნელეს სასუფევლის გზა, მაშინ როგორღა განეღოთ კარი სასუფევლისა არანაკლებ ცოდვაში მყოფ წარმართებს? რით დაიმსახურეს, რა მიზეზით გახდნენ ცოდვილი წარმართები ღირსნი, შესდგომოდნენ გადარჩენისკენ მიმავალ ამ სანეტარო გზას?**

პასუხად, *წმიდა იოანე ოქროპირი* ღვთის მრავალმოწყალეობასა და სახიერებაზე გვითითებს, რაზეც მეტყველებს იგავური რემარკა – **ბოროტი და კეთილი**. საყურადღებოა იგავური წყვილი, რომლის ერთ მხარეს იკავებენ **ჩინებულნი**, მეორე მხარეს კი **ბოროტნი და კეთილნი**, რომელნიც საქორწილო სუფრას შემოუსხდებიან ვითარცა **მეინახენი**. განმარტავენ, რომ ეს არის დაპირისპირებული იგავური წყვილი, სადაც მეწყვილეთა თანამიმდევრობაც უნდა გავითვალისწინოთ: ქორწილში ჯერ მოუწოდეს ჩინებულ იუდეველთ, მაგრამ თავიანთივე უკეთური არჩევანით ისინი ქორწილის გარეთ დარჩნენ; შემდეგ მოუწოდეს წარმართებს, არაიუდეველთ – **ბოროტთ და კეთილთ**, რომელნიც მიიღებენ მოწვევას და შემოუსხდებიან სუფრას. სწორედ ეს წვეულნი იწოდებიან საპატიო სტუმრებად – **მეინახეებად**: **და აღივსო ქორწილი იგი მეინაჯითა**, რომელთა პატივისცემად (**ხილვად**) შემობრძანდა დიდი მასპინძელი – **მეუფე**.

მაშასადამე, უფალი იგავურად გვიქადაგებს, რომ საქორწილო ნადიმზე მოსვლა და სუფრასთან დაჯდომა ყველას შეეძლო, ყველას მისცა ამის საშუალება და უფლება მეუფემ.

დღემდეც ასეა. ყველას აქვს უფლებაც და საშუალებაც, შევიდეს ქრისტეს ეკლესიაში და მისი მრევლის ღირსეული წევრი გახდეს. მაგრამ ეკლესიაში შესული ჯერ კიდევ არ არის **მეინახე**. მეინახედ მხოლოდ ის გარდაიქმნება, ვინც ამ საქორწილო სუფრასა და პურობას, ანუ ეკლესიის წმიდა საიდუმლოებას, ღირსეულად მიიღებს და სახარების მადლით შეიმოსება.

წმიდა პავლე მოციქული თავის პირველ ეპისტოლეში კორინთელთა მიმართ იმ სასწაულებრივ ძალაზე ამახვილებს ყურადღებას, რომლის მეოხებითაც ცრუ, უსამართლო, მეძავი, კერპთმსახური, მემრუშე, მპარავი, მემთვრალე, მაგინებელი და მტაცებელი, შესაძლოა, გახდეს ღირსი ცის სასუფეველისა. აი, რას ეუბნება იგი კორინთელებს:

„ოდესღაც ზოგიერთი თქვენგანი ამნაირი იყო, მაგრამ განიბანეთ, მაგრამ განიწმიდეთ, მაგრამ განმართლდით – სახელითა

უფლისა იესუსისთა და სულითა ღმერთისა ჩუენისაჲთა“ (1 კორინთელთა მიმართ 6, 11); იქვე წმიდა მოციქული დასძენს: „*ხოლო ღმერთმან უფალიცა აღადგინა და ჩვენცა აღგვადგენს ძალითა თჳსითა*“ (1 კორინთელთა მიმართ 6, 14).

ასევე, მეუფისგან მიღებული წვევით შემოდიან საქორწილო ნადიმზე ცოდვილი წარმართები – გზაჯვარედინებზე ხეტიალით შებღალულნი, გასვრილნი, მაგრამ მეუფის ძის საქორწილო პურობასთან შეზიარებულნი, განიწმიდებიან და განმართლდებიან, რისი ღირსიც ისინი უფალი იესო ქრისტეს შეწყალებითა და მადლით გახდებიან.

ნეტარი ავგუსტინე ამასთან დაკავშირებით საგულისხმოდ გვმოძღვრავს და ამბობს: „*ქრისტემ შეიყვარა ესახური, რათა იგი სახიერად ქმნას... მან პირველმა შეგვიყვარა ჩვენ... და ვინ ვიყავით ჩვენ, ვინც მან შეიყვარა, თუ არა ბინძურნი, საძაგელნი და საზარელნი? და მაინც, იგი კი არ განგვაგდებს, ვითარცა უვარგისთ, არამედ შეგვცვლის და გაგვამშვენიერებს ჩვენ, ესოდენ უსახურთ და საძაგელთ*“. *ამის შემდეგ ნეტარი მამა შეკითხვას დაგვისვამს: „მაგრამ როგორ შეგვიძლია ჩვენ გავხდეთ მშვენიერნი? – ეს შესაძლებელია მხოლოდ იმისადმი სიყვარულით, ვინც მარადის მშვენიერია. რამდენადაც იზრდება სიყვარული შენში, იმდენად იზრდება შენი მშვენიერებაც, რადგან თვით სიყვარულია სულის მშვენიერება*“.

არ შეიძლება, არ გაგვახსენდეს ***ნიკოლოზ ბარათაშვილის*** – „*თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს*“.

„მეუფის ძის ქორწილის“ იგავის განმმარტებელთა ერთი ნაწილის თქმით, **ბოროტი და კეთილი** ასევე გამოხატავს წინასწარმეტყველურ აზრს, რომ მოციქულები ყველა წარმართს უქადაგებდნენ ქრისტეს მოძღვრებას, განურჩევლად ყველას მოიწვევდნენ ქრისტეს ეკლესიაში. და ეს მართლაც აღსრულდა. ასე მივიდა ***წმიდა ფილიპე მოციქული*** სამარიტელთა ქალაქში და ქრისტეს სიტყვა უქადაგა მათ. ***წმიდა პეტრემ*** მონათლა ***კორნილიუსი*** და მისი სახლეული, ***წმიდა პავლემ*** კი ათინელებს უქადაგა სინანულზე.

წმიდა მოციქულებს ის წარმართები მიჰყვებოდნენ, რომელთაც არ ჰქონდათ რჯული, მაგრამ თავიანთი ცხოვრების წესით იყვნენ **რჯულისანი**. რაღა თქმა უნდა, მათზეც მოქმედებდა ცოდვის სენი, ისინიც ემონებოდნენ ცოდვას, მაგრამ, უფლის წყალობით, ღვთის სასუფეველი ის ბადეა, რომელიც **კეთილსაც** იჭერს და **ბოროტსაც** (მათე 13, 47), ანუ იმასაც, ვინც ღვთიური ცხოვრებისკენ მიისწრაფვის, და იმასაც, ვინც ცოდვისმიერს ამჯობინებს. ორივეს – **ბოროტსაც და კეთილსაც** – შეუძლია, მივიდეს **მეფის ძის, კრავის ქორწილში**, ანუ ქრისტეს ეკლესიაში, ისმინოს სახარება, შეინანოს და ცხონების გზას შეუდგეს. უფლის იგავური სათქმელი სწორედ ის არის, რომ მაცხოვნებელ მადლს ორივენი საჭიროებენ – **ბოროტნიც და კეთილნიც**. ამიტომ **ბოროტი და კეთილი** ამ იგავურ-ალეგორიულ წყვილში უკვე აღარ შეიცავს ანტიპოდურ,ურთიერთგამომრიცხველ შინაარსს, რადგან ძეხორციელთაგან ყველა ერთია უფლის წინაშე, საკუთარი სულის საცხონებლად ყველა უნდა ეზიაროს ქრისტეს, რამეთუ: **„არ იპოება ქვეყნად მართალი კაცი, რომელიც იქმოდეს კეთილ საქმეს და არ სცოდავდეს“** (ეკლესიასტე 7, 20); **„არა არს კაცი, რომელი ცხოვნდეს** (იცხოვროს) **და არა სცოდოს“**, და: **„მზე მისი აღმოვალს ბოროტთა .ზედა და კეთილთა, და აწვიმის მართალთა ზედა და ცრუთა“** (მათე 5, 45).

კვლავაც გავიხსენოთ წმიდა სახარებიდან: უფალს მდიდარი ჭაბუკი მიუახლოვდა და მიმართა: **„მოძღუარო სახიერო“**. უფალმა პასუხად უთხრა: **„რაჲსა მეტყჳ მე სახიერით? არავინ არს სახიერი, გარნა მხოლოჲ ღმერთი. ხოლო უკუეთუ გნებავს ცხორებასა შესლვაჲ, დაიმარხენ მცნებანი“** (მათე 19, 16-17) – ცხონებისთვის უფალმა რჯულის (ათი მცნების) დაცვა და მოყვასის სიყვარული შეახსენა მას (მათე 19, 18-19).

კეთილთ, ანუ კეთილი, ჯანსაღი ზნეობრივი ცხოვრების წესის მიმდევართ, ეს იგავი აფრთხილებს, რომ ისინი არ უნდა გაამპარტავნდნენ თავიანთი ღირსებებით, რადგან ღვთის წინაშე ვერც

ერთი სულიერი ვერ განმართლდება მხოლოდ საკუთარი კეთილი საქმეებით. **ბოროტთ** ეს იგავი იმედს უსახავს, რათა სასო არ წარეკვეთოთ, არამედ სწამდეთ, რომ საღმრთო მადლს ძალუძს, ცოდვებისგან განწმინდოს და აცხოვნოს ყოველი ჭეშმარიტად მონანული ადამიანი. მართალია, მადლის სამეუფოში მოწოდებულთა და მოსულთაგან ყველა არ ან ვერ გახდება ღირსი ამ მადლისა (რადგან ზოგი საქმით კი არა, მხოლოდ სიტყვით არის ქრისტიანი), მაგრამ ქრისტეს ეკლესია არ მოიკვეთს მას და სულგრძელობას იჩენს – მაინც ელის მის სინანულს, მის ჭეშმარიტ მოქცევას ქრისტესკენ.

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი გვეკითხება: **რატომ შეკრიბეს მოციქულებმა კეთილთან ერთად ბოროტნიც?** იმისთვის, – განგვიმარტავს წმიდა მამა, – რომ მაცხოვარმა მათ (მოციქულებს) ის კი არ მიანდო, კეთილი და ბოროტი განარჩიეთო, არამედ ამცნო, რომ არავინ არ დაებრკოლებინათ და ყველა შეეწყნარებინათ, ვინც ისმენდა მათ სიტყვას და ამ ქორწილში შესვლას მოიწადინებდა.

მაგრამ როდის განირჩევა ბოროტი და კეთილი? ამ შეკითხვაზე პასუხს უფლის ზემოთ ნახსენები იგავი იძლევა: **„მსგავსია ცის სასუფეველი ბადისა, რომელსაც აგდებენ ზღვაში, და იჭერს ყოველნაირ თევზს; და როცა გაივსება, გამოათრევენ ნაპირზე, დასხდებიან და ვარგისით, კეთილით აავსებენ გოდრებს, უვარგისთ – ჯერკუალთ კი გადაყრიან“** (მათე 13, 47-48).

მაშასადამე, კრავის ქორწილში, ანუ ქრისტეს ეკლესიაში, ერთად შესული *კეთილნი* და *ბოროტნი* მხოლოდ ბოლოჟამს, ქრისტეს მეორედ მოსვლისა და ქვეყნის აღსასრულის ჟამს განიყოფებიან **ცხვრებად და თიკნებად** (მათე 25, 31-46), მხოლოდ მას შემდეგ აღსრულდება საბოლოო სამსჯავრო, როცა ქორწილი მეინახეებით აივსება და ბადე – ყოველნაირი თევზით. წმიდა მოციქულის სიტყვით რომ ვთქვათ, ეს ის დროა, როცა *„სავსებაჲ იგი წარმართთა შემოხდეს“* ქრისტეს ეკლესიაში.

„კაცი, რომელსა არა ემოსა“

„მეფის ძის ქორწილის“ იგავში ვკითხულობთ: **ხოლო შერაჲ-ვიდა მეუფე იგი ხილვად მეინაჯეთა მათ, იხილა მუნ კაცი, რომელსა არა ემოსა სამოსელი საქორწინე.**

იგავის ამ ნაწილში განსამარტავია რამდენიმე სახე-სიმბოლო: **მეუფის შესვლა, კაცი, რომელსაც საქორწინო სამოსი არ აცვია, საქორწინო სამოსი და არქონა ამ სამოსისა, შეუმოსაობა.** შენიშნავენ, რომ უფალი აქვე მონიშნავს ქრისტეს ეკლესიაში მოსულთაგან ზოგიერთის უღირსობას. ეკლესიაში უნდა მოსულიყო ყველა, ვისაც კი უფალმა მოუწოდა. მაგრამ წვეული იუდეველები წვეულებად დარჩნენ – ვერ გახდნენ მეინახეები, ვერ იგემეს დიდებული პურობა, რადგან მათ უარყვეს და არ მიიღეს მოწვევა, არ მობრძანდნენ ძის ქორწილში. წარმართებმა, იუდეველთაგან განსხვავებით, მიიღეს ეს მოწვევა, მობრძანდნენ, მიიღეს მეინახეობის ღირსყოფა და – **ალივსო ქორწილი იგი მეინაჯითა.**

მაშასადამე, იგავის მიხედვით, მეუფისგან წვეული და ქორწილში მოსული სტუმარი ერთმანეთისგან თვისებრივად განსხვავდება: **წვეული** ეკლესიის გარეთ დარჩა, ხოლო **ქორწილში მოსული** გახდა ეკლესიის მრევლი, რომელსაც იგავში **მეინახე** გამოხატავს.

თუმცა, წვეულთა მსგავსად, მეინახეებს შორისაც არაერთგვაროვნებაა: **ერთი შეუმოსავი კაცი** იგავში გამოხატავს აზრს იმის შესახებ, რომ საქორწილო პურობის გამზიარებელთაგან ყველა არ წარმოადგენს ეკლესიის ღირსეულ წევრს. მეუფეს არ ესათნოება თავისი ძის ქორწილისათვის **შეუფერებლად შემოსილი მეინახე,** ანუ მადლშეუმოსავი.

იგავის თხრობა ამ ნაწილში იმგვარად წარიმართება, რომ მკითხველი გაუჭირვებლად ხვდება მეინახეთა სანახავად მისული მეუფის განზრახვასაც და მიზანსაც. მანამდე, იგავის პირველ ნაწილში, უფალი იესო გვიჩვენებს, თუ რის გამო, როგორ დაისჯებიან იუდეველები და მათი სულიერი წინამძღოლები,

რომელთაც უარყვეს კეთილი უწყება სულის ცხოვნებისა, განაგდეს სახარებისეული მადლი. უფალი იმასაც გვიჩვენებს, თუ როგორ მიეცემათ ღვთის სასუფეველში შესვლის უფლება იუდეველთა ნაცვლად წარმართებს, როგორ მიიღებენ ცოდვილი წარმართები ქრისტესგან მისი პატიოსანი სისხლით **მოსყიდულ** და დაფუძნებულ ეკლესიას.

ამჯერად, იგავის მეორე ნაწილში, უფალი გვაფრთხილებს, რომ იმათგან, ვინც ეკლესიაში შევა, ყველა არ იქნება ღირსი სასუფეველისა. სწორედ ამ ღირსობას გამოხატავს იგავურად – **კაცი, რომელსა არა ემოსა სამოსელი საქორწინე.**

მაგრამ ვის შეუძლია იმის განსჯა, თუ ვინ არის ღირსი ან ულირსი ძის საქორწილო პურობისა? – გვეკითხებიან ამ იგავის განმმარტებლები, და უპასუხებენ: რაღა თქმა უნდა, მხოლოდ და მხოლოდ ყოვლისმხედ უფალ ღმერთს! ამიტომ შედის მეინახეების სახილველად თავად მეუფე. ეს მისია ეკისრება ერთადერთ უზენაეს მსაჯულს, რომელიც არის *„განმკითხველი გონებათა და ზრახვათა გულისათა“*, – ბრძანებს *წმიდა პავლე მოციქული* და დასძენს: *„და არარაჲ არს დაბადებული დაფარულ წინაშე მისსა, არამედ ყოველივე შიშველ და ქედ-დადრეკილ არს წინაშე თუალთა მისთა“* (ებრაელთა მიმართ 4, 12-13).

ამასვე წინასწარმეტყველებდა *წმიდა იოანე წინამორბედი და ნათლისმცემელი* უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, როდესაც მასთან მისულთ აფრთხილებდა: **„რამეთუ აწვე ცული ძირთა თანა ხეთასა ძეს. ყოველმან ხემან, რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი, მოეკვეთოს და ცეცხლსა დაედვას“** (მათე 3, 10).

„მეფის ძის ქორწილის“ იგავში **სასუფევლის ღირსყოფის დადგინების მისია** მონებს არ ეკისრებათ. თავისი მონების ხელით მეუფემ მხოლოდ იუდეველთა მოწვევა, მათი დასჯა და წარმართთა შემოკრება აღასრულა. ღირსთა და ულირსთა გარჩევა მონებს არც ევალებათ და არც ძალუძთ. ეს, როგორც ითქვა, მხოლოდ და მხოლოდ თავად მეუფის – უზენაესი მსაჯულის განსაკუთრებული უფლებაა.

ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ უფლის იგავი „ღვარძლზე“ (მათე 13, 24-30; 37-43), რომელსაც უფალი ზღვის პირას შემოკრებილ ხალხს უყვება ცათა სასუფევლის ქადაგებისას. ამ იგავში ყანის პატრონი დათესავს კეთილ თესლს, ღამით კი, როცა ხალხს სძინავს, მტერი ღვარძლს ჩათესავს, რის გამოც ყანაში ჯეჯილთან ერთად ღვარძლიც ამოვა. მონები ყანის პატრონს შესთავაზებენ: თუ გნებავს, მივალთ და გავმარგლავთო ყანას. მაგრამ ყანის პატრონი არ მისცემს მონებს ამის ნებას და ეტყვის: მარგვლისას ღვარძლს ჯეჯილიც არ მიაყოლოთო; იგი მონებს მოთმინებისკენ მოუწოდებს: **„აცადეთ, ერთად იზარდონ მკამდე“** – ესე იგი, სანამ მკა დაიწყება, ხორბალსაც და ღვარძლსაც თქვენ ხელს ნუ ახლებთო.

სწორედ ასევე, „მეფის ძის ქორწილის“ იგავშიც ღვთის სასუფევლის ღირსნი და უღირსნი მანამდე არ განირჩევიან, სანამ თავად მეუფე არ ინებებს ქორწილში მისული წვეული სტუმრების (მეინახეების) ნახვას. ქორწილი ამ მეინახეებით გაივსო. მეუფის მონებმა ხომ ყველა წარმართი შემოკრიბეს – ბოროტნიც და კეთილნიც, რომლებიც მობრძანდნენ, შევიდნენ ქორწილში, სუფრას მიუსხდნენ და ამ სუფრაზე დაგებული პური, დაკლული ზვარაკები და უსხებიც მიირთვეს. მაგრამ მეუფე მექორწილე მეინახეების სანახავად მანამდე არ შევიდა, სანამ ყველა წვეული არ მობრძანდა და მეინახეებით არ აივსო ქორწილი. აქაც, როგორც „ღვარძლის“ იგავში, მეუფე (ღმერთი) უსაზღვრო სულგრძელობასა და მოთმინებას იჩენს.

მეფის ძის ქორწილში **ბოროტნი და კეთილნი** ისევე არიან ერთად მეუფის მოსვლამდე, როგორც „ღვარძლის“ იგავში იზრდება ერთად მკამდე **ხორბალი და ღვარძლი**. წმიდა სახარების ამ ორ იგავში ამის შემდგომი მსვლელობაც მსგავსად წარიმართება:

„ღვარძლის“ იგავში ყანის პატრონი მკამდე იცდის და მონებსაც აცდევინებს – „მეფის ძის ქორწილის“ იგავში კი მეუფე მოთმინებით ელოდება ძის ქორწილის, ანუ ეკლესიის, მეინახეებით ავსებას;

მკის დაწყებისას ყანის პატრონი თავის მომკელთ უბრძანებს, რომ ჯერ ღვარძლი შეკრან ძნებად და ცეცხლს მისცენ, შემდეგ კი ხორბალი შეინახონ ბეღლებში – მეუფეც ასევე უბრძანებს თავის მსახურებს, ბნელში (ბნელსა მას გარეს კნელსა) გააგდონ ის კაცი, რომელსაც საქორწინო სამოსელი არ შეუმოსავს.

ცხადია, ორივე იგავში უფალი საყოველთაო განკითხვის ჟამს გულისხმობს, თავის მეორედ მოსვლას გვიწინასწარმეტყველებს და იმასაც გვიჩვენებს, თუ როდის, რის შემდეგ დადგება ეს ჟამი. „მეფის ძის ქორწილის“ იგავში უფალი ამბობს: **აღივსო ქორწილი იგი მეინაჭითა,** ესე იგი, აღივსო, გასრულდა ჟამი ძის ქორწილში წვეულთათვის, ამოიწურა ჟამი სინანულისა და დადგა ჟამი მეუფის მოვლისა – ქრისტეს მეორედ მოსვლისა, რათა მან იხილოს, განიკითხოს და საბოლოოდ განსაჯოს, თუ ვინ არის ღირსი და ვინ უღირსი სასუფევლისა.

„მეფის ძის ქორწილისა“ და „ღვარძლის“ იგავების დასკვნით ნაწილში, ღვარძლის ცეცხლში დაწვასა და ხელფეხშეკრული კაცის ბნელში გაგდებასთან დაკავშირებით, ვკითხულობთ: **მუნ იყოს ტირილი და ღრჭენაი კბილთაი** (მათე 13, 42; 22, 13). ჯოჯოხეთის შემსარაობის გამომხატველი ეს იგავური ალეგორია გაფრთხილების ნიშნად რამდენიმეგზის დაჟინებით მეორდება წმიდა სახარებაში, მათ შორის ზემოთ ხსენებული „ბადის“ იგავის ბოლოსაც (მათე 13, 47-50).

„სამოსელი საქორწინე“

„მეფის ძის ქორწილის“ იგავში საკმაოდ ვრცელ და მრავალმხრივ განმარტებას საჭიროებს **საქორწინო სამოსელი.** უფალი იესო ამ იგავში მიმართავს იმ დროისათვის გავრცელებულ და თავისი მსმენელისათვის კარგად ნაცნობ აღმოსავლურ ჩვეულებას: წარჩინებული, მდიდარი ოჯახიშვილი ქორწილში მოწვეულ ყველა სტუმარს საგანგებო შესამოსელს უგზავნიდა.

უნდა ითქვას, რომ სიმდიდრისა და ქონების დიდ ნაწილს, როგორც წესი, სწორედ სამოსელი (ყველა სახისა) შეადგენს

ხოლმე. *ჰორაციუსი* გვიამბობს იმ ხუთი ათას სამოსზე, რომელიც *ლუკულუსს* ჰქონდა თავის გარდერობში. *შარდენის* მოგზაურობიდან ვიგებთ, რომ სპარსეთის შაპის გარდერობში ათასობით სამოსი ინახებოდა. თავად შაჰი უსაზღვრო რაოდენობის სამოსელს არიგებსო საჩუქრად, — აღნიშნავს გაკვირვებული მოგზაური.

სამოსელს კიდევ ერთი ფუნქცია ეკისრებოდა: მოწვეული სტუმრის ღირსების გამოხატვა და დასტური. დიდებული, მეუფე თუ მბრძანებელი სამოსელის ბოძებით ასევე ამჟღავნებდა თავის შემწყნარებლობას, მოწყალებას და იმის დასტურსაც, რომ სამოსელის მიმღებს განსაკუთრებული უფლებები ენიჭებოდა.

ყოველივე ამას მოწმობს ძველი აღთქმის არაერთი წიგნი. როდესაც *იოსებმა* ფარაონის სიზმრები ახსნა, ებრაელი ყმაწვილი ეგვიპტის მბრძანებელმა მთელი თავისი ქვეყნის განმგებლად დაადგინა: მხოლოდ ტახტით ვიქნები შენზე აღმატებულიო, — ასე უბრძანა და, ამის დასტურად, თავისი ბეჭედი წაიძრო თითიდან, იოსებს გაუკეთა, ზეზის შესამოსელით შემოსა და ოქროს ძეწკვი ჩამოჰკიდა ყელზე (დაბადება 41, 41-42).

როდესაც *იოსებმა* თავისი ძმები ქანაანის ქვეყანაში გაამგზავრა ეგვიპტიდან, მანაც თითო ხელი სამოსელი მისცა თითოეულს, *ბენიამინს* კი, იოსების დედის შვილს, ხუთი ხელი სამოსელი ერგო — იოსების განსაკუთრებული სიყვარულის ნიშნად (დაბადება 45, 22).

მეფეთა პირველ წიგნში ვკითხულობთ, რომ *საულის* ვაჟმა, *იონათანმა, დავითი* ისე შეიყვარა, როგორც საკუთარი თავი, და: *„გაიძრო იონათანმა მოსასხამი, თან რომ ჰქონდა, და მისცა დავითს, აგრეთვე შესამოსელი, მახვილი, მშვილდი და სარტყელი“* (1 მეფეთა 18, 3-4).

წმიდა დანიელ წინასწარმეტყველის წიგნში მეფე *ბალთასარის (ბელშაცარი), ნაბუქოდონოსორის* შვილი, ძლიერ შეშინდა, როცა სამეფო სასახლის კირით შეფეთქილ კედელზე ხელის მტევნით გამოსახული წარწერა იხილა. მეფეს ფერი ეცვალა და

მუხლები აუკანკალდაო, – გვიამბობს წმიდა წერილი, – მან იხმო ქალდეველები, მოგვები და მკითხავები, თან ბაბილონელ ბრძენკაცებს უთხრა: ვინც ამ წარწერას წაიკითხავს და მის მნიშვნელობას ამოხსნის, ძოწეულით შეიმოსება და ქვეყანაში მესამე მთავარი გახდებაო.

ეს წარწერა *წმიდა დანიელ წინასწარმეტყველმა* წაიკითხა და ახსნა, რის შემდეგაც, მეფე *ბალთასარის* ბრძანებით, მას ძოწეული (წითელი ფერის ძვირფასი სამოსი) ჩააცვეს და სამეფოში მესამე მთავრადაც გამოაცხადეს (დანიელი, თ. 5).

სამოსელთან ერთად, აღმოსავლური ჩვეულებით, უხვად გაიცემოდა სხვა სახის საჩუქრებიც. საზოგადოდ, საქორწილო ნადიმი და სამხიარულო ზეიმი გადაიქცეოდა ხოლმე საჩუქრებისა და საბოძვარის უხვად გაცემის აქტად. გავიხსენოთ „ვეფხისტყაოსანი", თუ რაოდენ ულევი და უსაზღვრო საბოძვარის გაცემა ახლავს ყოველ ნადიმსა თუ ქორწილს.

ეს ჩვეულება – საბოძვარის უხვად გაცემა – ხაზგასმულად მეტყველებდა იმის დიდებულებაზე, ვინც საბოძვარს გასცემდა, და ბრწყინვალებას მატებდა თავად ზეიმსა და ნადიმს. გარდა ამისა, წარჩინებულთა სიუხვე, მათ მიერ გულუხვად გაღებული საბოძვარი, მორჩილებასა და პატივისცემას აღძრავდა საბოძვარის მიმღებში, სტუმარი იქნებოდა იგი თუ ქვეშევრდომი. შესაბამისად, საბოძვარის უგულებელყოფა, უარყოფა ან შებღალვა იმას ნიშნავდა, რომ საბოძვარის გამცემი შეურაცხყვეს, აბუჩად აიგდეს.

ამ მხრივ მეტად საგულისხმოა ერთი ვეზირის ამბავი, რომელსაც *შარდენი* გვიამბობს. ამ ვეზირს მეფემ ძვირფასი სამოსი გაუგზავნა, რომელიც მეფის კარისკაცმა სხვა, უფრო მდარე სამოსით შეუცვალა. ვეზირმა ეს მდარე სამოსი თვითონვე ისევ ძვირფასით შეცვალა, რათა მეფის რისხვისათვის აერიდებინა თავი. ვეზირმა კარგად იცოდა, რომ სამეფო კარზე უბრალო სამოსით მისვლა აუცილებლად გამოიწვევდა მეფის რისხვას. თუმცა, ვეზირმა მაინც ვერ დააღწია თავი მეფის სასჯელს, რადგან ვეზირის მტრებმა

ყველა ღონე იხმარეს და მეფე მაინც განაწყვეს მის წინააღმდეგ. ეს ამბავი ვეზირის მოკვდინებით მთავრდება: მეფის იმ კარისკაცმა, ვეზირის სხვა მტრებთან ერთად, თავის მიზანს მაინც მიაღწია და ვეზირი, მეფის ბრძანებით, მოკლეს.

ნაჩუქარი სამოსის ღირსეულად მიღებას თუ მიუღებლობას გვაგონებს დღემდე შემორჩენილი ეტიკეტი, რომელიც სტუმრად მისულს ავალდებულებს, საგანგებოდ შემოსილი მობრძანდეს, და არა ბინძურად, უშნოდ ან შეუსაბამოდ მოსილი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, „მეფის ძის ქორწილის“ იგავში **მეინახე კაცი, რომელსაც არ ემოსა საქორწინო სამოსი,** იმაზეც მიანიშნებს, რომ დანარჩენი მეინახეები, ამ კაცისგან განსხვავებით, ქორწილისათვის შესაფერისად იყვნენ შემოსილნი: მათ მეუფისგან ბოძებული საქორწინო სამოსი მიიღეს, შეიმოსნენ და ღირსეულად მოსილნი შევიდნენ ამ ქორწილში, ამგვარად მოსილებმა ღირსეულად იგემეს საქორწილო პურობაც და მეუფის ძის საქორწილო სიხარულის გაზიარების ღირსადაც შეირაცხნენ.

ცხადია, საქორწილო სამოსელის მეუფისგან ბოძებაც, მეინახეების მიერ მისი მიღებაც და იმ ერთი კაცისგან საქორწილო სამოსელის უგულებელყოფაც – იგავში **ღირსების** ზნეობრივი კატეგორიის თვალსაზრისით განიმარტება. ამის დასტურად შეგვახსენებენ ერთ მრავლისმეტყველ ნაწყვეტს „ესთერის“ წიგნიდან. მეფე თავის ქვეშევრდომებს გამოსაცდელად ეკითხება: რა უნდა გავუკეთოთ იმ კაცს, ვისი პატივიც სურს მეფეს? წმიდა წერილი ასეთ პასუხს გააცემინებს ამ ქვეშევრდომს: *„იმ კაცს, ვისი პატივიც სურს მეფეს, მიართვან სამეფო შესამოსელი, რაც ემოსა მეფეს, და ცხენი, რომელზეც იმ დროს იჯდა მეფე, როცა სამეფო გვირგვინი დაადგეს თავზე. და მიართვან შესამოსელი და ცხენი მეფის უპირველესი კარისკაცის ხელით, შემოსონ ის კაცი, ვისი პატივიც სურს მეფეს, მიიყვანონ ცხენით ქალაქის მოედანზე და გამოაცხადონ მის წინაშე: ასე ექცევიან იმ კაცს, ვისი პატივიც სურს მეფეს“* (ესთერი, თ. 6).

ამპარტავნებითა და უკეთურობით შეპყრობილ ამ ქვეშევრდომს, სახელად *ჰამანს*, ეგონა, რომ მეფე მისთვის აპირებდა ამ პატივის მიგებას. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს პატივი ერგო იმას, ვისაც ჰამანი მტრობდა და მოკვლასაც კი უპირებდა.

მართლაც უაღრესად საგულისხმოდ და მრავლისმეტყველად ღაღადებს ეს მაგალითი იმისათვის, ვისაც ჰგონია, რომ თავად უკვე ღირსეული მეინახეა ძის ქორწილისა, რაკი მოიწვიეს, საქორწილო სამოსიც უბოძეს, მობრძანდა და საქორწილო პურობაც იგემა.

სინამდვილეში კი, როგორც ეს ხშირ შემთხვევაში აღმოჩნდება ხოლმე, ამგვარ თვითდაჯერებულ მეინახეს უმთავრესი გამორჩენია: იგი არ მოფრთხილებია მეუფისგან ბოძებულ ყველაზე სათუთ და საშურ საჩუქარს – საქორწინო სამოსელს, რომელიც მის ხელში დაძონძილა, დაბინძურებულა და, მაშასადამე, წახდენილა. ეს სამოსელი მას შემოსძარცვია და ამიტომ იგი შემოსილი აღარ არის საქორწილოდ – **შეუმოსავია** ანდა სულაც **შიშველია**, გაკადნიერებულა და გაშიშვლებული მობრძანებულა ძის ქორწილში.

შეუმოსავი კაცი იმიტომაც არის შიშველი ღვთის წინაშე, რომ მან არ შეიმოსა ღირსეულად ყველა ის წყალობა და მადლი, რაც მეუფეს მისთვის ჰქონდა განძსადებული ძის ქორწილში, ანუ ეკლესიაში – იგულისხმება წმიდა საიდუმლონი და სათნოებანი.

წმიდა სახარების ის მკითხველი, რომელიც უფლის იგავებში მხოლოდ ამბავს ან ამ ამბავთან დაკავშირებულ სათქმელს ეძიებს, შეიძლება გააკვირვოს და შეაშფოთოს კიდეც მეუფის სიმკაცრემ: როდესაც ძის ქორწილში მობრძანებულ მეინახეთა სანახავად შესულმა მეუფემ ის კაცი იხილა, ჯერ მშვიდად ჰკითხა, მეგობარო, მოყვასო, როგორ შემოხვედი აქ შეუმოსავიო. მაგრამ ის კაცი დუმდა, მეუფემ პასუხი ვერ მიიღო მისგან. იგავი გვაუწყებს: **მაშინ კი მეფემ უბრძანა თავის მსახურთ: შეუკარით ხელ-ფეხი და გააგდეთ გარეთ – ბნელ გარესკნელში.**

„მეფის ძის ქორწილის“ იგავის უგულისხმო მკითხველი იტყვის: ის კაცი დუმს და, იქნებ, იმიტომ ვერ ბედავს, პასუხი გასცეს

მეუფეს, რომ არ იცის და არც არავინ გააფრთხილა, საგანგებო, საქორწილო სამოსით რომ უნდა მოსულიყო ან, იქნებ, საშუალება არ ჰქონდა, შეეძინა ეს სამოსი და არც დრო ჰქონდა მის შესაძენად?

ამგვარი შეკითხვების დასმა მკითხველის მოუმზადებლობაზე მეტყველებს. გარდა იმისა, რომ იგი არ ითვალისწინებს ახლახან წარმოჩენილ აღმოსავლურ ჩვეულებას სტუმრისთვის საქორწილო სამოსლის გაგზავნაზე, უფლის იგავის ამგვარი მკითხველისთვის უცნობია წმიდა მამათა განმარტება, რომელსაც **საქორწილო სამოსლის** ნამდვილი სახარებისეული მნიშვნელობის გამო გვაწვდიან.

საქორწილო სამოსელს კონკრეტული საღვთისმეტყველო შინაარსი ენიჭება, რაზეც *წმიდა ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე)* გვითითებს და ამბობს:

„შენ, ძმაო ჩემო, მოითხოვე მღვდლისაგან, რათა შეგიყვანოს ქორწილში, რომელიც არის ეკლესია, ესე იგი, მოგანიჭოს ნათლისღება ან ზიარება, ან სხვა მაცხოვარებითი მადლი. იგი (მღვდელი) ამას ვერ დაგიშლის შენ, მაგრამ უკეთუ შენ არა ხარ ღირსი, უკეთუ ხარ ბოროტი – გეშინოდეს. რისა უნდა გეშინოდეს? აჰა, რისა“. – და წმიდა ეპისკოპოსი ჩვენს ყურადღებას მიაპყრობს ამ იგავის ხსენებულ ნაწილზე: *„ხოლო რა შეევიდა მეუფე იგი ხილვად მეინახეთა მათ, იხილა მუნ კაცი, რომელსა არა ემოსა სამოსელი საქორწილო და ჰრქუა მას: მოყუასო, ვითარ შემოხუედ აქა, რამეთუ არა გმოსიეს სამოსელი საქორწინე?“*

წმიდა ეპისკოპოსი განაგრძობს განმარტებას:

„თუ გსურს შესვლა საღმრთოსა ქორწილსა შინა და ჭამა პურისა მუნ, ესე იგი, შესვლა წმიდასა ეკლესიასა შინა და მიღება ეკლესიის მადლისა – უნდა გქონდეს სამოსელი საქორწინე. სამოსელი ნიშნავს სულიერსა სამკაულსა, ესე იგი, სათნოებასა, კეთილ-მოქმედებასა, კეთილ ყოფა-ქცევასა“.

წმიდა იოანე ოქროპირი უპირველესად სწორედ საქმეს, ღვაწლს ჭვრეტს **საქორწინე სამოსელში**, ოღონდ იმგვარ საქმე-

სა და ღვაწლს, რომელსაც ძველ ქართულად **მოქალაქობას** უწოდებდნენ, ანუ ღვთის წინაშე პატივდებულ და სათნოყოფილ საქმეს. ამგვარი გაგებით, **მოქალაქობა საღმრთო ღვაწლია**, მსხვერპლის გაღებაა. საღმრთო მოქალაქე, ***წმიდა გრიგოლ ფერაძის*** განმარტებით, საკუთარ თავს დაწვავს სხვისთვის, სხვათა გასანათლებლად. საღმრთო მოქალაქობისგან განსხვავებით, **საწუთისოფლო ღვაწლი** მხოლოდ წუთისოფლის მსახურებისთვის არის გამიზნული. საღმრთო მოქალაქის ამსოფლიური, ხორციელი სიცოცხლე არის ცხოვრება ქრისტეში, საქმის აღსრულება ქრისტეს მცნებების დაცვით.

მეტად მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ ქრისტეს ეკლესიაში შემოსვლას და ქრისტეს მადლის მიღებას აუცილებელი პირობა აქვს – ეს არის **ნათლისღების წმიდა საიდუმლო**. ღმერთი უსასყიდლოდ, უდიდესი წყალობის სახით გვაძლევს საბოძვარს, რომელიც კაცს ნათლისღების წმიდა საიდუმლოს გზით ენიჭება: *„რაოდენთა ქრისტეს მიმართ ნათელ-იღეთ, ქრისტე შეიმოსეთ“* (გალატელთა მიმართ 3, 27) – ბრძანებს ***წმიდა მოციქული პავლე***. ნათლისღების წმიდა საიდუმლოს ძალით, ძველი კაცი ნათლისღების ემბაზში განიძარცვება, განიწმინდება პირველქმნილი ცოდვისგან და ახალ კაცს შეიმოსავს, ისევე, როგორც „მეფის ძის ქორწილის“ იგავში გზაჯვარედინებზე ხეტიალით დაკონკილი და დასვრილი სამოსისგან განიძარცვნენ წვეულნი და, ამ ძველი სამოსის ნაცვლად, მეუფისგან მიიღეს ახალი – **საქორწინო სამოსელი** – ის **სამოსელი, რომელი არა ემოსა** იმ კაცს.

იგივე **საქორწინო სამოსელი** ქრისტეს ეკლესიაში მოსულს იმისთვისაც სჭირდება, რომ თავისი **სულიერი სიშიშვლე** დაფაროს და ღვთის სამართლიანი რისხვისგან დაიცვას თავი. მაგრამ ეს წყალობაც იესო ქრისტეს გამომსყიდველი ღვაწლის ძალით გვეძლევა, რადგან ეკლესია ქრისტეს პატიოსანი სისხლითაა მოსყიდული. ეს არ უნდა ავიწყდებოდეს ქრისტიანს, ვინაიდან ქრისტემ თავისი წყალობა და ეს დიდებული საბოძვარი

იმის საწინდრად გვიბოძა, რომ მოწიწებით შევინახოთ, გავუფრთხილდეთ, ჯეროვნად გამოვიყენოთ, გავამრავლოთ, არ შეებღალოთ და არ გავაუწმინდურიოთ ნათელი, ურომლისოდაც სამოსელს მსწრაფლ განეშორება სისპეტაკე, უბიწოება და შეურყვნელობა.

ეკლესიის წმიდა მამათა რწმუნებით, მეფის ძის ქორწილში წვეულთ (ჩინებულთ) მათი ღირსების გამო არ მოიპატიჟებენ. მათ ტკბილი იესოს სახიერების, მისი გამომსყიდველი მსხვერპლის წილ ერგოთ ეს უზენაესი პატივი: საქორწინო სუფრაზე ხომ პური დაიგო, რომელიც თავად იესო ქრისტემ დიდ ხუთშაბათს, საიდუმლო სერობაზე, ზიარების წმიდა საიდუმლოს პირველადსრულებისას **„განტეხა და მისცა მოწაფეთა თჳსთა და ჰრქუა მათ: მიიღეთ და ჭამეთ: ესე არს ჴორცი ჩემი“** (მათე 26 26).

ამავე საქორწილო სუფრაზე, ცხადია, ღვინოც შეისვა – ის ღვინო, რომელიც უფალმა იესომ იმავე დიდ ხუთშაბათს **„მოიღო და ჰმადლობდა და მისცა მათ და თქუა: სუთ ამისგანი ყოველთა: ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქუმისაჲ, მრავალთათვის დათხეული მისატევებელად ცოდვათა“** (მათე 26, 28).

ასე რომ, როგორც უკვე ითქვა, მეფის ძის საქორწილო სუფრაზე დაგებული დაკლული ზვარაკები და უსხები ჯვარცმული ძე ღვთისას და ძე კაცისას – იესო ქრისტეს იგავური გამოხატულებაა.

და ყოველივე ამის შემდეგ, *წმიდა იოანე ოქროპირის* თქმით, ქრისტეს ეკლესიაში შესულთაგან მაინც მოიპოვებიან *„უდებნი და ცოდვითა შებღალულნი“*, რომელნიც უმადურობას იჩენენ ესოდენი პატივის მიღებისას. მათ მსგავსთ წმიდა მამა ამსგავსებს უმადურ იუდეველებს, რომლებმაც უარყვეს ძის ქორწილი – ეკლესია ქრისტესი, შეურაცხყვეს ძეც, მეუფეც და მისგან წარგზავნილნიც.

ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი აფრთხილებს ქრისტეს ეკლესიის იმ წევრს, რომელიც ფუჭი იმედებით ივსება და ჰგონია,რომ მარტო ეკლესიაში სიარულით მოიპოვებს სასუფეველს. ნეტარი მამის სწავლებით, ქრისტეს ნათლით მოსილმა, ანუ მონათ-

ლულმა, უნდა შეიმოსოს მოწყალების, სიკეთისა და ძმათმოყვარეობის სამოსი, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი იმ წაბილწულსამოსიან თუ შეუმოსავ კაცს დაემსგავსება იგავიდან.

საქორწინო ნადიმზე შესვლა და საქორწილო სუფრასთან ჯდომა განურჩევლად ყველასთვის ღვთის წყალობით არის ხელმისაწვდომი. მთავარია, ყოველმა ჩვენგანმა საკუთარი ნება გამოხატოს, განსაცდელებს ღირსეულად შეეგებოს და უერთგულოს ქრისტეს ეკლესიას, რათა ღვთის წყალობით მიღებულმა სამოსელმა თავისი ელვარება არ დაკარგოს, უკუღმართი და უზნეო ცხოვრების წესით არ დაბინძურდეს და არ წაიბილწოს.

წმიდა მამები გვეუბნებიან, სულიერი სიფხიზლით აღვიჭურვოთ, მეუფის თვალით მოვიხილოთ საკუთარი თავი და განვიცადოთ ჩვენთვის ბოძებული სამოსის გაუწმინდურება, რათა საქორწინო ნადიმიდან არ გაგვაძევონ და სული არ წარვიწყმიდოთ – უშრეტ ცეცხლში არ ჩაგვყარონ, სადაც იქნება **ტირილი და ღრჭენაი კბილთაი**. უსენაესმა მეუფემ ხომ ჩვენ *„სამოსელი მაცხოვარებისაი და კუართი მხიარულებისაი“* მოგვანიჭა და უსასყიდლოდ შეგვმოსა, *„სამოსელი ჴსნისაი და მოსასხამი სიმართლისაი“* მოგვასხა – გვამცნობს **წმიდა ესაია წინასწარმეტყველი** და დასძენს: შეგვმოსა ისევე, როგორც *„სიძე იმკობა გვირგვინით და დედოფალი ირთვება სამკაულით“* (ესაია 61, 10).

წმიდა მოციქულნი – **პავლე** და **იაკობი** – თავიანთ ეპისტოლეებში შენიშნავენ, რომ ცოდვას მიცემული კაცი ის ძველაღთქმისეული ხორციელი არსებაა, რომელსაც ღვთისგან ებოძა გზა ხსნისა, რათა განშორებოდა უწინდელ ყოფას, ცდუნების გულისთქმათაგან რომ გახრწნა **ძველმა კაცმა**, და შეემოსა **ახალი კაცი**, *„ღმრთისა მიერ შექმნილი და დაბადებული სამართლიანობით, სიწმინდითა და ჭეშმარიტებით“* (ეფესელთა მიმართ 4, 22-24); შეემოსა გულმოწყალება, შემწყნარებლობა, სიტკბოება, სიმდაბლე, სიმშვიდე, დიდსულოვნება, უწინარეს კი სიყვარული (კოლასელთა მიმართ 3, 12), ანუ *„შეემოსა უფალი იესო ქრისტე“* (რომაელთა მიმართ 13, 14). მან კი (ძველმა კაცმა)

მხოლოდ ხორცისათვის ზრუნვას გადააყოლა ყოველივე ეს, საკუთარ გულისთქმას აჰყვა, მღილსა და ჩრჩილს შეაჭამა ეს სამოსი (იაკობი 5, 2).

ამის მსგავსთა სასჯელზე ღაღადებს *წმიდა სოფონია წინასწარმეტყველიც*: „*ახლოსაა უფლის დღე, რადგან განმზადებული აქვს მსხვერპლი უფალს, არჩეული ჰყავს სტუმრები; დადგება საუფლო მსხვერპლის დღე და მსჯავრს დავდებ მთავრებს და უფლისწულებს და ყველას – უცხო სამოსელით შემოსილს*“ (სოფონია 1, 78).

მაშასადამე, „მეფის ძის ქორწილის“ იგავი ხსნის, გადარჩენის გზაზეც მიგვითითებს – ქრისტესადმი რწმენის გზაზე. ამიტომ **საქორწინო სამოსი** იგავში ჭეშმარიტი რწმენის სამოსიც არის, ქრისტესადმი რწმენის ის შესამოსელია, რომლის მეოხებითაც ჩვენს გულში სამარადისოდ მკვიდრდება ქრისტე.

თუმცა, **საქორწინო სამოსელს** კიდევ ერთი, უფრო კონკრეტული საღვთისმეტყველო მნიშვნელობა ენიჭება. ეკლესიის პირველ წმიდა მამათაგან მოკიდებული, მას სხვადასხვა კვალიფიკაცია ეძლეოდა. ***ირინეოსი*** და ***ტერტულიანე*** იმ ერთი კაცის გამო, საქორწინო სამოსლის უქონლობასთან დაკავშირებით, ბრძანებენ, რომ მან ვერ მიიღო **სულიწმიდა, მადლი სულიწმიდისა,** და ვერც ხორციელი სიწმინდე დაიცვა. **საქორწინო სამოსში** სულიწმიდის დიდებას ხედავს *წმიდა ილარიონიც*. ეს სამოსელი *წმიდა იოანე ოქროპირისთვის* არის „*სამოსელი სიწმიდისაჲ*“, რომელიც მადლის სახით უსასყიდლოდ ეძლევა ეკლესიაში მოსულ კაცს ცოდვათაგან განსაწმენდად. ვინც ამ მადლს ღირსეულად მიიღებს და მისი მეოხებით დააღწევს თავს საკუთარ ცოდვებს, იგი შეიმოსება ამ სამოსლით — **სიწმიდის სამოსლით.**

სულიწმიდის, სიწმიდის საღვთისმეტყველო მნიშვნელობას ჭვრეტს **საქორწინო სამოსელში** ასევე *წმიდა გრიგოლი დიდიც*: ეს არის სულიერი სიწმიდე, ურომლისოდაც, *წმიდა პავლე მოციქულის თქმით*, ვერავინ იხილავს უფალს (ებრაელთა მიმართ 12, 14).

საქორწინო სამოსლის განმარტებისას უთითებენ მნიშვნელობაზე *კეთილისმოქმედი (ლევი, ორიგენე)*: ცოცხალი რწმენით,

კეთილი საქმეებითა და სათნოებებით მოსილი იგია, ვინც უფლისადმი უსაზღვრო სიყვარულით არის გაბრწყინებული.

ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში **საკუთრივ სამოსელს** (და არა საქორწინო სამოსელს) სხვადასხვაგვარი მნიშვნელობა და დანიშნულება აქვს: იგია **სულიწმიდის სამოსი**, რომლითაც მეორედ მოსვლის ჟამს უფლის მარჯვნივ მდგომნი შეიმოსებიან. ეს სამოსი ელვარე თეთრი ფერისაა და მას ზეციური ბრწყინვალება აქვს.

იობისათვის სამოსი სიმართლისა და სამართლიანობის შესამოსელია. თავის სამ მეგობარს იგი იგავებით ესაუბრება და შეახსენებს, რომ *„სიბრძნე უფლის შიშია, ხოლო შემეცნება (გამეცნიერება) ბოროტისაგან განდგომაა“*. ერთიცა და მეორეც მხოლოდ მაშინ მიიღწევა, როცა კაცი, უფალი ღმერთის მფარველობით, გაჭირვებულს იხსნის, ობოლსა და ქვრივს შეეწევა, დაჩაგრულს ნუგეშს სცემს, ყველასგან განწირულს მხარში ამოუდგება და გადაარჩენს. სწორედ ამგვარი იყო იობის ცხოვრების წესი. ამიტომ ამბობს იგი: *„მე სიმართლით ვიმოსებოდი და ის ჩემით იმოსებოდა; მოსასხამად და თავსაკვრელად ჩემი სამართალი მქონდა“* (იობი, 28, 28; 29, 1-17).

ასევე იმოსება **სიმართლისა და ხსნის** სამოსლით უფლისგან კურთხეული ერი, ის ერი, რომელსაც გზას უსათებს ღვთის დიდი წყალობა და მასზე დამსახურებისაებრ არის გადმოსული სული უფლისა. ამის გამო წინასწარმეტყველებს **წმიდა ესაია** და ამბობს: *„ლხენით ვილხენ უფალში და ხარობს ჩემი სული ჩემს ღმერთში, რადგან შემმოსა ხსნის სამოსელით, სიმართლის მოსასხამი მომასხა; როგორც სიძე იმკობა გვირგვინით და როგორც დედოფალი ირთვება სამკაულით. რადგან, როგორც მიწა აღმოაცენებს თავის ამონაზარდს და ბაღი ამოზრდის თავის დანათესს, უფალი ღმერთი ასევე ამოზრდის სიმართლეს და სადიდებელს - ყოველი ხალხის წინაშე“* (ესაია 61, 10-11).

ზირაქი თავისი სიბრძნისმეტყველებით გვმოძღვრავს და გვასწავლის: *„თუკი სიმართლეს მისდევ, მისწვდები კიდეც და შეიმოსავ მას, როგორც დიდების შესამოსელს“* (ზირაქი 27, 8).

ნეტარი ავგუსტინე საგანგებოდ დააწყვილებს, ერთი მხრივ, **საქორწინო სამოსელს** და, მეორე მხრივ, ჩვეულებრივ სამოსელს: *„საქორწინო სამოსი“*, – ბრძანებს ნეტარი მამა, – *„ზეციური კაცის სამოსია, ხოლო ჩვეულებრივი სამოსი – ძველი ადამის კაცის სამოსი“*.

ზეციური სამოსით მოსილი კაცი, საღვთისმეტყველო თარგმანებით, **ღმერთშემოსილია**, რომელმაც უფალი იესო ქრისტე შეიმოსა, ანუ შეიმოსა **საჭურველი ნათლისაჲ** (რომაელთა მიმართ 13, 12.14). კიდევ ერთხელ გავიხსენოთ *წმიდა პავლე მოციქულის* სიტყვები: *„რაოდენთა ქრისტეს მიმართ ნათელ-იღეთ, ქრისტე შეიმოსეთ“* (გალატელთა მიმართ 3, 27).

„მეფის ძის ქორწილის“ იგავში **საქორწინო სამოსლის** განმარტებისას ამოიზრდება საკითხი **რწმენისა და სიყვარულის** თანაარსებობის შესახებ. *წმიდა იოანე ოქროპირი* ამბობს: *„საქორწინო სამოსელი არის ჭეშმარიტი რწმენა, რომელიც არსებობს მხოლოდ იესო ქრისტეთი და მისი სიმართლით“*. *წმიდა ამბროსის* თქმით, **საქორწინო სამოსელი რწმენაა**. სხვაგან იგივე წმიდა მამა აღნიშნავს, რომ რწმენასთან ერთად ეს სამოსელი **სიყვარულისა და სათნოების შესამოსელიცაა**. *ნეტარი ავგუსტინე* რწმენას ასევე აწყვილებს სიყვარულთან და ამბობს: *„ორივე, რწმენაც და სიყვარულიც – იესო ქრისტესადმი რწმენაა“*.

განმმარტებელთა ერთი ნაწილისათვის **საქორწინო სამოსელი** ის ფესვებია რწმენისა, რომელსაც ყვავილივით მოჰყვება სიყვარული. ვინც ამ სამოსით იმოსება, იგი ქრისტესადმი რწმენის ძალას იღებს და უფლის უსაზღვრო სიყვარულით აღივსება. მხოლოდ ქრისტესადმი რწმენითა და სიყვარულით შეძლებს ქრისტიანი ღირსეულად შეუდგეს გადარჩენის გზას, სიხარულით შეეგებოს უფალს და განელოს კარი ზეციური სასუფევლისა.

მაშასადამე, **საქორწინო სამოსელი** ღვთაებრივი სიწმინდეა, **სიწმინდის სამოსელია**, რომლითაც ახალი ადამი შეიმოსება, მონანიე ახალი სულიერებით იშვება და ღვთისათვის სათნო ცხოვრების წესს დაიმკვიდრებს.

წმიდა პავლე მოციქული ამის მიღწევის გზებსა და საშუალებებზე გვითითებს და სწორედ იმას გულისხმობს, რაც აქამდე ითქვა **საქორწინო სამოსლის** საღვთისმეტყველო შინაარსზე. მოვუსმინოთ წმიდა მოციქულს:

„აწ უკუე ნუმცა გუძინავს, ვითარცა იგი სხუათა, არამედ მღუძარე ვიყვნეთ და განვიფრთხოთ. რამეთუ, რომელთა-იგი სძინავნ, ღამე სძინავნ, და რომელნ-იგი დაითვრნიან, ღამე დაითვრნიან. ხოლო ჩუენ, რამეთუ დღისანი ვართ ნაშობნი, განვიფრთხოთ, შევიმოსოთ ჯაჭუ იგი სარწმუნოებისაჲ და სიყუარულისაჲ და ჩაფხუტი იგი სასოებისაჲ და ცხორებისაჲ“ (1 თესალონიკელთა მიმართ 5, 6-8).

წმიდა მოციქული უპირველესად სიფხიზლეს გვავალდებულებს იმისათვის, რომ რწმენისა და სიყვარულის აბჯრით შევიმოსოთ და ხსნისადმი სასოების ჩაფხუტიც დავიხუროთ. სამოსელთან, მისი სიწმინდის მოფრთხილებასთან ერთად, **სიფხიზლის** თემა ასევე იჩენს თავს გამოცხადების წიგნში: *„ნეტარ არს, რომელმან იღუძოს და დაიმარხოს სამოსელი თჳსი, რაჲთა არა შიშულად ვიდოდის, და ჰხედვიდენ უშუერებასა მისსა“* (გამოცხადება 16, 15). აქ მეორედ მოსვლის ჟამი იგულისხმება, ყოვლისმპყრობელი ღმერთის *„დიადი დღე“*. სწორედ ამის მსგავსად იხილა იგავში მეუფემ მეინახეთა შორის იმ ერთი კაცის სიშიშვლე და *„უშუერება“*, ანუ უხამსობა, რადგან მას **არა ემოსა სამოსელი საქორწინო**, არც იფხიზლა და არც მოუფრთხილდა – **არა დაიმარხა სამოსელი თჳსი**. ეფესელთა მიმართ ეპისტოლეში *წმიდა პავლე მოციქული* კიდევ ერთხელ წარმოაჩენს **საღმრთო სამოსის, ვითარცა საჭურველის**, ნამდვილ საღვთისმეტყველო შინაარსს, და შეგვაგონებს:

„ამიერითგან, ძმანო ჩემნო, განძლიერდით უფლისა მიერ და სიმტკიცითა ძლიერებისა მისისაჲთა. შეიმოსეთ ყოვლადსაჭურველი იგი ღმრთისაჲ, რაჲთა შეუძლოთ თქუენ წინადადგომად მანქანებათა მათ ეშმაკისათა, რამეთუ არა არს ბრძოლაჲ ჩუენი სისხლთა მიმართ და ჴორცთა, არამედ მთავრობათა მიმართ და

ჭელმწიფებათა, სოფლისმპყრობელთა მიმართ ბნელისა მის ამის საწუთროჲსათა, სულთა მიმართ უკეთურებისათა, რომელნი არიან ცასა ქუეშე. ამისთჳს აღიღეთ ყოვლიადსაჭურველი იგი ღმრთისაჲ, რაჲთა შეუძლოთ წინადადგომად დღესა მას ბოროტსა, და ყოველსაჲ იქმოდეთ, რაჲთა სდგეთ. მტკიცედ უკუე დეგით, მოირტყენით წელნი თქუენნი ჭეშმარიტებითა და შეიმოსეთ ჯაჭჳ იგი სიმართლისაჲ; და შეისხენით ფერჴთა თქუენთა განმზადებულებაჲ სახარებისა მის მშჳდობისაჲ; ყოველსა შინა აღიღეთ ფარი იგი სარწმუნოებისაჲ, რომლითა შეუძლოთ ყოველთა მათ ისართა ბოროტისათა განჴურვებულთა დაშრებად; და ჩაფხუტი იგი ცხორებისაჲ დაიდგით და მახჳლი იგი სულისაჲ, რომელ არს სიტყუაჲ ღმრთისაჲ. ყოვლითა ლოცვითა და ვედრებითა ილოცევდით ყოველსა ჟამსა სულითა და მებრვე ამისთჳს იღჳძებდით ყოვლითა კრძალულებითა და ვედრებითა ყოველთა წმიდათათჳს“ (ეფესელთა მიმართ 6, 10-18).

წმიდა მოციქული პავლე ჭეშმარიტი, ცოცხალი რწმენის დიდებულ ფორმულირებას გვაწვდის და გვისახელებს საღმრთო საჭურველს, ვითარცა იარაღს, რომელსაც ქრისტიანი სულის საცხონებელი მუშაკობისთვის უნდა დაეუფლოს. ამ იარაღთა შორისაა აღკაზმულობა: სარტყელი ჭეშმარიტებისა, აბჯარი სიმართლისა და ფეხსაცმელი მზადყოფნისა სახარების საქადაგებლად. მთლიანობაში, წმიდა მოციქულს მხედველობაში აქვს სულიერი სამოსი, ურომლისოდაც შეუძლებელია, წინ აღვუდგეთ და ვძლიოთ ხილულსა თუ უხილავ ბნელ ძალებს – მანქანებათა ეშმაკისათა.

სამოსელი პირველი: ზნეკეთილობის პირველგანცდა

უაღრესად საგულისხმო პარალელი ივლება საქორწინო სამოსელსა და სამოთხისეულ პირველქმნილ ნათელს შორის: „შეიმოსე ნათელი ვითარცა სამოსელი“ – ბრძანებს *წმიდა დავით წინასწარმეტყველი* (ფსალმუნნი 103, 2). სწორედ ნათლის სამოსელი იყო *ადამისა* და *ევას* თავდაპირველი შესამოსელი –

სამოსელი პირველი. სამოთხის პირველმკვიდრნი **პირველქმნილი ნათლით** იყვნენ მოსილნი.

წმიდა წერილი გვაუწყებს, რომ პირველშეცოდებამდე *ადამიც* და *ევაც* **„იყვნეს შიშველ... და არა ჰრცხუენოდა“** (დაბადება 2, 25). **იყვნეს შიშველ** არის საღვთო უწყება სამოთხის მკვიდრთა ბუნებით უცოდველობაზე, მათს უვნებობაზე, იმაზე, რომ ორივენი თავისუფალნი იყვნენ ვნებათაგან, ისინი იყვნენ ცოდვისა და მისი მრავალფერი ნაყოფის არმქონენი – **შიშველნი.** და რაკი არ იცოდნენ ცოდვა – **არა ჰრცხუენოდა** – არც სირცხვილის განცდა ჰქონდათ. ცხადია, **არა ჰრცხუენოდა** არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს ჩვენს პირველმშობელთა ურცხვობას. *წმიდა იოანე დამასკელის* განმარტებით, *„სირცხვილი არის შიში სამარცხვინო ნამოქმედარის გამო“*. მაშასადამე, **არა ჰრცხუენოდა** იმასაც გულისხმობს, რომ სამოთხის პირველმკვიდრთათვის შიშიც უცნობი იყო.

პირველშეცოდების შემდეგ *ადამი* და *ევა* სულიერი ნათელმოსილებისგან განიძარცვნენ: **„განეხუნეს თუალნი ორთანივე და აგრძნეს, რამეთუ შიშველ იყვნეს. შეკერეს ფერცელი ლეღუისა და ქმნეს თავთა თუსთა გარემოსარტყმელნი“** (დაბადება 3, 7) – აეხილათ თვალი და მიხვდნენ, რომ შიშველნი იყვნენ; გადააკერეს ლეღვის ფოთლები და არდაგები გაიკეთესო. **სიშიშვლე** ამჯერად პირველ ადამიანთა ბავშვური უმანკოებისა და სიწმინდის გამოხატულებაა. მაშასადამე, შესაქმის წიგნში **სიშიშვლეს** ორმაგი დატვირთვა აქვს:

პირველი უწყებაა – **იყუნეს შიშველ... და არა ჰრცხუენოდა,** ვითარცა მინიშნება პირველმშობელთა უხრწნელობასა და უცოდველობაზე. *ადამი* და *ევა* თავდაპირველად **იყვნენ შიშველნი** ცოდვათაგან, ანუ უცოდველნი, მაგრამ მოსილნი **ღვთაებრივი ნათლის პირველსამოსლით** (და არა შეუმოსავნი).

მეორე უწყებაა – **განეხუნეს თუალნი ორთანივე და აგრძნეს, რამეთუ შიშველ იყვნეს,** ვითარცა მინიშნება პირველქმნილი ნათლის განძარცვაზე, უმანკოების დაკარგვაზე. პირველშეც-

ოდების შემდეგ ***ადამი*** და ***ევა*** აღმოჩნდნენ **შიშველნი ღვთაებრივი სიწმიდისგან,** მათ ცოდვით წაიხდინეს და განეძარცვათ ნათლის სამოსელი – **სამოსელი პირველი, სამოთხისეული ნათელი** და ამიტომაც განიცადეს სირცხვილი სიშიშვლისა გამო – ეს უკვე ხორციელი, გრძნობისმიერი განცდაა. მეორე უწყებით, ადამი და ევა მიხვდნენ, რომ **შიშვლები არიან, ანუ იმას მიხვდნენ, რომ ცოდვილები არიან.** ამგვარად აღეძრათ მათ **შიში.** წმიდა წერილი გვამცნობს: მათ **განეხუნეს თუალნი,** რის გამოც ***ორიგენე*** მრავლისმეტყველად შენიშნავს: *„ხორციელი მზერა განიღო მას შემდეგ, რაც დაიხშო სულიერი მზერა“.*

ასე რომ, ***ადამი*** და ***ევა*** ურჩობით განეშორნენ ღმერთს, ჩაიდინეს ცოდვა, წაერთვათ სულიერი მზერა და მყისვე აღეძრათ ვნებები. მათ აეხილათ ხორციელი თვალი და პირველი, რაც ორივემ ერთსა და იმავე დროს განიცადა, იყო **სიშიშვლე, შიში და სირცხვილი.** ეს არის **ზნეობრიობის პირველგანცდა, ზნეკეთილობის ბიბლიური სამკუთხედი,** რაც წმიდა წერილში აღბეჭდილია ადამის სიტყვებით: **„ჴმისა შენისა მესმა, მავალისა შორის სამოთხესა, რამეთუ შიშველ ვარ და დავიმალე“** (დაბადება 3, 10) – შიშველი ვარ და დავიმალეო.

ჩვენს პირველმშობლებს საკუთარი სულიერი და ხორციელი სიშიშვლისა შერცხვათ. თავიანთი სიშიშვლის გამო, სირცხვილთან ერთად, მათ შიშიც აღეძრათ ღმერთის წინაშე და ამიტომაც დაიმალნენ! უმანკოებაწარკვეთილ ***ადამსა*** და ***ევას*** გონებაც დაუბნელდათ და შეეცადნენ, ყოვლისმხედსა და ყველგანმყოფ ღმერთს დამალვოდნენ. მერედა, სად დაიმალნენ? – **„საშუალ ხესა სამოთხისასა“** – სამოთხის ბაღის ხეებს შორის და ფოთლებით ინდომეს, სირცხვილს გარიდებოდნენ.

მართლაც თავზარდამცემი დაცემაა: სამოთხისეული უმანკოების წილ – სულის სიბნელე, და ნათლის სამოსის წილ – ფოთოლი. თავისი იგავით „მეფის ძის ქორწილი“ უფალი იესო ქრისტე ყველას იხმობს ამ პირველქმნილი სამოსლის დასაბრუნებლად, ძველი კაცის გამოსახსნელად და ღვთაებრივი ნათლით

შესამოსად. იგივე სათქმელი აქვს უფალს იგავში „უძღებ შვილსე“, სადაც გულწრფელად მონანიე და სულიერი სათნოებით აღსავსე უძღებ შვილს მამისგან დიდებული საზღაური ებოძა:

„ჰრქუა მამამან მონათა თჳსთა: გამოიღეთ სამოსელი პირველი და შეჰმოსეთ მას და შეაცუთ ბეჭედი ჭელსა მისსა და ჭამლნი ფერჭთა მისთა; და მოიბთ ზუარაკი იგი ჭამებული და დაკალთ, და ვჭამოთ და ვიხარებდეთ“ (ლუკა 15, 22-23). **„და იწყეს განცხრომად“**, – დასძენს უფალი ამ იგავის თხრობისას.

სამოსელი პირველი აქაც სამოთხისეული ნათელი და სიწმინდეა, რომლითაც სინანულის წილ ხელახლა შეიმოსა უძღები შვილი; და ამის ნიშნად მამის სამკვიდრებელში გაიმართა ნადიმი, დაიკლა და სუფრაზე დაიდო **ზუარაკი იგი ჭამებული**. უფალი ამჯერადაც სულიერ ტრაპეზს გულისხმობს: *„ეს სულიერი განცხრომაა“*, – ამბობს *წმიდა მამა იოანე ოქროპირი*.

სინანული ჩადენილი ცოდვის გამო ადამს და ევას არ სწყევიათ. მაგრამ ყოვლადმოწყალე უფალმა არ მიატოვა სამოთხის აწ უკვე ცოდვილი მკვიდრნი და **სინდისი** გაუღვიძა მათ, სნეობრივი სიფხიზლის განცდა გაუჩინა, რათა ეგრძნოთ თავიანთი ხორცისა და სულის მოუწესრიგებელი, ვნებიანი მიმოხრა. **ხორციელი სიშიშვლე, ვითარცა სულიერი სიშიშვლის გამოვლინება, პირველცოდვის ხილულ ბეჭდად იქცა.**

მაშასადამე, სიშიშვლის განცდა, შიშისა და სირცხვილის გრძნობა ადამიანის ცოდვით დაცემული ბუნებიდან გამომდინარეა. სხეულის სიშიშვლე ცოდვამ ვნებისა და ბოროტი გულისთქმის (მე-10 მცნების დარღვევის) წყაროდ აქცია. **ხორცის მოშიშვლება** ისეთივე სახიფათი გახდა ცოდვათქმნადობის თვალსაზრისით, როგორც სულიერი სიშიშვლე, ანუ მადღეგაწყვეტილი სულიერება.

ამიტომ არის სირცხვილი და უზნეობა ზრდასრული ადამიანისთვის საკუთარი სხეულის სიშიშვლის ურცხვად გამოჩენა. ამის საპირისპიროდ, **ჩვილი ბავშვის სიშიშვლე** პირველქმნილი უმანკოებისა და სიწმინდის ტკბილ განცდას აღგვიძრავს, რადგანაც,

ცოდვამდელი ადამიანით, არც ჩვილმა იცის ცოდვა, მას არც შიში აქვს და არც სირცხვილი თავისი სიშიშვლის გამო. ესეც ხილული დასტურია იმისა, თუ რატომ და რისთვის გვჭირდება ჩვენ, ცოდვილებს, **სინდისი, სირცხვილი და ღვთისმოშიშება.**

ხორციელი სიშიშვლის დასაფარავად *ადამმა და ევამ* ლეღვის ფოთოლს მიმართეს, უფალმა ღმერთმა კი: **„უქმნნა ადამს და ცოლსა მისსა სამოსელნი ტყავისანი და შეჰმოსნა მათ“** (დაბადება 3, 21). მიუთითებენ, რომ **სამოსელნი ტყავისანი** გულისხმობს დაკლული ცხოველის ტყავს. ეკლესიის მამათა განმარტებით, შესაქმის წიგნის მე-3 თავის ეს მუხლი რამდენიმე ღვთაებრივ უწყებას შეიცავს, რომელთაგან მნიშვნელოვანია წინასწარუწყება მსხვერპლად შეწირულ მესიაზე, კაცთა მოდგმის გამომხსნელ ჯვარცმულ ქრისტეზე. **ტყავის შესამოსელი** ადამს და ევას ახსენებდა თავიანთ სულიერ სიშიშვლეს, ანუ დაკარგულ ღმერთშემოსილობას, სამოთხისეულ **სამოსელ პირველს.**

სწორედ ასევე, სამოსელი ყოველ ცოდვილს ახსენებს, და დღემდეც უნდა ახსენებდეს, რომ საკუთარი **ცოდვისმიერი სიშიშვლის** დაფარვა, ანუ ცოდვისგან თავის დაღწევა და სულის გადარჩენა, **მხოლოდ აღთქმული მხსნელის წყალობით არის შესაძლებელი.**

აი რა ავიწყდება იმას, ვინც სხეულის სიშიშვლეს არ ფარავს, ვისაც შიშველი ხორცის გამოჩენა აღარც სირცხვილს აღუძრავს და აღარც შიშს იმის მიმართ, ვინც ამ სიშიშვლის დასაფარავად სამოსელი თავისი ხელით უბოძა და შემოსა.

წმიდა ეპისკოპოსი **გაბრიელი** *(ქიქოძე)* ბრძანებს: *„სირცხვილის გრძნობა შეიძლება და უნდა იყოს ადამიანთა ქცევის მართვის იარაღი. ის განსაკუთრებით უნდა გამოვიყენოთ ბავშვთა აღზრდისას, რომლებშიც სირცხვილი ჯერ კიდევ არ არის ჩახშობილი მანკიერებასთან ნაცნობობით“.*

მანკიერებასთან ნაცნობობამ, სამწუხაროდ, შემაშფოთებელ მასშტაბს მიაღწია ჩვენი საზოგადოების, ჩვენი ერის გარკვეულ ნაწილში. არა მარტო ახალგაზრდობა, არამედ უფროსი თაობაც კი აღარ ამბობს უარს ურცხვობასთან ამ სახიფათო ნაცნობობაზე.

საქორწინო სამოსელთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ *წმიდა იოანე ოქროპირის* სწავლება „მერმისა მისთჳს სასჯელისა და რაჲთა მოვიგოთ ზრუნვაჲ სულთა ჩუენთაჲ“, რომელიც წმიდა მამამ სწორედ „მეფის ძის ქორწილის“ იგავის განმარტებას დაურთო.

წმიდა იოანე ოქროპირი შეგვახსენებს, რომ ჩვენ ღირსქმნილნი გავხდით ღვთისგან, რომელმაც მოგვიწვია *„ქორწილსა მას ზეცისასა“*. ჩვენ კი ულირსად მივიღეთ ღვთაებრივი მოწვევა და ბოროტი საქმეებით (ცოდვებით) შევბღალეთ საკუთარი სული. გაიხსენეთო, — გვიბრძანებს წმიდა მამა, — საიდან მოგიწოდათ და მოგიწვიათ უფალმა: ცოდვათქმნადობის გზაჯვარედინებიდან, ქუჩებიდან და უბნებიდან; ისიც გაიხსენეთო, რომ ხართ სულით კოჭლნი, ბრმანი და ხორცით სნეულნი. *„გამოიძიეთ კაცად-კაცადმან სამოსელი სულისა თჳსისაჲ“* — მოგვმართავს წმიდა მამა და გვირჩევს: განბანეთ თქვენი შებღალული სამოსელი და განიწმინდეთ, ვინაიდან ღმერთი თქვენს ხილულ სამკაულს კი არა — *„სამკაულსა მას სულიერსა ეძიებს“*.

წმიდა მამის თქმით, გაცილებით იოლია ხორცთა სამოსით შემოსვა, მაგრამ *„ძნელ არს სამკაულისა მის სულიერისა პოვნაჲ“*. იგი გვაფრთხილებს, რომ შეუძლებელია, ერთდროულად შეიმკო ხორციც და სულიც, ისევე, როგორც შეუძლებელია, ერთდროულად ემსახურო ღმერთს და მამონას (კერპად ქცეულ სიმდიდრეს).

წმიდა იოანე ოქროპირი შესანიშნავ იგავურ შედარებას გვთავაზობს. აბა დაფიქრდი, — მოგვმართავს იგი, — შენი სულის სამკეთილოს, რომელიც არის შენი ხორცი, ბრწყინვალე სამოსით რომ ამკობ და აფუფუნებ, სული კი შიშველი დაგიტოვებია და დაკონკილ ძონძებში გამოგიკრავს, განა ამით შენს თავს თვითონვე არ არცხვენ და არ გმობ? განა თვითონვე არ იტეხ თავზე ამ საძრახის საქმეს? ნუთუ არ იცი, რომ შემკობა მეფეს უფრო ეკუთვნის, რომელიც სულია, ვიდრე ქალაქს, რომელიც ხორცია?

ალბათ შეგიმჩნევია, – განაგრძობს წმიდა მამა, – რომ ქალაქის ქუჩებს მოაკოხტავებენ ხოლმე, შელებავენ, გამოასუფთავებენ და ყვავილებით მორთავენ; ხოლო მეფისთვის საუკეთესო პორფირი, თვალ-მარგალიტი, ოქრო-ანთრაკი და ლალ-ზურმუხტია განმზადებული, და მხოლოდ ბრწყინვალე, უძვირფასესი და ღირსეული სამკაულ-შესამოსელი ეკადრება მას. შენც, ადამიანო, ასევე უნდა იქმოდე: ხორცი გამოუსადეგარი, უსახური სამოსით შემოსე, სული კი მეწამულითა და პორფირით შეამკე და გაამშვენიერე, პატიოსანი ქვებით მოოჭვილი გვირგვინი დაადგი და ძვირფას ეტლში ჩასვი, რათა დაუყოვნებლივ ავიდეს *„ქორწილსა მას ზეცისასა“*.

შენ კი რას შვრები, კაცო? ქალაქს საუკეთესოდ შეამკობ და მეფეს – სულსა შენსა – შეურაცხყოფ და უპატიოდ გყავს?! ხელბორკილით შეკრულ ტყვესავით მიათრევ შენს სულს ბოროტ ვნებათა ქუჩაბანდებში. გიჯობს, გაიხსენო კიდევ ერთხელ, რომ საღმრთო ქორწილში ხარ მოწვეული, გაიხსენე და განიცადე, თუ *„ვითარ უჴმს ყოფად სულსა“* – როგორი უნდა იყოს შენი სული, რათა **სასძლოსთან**, ანუ ქრისტეს ეკლესიაში, მივიდეს და ღირსი გახდეს მეუფის ძის ქორწილში შესვლისა, მისი სიხარულის გაზიარებისა. მაშ, გაანებე თავი ხორცთა ამაო შემკობას და მიხედე შენგანვე მიტოვებულ შენს საკუთარ უმწეო სულს.

შეუმოსავი კაცის მსგავსთა გასაგონად შესანიშნავ დარიგებას გვაძლევს **წმიდა იაკობ მოციქული**: *„ყოველი კეთილი საბოძვარი და ყოველი ნიჭი ზეგარდმო გადმოსულია... განიშორეთ ყოველგვარი მწიკლოვანება და ყოველგვარი ბოროტება, და თვინიერად შეიწყნარეთ ნერგი სიტყვისა, რომელსაც ძალუძს სულების ხსნა.*

მაშ, იყავით სიტყვის აღმასრულებელნი, და არა მხოლოდ სიტყვის მსმენელნი, რომელნიც ატყუებენ თავიანთ თავს; რადგანაც ვინც ისმენს, მაგრამ არ ასრულებს სიტყვას, იმ კაცს ჰგავს, რომელიც უმზერს თავის ნამდვილ სახეს სარკეში, დაინახავს თავის თავს, წავა და მაშინვე ავიწყდება, როგორიც არის. მაგრამ ვინც სწვდება სრულყოფილ რჯულს, რჯულს თავისუფლებისას,

და დამკვიდრდა მასში არა როგორც გულმავიწყი მსმენელი, არამედ როგორც საქმის აღმსრულებელი, - ნეტარია თავისი საქმით. თუ რომელიმე თქვენგანს ღმრთისმოსავი ჰგონია თავი, და ლაგამს არ ამოსდებს ენას,არამედ აცდუნებს თავის გულს, ფუჭია მისი ღმრთისმოსაობა. წმიდა და უმწიკვლო ღმრთისმსახურება ღმრთისა და მამის წინაშე ის არის, რომ გაჭირვებაში მიხედო ქვრივ-ობლებს და წუთისოფლისგან შეუგინებლად დაიცვა თავი...

ნეტარია კაცი, რომელიც გაუძლებს საცდურს და მოითმენს განსაცდელს, რადგან განსაცდელს გამოვლილი (გამოცდილი) მიიღებს სიცოცხლის გვირგვინს (ცხონებას), რომელიც ღმერთმა აღუთქვა თავის მოყვარეთ" (იაკობი 1, 17; 1, 21-27; 1, 12).

წმიდა ირინეოსი ასევე გვიმოწმებს, რომ *„კაცი, რომელსაც არ აქვს საქორწინო სამოსელი, არის მლანძღველი და მაგინებელი ღვთისა"*. მაშასადამე, ღმერთს იგი ლანძღავს და აგინებს, ვინც მის წმიდა მცნებებს არ აღასრულებს, სიტყვას საქმედ არ აქცევს, არ განიშორებს ყოველგვარ მწიკლოვანებასა და ბოროტებას. ამგვარნი, როგორც ***წმიდა იოანე ოქროპირი*** ბრძანებს, თავადვე ისჯიან საკუთარ თავს და სამუდამოდ იხშობენ სასუფევლის კარს. ***სოლომონ ბრძენი*** გვაფრთხილებს: *„ყველა გულზვიადი არაწმიდაა წინაშე უფლისა. გჯეროდეს, დაუსჯელი ვერ გადარჩება"* (იგავნი სოლომონისნი 16, 5).

„მეფის ძის ქორწილის" იგავში ძის ქორწილის უარმყოფელთა ოთხ კატეგორიას განარჩევენ. მათგან პირველნი არიან ისინი, რომელთაც არ ინებეს მოსვლა ქორწილში. მეორეებმაც გააწბილეს მეფე, საკუთარი საზრუნავით შეპყრობილებმა ვერ გამოიჩინეს გულმოდგინება და ქორწილში წასვლას ისევ ყანასა და სავაჭროში საქმიანობა არჩიეს მესამენი არათუ არ მოვიდნენ ქორწილში, არამედ მეუფის წარგზავნილები – მოციქულები შეიპყრეს და ზოგი მოკლეს კიდეც.

მეოთხე კატეგორია, რომელსაც **შეუმოსავი კაცი** წარმოადგენს იგავში, დანარჩენებს იმით ჰგავს, რომ მანაც გააწბილა

მეფე, რადგან მოსვლით კი მოვიდა, მაგრამ ქორწილისთვის შესაფერისად არ ინება მოსვლა და საქორწინოდ შეუმოსავი მიუჯდა საქორწილო პურობას. შეუმოსაობის მიზეზი ამ კაცის ამსოფლიური საზრუნავი უნდა იყოს. ამ კატეგორიის ადამიანები ხორციელის, წარმავალის ამარა დაიარებიან წუთისოფელში.

მეოთხე კატეგორიას ასევე მიეკუთვნება ქრისტეს ეკლესიაში მოსული, ეკლესიური ცხოვრების წესის ფარისევლურად აღმსრულებელი, რომელიც მხოლოდ სიტყვით აღიარებს ქრისტეს, ნათელღებულია, ეკლესიის მრევლია, მონაწილეობს წმიდა საიდუმლოებაში, მაგრამ მაინც ვერ იმოსება ჭეშმარიტი საქორწინო სამოსით, თავის რწმენასთან ვერ შეაულლებს ქრისტესადმი სიყვარულს. ამის გამო ბრძანებს უფალი: **„რომელსა არა უყუარდე მე, სიტყუანი ჩემნი არა დაიმარხნეს, და სიტყუანი, რომელ გესმიან, არა ჩემნი არიან, არამედ მომავლინებელისა ჩემისა მამისანი“** (იოანე 14, 24).

„ᲝᲗᲝ ᲓᲣᲛᲜᲐ“

თუმცა *წმიდა იოანე ოქროპირი* საგანგებოდ იმასაც შენიშნავს, რომ ამ კაცმა ღვთის სასჯელის მიღებამდე ჯერ თვითონ დაისაჯა თავი და **ვერ პოვა სიტყუაᲲ** – დუმდა, და პასუხი ვერ გასცა მეუფეს. ამით მან თვითონვე აღიარა, სასჯელის ღირსი რომ იყო, და უკვე ამის შემდეგ მიიღო საბოლოო განაჩენი მეუფისაგან – მიეცა საუკუნო სატანჯველს.

იმასაც შენიშნავენ, რომ ჩვენ, ცოდვილნი, მაშინაც სამსჯავროზე ვართ, როცა ვფარისევლობთ, ვცრუობთ, ცოდვას ჩავდივართ და, თავმოტყუებულნი, მხოლოდ საბოლოო სამსჯავროზე გამოვაშკარავდებით საკუთარი თავისა და ყველას წინაშე.

ცალკე განიმარტება იგავში ამ კაცის **დუმილი**. მეუფის შეკითხვის შემდეგ – **მოყუასო, ვითარ შემოხუედ აქა, რამეთუ არა გმოსიეს სამოსელი საქორწინე?** – იგავში ნათქვამია: **ხოლო იგი დუმნა.**

რატომ დუმს ეს შეუმოსავი კაცი? ის არც ბოდიშს იხდის, არც თავს იმართლებს და არც მეუფეს ეპასუხება. **რას მიგ-**

ვანიშნებს ამით უფალი? იხსენებენ ანდაზას: *„დუმილი თანხმობის ნიშანია“*, რომელიც *ციცერონს* მიეწერება. მაგრამ რას ეთანხმება ეს კაცი? იმას, რომ მართლაც არ არის შემოსილი საქორწინოდ? თუ იმას, რომ ღირსი არ არის, ამ ქორწილის თანამეინახე იყოს? იქნებ სამსჯავროზე გაცხადებულმა და საკუთარი თვალით დანახულმა თავისმა ცოდვებმა და ბოროტებამ დაამუნჯა იგი? ან იქნებ ღვთის მსჯავრით გამოწვეულმა შიშმა და ძრწოლამ ჩაუგდო ენა მუცელში?

ამ კაცს მეუფის მხილება დაამუნჯებს. ღვთაებრივმა ნათელმა გაანათა და გააცხადა მისი გულის ყოველი მოძრაობა და მიმოხრა, ყველა ის ბოროტება, თავისი ნებით რომ აღასრულებდა. საყოველთაო სამსჯავრომდე მას ჯერ კიდევ შეეძლო ხმის ამოღება, ახლა კი ამისთვის გასრულდა ჟამი და შეუძლებელია სინანულიც და გამოსწორებაც.

ამიტომ **დუმილი** ამ იგავში უშუალოდ გამოხატავს აღსარების, მონანიების, მიტევების ჟამის გასრულებასა და ამოწურვას: ეს კაცი მოუნანიებელი ცოდვილია, რომლისთვისაც გასრულდა **ჟამი დღისა**, როცა ჯერ კიდევ შეიძლებოდა ნათლის სამოსით შემოსვა; ახლა მისთვის დამდგარია **ჟამი ღამისა**, როცა **„ვერვის ჭელ-ეწიფების საქმედ“** (იოანე 9, 4), ანუ როდესაც ვერავინ შეძლებს უმთავრესი საქმის – ცხონების საქმის კეთებას.

წმიდა იერონიმე განგვიმარტავს: *„იქ აღარ იქნება ადგილი სინანულისა და ველარ გაიმართლებენ თავს. თვით ზეციური ანგელოზები – მთელი სამყარო დაამოწმებს მის ცოდვებს“*.

დიახ, საყოველთაო სამსჯავროზე არც ადგილი იქნება და არც დრო სინანულისა, შეპასუხებისა და თავის მართლებისათვის: ადგილი იმიტომ, რომ ველარ შევძლებთ ცოდვის გამოსასყიდი საქმეების ქმნას, დრო კი იმიტომ აღარ იქნება, რომ ამ საქმეთა ქმნადობისთვის ჟამი ამოიწურება.

აქედან გამომდინარე, მიგვანიშნებენ კიდევ ერთ საღვთისმეტყველო მნიშვნელობაზე, რომელიც ასევე იგულისხმება **საქორწინო სამოსლით** – ეს არის **სინანულის მადლის სამოსელი,**

გულწრფელი სინანულის შესამოსელი, რომლითაც ყოველი ქრისტიანი უნდა შეიმოსოს, თუკი სურს, ჭეშმარიტად მიიღოს ზიარების წმიდა საიდუმლო და მიეტეოს ცოდვები.

„მოყვასო“

მეუფე ამგვარად მიმართავს შეუმოსავ კაცს: **მოყვასო,** მეგობაროო. ასტრახანისა და კავკასიის ***არქიეპისკოპოსი სილვესტრი*** გვეკითხება: რატომ უხმობს მეუფე მსჯავრდადებულს მოყვასად, მეგობრად? რისი გამომხატველი უნდა იყოს ეს? არქიეპისკოპოსი იხსენებს ***წმიდა გრიგოლი ღვთისმეტყველის*** სიტყვებს: *„საკვირველია, რომ მეუფე ამ კაცს მოყვასადაც უხმობს და განიკითხავს კიდეც; თითქოსდა, ერთსა და იმავე დროს ეუბნება: მეგობარო და მტერო! მეგობარო – რწმენით, და მტერო – საქმეებით, ანუ კეთილ საქმეთა მოუმოქმედებლობით“.*

გარდა ამისა, მეუფისგან თქმული **მოყვასო** იგავში იმ აზრსაც გამოხატავს, რომ ამ ულირს კაცს სიძულვილით კი არ მიმართავს მეუფე, მისი დასჯის სურვილით კი არ მიემართება უზენაესი მსაჯული შეუმოსავად მოსულისკენ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ სამართლიანობის, მართლმსაჯულების აღსრულების გამო. ეს კაცი მოიწვიეს როგორც მეგობარი – მას ხომ ნათლისღებით მიუბოძეს საქორწინო სამოსელი! მან კი წაბილწა იგი და, საქორწინოდ შეუმოსავი, კადნიერად მიუჯდა მეფის ძის საქორწინო სუფრას.

ამ კაცს ან დაავიწყდა, ან არ იცოდა, თუ ვინ არის მეგობარი სიძისა – მეუფის ძისა: **„თქუენ მეგობარნი ჩემნი ხართ, უკუეთუ ჰყოთ, რომელსა ესე გამცნებ თქუენ“** (იოანე 15, 14). უფლის ბრძანებით, მხოლოდ ის არის ქრისტეს მეგობარი, ვინც მის მცნებებს აღასრულებს. უფალი ჩვენი იესო ქრისტე ყოველ თავის მეგობარს უდიდეს ჯილდოს ჰპირდება: **„რომელსა აქუნდენ მცნებანი ჩემნი და დაიმარხნეს იგინი, იგი არს, რომელსა უყუარ მე. ხოლო რომელსა უყუარდე მე, საყუარელ იყოს მამისა ჩემისა მიერ, და მეცა შევიყუარო იგი და გამოუცხადო მას თავი ჩემი“** (იოანე 14, 21).

მეუფე ამ იგავში მეგობრად იმას შერაცხავს, – განაგრძობს *არქიეპისკოპოსი სილვესტრი*, – ვისაც ქრისტესადმი რწმენა აქვს, მაგრამ არ აქვს სიყვარული, თავისი საქმით, სათნოებებითა და სიკეთის ქმნით რომ უნდა უმოწმებდეს უფალს. იგავში უფალი თითქოს დიალოგში იწვევს ამ შეუმოსავ კაცს და ეუბნება: შენ ჩემი მოწვევა მიიღე, მოხვედი ჩემს ქორწილში და თავი ჩემს მეგობრად წარმოგიდგენია; მაგრამ როგორ მოხვედი? – მოხვედი უსიყვარულოდ, ულირსად, კადნიერად, ჩემი ნების უგულებელყოფით, ჩემს მცნებების აღუსრულებლობით; თუკი ჩემი მეგობარი ხარ, რატომ არ მცემ პატივს და რატომ არ შეიმოსე შესაფერისად – საქორწინოდ? რატომ შემოგრჩა რწმენა საქმეთა გარეშე, და რატომ არ შეასრულე ის მცნებები, რომლებიც გამცნე და აღგითქვი?

ის კი დუმდა! *არქიეპისკოპოსი სილვესტრი* გაოცებისა ნიშნად მიმართავს ამ კაცს და ეუბნება: ნუ იფიქრებ, რომ ღვთისგან სათნოყოფილი ხარ, რაკი მეგობრად გიხმობს; შენ ხომ უსასყიდლოდ ბოძებული სამოსელი შებღალე და უმწიკვლოდ არ შემოინახე ძის ქორწილისთვის. ეს რა ქენი?! მეგობრად წოდებული და მოწვეული, თვალთმაქცად იქეცი?! შენ იმ ვითომდა მართალ ძმას ჰგავხარ „უძღები შვილის“ იგავიდან, რომელსაც თვითრჯულობით გაზომილი სიმართლე აქვს, მშობელს კადნიერად ეპყრობა, აყვედრის კიდეც ამ თავის ვითომდა განმართლებულ ყოფას, საქმეს და სიტყვას.

ზეი, შენ, მეგობარო ქრისტესო! – შესძახებს არქიეპისკოპოსი. – სხვა ქრისტიანებთან ერთად მობრძანებულხარ ქრისტეს ეკლესიის წმიდა ტრაპეზზე, წმიდა საიდუმლოთ ეზიარები და საბოძვრად ილებ ქრისტეს წმიდა ხორცითა და პატიოსანი სისხლით ნასაზრდოებ მადლს. მაგრამ ვაი, რომ ამას ყოველივეს მოჩვენებითად, ფარისევლურად აღასრულებ და, *ნეტარი აგუსტინეს* თქმით, *„შენს თავს ცრუ სიყვარულით უერთებ ქრისტეს“*. წმიდა საიდუმლოში მონაწილეობ,ქადაგებასაც ისმენ, ლოცულობ – მაგრამ მხოლოდ ბაგეებით, გულით კი განშორებული ხარ უფლისგან.

არქიეპისკოპოსი სილვესტრი შეგვახსენებს *წმიდა პავლე მოციქულის* ეპისტოლეს ტიტეს მიმართ, სადაც ნათქვამია: *„ბილწთა და ურწმუნოთათვის არაფერია წმინდა, შებღალულია მათი გონებაც და მათი სინდისიც. სიტყვით აღიარებენ, ხოლო საქმით უარყოფენ ღმერთს“* (ტიტეს მიმართ 1, 15-16).

ამ ბილწთ, ურჩთ და ურგებთ ღმერთიც უარყოფს, ვინაიდან მათ არ ძალუძთ, უბიწოდ წარდგნენ წინაშე ღმრთისა, როგორც *მართალი იობი* ამბობს: *„მის წინაშე ზაკვა არა შევიდეს“* (იობი 13, 16).

ვინ არის „რჩეული“ იგავში?

„მეფის ძის ქორწილის“ იგავს უფალი აგვირგვინებს შეგონებით: **„მრავალ არიან ჩინებულნი და მცირედ – რჩეულნი“** (მათე 22, 14).

ეს შეგონება, უფლისმიერ ანდაზურ თქმასთან ერთად, „ვენახის მუშაკების“ იგავსაც მიერთვის: **„ესრეთ იყვნენ წინანი უკუანა და უკუანანი წინა, რამეთუ მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი – რჩეულ“** (მათე 20, 16).

არსებობს ვარაუდი, რომ „მეფის ძის ქორწილის“ იგავს მოდევნებული ეს შეგონება მექანიკურად არის გადმოტანილი და მიერთებული ახლახან ნახსენები „ვენახის მუშაკების“ იგავის ანდაზურ თქმასთან. თუმცა ამ ვარაუდს კომენტატორთა დიდი ნაწილი არ იზიარებს.

ერთ-ერთი განმარტებით, „ვენახის მუშაკების“ იგავში **ჩინებული**, ანუ წვეული, არის ყველა, ვინც ვენახში სამუშაოდ მოიწვიეს, მაგრამ არ მივიდნენ. ეს ნიშნავს, რომ ჩინებულნი მოიწვიეს, მაგრამ ვერ გახდნენ რჩეულნი და დარჩნენ მოწვეულებად. **რჩეულნი** ამავე იგავში ისინი არიან, რომლებმაც მიიღეს მოწვევა, ასე თუ ისე იმუშაკეს და კუთვნილი საზღაურიც ერგოთ. ეს იმას ნიშნავს, რომ „ვენახის მუშაკების“ იგავში ყველა, ვინც ვენახში იმუშავა – რჩეულია, ჩინებულნი კი ვენახის გარეთ დარჩნენ.

უნდა ითქვას, რომ ამგვარ ახსნასაც არ ეთანხმება კომენტატორთა დიდი ნაწილი, ვინაიდან შეუძლებელია, სხვადასხვა ჟა-

მის მუშაკთაგან ყველა რჩეული იყოს და უფალიც ამას გვიმოწმებდეს. **სხვადასხვა ჟამის მუშაკობა** ამ იგავში იმას კი არ ნიშნავს, რომ რჩეული ყველა იქნება, ვინც კი მივა ვენახში, არამედ იმაზე მეტყველებს, რომ ყველა უფლისგან არის ჩინებული, უფალი ყველას ყოველჟამიერად ეძახის და ამ მოწვეულთაგან მრავალნი ისმენენ და მიიღებენ მოწოდებას. მაგრამ ამ მრავალთა შორის მხოლოდ მცირედნი იქნებიან მ'სად იმისათვის, რომ ღირსეულად მიიღონ ეს უფლისმიერი მოწოდება და უფლის მოსაწონად გასწიონ მუშაკობა ვენახ'ში.

ასე რომ, **ღვთივრჩეულობა საფეხურებრივ მიემართება**: უფალი ყველას უხმობს და მოუწოდებს სამუშაკოდ, ღვთის მოწოდებას მრავალი ისმენს, მაგრამ მათგან მცირედნი იქნებიან ღირსნი სანატრელი ღვთივრჩეულობისა. „მეფის ძის ქორწილის" იგავშიც ამავე შეგონებას მსგავსი განმარტება ეძლევა. ორივეგან (ორივე იგავის ფონზე) უმნიშვნელოვანესი ამ განმარტებაში ის არის, რომ **რჩეულთა სიმცირე** ხაზს უსვამს, თვალსაჩინოს ხდის იმ მუშაკობასა და ღვაწლს, რომელიც ღვთისათვის არის მოსაწონი და ღირსეული.

ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელის თქმით, ორივე იგავში **ჩინებულებს შორის,** მოწვეულთაგან, უფალი უპირველესად გულისხმობს იუდეველებს: **მრავალი იუდეველი მოიწვიეს** ვენახშიც და საქორწილო სუფრასთანაც, ანუ ქრისტეს სამეუფოში, მის წმიდა ეკლესიაში, მაგრამ მათგან **მცირედმა მიიღო** ეს მოწვევა – ესენი იყვნენ ქრისტეს მოწაფეები, მოციქულები და მიმდევრები. **წარმართთაგანაც მრავალი მოიწვიეს** მოციქულებმა და მათგანაც **მხოლოდ მცირე ნაწილმა მიიღო** ქრისტეს ნათელი და რჯული, და მხოლოდ მცირედნი არიან დღემდე რჩეულნი – ჭეშმარიტი მორწმუნენი.

ყურადღებას ამახვილებენ იმაზეც, რომ **მრავალნის** ქვეშ, არსობრივად, უნდა ვიგულისხმოთ ყველა, ვინაიდან უფალი ღმერთი ყველას მოუწოდებს ცხოვნებისკენ, მას ყველას გადარჩენა ნებავს, ყველა უყვარს, ყოვლადმოწყალე ყველას მიმართ მოწყ-

ალეა: „**მიიღეთ და ჭამეთ, ესე არს ჭორცი ჩემი... სუთ ამისგანი ყოველთა: ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქუმისაჲ, მრავალთათჳს დათხეული მისატევებელად ცოდვათა**“ (მათე 26, 26-28; მარკოზი 14, 22-24).

ამიტომ, იმ **ერთი კაცის** მსგავსად, რომელიც **მრავალს** მოიცავს იგავურად, ამ შეგონებაშიც **მრავალი** გულისხმობს **ყველა ჩინებულს** და მიგვითითებს **საყოველთაო უზენაეს მოწვევაზე**.

ამ მხრივ საგულისხმოდ მოგვესმის *წმიდა პავლე მოციქულის* შეგონება, როდესაც პირველ ეპისტოლეში კორინთელთა მიმართ ყველას ახარებს ქრისტეს სახარებას და სწორედ ზემოთ განხილული უფლისმიერი შეგონების სათქმელით განავითარებს თავის გაფრთხილებასა და დარიგებას: „*ნუთუ არ იცით, რომ ასპარეზობისას ყველანი რბიან, მაგრამ მხოლოდ ერთი იღებს ჯილდოს: ისე ირბინეთ, რომ მიიღოთ ეს ჯილდო*“ (I კორინთელთა მიმართ 9, 24).

ამ შემთხვევაშიც დაპირისპირების წინაშე ვართ: **მრავალი** დარბის (**მრავალ არიან ჩინებულნი**), ჯილდოს კი **ერთი** იღებს (**მცირედ – რჩეულნი**).

შეუმოსავ კაცთან დაკავშირებით ერთი შეკითხვა იჩენს თავს:

ეს ერთი შეუმოსავი კაცი იგავურად მხოლოდ ერთ კაცს, ერთ მორწმუნეს გამოხატავს, თუ მრავალს, მის მსგავსად უარყოფილთ?

რაღა თქმა უნდა, იგავში წარმოდგენილი **ერთი შეუმოსავი კაცი** მრავალს გულისხმობს და **მრავალ მის მსგავსზე** მიგვითითებს. სწორედ ეს **მრავალნი** შეადგენენ მეუფის ძის ქორწილის უარმყოფელთა ხსენებულ მეოთხე კატეგორიას. „ტალანტების“ იგავშიც (მათე 25, 18) **ერთით** გამოიხატება **მრავალი**: უფალი **ერთი მონით**, რომელმაც ტალანტი მიწაში დაფლა, რასაკვირველია, იმათზე მიგვანიშნებს, რომლებიც არ გაამრავლებენ ღვთისგან ბოძებულ მადლსა და ნიჭს.

ერთით მრავლის გამოხატვასთან დაკავშირებით *ნეტარი ავგუსტინე* საგანგებოდ შენიშნავს: „*ამდენ მოწვეულთა შორის*

მხოლოდ ერთს გააძევებენ და დასჯიან. მაგრამ უფალს ამით უნდა დაგვანახვოს, რომ ეს ერთი კაცი ერთი სხეულივით მოიცავს მრავალს. უფალი დასძენს: მრავალ არიან წვეულნი და მცირედ – რჩეულნი (მათე 22, 14). მაგრამ ვინ არიან ეს რჩეულნი თვით იგავში, თუ არა ისინი, რომელნიც დარჩნენ ქორწილში? ამაკე იგავში ხომ მხოლოდ ერთი გააძევეს და ბევრი კი დარჩა?".

ამ შეკითხვის დასმით **ნეტარი ავგუსტინე** ხაზს უსვამს იმ წინააღმდეგობას, რომელიც შეიმჩნევა იგავში მონათხრობსა და ამ იგავს მოდევნებულ შეგონებას შორის: „*დაუკვირდით*", – მოგვმართავს ნეტარი მამა, – „*იგავის მიხედვით, მრავალ წვეულთა და მეინახეთაგან მარტო ერთი გააძევეს და დასაჯეს, რაც იმას ნიშნავს, რომ, ამ ერთი დასჯილის გარდა, დანარჩენები – მრავალნი ჩინებულნი (მეინახენი) – საქორწილო სუფრასთან დარჩნენ, რადგან, ამ ერთისგან განსხვავებით, ღირსნი იყვნენ პურობისა, ღირსეულად შემოსილნი მოვიდნენ საქორწინო ლხინზე და რჩეულთა შორის აღმოჩნდნენ.*

მაშინ, იგავის შინაარსიდან გამომდინარე, შეგონებაში ამგვარი მინიშნება უნდა აღბეჭდილიყო: მრავალნი არიან ჩინებულნი (წვეულნი) და მცირედნი არიან ულირსნი (უარმყოფელნი, დასჯილნი). მაგრამ უფალი შეგონებაში ბრძანებს: „მრავალ არიან ჩინებულნი და მცირედ – რჩეულნი". უფალი, თითქოს, იგავში ერთს ამბობს და შეგონებაში – მეორეს.

მეორე მხრივ, უფლის შეგონებიდან გამომდინარე, უფრო სწორად – შეგონებით მონიშნული სიმრავლე-სიმცირიდან გამომდინარე, თუკი რჩეულნი მცირედნი არიან – მაშ, ერთი შეუმოსავი კაცი იგავში რჩეული აღმოჩნდება, ხოლო, რაკი მრავალნი არიან ჩინებულნი – სუფრასთან დარჩენილი მრავალნი მეინახენი ულირსნი ყოფალან".

ნეტარი ავგუსტინე განმარტავს, რომ ეს წინააღმდეგობრიობა ზედაპირულია და გამოწვეულია **ერთი შეუმოსავი კაცის** ზედმიწევნითი მნიშვნელობის გათვალისწინებით. როგორც კი ამ **ერთ კაცში** ვიგულისხმებთ **მრავალს**, მყისვე დაკარგავს ძალას ხსენებული წინააღმდეგობრიობა.

ერთით მრავლის გამოხატვის უბადლო მაგალითია **ადამი**, ვითარცა **კაცთა მოდგმა**, ხოლო ადამის პირველშეცოდება კაცობრიობის ცოდვათდაცემაზე ღაღადებს. შესაბამისად, ადამისა და ევას დასჯაც მრავალთა, ანუ კაცთა მოდგმის დასჯაზე მიგვანიშნებს. „ღვარძლის“ იგავშიც ხომ ასეა: კეთილი **თესლიდან**, რომელიც კაცმა ყანაში დათესა, **ჯეჯილი** აღმოცენდა, ვითარცა ნათლის სასუფეველი. მაგრამ მოვიდა მტერი, ბოროტი, ყანაში ჩათესა **ღვარძლი**, რომელიც **მრავლად** ამოვიდა ჯეჯილის გვერდით – ეს კი ბნელის მეუფებაა.

ერთისა და მრავლის მიმართება გამჟღავნებულია მაშინაც, როცა მართალთა ერთობას ამსგავსებენ ერთ სხეულს, რომლის თავიც არის ქრისტე. მაგრამ ასევე ერთია სხეული ცოდვილთა ერთობისა, მრავალი ცოდვილის ერთი სხეულისა, რომლის თავი არის ეშმაკი.

უაღრესად საგულისხმოა განმარტება, რომლის მიხედვითაც, **ერთი კაცის გაძევებით** იგავში გამოიხატება ღვთის ყოვლისმხედობა და ყოვლისმცოდნეობა, რადგან ამდენ ხალხში, ამ მრავალ მეინახეთა შორის, მას ერთი კაციც კი არ გამოეპარა და სამართლიანად მიაგო მას.

სანატრელი ღვთივრჩეულობა

ღვთივრჩეულობა ყველაზე სანატრელია ყოველი კეთილგონიერი ქრისტიანისთვის. მაგრამ **რა არის ღვთივრჩეულობა? ვინ შეიძლება მიიღოს უფლისგან ღირსყოფა რჩეულობისა?**

ამ შეკითხვაზე პასუხად ერთხმად განმარტავენ, რომ რჩეულთა გამორჩევა, რჩეულთა არჩევა ღვთის ხელშია: **„მე ვარ მწყემსი კეთილი და ვიცნი ჩემნი იგი, და მიციან ჩემთა მათ“** (იოანე 10, 14) – მე ვიცნობ ჩემგან რჩეულთო, – ბრძანებს უფალი.

თავის მოწაფეებს, რჩეულ თორმეტ მოციქულს, იგი ეუბნება: **„არა თქუენ გამომირჩიეთ მე, არამედ მე გამოგირჩიეთ თქუენ და დაგადგინენ თქუენ, რაჲთა თქუენ წარხუდეთ და ნაყოფი გამოიღოთ, და ნაყოფი თქუენი ეგოს სავსებით“** (იოანე 16, 16) –

თქვენ არ აგირჩევივართ, მე აგირჩიეთო სამოციქულო ღვაწლისთვის, — ანუგეშებს უფალი თავის თორმეტ რჩეულ მოწაფეს.

რჩეულთ უფალი იესო თავის მეგობრებად აღიარებს: **„არ-ღარა გეტყჳ თქუენ მონად, რამეთუ მონამან არა იცის, რასი იქმნ უფალი მისი. ხოლო თქუენ გარქუ მეგობრად, რამეთუ ყოველი, რომელი მესმა მამისა ჩემისაგან, გაუწყე თქუენ“** (იოანე 16, 15). ამ სიტყვებით უფალი გაგვიცხადებს, რომ მის რჩეულს წილი აქვს ღვთაებრივ საქმეში, იგი თანამონაწილეა, თანამეინახეა, და ქრისტე უფალთან ერთად იღვწის! ცოდვის მონა სცოდავს და ეშმაკის მეწილე ხდება — ეს დამამცირებელი მეწილეობაა, უფრო სწორად, ეს არც არის მეწილეობა, ვინაიდან: **„მონამან არა იცინ, რასა იქმნ უფალი მისი“.**

ჭეშმარიტი რჩეულობა ღვთის ხელშია, მაგრამ რჩეულად გახდომა, რჩეულ-ყოფა — ჩვენი საქმეა. მხოლოდ საკუთარი საქმით შეიძლება მოვიპოვოთ ეს სანატრელი ღირსყოფა, რაღა თქმა უნდა — ღვთისაგე შეწევნითა და წყალობით.

ეპისკოპოსი თეოფანე გვასწავლის, რომ ჩვენ თვითონ უნდა ვინდომოთ ჩვენი ცხოვრების გამოსწორება, ჯერ ჩვენ უნდა გადავდგათ ნაბიჯი ცვლილებისკენ, ჩვენი სულისა და გულის განახლებისკენ, ხელახალი შობისკენ, რათა ღმერთმა მარადიული სიყვარულით შეგვიყვაროს. *„გადი შენს სავაჭროში“*, — შეგვაგონებს ეპისკოპოსი, — *„მაგრამ ისე გაისარჯე, რომ ამქვეყნიურ სიკეთეთა შეძენით წარმავალ წუთისოფელს არ მიჰყიდო შენი სული. გადი შენს მინდორში, დაამუშავე მიწა და დათესე იქ თესლი, რათა იქიდან მოწეული ნაყოფით გაიმაგრო შენი სხეული. მაგრამ უფრო მეტი მონდომებით თესე სულის ველსე. თესე სათნოებათა თესლი, რათა იქიდან მარადიული სიცოცხლის (ცხონების) ნაყოფი იგემო. სუფთად, ლაქების გარეშე დაიცავი სამოსელი შენი, რომელიც მოგეცა წმიდა ნათლისღებისას, სიცოცხლის ბოლომდე დაიცავი იგი და იქნები ღირსეული მონაწილე (თანამეინახე) საქორწილო ლხინისა, სადაც შედიან მხოლოდ ისინი, რომელთაც აქვთ შეუბღალავი წმიდა სამოსელი, ხელთ კი ანთებული წმიდა ლამპრები უპყრიათ“.*

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ***უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე*** ყურადღებას ამახვილებს იმ თვისებებზე, რომლებითაც **ღვთივრჩეულობა** განისაზღვრება:

„არ არის საკმარისი, რომ ადამიანი მხოლოდ ჩინებული იყოს. იგი ამავე დროს ღვთის რჩეულსაც უნდა წარმოადგენდეს. წმიდა პავლე მოციქული კოლასელთა მიმართ მიწერილ ეპისტოლეში განგვიმარტავს, ვინ არიან რჩეულნი. იგი კოლასელებს მოუწოდებს: „შეიმოსეთ უკუე ვითარცა რჩეულთა ღმრთისათა და საყუარელთა“ (3, 12) – ესე იგი, რჩეული ისაა, ვინც წმიდაა და ღმერთს უყვარს. შემდეგ მოციქული ჩამოთვლის თვისებებს, რითაც უნდა შევიმოსოთ: „მოწყალებაჲ, შეწყნარებაჲ, სიტკბოებაჲ, სიმდაბლე, სიმშჳდე, სულგრძელებაჲ“ (3, 12). რა შესანიშნავი თვისებებია! რომელი ძვირფასი თვალ-მარგალიტი შეედრება მას. რჩეული ისაა, ვინც ამ თვისებებით შეიმოსება“.

უწმიდესი და უნეტარესი ძველი აღთქმიდან იხსენებს აბრაამს, ვითარცა შესანიშნავ მაგალითს, თუ *„როგორი უნდა იყოს რჩეული ღვთისა, რადგან სწორედ ის თვისებები ახასიათებს – მოწყალება, შეწყნარება, სიტკბოება, სიმდაბლე, სიმშვიდე და სულგრძელობა, რომლებიც ღვთისათვის სათნოა“.*

ღვთის რჩეულის წოდებანი

უაღრესად საგულისხმოა ღვთის რჩეულის სხვა ახალაღთქმისეული წოდებანი: **მეგობარი, სიძის მეგობარი, მოყვასი, შვილი, ძე, მემკვიდრე, თანამემკვიდრე, ძმა.**

მეგობართან დაკავშირებით ზემოთ უკვე ითქვა და განიმარტა (იხ. გვ. 150). მეუფე ამ იგავში საქორწინოდ შეუმოსავ კაცს **მეგობრად, მოყვასად** მოიხსენიებს: **მოყუასო, ვითარ შემოხუედ აქა, რამეთუ არა გმოსიეს სამოსელი საქორწინე?** ამ მიმართვით გამოხატულია აზრი იმის შესახებ, რომ ყველა მოწვეულს, რომელიც მეუფის ძის ქორწილში მოვა, შეუძლია, გახდეს და იყოს ღვთის მეგობარი, უფლის მეგობარი.

წმიდა სახარებაში ღვთის რჩეული **სიძის მეგობრადაც** იწოდება. ***წმიდა იოანე ნათლისმცემელი*** ყველას გასაგონად ამბობს: **„კაცი**

თვითონ ვერაფერს მიიღებს, თუკი ზეცით არ მიეცა... არა ვარ მე ქრისტე, არამედ მოვლინებული წინაშე მისსა. ვისაც ჰყავს სასძლო, იგი სიძეა, ხოლო სიძის მეგობარი დგას და ესმის მისი და სიხარულით ხარობს სიძის ხმის გაგონებისას“ (იოანე 3, 27-29).

წმიდა იოანე მახარებელი და ღვთისმეტყველი ღმერთის **შვილის** მკაფიო ფორმულირებას წარმოგვიდგენს: **„რაოდენთა-იგი შეიწყნარეს** (ამ ქვეყნად მოსული, ხორციელად ქმნილი ძე ღვთისა, იესო ქრისტე უფალი), **მოსცა მათ ჭელმწიფებაჲ შვილ ღმრთისა ყოფად, რომელთა ჰრწამს სახელი მისი“** (იოანე 1, 12). წმიდა იოანე აქვე დასძენს, რომ ღმრთის შვილი ღმრთისაგან შობილია, და **„არა სისხლთაგან, არცა ნებითა ჴორცთაჲთა, არცა ნებითა მამაკაცისაჲთა“** – ესე იგი, მადლით არისო შობილიო.

შვილად და ქრისტესმიერ **მემკვიდრედ** იწოდება ღვთის რჩეული ***წმიდა პავლეს*** ეპისტოლეებში. წმიდა მოციქული შეგვახსენებს, რომ ღმერთმა თავისი ძე სწორედ იმისთვის მოავლინა, რომ ჩვენ, ცოდვილნი, გამოვესყიდეთ და მისი (ძის) სისხლით გამოსყიდულთ მიგვეღო **შვილება**: *„რაკიღა შვილნი ხართ, ღმერთმა მოავლინა თქვენს გულებში თავისი ძის სული, რომელიც ღაღადებს: აბბა, მამაო! ასე რომ, ამიერიდან არღარა ხართ მონა* (რჯულის ქვეშ მყოფი ცოდვის მონა), *არამედ შვილი; და რაკი შვილი ხართ – მემკვიდრეც ხართ ქრისტე ღმერთის მიერ“* (გალატელთა მიმართ 4, 6-7).

იმავეს იმეორებს ***წმიდა პავლე*** რომაელთა მიმართ ეპისტოლეშიც: *„ხოლო, თუ შვილნი ვართ, მემკვიდრენიც ვართ, ღმერთის მემკვიდრენი და ქრისტეს თანამემკვიდრენი, თუკი მასთან ერთად ვევნებით, რათა მასთან ერთად ვიდიდოთ“* (რომაელთა მიმართ 8, 17).

მემკვიდრესა და **თანამემკვიდრესთან** ერთად, ამავე ეპისტოლეში ღვთის **რჩეული ძეც** არის ღვთისა: *„რომელნი სულითა ღმრთისაჲთა ვლენან, ესენი არიან ძენი ღმრთისანი“* (რომაელთა მიმართ 8, 14).

მკვდრეთით აღმდგარი უფალი იესო სამარხთან მყოფ დედებს – ***მარიამ მაგდალელსა*** და სხვა ***მარიამს*** ეუბნება: **„ნუ გეშინინ,**

წარვედით და უთხართ ძმათა ჩემთა, რაჲთა წარვიდენ გალილეას და მუნ მიხილონ მე“ (მათე 28, 10). ძმები უფალი იესოს მოწაფეები არიან, თავად უფლის მიერ გამორჩეულნი და არჩეულნი – **მცირედნი რჩეულნი!**

„მეფის ძის ქორწილის“ იგავში ღვთივრჩეულობა შესანიშნავი სახარებისეული ალეგორიით წარმოჩნდება ეს არის **ქორწილი**, რომლითაც უფალი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სათქმელს მონიშნავს იგავურად: მეუფის ძემ, ანუ ძე ღვთისამ, მიიღო კაცობრივი ბუნება – ძე ღვთისა და ძე კაცისა შეერთდა: **„სიტყუაჲ იგი ჴორციელ იქმნა და დაემკჳდრა ჩუენ შორის, და ვიხილეთ დიდებაჲ მისი, დიდებაჲ ვითარცა მხოლოდშობილებაჲ მამისა მიერ, სავსე მადლითა და ჭეშმარიტებითა“** (იოანე 1, 14).

ქორწილით სწორედ მხოლოდშობილი ძე ღვთისას ხორციელად ქმნა და ამქვეყნად მოვლინება გამოიხატება ამ იგავში: ძე ღვთისას და ძე კაცისას შეერთება ალეგორიულად გააცხადებს ღმერთისა და უბიწო, ღვთივსათნო სულების დაწინდვას, მათ მარადიულ შეუღლებას. ამას გულისხმობს *წმიდა პავლე მოციქული*, როცა ამბობს: *„ძველად თქმულია: იყვნენ ორნივე ერთ ჴორც (დაბადება 2, 24). ხოლო რომელი შეეყოს* (შეუერთდეს) *უფალსა, ერთ სულ არს“* (1 კორინთელთა მიმართ 6, 16-17).

ხელ-ფეხის შეკვრა, ბნელი გარესკნელი, კბილთა ღრჭენა, მსახურნი

მეუფის შეკითხვის შემდეგ იგავის მკითხველი შეუმოსავი კაცის პასუხს ელის. მაგრამ, როგორც უკვე ვიცით, პასუხის გასაცემად აღარც დროა და აღარც ადგილი, და გაისმის მეუფის შემაძრწუნებელი ბრძანება: **შეუკრენით მაგას ჴელნი და ფერჴნი და განაგდეთ ეგე ბნელსა მას გარესკნელსა.**

ხელ-ფეხის შეკვრა ახლახან ნახსენებ უუამობასა და უადგილობას ნიშნავს, ანუ იმას, რომ მომავალ საუკუნო ცხოვრებაში უკვე აღარ იქნება დრო სინანულისა და კეთილი საქმეების აღსრულებისა. მშვინვიერი ძალები ამ დროს თითქოსდა შე-

ბორკილია. ამ ძალების ასამოქმედებლად ხილულ სამყაროში უამიც მოგვეცა და სივრცეც, მეორედ მოსვლის დროს კი ამ მხრივ ხელფეხშეკრულნი ვიქნებით და ვეღარც სულს დავიხსნით სატანჯველისგან, ანუ ბნელი გარესკნელისგან, რომელიც, *წმიდა გრიგოლის* განმარტებით, საუკუნო სატანჯველის წყვდიადია, ბნელი ადგილი ცათა სასუფევლის გარეთ! *ნეტარი ავგუსტინე* გვაფრთხილებს, რომ **ბნელით** ამ იგავში გამოხატულია იმ ცოდვილის სულიერი სიბრმავე და სიბნელე, ვინც შეიძულა სახარების ნათელი, ღვთაებრივი სიწმინდის ნათელი, უბიწოების ნათელი და, მოუმზადებელი, უღირსად შეეგება საშინელ სამსჯავროს.

წმიდა იოანე ოქროპირი ბნელთან დაკავშირებით ამბობს, რომ შეუმოსავი კაცის მსგავსთა სატანჯველი არის არა ეს ბნელი გარესკნელი, სადაც მას სამუდამო სამყოფელს მიუჩენენ, არამედ **ტირილი და ღრჭენაი კბილთაი**, რომელიც ამ გარესკნელში განუწყვეტლივ, დაუსრულებლად იქნება.

ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელის განმარტებით, **კბილთა ღრჭენით** გამოიხატება ციდვილის მოუნანიებლობა ან დაგვიანებული სინანული, რომელიც მომავალ საუკუნო ცხოვრებაში ამაო და სრულიად უსარგებლო იქნება მისთვის. *წმიდა დავით მეფსალმუნეც* ამას ბრძანებს, როდესაც ცოდვილს უპირისპირებს ღვთისმოშიშს, მოწყალეს, შემწყნარებელსა და მართალს: **„ცოდვილმან იხილოს (მართლის დიდებით ამაღლება) და განრისხნეს, კბილთა თჳსთა იღრჭენდეს და დადნეს, და გულის-ქთუმაი ცოდვილისა წარწყმდეს“** (ფსალმუნნი 111, 10).

რაც შეეხება **მსახურებს**, რომლებსაც მეუფე უბრძანებს შეუმოსავი კაცის ხელ-ფეხის შეკვრასა და ბნელ გარესკნელში გაგდებას – ისინი უფლის ანგელოზები არიან. „მეფის ძის ქორწილის“ იგავში მეუფის ნებას სხვადასხვა სახის აღმსრულებელი აღასრულებს:

ერთნი არიან ქორწილში წვეულთა საწვევად გაგზავნილნი, ანუ ღვთისგან მოვლინებული წინასწარმეტყველნი, რჯულმდებელი *მოსე* და სხვა რჩეულნი.

მეორენი არიან ის მონები, რომელთაც გზაჯვარედინებიდან შეკრიბეს ყველა შემხდური – ესენი არიან მოციქულები.

მესამენი არიან მეუფის შეურაცხმყოფელთა დამსჯელნი, ანუ მიწიერი და ზეციური ლაშქარი, რომლის მეოხებითაც უფალი სამართლიან სასჯელს მოუვლენს ბოროტთ.

არიან მეოთხენიც – უფლის ანგელოზები, რომელთა შესახებაც უფალი ასევე ბრძანებს „ღვარძლის“ იგავში: **„მოავლინებს ძე კაცისა თავის ანგელოზებს, და შეკრებენ მის სასუფეველში ყველა საცდურისა და ურჯულოების მოქმედთ. და ჩაყრიან მათ სახმილის ცეცხლში, და იქნება იქ ტირილი და კბილთა ღრჭენა“** (მათე 13, 41-42).

ისიც უნდა ითქვას, რომ „მეფის ძის ქორწილის“ იგავში უფალი იესო საგანგებოდ წარმოაჩენს ცოდვილთა საბოლოო ხვედრს - ღვთის უარმყოფელთა, მგმობელთა, შეურაცხმყოფელთა, დაუდევართა, მოუნანიებელთა და, საზოგადოდ, ცოდვის მონათა მიერ მოწეულ მწარე ნაყოფს. ამ იგავში არ წარმოჩნდება მართალთა, ღვთისმოშიშთა, მონანიე ცოდვილთა ხვედრი, როგორც, მაგალითად, „უძღები შვილის“ ან „ფარისეველისა და მესვერის“ იგავებშია.

ჩინებულთა ორი იგავური სახე

უკვე რამდენიმეგზის ითქვა, რომ „მეფის ძის ქორწილისა“ და „დიდებული სერობის“ იგავები ძლიერ ჰგავს ერთმანეთს, თუმცა, როგორც დავრწმუნდით, თითოეულს საკუთარი გამიზნულობა აქვს, თითოეულს უფლისმიერი სათქმელის ურთიერთშემავსებელი დანიშნულება ენიჭება.

თუკი ამ იგავთა მსგავსებაზე შევაჩერებთ ყურადღებას, უნდა ითქვას, რომ, ქრისტიანულ-ზნეობრივი თვალსაზრისით, ორივე ეს იგავი მართლაც ძლიერ უახლოვდება ერთმანეთს. ამ მხრივ იკვეთება რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ზნეობრივი თუ სულიერი ფასეულობა. ამათგან უმთავრესია: ცათა სასუფევლის დამკვიდრებისთვის მზადყოფნა, და ამ მიზნით – გზებისა და საშუალებების ძიება, უფლისმიერი ღირსყოფა (ხვედრი) და კაცობრივი არჩევანი, სიფხიზლე ცხონებისათვის.

როგორ უნდა მოვემზადო დიდებული სერობისა და საქორწილო ლხინისთვის? ამ შეკითხვაზე პასუხს უფალი ორივე იგავში გვაძლევს.

მზადება იწყება **ჩინებულთა** მიმართ უფლისმიერი მოწოდებით, რომელიც არასოდეს წყდება. ღმერთი არ წყვეტს ჩვენს მოწოდებას, იგი მარადის გვიხმობს თავისი დიდების მეუფებაში, საუკუნო ნეტარების სავანე'ში:

„აჰა ესერა პური ჩემი მზა არს ყოველი“ (ლუკა 14, 17) – მოგვიწოდებს უფალი ღმერთი „დიდებული სერობის“ იგავში;

„აჰა ესერა პური ჩემი მზა-მიყოფიეს, ზუარაკები და უსხები ჩემი დაკლულ არიან, და ყოველივე მზა არს, მოვედით ქორწილსა ამას“ (მათე 22, 4) – მოგვიწოდებს უფალი ღმერთი „მეფის ძის ქორწილის“ იგავში.

მართალია, ორივე იგავის მსმენელები, ანუ **ჩინებულნი**, წმიდა სახარებაში არიან იუდეველნი, ებრაელები, მაგრამ ეს სათქმელი უფალს ყველას გასაგონად აქვს – მათ შორის, რაღა თქმა უნდა, ჩვენს გასაგონადაც, ქრისტიანთა ყურადსაღებადაც.

ქრისტეს ხორციელად მოსვლამდე ყოვლადძლიერი და ყოვლადმოწყალე უფალი ღმერთი **იუდეველ ჩინებულთ** მესიის სამეუფოში იხმობდა – რჯულითა და წინასწარმეტყველებით, ძველი აღთქმითა და გამოცხადებებით. ქრისტეს შობის შემდეგ ღვთის მოწოდება მათ ქრისტეს მიღებას ავალდებულებდა, მაგრამ ქრისტე **წარმართმა ჩინებულებმა** მიიღეს, რადგან, ვის წიაღშიც ინება უფალმა ხორციელად მოსვლა, მან უარყო იგი. იგავთა მიხედვით, წარმართები არიან **გზებზე, შუკებში, მოედნებსა** და **უბნებში** მყოფნი, ისინიც, რომლებიც **ქალაქგარეთ** მკვიდრობენ.

მაშასადამე, ორივე იგავის სათქმელიდან გამომდინარე, **ჩინებულთა**, ანუ წვეულთა, **ორი კატეგორია** წარმოჩნდება: ერთმა ისმინა ღვთის მოწოდება, მიიღო იგი, განემზადა, გამოიღო სულიერი ნაყოფი, მოინანია საკუთარი ცოდვები და, ღვთის შეწევნითა და წყალობით, **ღირსი გახდა თანამეინახეობისა ვახშამსა (სერობასა) და ქორწილში** – ანუ მარადიული სასუფევლის მკვიდრობისა,

ცხონებისა. მეორემ ყოველივე ეს თავისი ნებით უარყო და სამუდამოდ **დაკარგა სანეტარო უფლისმიერი ღირსყოფა.**

„დიდებული სერობის“ იგავით უფალი ყურადღებას კონკრეტულად იმ ჩინებულისგან ითხოვს, ვისაც ჯერ კიდევ აქვს შესაძლებლობა და შერჩენია უნარი, შეისმინოს ღვთის სიტყვა, ანუ ვისაც ჯერ კიდევ აქვს დრო და უკან დასახევი გზაც მოეძებნება, რათა თავი დაიხსნას ცოდვისგან და გული გაუხსნას მადლს. ასეთნი არიან დიდებული სერობის უარმყოფელნი, რომელნიც არც სიძულვილს ამჟღავნებენ უზენაესი მასპინძლის მიმართ და არც შეურაცხყოფენ მისგან გამოგზავნილ მონას. ისინი მხოლოდ სახვალიოდ გადადებენ საკუთარი სულის ცხოვნების საქმეს.

„მეფის ძის ქორწილის“ იგავში, ამის საპირისპიროდ, ქორწილის უარმყოფელები, შეურაცხყოფასთან ერთად, ბოროტებას სჩადიან. მათი **არჩევანი** კატეგორიულია და ბოროტია. მათი ყური დახშულია, გული დაშრეტილია სიყვარულისგან და აღსავსეა სიძულვილით. მოკლედ რომ ვთქვათ, საკუთარი სულის გადასარჩენ ერთადერთ ჭეშმარიტ გზას ისინი თავიანთივე ხელით იჭრიან და ისპობენ.

„დიდებული სერობის“ იგავში ვახშამზე დაგებული პური ებრაელი ერის ნაწილს ერგება, რომელსაც მიეკუთვნებოდნენ იმჟამინდელი საზოგადოებისგან განკვეთილნი და გარიყულნი (მებაჟეები, მეძავნი, ავაზაკნი – ცოდვილნი, რომელთაც მოინანიეს ღვთის წინაშე). „მეფის ძის ქორწილის“ იგავში კი თითქმის მთელი ერი კარგავს ქორწილში დაგებული პურობის უფლებას, თითქმის მთელი ერი აღმოჩნდება ულირსი სასუფევლის მკვიდრობისა, ცხონებისა. მხოლოდ მცირე ნაწილი (**მცირედნი**) იგემებს სასუფევლის სიტკბოებას.

ამიტომ შენიშნავენ, რომ **„დიდებული სერობის“ იგავი უფრო პიროვნული ხასიათისაა,** აქ ცალკეული ადამიანის ღირსყოფის საკითხი იჩენს თავს; ხოლო **„მეფის ძის ქორწილის“ იგავით** ჩვენი უფალი მასშტაბურად აყენებს ამ საკითხს – მთლიანად **ერის გადარჩენისა და ხსნის (ცხონების) გამო დაგვაფიქრებს,**

და გვაფრთხილებს, რომ ზეციერი მეუფე მთელ ერზეც ისევე ზრუნავს მარადის, როგორც თითოეულ ადამიანზე.

დიდებული სერობისგან განსხვავებით, საქორწილო **პურობაზე მოწვევა** ამავე დროს არის **მოწვევა ქრისტეს ეკლესიაში,** სადაც წვეული სინანულის მაცხოვნებელ ნაყოფს გამოიღებს და ზიარების წმიდა საიდუმლოში მონაწილეობით განიწმიდება ცოდვათაგან. სწორედ **გადარჩენისა და სასუფევლის ღირსყოფის** ეს კონკრეტული გზაა წარმოჩენილი იგავურად „მეფის ძის ქორწილში".

ეს გზა ულირსობით განვლო **საქორწინოდ შეუმოსავმა კაცმა.** იგავში იგი იმ ადამიანის გამოხატულებაა, რომელმაც უარყო ქრისტეს ეკლესია და, მაშასადამე, უარყო ქრისტე. მეორე მხრივ, როგორც კაცისმკვლელნი მოისრნენ და მათი ქალაქიც ცეცხლით დაიწვა, მსგავსი **ხვედრი** აქვთ განმსადებული იმ ერებს, რომლებიც იუდეველთა მსგავსად უარყოფენ, შეურაცხყოფენ და დაგმობენ ჭეშმარიტ გზას ცხონებისაკენ – უფალ იესო ქრისტეს.

შესაბამისად ამისა, თუკი ქრისტიანი, ერთი შეუმოსავი კაცის მსგავსად, ულირსად, დაუდევრად და უმართებულოდ მოეპყრობა ქრისტეს წყალობით ბოძებულ ნათლისღებას (ნათლის სამოსელს): არ გამოიღებს სინანულის მაცხოვნებელ ნაყოფს, არ იქნება გულმოწყალე, არ ექნება ცოცხალი რწმენა – იგი ვერ იგემებს მარადიული სასუფევლის პურობას. ერთი კაცი იმ ქრისტიანის იგავური სახეც არის, რომელიც ეკლესიაში შევიდა, ყველა წმიდა საიდუმლოში იღებდა მონაწილეობას, მაგრამ ღირსეულად ვერ მიიღო ეს უფლისმიერი წყალობა და მადლი. ამის მსგავსთა ულირსობა საყოველთაო განკითხვის ჟამს გაცხადდება, როცა უფალი, წვეულთა სახილველად მოსული მეუფის მსგავსად, მიმართავს მათ: **მოყუასო, ვითარ შემოხუედ აქა, რამეთუ არა გმოსიეს სამოსელი საქორწინე?** და ამ კაცის მსგავსადვე, მათ აღარ ექნებათ აღარც დრო, აღარც ადგილი და აღარც უნარი პასუხის გასაცემად, არამედ ერგებათ მხოლოდ მარადიული ტირილი და კბილთა ღრჭენა.

თუკი „მეფის ძის ქორწილის“ იგავში მოწვეული **შეუმოსავი კაცი** დუმს, „დიდებული სერობის“ იგავში წვეულნი სხვადასხვაგვარ საბაბსა და მიზეზს ასახელებენ თავის გასამართლებლად. ორივეგან უფლის გაფრთხილება უნდა ვიგულისხმოთ: დუმილით გვეუწყება, რომ განკითხვის ჟამის დადგომისთანავე ჩვენ ხელფეხშებორკილებივით ვიქნებით და გვიანლა იქნება თითზე კბენანი, რადგან ველარავინ და ველარაფერი გვიშველის.

„საიდუმლო სერობაში“ უფრო დამაიმედებელია **გაფრთხილება უფლისა**, რომელიც თითქოს ამას გვეუბნება: შენ, ადამიანო, ძალიან გიყვარს თავის მართლება სხვათა წინაშეც და ღვთის წინაშეც; სხვადასხვაგვარი მიზეზითა თუ საბაბით ცდილობ, თავი დააღწიო საღმრთო მუშაკობას და, ვითომდა, კეთილსახიერ საფუძველს ეძიებ, დარწმუნებულიც კი ხარ, რომ ეს შენი უბადრუკი მიზეზი განგამართლებს. იცოდე, ერთი კაციც კი არ მოიპოვება ამქვეყნად, რომ თავის მართლება არ სურდეს საკუთარ ცოდვათა გამო; ნაირნაირი თავის მართლებით მომარჯვებული, უკვე ველარ გრძნობ შენი დაკნინებული და დაცემული ცხოვრების წესს, უფსკრულისაკენ მიემართები და არც კი გახსენდება, რომ ერთადერთი, ვისაც შეუძლია ამ საზარელი დაცემის შეჩერება — მე ვარ, შენი უფალი და შენი ღმერთი, მხსნელი, მაცხოვარი იესო ქრისტე!

მე მარადის ვარ შენთან, — განაგრძობს ჩვენი უფალი, — შენ გვერდით, და მარადის მოგიწოდებ, ჩემკენ გახედებ და გეუბნები: უკვე გამზადებულია ზეციური ნეტარება, მარადიული სასუფეველი — შენ კი არ გესმის, ვერ მხედავ, ვერ გრძნობ, ვერ იგნებ გზას, რადგან საკუთარი ნებით, შენ თვითონ ინებებ ამას! მერედა, რას მეუბნები პასუხად? შენ ამბობ: მე კი მინდა შენთან მოსვლა, ვიცი, რომ კაცთმოყვარე და ყოვლადმოწყალე ღმერთი ხარ, არც შენი პურობის გაზიარებაზე ვიტყოდი უარს, მაგრამ, რა ვქნა, ხორციელად დაუძლურებულსა და ამქვეყნიური საზრუნავით გარემოცულს, დრო აღარ მრჩება, რომ ეს წმინდა სურვილი ავისრულო.

ვგონებ, ბევრი ჩვენგანის „ფიქრთა ფერადი გრეხილის“ ანარეკლი აღიბეჭდა ახლახან. მაგრამ ისიც ხომ მართალია, რომ დროსაც გამოვნახავდით და ძალასაც მოვიკრებდით, თუკი რომე-

ლიმე წარჩინებული თანამდებობის პირი ან შეძლებული „პატიოსანი გვამი“ მოგვიწვევდა და შემოგვითვლიდა: მობრძანდი ჩემთან, კარგი ამბავი მაქვსო შენთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ მასთან მისულნი რამეს გამოვკრავთ ხელს. გულზე ხელი დავიდოთ და ვაღიაროთ, რომ ამგვარი მოწვეისთვის ყველა საქმეს გადავდებთ, აღარც უძლურება და უდროობა შეგვაწუხებს ან შეგვიშლის ხელს, აღარც საზრუნავი გაგვახსენდება, თანაც, იმით გავიმართლებთ თავს, რომ ვერა და ვერ ვაწყენინებთ, ვერ შეურაცხყოფთ ამ პატივდებული ადამიანის ყურადღებას და მონდომებას. უფრო მეტიც: არც დრო დაგვენანება, არც ძალისხმევას დავიშურებთ და არც ხარჯს მოვერიდებით იმისათვის, რომ სათანადოდ შემოსილნი, დავარცხნილ-შეკასმულნი გავეჩქაროთ ამ მოწვევაზე.

დამეთანხმებით, რომ მეტისმეტად უმსგავსო, უჯერო და ბილწი იქნება ყოველგვარი თავის მართლება მაშინ, როდესაც უარვყოფთ უფალს, მის მოწვევას, მის წმიდა ეკლესიას, წმიდა საიდუმლოებს.

წუთისოფელი მინის ზღვაა

„დიდებული სერობის“ და „მეფის ძის ქორწილის“ იგავებით უფალი შეგვაგონებს, რომ საუკუნო სასუფევლისკენ მიმავალი გზიდან ჩვენ წუთისოფლის დიდი სიყვარული გადაგვახვევინებს, ცდუნებებით აღსავსე გზებზე გვატარებს და სამუდამო წარწყმედისაკენ მიგვაქანებს. ორივე იგავი გვარწმუნებს, რომ გადაჭარბებული სიყვარული, პყრობილება და მიჯაჭვულობა ამქვეყნიური საგნებისადმი – მიწა იქნება ეს, ვაჭრობა, სიმდიდრე თუ ქონება. ამ საგანთა დაუფლების ზღვარგადასული სურვილი მეტისმეტად აახლოებს, ამეგობრებს კაცს წუთისოფელთან და თავის ღვთისშვილობას ავიწყებს, იმის სურვილს აკარგვინებს, რომ ცოდვის მონა გახდეს ღვთის მონა, რათა, უფლის წყალობითა და მადლით, იგი ღვთის მეგობრად იქცეს.

ასტრახანისა და კავკასიის *არქიეპისკოპოსი სილვესტრი* იხსენებს *წმიდა იოანე ღვთისმეტყველის* „გამოცხადების“ წიგნში

არსებულ ბიბლიურ ალეგორიას – **მინის ზღვას**, რომელიც ბროლივით არის გადაშლილი *„ცათა შინა“*, ტახტზე მჯდომარე მეუფის წინ (გამოცხადება 4, 2; 4, 6). ეს ბროლისებრი მინის ზღვა, არქიეპისკოპოსის თქმით, საწუთროა – ჩვენი წუთისოფელი, ის ზღვაა, რომელსაც ამპარტავნების ქაფი მოჰყვება ხოლმე, შურის სილურჯე გადაჰკრავს, მრისხანებით ღელავს, სიძუნწის ღრმა ფსკერი აქვს, მერყეობის რყევით ირყევა, მედიდურია თავისი საუნჯით და შთამთქმელია ყოველივესი.

აი როგორია ჩვენი ზღვა წუთისოფლისა! მაგრამ ფრთხილად, – განაგრძობს ***არქიეპისკოპოსი სილვესტრი***, – ეს ზღვა მინისაა, მყიფეა, ადვილად მსხვრევადი და მიწყივ ცვალებადი. განა სიშლეგე არ არის, ამგვარ წუთისოფელს ემეგობრო, ენდო, შენს საყრდენად აქციო, და ქრისტეს საქორწილო ნადიმზე კი უარი თქვა?! ეს მინის ზღვა იმ სახლს ჰგავს, უგუნურმა კაცმა ქვიშაზე რომ ააგო: წამოვიდა წვიმა, მოვარდნენ მდინარეები, დაბერეს ქარებმა და ეკვეთნენ ამ სახლს, და დაეცა, და იყო მისი დაცემა დიდი (მათე 7, 26-27). ამ უგუნურ მშენებელზე უფალი იესო ამბობს: ეს ის კაცია, რომელიც ისმენს ჩემს სიტყვას და არ ასრულებსო.

წმიდა კვიპრიანე ამხელს წუთისოფლის მზაკვრობას და ბრძანებს: *„წუთისოფელი განცხრომაში გამყოფებს, რომ მძვინვარედ გააამპარტავნდე; ის გეალერსება, რომ მოგხიბლოს; თავისკენ გიზიდავს, რომ წარგწყმიდოს; აღგამაღლებს, რომ დაგცეს“*.

ზღვის ალეგორიით გამოხატული წუთისოფლის გამო გვმოძღვრავს ***ნეტარი ავგუსტინეც***: *„გიყვარს ღმერთი? - მაშ, ამ ზღვაზე პეტრესავით ივლი. საწუთრო გიყვარს? - მაშ, ზღვა შთანგთქავს, რადგან მას თავის მოყვარულთა შთანთქმა ემარჯვება მხოლოდ, მათი პატრონობა კი არ ძალუძს. ამ წუთისოფელში თითოეულს თავისი ავხორცობა სჭირს, მაგრამ ყველას ავხორცობის სიყვარული აერთიანებს“*. ნეტარი მამა განგაშის ზარს შემოჰკრავს და ამბობს: საწუთროს სიყვარული სულს ხრწნისო, რაც ეხმაურება უფლის შეგონებას: **„რაი სარგებელ ეყოს**

კაცსა, უკუეთუ სოფელი ყოველი შეიძინოს და სული თჳსი იზღვიოს? ანუ რაი მისცეს კაცმან ნაცვლად სულისა თჳსისა?" (მათე 16, 26) — ამას უფალი იესო თავის მოწაფეებს ეუბნება.

„ნუ სდევ წადილთა ნებასა": ქრისტესმიერი არჩევანი და თავისუფლება

„მეფის ძის ქორწილის" და „დიდებული სერობის" იგავებში თავს იჩენს სხვა არაერთი უმნიშვნელოვანესი ქრისტიანულ-სნეობრივი ფასეულობა: **ნებელობა (ნებისყოფა), თავისუფლება და არჩევანი.**

ორივე იგავში ეს ფასეულობანი მივიწყებული აქვთ იმათ, რომლებმაც არ ისმინეს და უარყვეს ღვთის მოწოდება.

რამ შეუშალა მათ ხელი, გაეკეთებინათ მართებული, ღვთის მოსაწონი არჩევანი?

რამ და — სურვილთა აყოლამ!

„რაც არა გწადდეს, იგი ჰქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა" — ეს ბრძნული რუსთველური აფორიზმი ჩვენს გულისყურს ჭეშმარიტი თავისუფლებისკენ წარმართავს. **წადილთა ნებაში** ჩვენი დიდებული პოეტი საკუთარ სურვილთა აყოლაზე აღმოცენებულ **არჩევანს** გულისხმობს.

კაცის ყოველგვარი ქმედება საკუთარი სურვილითა და წადილით იწყება. შიშველი „მინდა!", ანუ განსჯისა და არჩევანის გარეშე მოძალებული სურვილი, არის შემზარავი განაცხადი ოდენ საკუთარზე, იმაზე, თუ რაოდენ ხარ მოცული მხოლოდ საკუთარი თავით. საცდურთა სიმრავლით გათანგულ წუთისოფელში „მინდა!" ხშირად იქცევა წყაროდ წარწყმედისა. შიშველი „მინდა!", როგორც წესი, უგუნურს ხდის კაცს და შლეგივით მიაქანებს უფსკრულისკენ. სიკეთე-უკეთურების გასარჩევად ამ შენს „მინდას!" თუ არ შეაგებე „შეიძლება? შემიძლია?" — ვერ დაიხსნი თავს წარწყმედისაგან.

ღვთის ქმნილებათა გვირგვინმა — ადამიანმა — საკუთარ წადილთა ნებას აყოლილ გულს უცილობლად უნდა „მიაშვე-

ლოს“ გონება და იკითხოს: კეთილია თუ ბოროტი ეს ჩემი სურვილი? – არჩევანი მან **გონიერი გულით** უნდა გააკეთოს.

კეთილგონივრული არჩევანი აღვირია, ის ლაგამია, რომელსაც ბრძენი ადამიანი დინჯად ამოსდებს თავის სურვილს (წადილს) და ღვთივმოსაწონ, კეთილ ნებად აქცევს მას. სწორედ ამას გულისხმობს რუსთველი **წადილთა ნებაში**: ნუ მიენდობი და ნუ დაემონებიო საკუთარ წადილსა და სურვილს; წადილთა ნებას კი ნუ აპყვები, არამედ ღვთის მოსაწონად ჰყავ საკუთარი ნება და ღირსეულად გამოიჩინე ნების-ყოფა. ამის შემძლე, ღვთის წყალობითა და შეწევნით, იმასაც შეძლებ, რომ იგი ჰქმნა – **რაც არა გწადდეს**, რათა შიშველი წადილის ტყვედ არ იქცე და ბოროტებად ქცეულ საკუთარ სურვილს არ დაემონო.

მაშასადამე, კაცის ნებელობა (ნებისყოფა) არის სიკეთე-უკეთურობის (კეთილისა და ბოროტის) არჩევანის ჟამს გამჟღავნებული კეთილი ნება, რაც სურვილის (წადილთა) კეთილად აღსრულებით გვირგვინდება. ამ აზრს გამოხატავს *წმიდა პავლე მოციქული*:

„გამოიცადეთ, რაჲ-იგი არს სათნო უფლისა“ (ეფესელთა მიმართ 5, 10);

„გულისჴმა-ჰყოფდით, რაჲ-იგი არს ნებაჲ ღმრთისა“ (ეფესელთა მიმართ 5, 17).

წმიდა მოციქული შეგვაგონებს: შეიცანითო, რა არის ღვთის ნება (შდრ.: **„ბედი ცდაა, გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მო-ცა-გხვდების“** – *შოთა რუსთაველი*). იგი ღვთის ძიების მაცხოვნებელ გზაზე გვითითებს. მხოლოდ ღვთის დაუცხრომელი ძიებით გვეძლევა იმის ძალა და უნარი, რომ კეთილგონივრულად შევაჯეროთ საკუთარი უფლებები და მოვალეობანი, თავი მოვიზღუდოთ და მოვერიოთ სურვილთა უკეთურ შემოტევებს.

წმიდა დავით მეფსალმუნეც გვირჩევს, არ შევწყვიტოთ ღვთის ძიება, რომელიც უდიდესი სიკეთეა, ღვთისმოშიშებასთან ერთად:

„შენ გრქუა გულმან ჩემმან: უფალი მოვიძიო. გამოგიძია შენ პირმან ჩემმან; პირი შენი, უფალო, მოვიძიო“ (ფსალმუნნი 26, 8);

„განიცადეთ და იხილეთ, რამეთუ ტკბილ არს უფალი; ნეტარ არს კაცი, რომელი ესავს მას. გეშინოდენ უფლისა ყოველთა

წმიდათა მისთა, რამეთუ არა არს ნაკლულოვანებაᲘᲐ მოშიშთა მისთა. მდიდარნი დაგლახაკდეს და შეემშია, ხოლო რომელნი ეძიებენ უფალსა, არა ნაკლულევან იქმნენ ყოვლისაგან კეთილისა. მოვედით, შვილნო, ისმინეთ ჩემი, შიში უფლისაᲘᲐ გასწაო თქუენ“ (ფსალმუნნი 33, 8-12).

„მეფის ძის ქორწილის“ და „დიდებული სერობის“ იგავებში **წვეულებს (ჩინებულთ)** არც ღვთის შიში აქვთ და არც ნებისყოფა, ვინაიდან ისინი **ბოროტ არჩევანს** აკეთებენ, საკუთარ სურვილებს ემონებიან და წუთისოფლის მეგობრები არიან. ეს კი სამარცხვინოაო ადამიანისთვის – იგავურად შეგვაგონებს უფალი.

მართლაც. აბა, დავუკვირდეთ: ბარტყი თავისი დედისკენ მილტვის, ძაღლი პატრონის ხმის გაგონებისთანავე მხიარულად გარბის მისკენ, ყველა ქმნილება ემორჩილება თავის მშობელსა და პატრონს. თავად ადამიანი კი რასა იქმს? საზარელი ურჩობით ეურჩება საკუთარ უზენაეს მშობელსა და პატრონს, და არ მიდის, არ მიიჩქარის ზეციერ მეუფესთან შესახვედრად: ძე არ მიემართება მამისკენ, სნეული არ აკითხავს თავის ერთადერთ მკურნალს, ღარიბი არ მიდის ყველაზე მდიდარ და გულუხვ მწყალობელთან! რა გაუგონარი უგუნურებაა: უარყო უზენაესი სიკეთე! და რა შემაძრწუნებელი სი'ძლეგეა: მიიღო წარმწყმედელი ბოროტება!

წმიდა მამები გვითითებენ და გვასწავლიან თავის მოსღუდვის კონკრეტულ საშუალებებს. მათი სწავლებით, ჩვენ უნდა მივბაძოთ წმინდა ადამიანებს. *წმიდა პავლე მოციქული* პირველი წმიდა ქრისტიანების გამო შენიშნავს, რომ მათ არაფერი გააჩნდათ ამქვეყნად, თავის მისადრეკი სამყოფელიც კი. მაგრამ ისინი ეძიებდნენ მომავალ სამყოფელს, რწმენით ელოდნენ მომავალი ქალაქის დაფუძნებას. ამ **ქალაქის ხუროთმოძღვარი** თავად **უფალი ღმერთი** იესო **ქრისტეა**. წმიდა მოციქული გვეუბნება, არასოდეს მოვიშოროთ ფიქრი იმაზე, რომ ამქვეყნად მოსულნი ვართ და მწირნი ვართ, უცხონი წუთისოფლისთვის, უპოვარნი, გლახაკნი და არას მქონენი.

ვინც ცხოვრების ამგვარ წესს მიჰყვება, წმიდა მოციქულის რწმენით, თავისი საუკუნო დანიშნულებით არ ეკუთვნის წუთისოფელს, თუმცა ცხოვრობს ამქვეყნად. ამგვარი ქრისტიანი იოლად განეშორება საკუთარ ამქვეყნიურ გულისთქმებს – **წადილთა ნებას** (რუსთაველის სიტყვებით რომ ვთქვათ), რაც მეტისმეტად ეძნელება ჩვეულებრივ მოკვდავს, წუთისოფელზე მიჯაჭვულ ცოდვილს. **წადილთა ნებას** აყოლილი და ცოდვებში ჩაფლული კაცი ძნელად იჯერებს, რომ ეს ქვეყანა მხოლოდ დროებითი სამყოფელია, და რომ საწუთრო აჩრდილივით წარმავალია, არაფერია მასში მდგრადი, რადგან ყოველივე განუწყვეტლივ იცვლება და ქრება.

ამიტომ არის ასე მტკივნეული წუთისოფლის დათმობა იმისთვის, ვინც ძლიერ შეიყვარა ეს ქვეყანა, ვინც თავისი გული მუხთალ წუთისოფელს მიანდო. მიხედეთ ნამდვილ, ჭეშმარიტ ქრისტიანს, – გვასწავლიან წმიდა მამები, – რომელიც გონიერი და ბრძენი მოგზაურივით დადის წუთისოფელში და არასოდეს იტვირთებს ზედმეტ ბარგს. გზად მიმავალი, იგი დიდხანს არ აკვირდება უცხო სანახაობებს და არასოდეს არ ჩერდება იმაზე მეტხანს, რაც დასვენებისთვის არის საჭირო. ეს **ქრისტიანი ეძიებს ჭეშმარიტ სამშობლოს – ზეციურ სამყოფელს**, მას ყოველივე უფლისმიერი აქვს და ყოველივე ღვთისათვის უყვარს, ღვთის სადიდებლად ილვწის და ზეამოცანად სულის ცხონება აქვს დასახული.

აი ვინ უძღვნის, ვინ უმორჩილებს საკუთარ სურვილს, წადილსა და ნებას – ღვთის წმიდათაწმიდა ნებას! მხოლოდ ამგვარი – **ბრძნული მორჩილებაა** წყარო ღვთივსაქებარი მადლიერებისა და ღვთის გულმხურვალე დიდებისა!

ქართული სიტყვა **თავისუფალი** უაღრესად საგულისხმოდ, შეიძლება ითქვას – მისტიკურადაც იტევს ახლახან თქმულს: **თავის უფალი** იგია, ვისაც **თავად უფალი** ჰყავს წინამძღვრად და **თავის ნება-სურვილებს** უფლის ნებისაებრ წარმართავს, ვინც **თავისას თავადვე თავისი ნებით** მიუძღვნის **უფალს**. მხოლოდ მაშინ **თავისუფლდება** იგი ცოდვათაგან: **„და სცნათ ჭეშმარიტი,**

და ჭეშმარიტებამან განგათავისუფლნეს თქუენ... ყოველმან რომელმან ქმნეს ცოდვაჲ, მონაჲ არს იგი ცოდვისაჲ... უკუეთუ ძემან განგათავისუფლნეს, ჭეშმარიტად თავისუფალ იყვნეთ... მე ვარ გზაჲ და მე ვარ ჭეშმარიტებაჲ და ცხორებაჲ: არავინ მოვიდეს მამისა, გარნა ჩემ მიერ“ (იოანე 8, 32-36; 14, 6) – ეს არის სახარებისეული მოწმობა, უფლისმიერი დასტური და განმარტება **ჭეშმარიტი თავისუფლების** ნამდვილი შინაარსისა. ამ მოწმობას ბევრი ივიწყებს, და ამიტომაც:

„მრავალ არიან ჩინებულნი და მცირედ – რჩეულნი“ (მათე 22, 14).

ნუ მივეცემით წადილთა ნებას, ნუ შეურაცხვყოფთ უფლის მიერ ბოძებულ საქორწინო სამოსელს და ნუ მოვიკლებთ ზეციურ სიხარულს. ღვთის წყალობით, იქნებ, ვიგემოთ კიდეც მეუფის ძის ქორწილისა და პურობის სიტკბოება!

ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲣᲤᲐᲚᲡ!
ᲒᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ ᲡᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚᲐᲓ ᲦᲛᲔᲠᲗᲘᲡᲐ!

გამოყენებული ლიტერატურა:

1) **ილია აბულაძე,** ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბილისი, 1973.

2) **ახალი აღთქუმაჲ,** საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1995.

3) **ახალი აღთქუმაჲ,** მეცნიერულად დადგენილი ტექსტი წმ. ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელთა რედაქციებისა, თბილისი, მთაწმიდა, წმიდა ნინოს ეკლესია, 2001.

4) **ახალი აღთქუმაჲ,** გამოცემა ეძღვნება უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის აღსაყდრების 25, მღვდელთმთავრობის 40 და დაბადების 70 წლისთავს, თბილისი, 2003.

5) **ახალი აღთქმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი,** წიგნი მათესი, 2001; წიგნი მარკოზისა, 2005; წიგნი ლუკასი, 2008, საქართველოს საპატრიარქო.

6) **წმიდა ბასილი დიდი,** სწავლანი, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1996.

7) **ბიბლია,** საქართველოს საპატრიარქო, 1989.

8) **ბიბლიის განმარტება,** ა. პ. ლოპუხინისა, I ტ., 1904-1907; II ტ., 1910,1913; III ტ., 1911-1913, პეტერბურგი (რუსულ ენაზე).

9) **დეკანოზი ბუხარევი,** ლუკას სახარების განმარტება, II გამოცემა (რუსულ ენაზე).

10) **ბ. ი. გლადკოვი,** სახარების განმარტება, სანკტ-პეტერბურგი, ავტორის გამოცემა, 1913 (რუსულ ენაზე).

11) **ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი,** ბულგარეთის არქიეპისკოპოსი, სახარება მათესი, მარკოზისა, ლუკასი და იოანესი, მოსკოვი, 2000 (რუსულ ენაზე).

12) **იგავნი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესნი**, მასალა შეკრიბა და შეადგინა დოდო (მარიამ) ღლონტმა, I, 2003; II, 2004; III, 2008; თბილისი.

13) **ივანე იმნაიშვილი**, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბილისი, 1986.

14) **იოვანე საბანისძე**, წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტჱსისა ჰაბოჲსი, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, თბილისი, 1978, გვ. 57-85.

15) **წმიდა იოანე დამასკელი**, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, თბილისის სასულიერო აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 2000.

16) **წმიდა იოანე ოქროპირი**, განმარტება იოანეს სახარებისა, I, II, თბილისი, 1993.

17) **წმიდა იოანე ოქროპირი**, თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ, თარგმანი წმ. ეფთვიმე მთაწმიდელისა, I, II, 1996; III. 1998; თბილისი.

18) **მათეს სახარების განმარტება**, წმიდა მამათა სწავლების მიხედვით მასალების შემკრები, მთარგმნელი და გამმართველი წილკნელი მთავარეპისკოპოსი ზოსიმე, წილკნის ეპარქიის გამოცემა, თბილისი, 2000.

19) **ეპისკოპოსი მიხეილი**, ლუკას სახარების შესახებ (რუსულ ენაზე).

20) **მცხეთური ხელნაწერი** (5 წიგნად), თბილისი, 1981-1983; 1985-1986.

21) **სულხან-საბა ორბელიანი**, ლექსიკონი ქართული, I, 1991; II, 1993.

22) **შოთა რუსთაველი**, ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 1992.

23) **საკვირაო სახარებათა განმარტება**, ნაწ. I-II, ფოთის ეპარქიის გამოცემა, 2001.

24) სახარების იგავები, განმარტება ასტრახანისა და კავკასიის არქიეპისკოპოსისა და კავალერისა სილიბისტროსი (სილვესტრისა), მოსკოვი, 1822 (რუსულ ენაზე).

25) სახელმძღვანელო მართლმადიდებელი კატეხიზმოს შესასწავლად, 1911.

26) უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს იგავების განმარტება, დუბლინის არქიეპისკოპოს ტრენჩისა, ინგლისურიდან რუსულად თარგმნა ა. ზ. ზინოვიევმა, სანკტ-პეტერბურგი, 1888.

27) ფსალმუნნი, ახალი, შესწორებული გამოცემა მოამზადა ედიშერ ჭელიძემ, გამომცემლობა „ახალი ივირონი", თბილისი, 2006.

28) ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელისა, I, II, ქუთაისი, 1913.

29) ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ერთტომეული), თბილისი, 1986.

30) ქართული ოთხთავის ბოლო ორი რედაქცია, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივანე იმნაიშვილმა, თბილისი, 1979.

საკუთარ სახელთა საძიებელი

ა

აარონი – 63
აბელი – 79
აბესალომი – 111
აბიმელექი – 63
აბრაამი – 16, 63, 112
ადამი – 112, 196, 197, 198, 200, 212
ადონი-ბეზეკი – 14
ნეტარი ავგუსტინე – 23, 26, 34, 39, 42, 77, 98, 116, 120, 137, 150, 177, 194, 207, 210, 211, 217, 224
წმიდა ამბროსი მედიოლანელი – 25, 32, 38, 194
მღვდელმთავარი ანანია – 168
არტაქსერქსე – 111

ბ

ბალთასარი (ბელშაცარი) – 111, 184, 185
წმიდა ბარნაბა – 159
წმიდა ბასილი დიდი – 83, 129
ბენიამინი – 184
დეკანოზი ბუხარეევი – 9, 49, 117, 123, 132

გ

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე) – 50, 51, 165, 179, 188, 200
წმიდა გაბრიელ მთავარანგელოზი – 89
წმიდა გრიგოლი დიდი – 116, 150, 192
წმიდა გრიგოლი ღვთისმეტყველი – 30, 31, 33, 122, 206, 217
წმიდა გრიგოლ ფერაძე – 189

დ

წმიდა დავით წინასწარმეტყველი და მეფსალმუნე – 36, 39, 80, 84, 86, 90, 91, 146, 148, 152, 184, 196, 217, 226

წმიდა დანიელ წინასწარმეტყველი – 87, 88, 89, 114, 184, 185

ე

ევა – 196, 197, 198, 200

წმიდა ეზეკიელ წინასწარმეტყველი – 49, 70, 71

წმიდა ელია წინასწარმეტყველი – 29

წმიდა ესაია წინასწარმეტყველი – 46, 47, 49, 58, 69, 72, 92, 116, 154, 171, 191, 193

ესთერი – 156

ვ

ვესპასიანე – 170

ზ

ზირაქი – 40, 104, 121, 193

თ

ეპისკოპოსი თეოფანე – 213

ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი – 17, 24, 25, 29, 32, 49, 72, 81, 88, 101, 102, 104, 105, 106, 108, 109, 110, 112, 116, 117, 119, 120, 121, 122, 129, 130, 135, 136, 149, 150, 156, 158, 160, 161, 163, 190, 192, 209, 217

ი

იაკობი, ისაკის შვილი – 112

წმიდა იაკობი, ზებედეს ძე – 165, 169

წმიდა იაკობ მოციქული, უფლის ხორციელი ძმა – 29, 165, 169, 191, 202

წმიდა იერემია წინასწარმეტყველი – 36, 39, 49, 69, 76, 171

წმიდა იერონიმე –205

წმიდა ილარიონი – 192
უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე – 214
წმიდა იოანე დამასკელი – 197
წმიდა იოანე კიბისაღმწერელი – 104
წმიდა იოანე მახარებელი, მოციქული და ღვთისმეტყველი – 9, 30, 58, 74, 130, 153, 164, 165, 168, 169, 172, 215, 223
წმიდა იოანე ოქროპირი – 42, 49, 60, 64, 66, 69, 72, 73, 78, 81, 83, 86, 90, 91, 100, 128, 134, 138, 139, 145, 146, 149, 151, 152, 154, 157, 163, 164, 165, 170, 175, 188, 190, 192, 194, 199, 201, 203, 204, 217
წმიდა იოანე წინასწარმეტყველი, წინამორბედი და ნათლისმცე-მელი – 37, 38, 63, 138, 149, 150, 154, 155, 157, 158, 163, 164, 181, 214
მართალი იობი – 28, 193, 208
იოვანე საბანისძე – 55, 56, 85, 86
იონათანი – 184
იოსები – 14, 73, 130, 184
იოსებ ფლავიუსი – 8
ირინეოსი – 192, 203
წმიდა ისააკ ასური – 104
ისუ ნავე – 112
იუდა, სიმონის ძმა – 14

კ

კაენი – 79
წმიდა კვიპრიანე – 224
წმიდა კირილე ალექსანდრიელი – 118, 122
კორნილიუსი – 177

ლ

ლაზარე – 74, 130
ლევი – 192

წმიდა ლუკა მახარებელი – 9, 44, 45, 60, 67, 70, 72, 79, 80, 82, 83, 98, 99, 101, 133
ლუკულუსი – 184

მ

წმიდა მათე მახარებელი – 9, 44, 45, 67, 72, 79, 80, 98, 99, 142
მალქოსი – 171
მარიამი, ლაზარეს და მართას და – 130
სხვა მარიამი – 215
მარიამ მაგდალელი – 215
წმიდა მარკოზ მახარებელი – 9, 44, 45, 67, 70, 79, 80, 82, 83
ეპისკოპოსი მიხეილი – 17, 24, 25, 103, 104, 110
წმიდა მიქა წინასწარმეტყველი – 172
წმიდა მოსე წინასწარმეტყველი – 25, 27, 28, 54, 63, 112, 158, 217

ნ

ნაბუქოდონოსორი – 87, 184
ნიკოლოზ ბარათაშვილი – 177
ნოე 112

ო

ორიგენე – 192, 198
წმიდა ოსია წინასწარმეტყველი – 49, 112, 154

პ

წმიდა პავლე მოციქული – 15, 33, 36, 41, 56, 64, 66, 78, 79, 89, 90, 91, 103, 109, 110, 111, 114, 115, 116, 117, 124, 130, 132, 134, 135, 143, 147, 151, 159, 162, 165, 168, 173, 176, 177, 181, 189, 191, 192, 195, 196, 208, 210, 215, 216, 226, 227
წმიდა პეტრე მოციქული – 9, 16, 40, 92, 132, 165, 168, 171, 177
პილატე – 8, 10, 11
ეპისკოპოსი პლატონი – 104

ს

სამოელი – 67
საული – 90, 184
არქიეპისკოპოსი სილვესტრი – 111, 112, 206, 207, 208, 223, 224
სიმონი, იუდას ძმა – 14
სოლომონ ბრძენი – 203
წმიდა სოფონია წინასწარმეტყველი – 192
წმიდა სტეფანე პირველმოწამე – 159, 165, 169

ტ

ტერტულიანე – 93, 192
წმიდა ტიმოთე მოციქული – 110
წმიდა ტიტე მოციქული – 170

ფ

წმიდა ფილიპე მოციქული – 177

შ

შარდენი – 184, 185
შოთა რუსთაველი – 226

ც

ციცერონი – 205

ჰ

ჰამანი – 187
ჰეროდე – 10
ჰორაციუსი – 184

სარჩევი

მკითხველისათვის 5

„უნაყოფო ლეღვის ხე“ 7

„ბოროტი მევენახეები“ 43

„დიდებული სერობა“ 96

„მეფის ძის ქორწილი“ 140

გამოყენებული ლიტერატურა 230

საკუთარ სახელთა საძიებელი 233

მასალა შეკრიბა და შეადგინა
დოდო (მარიამ) ღლონტმა

რედაქტირება და კორექტურა
ნათელა ხურციდლაძა

ტექნიკური რედაქტორი
ალექსი შოშიაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ვიქტორ დავითაშვილისა

დიდება შენდა, ყოველადწმიდათ საკეებათ,
ერთღმრთეებათ და ერთაბრსებათ, რაქეთუ ღირს-მყავ
მე ულირსი ამისა სრულ-ყოფად!
წმიდანთ მახარებელნთ და წმიდანთ მამანთ,
მეოხ-მყაეთ წინაშე უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი,
და მეცა შემიწყალეთ — მხეადი ღმრთისა
დოდო-მარიამი, და შენდობა-ყავ წინაშე ღმრთისა,
რაიცა უმეცრებითა ჩემითა დაეკარ
შრომასა ამას. ამენ.

გამოცემულია:

„იგავნი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესნი“, 1 („მოწყალე სამარიტელი“, „უმოწყალო მონა“, „ორი მოვალე“, „ცხვრები და თიკნები“), 2008.

„იგავნი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესნი“, 2 („დაკარგული ცხვარი“, „დაკარგული დრაქმა“, „უძღები შვილი“, „ორი ძე“, „ვენახის მუშაკები“, „ფარისეველი და მეზვერე“), 2008.

„იგავნი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესნი“, 3 („უგუნური მდიდარი“, „მდიდარი და გლახაკი ლაზარე“, „ორგული მნე“),2008.

უახლოეს ხანებში გამოცემა:

„იგავნი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესნი“, 5 („ტალანტები“, „ათი მნა“, „ათი ქალწული“, „ერთგული და ბოროტი მონები“, „ფხიზელი სახლის პატრონი (მპარავი)“, „ურგები მონები“, „კოშკი“, „ომში მიმავალი მეფე“, „მარილი“).

„იგავნი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესნი“, 6 („აღმოცენებული თესლი“, „საფუარი“, „მდოგვის მარცვალი“, „საუნჯე“, „მარგალიტი“, „ბადე“, „სახლი კლდეზე“, „მთესვარი“, „ხორბალი და ღვარძლი“, „უსამართლო მსაჯული“, „მეგობრის თხოვნა“).

„იგავნი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესნი“, 7, სახარების იგავის „შენობა“ (სქემა-ნახაზით) – უფლისმიერი იგავური ქადაგება: „ცოდვიდან ცხონებამდე“.

გამოცემული:

„იგავნი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესნი“, 1 („მოწყალე სამარიტელი“, „უმოწყალო მონა“, „ორი მოვალე“, „ცხვრები და თიკნები“), 2008

„იგავნი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესნი“, 2 („დაკარგული ცხვარი“, „დაკარგული დრაქმა“, „უძღები შვილი“, „ორი ძე“ „ვენახის მუშაკები“, „ფარისეველი და მეზვერე“), 2008

„იგავნი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესნი“, 3 („უგუნური მდიდარი“, „მდიდარი და გლახაკი ლაზარე“, „ორგული მნე“), 2008

უახლოეს ხანებში გამოიცემა:

„იგავნი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესნი“, 5 („ტალანტები“, „ათი მნა“, „ათი ქალწული“, „ერთგული და ბოროტი მონები“, „ფხიზელი სახლის პატრონი (მპარავი)“, „ურგები მონები“, „კოშკი“, „ომში მიმავალი მეფე“, „მარილი“).

„იგავნი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესნი“, 6 („აღმოცენებული თესლი“, „საფუარი“, „მდოგვის მარცვალი“, „საუნჯე“, „მარგალიტი“, „ბადე“, „სახლი კლდეზე“, „მთესველი“, „ხორბალი და ღვარძელი“, „უსამართლო მსაჯული“, „მეგობრის თხოვნა“).

„იგავნი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესნი“, 7 სახარების იგავის „შენობა“ (სქემა-ნახაზით) – უფლისმიერი იგავური ქადაგება: „ცოდვიდან ცხონებამდე“.